# კვირის პალიტრა

## ყოველკვირეული გაზეთი

№2 (567) ◆ 9 – 15 იანვარი. 2006 წ. ◆ ფასი 60 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.




გვ.3

## საშობაო ეპისტოლე

### იესო დაბადებულა, ალილო...

...შეუძლებელია ახალგაზრდა იზრდებოდეს ქართული ტრადიციული ღირებულებების უგულებელყოფის ატმოსფეროში და მაგალითად, ჯარში იგი თავისი ქვეყნის მამაც დამცველად მოგვევლინოს.

შეუძლებელია, საზოგადოება უარყოფდეს თავის მეობას, უარყოფდეს იმ ზნეობრივ საფუძვლებს, რასაც ისტორიულად ეყრდნობოდა...

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

ილია II

## „გაზსადენზე ლაპარაკი არც მთლად შემთხვევით გააქტიურებულა“



„ცხინვალის ბედი კრემლისა და თეთრი სახლის შეთანხმებით გადაწყდება“

რამაზ კლიმიაშვილი

## „ბენდუქიძე თამაშობს...“

„თვითმკვლელობის ტოლფასი გადაწყვეტილება?!“

გვ.6

სოსო ცისკარიშვილი



## „ხუთი დღის წინ ციხიდან დამირეკეს და დამემუქრნენ“

„როგორ დავიცვა მოსამართლე, რომელმაც მცირეწლოვანი ბავშვის გამტაცებელს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა?“

გვ.7

*სამხედრო თემაზე:*

გვ.8,9

## აფხაზეთის სანაპიროს რუსული რადიოლოკატორები იცავენ

როგორც „კვირის პალიტრისთვის“ გახდა ცნობილი, აფხაზეთის სანაპიროზე მიმდინარეობს გამალებული მუშაობა ნაპირის ახლოს აკვატორიის წყალზედა სიტუაციის საკონტროლო სისტემის შესაქმნელად... მოსკოვმა სეპარატისტებს საბჭოთა კავშირის დროინდელი რადიოლოკაციური კონტროლი აღუდგინა.

ექსპერტის აზრით



## მთავარია, ვერაგმა ვირუსმა მუტაცია არ განიცადოს...

### როგორ უნდა ვიკვებოთ?

ისლა დაგვრჩენია, თავდაცვის ყველა საშუალებაზე ვიზრუნოთ...

ვირუსი შეტევას ადამიანის სუსტი წერტილიდან იწყებს. ამიტომაც არის სავალდებულო იმუნიტეტის გაძლიერება და სისხლის გაწმენდა, რითაც ღვიძლს დავიცავთ. ამ შემთხვევაში შესაძლოა ვირუსი შეეყაროს ადამიანს, მაგრამ ორგანიზმი მას გაუძლებს.

...პანდემია, წინასწარი გათვლებით, ორ წელიწადს გაგრძელდება.

**ლადო ჭიპაშვილი:**

„მინდა „კვირის პალიტრის“ საშუალებით ვუთხრა ხალხს, რომ პანიკის საფუძველი ჯერ არ არსებობს და თუ გაჩნდება, მაშინვე დავიწყებთ საგანგებო ღონისძიებათა გატარებას.“

გვ.15,29



## „კვირის პალიტრის“ სახალხო პროექტი გრძელდება...

### „შენ გაგიმარჯოს, ჩემო მომავალო ქართველო“



„კვირის პალიტრის“ სახალხო პროექტი, „წერილი მომავალში“, უკვე 5 წლის გახდა...

გვ.14,31

ეს პროექტი 100 წელს გასტანს და მომავლის წერილებიც შესაბამისად 2010, 2025, 2050 და 2100 წლების ბოლოსაც გაიხსნება...

გვინდა ზოგიერთი ამ არაჩვეულებრივი გზავნილის თანაზიარი გავხადოთ ჩვენი მკითხველი

| | |
|---|---|
| მომავალ საქართველოს! | ყველაზე ახალგაზრდა და უცოლო პარლამენტარს |
| საქართველოში მცხოვრებ ყველაზე მრავალშვილიან ქართველ დედას! | ქართველ ერს! |
| საქართველოს პრეზიდენტს! | ყველაზე მდიდარ ადამიანს საქართველოში |

## „ამისთანა არაფერი მსმენია“




„პრეზიდენტის ესკორტს 4-5 თვე ისე ვაცილებდი, არც გაფორმებული ვყოფილვარ სადმე და არც ხელფასი ამიღია“

„ოფიციალურად გამოწერილი ოცი ლიტრი ბენზინიდან მხოლოდ ხუთს მისხამდნენ“

გვ.5

„მთელი დღე რეკავდნენ ისრაელში იმ კაცთან, შენი ჭირიმე, არ გამოგვიგზავნო მადლობა, დამიჭერენო...“



## გურული „პრინცები“

ამერიკაში უკვირდათ შოუში მამაკაცებთან ერთად გურული მოჯირითე ქალების მონაწილეობაც...

...დაუმარცხებელ ქართველებს განსაკუთრებით ინდიელები მტრობდნენ. მოთმინების ფიალა რომ ავსებიათ, ინდიელებისთვის ქართული მარჯვენის სიმწარე უწვნევიათ და ამის შემდეგ მეტოქეები მოყვრებად მოჰკიდებიან გურულ ბიჭებს...

გვ.37

**თქვენ გვემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!**

## ალილოობა მთელ საქართველოში



მას შემდეგ, რაც ქრისტეშობის ბრწყინვალე დღესასწაულზე უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ სამების საკათედრო ტაძარში საშობაო წირვა-ლოცვა აღავლინა, თბილისში საეკლესიო დროშებითა და ალილოს სიმღერით მართლმადიდებელმა ქრისტიანებმა დედაქალაქის ქუჩები შემოიარეს და ხალხს ქველმოქმედებისკენ მოუწოდეს. ალილოობა ილია ჭავჭავაძის პროსპექტზე მდებარე სამების ტაძრიდან დაიწყო და ელიას მთაზე, სამების ტაძარში დასრულდა. შემოწირულობებს ბავშვთა სახლებსა და მოხუცთა თავშესაფრებს გადასცემენ.

შობის ღამით წმინდა სამების ტაძარში წირვას საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც დაესწრო. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საშობაო ეპისტოლეს მოსმენის შემდეგ პრეზიდენტმა განაცხადა: „შემიძლია აქ ჩამოთვლილ შეხედულებებს მთლიანად მოვაწერო ხელი, რადგან აქ საუბარია ადამიანების სოციალურ პასუხისმგებლობაზე, ანუ რაში გამოიხატება ჩვენი პასუხისმგებლობა არა მხოლოდ საკუთარი თავის და ოჯახის, არამედ საზოგადოების და ჩვენი მომავლის წინაშე. პატრიარქი საუბრობდა ძალიან მწვავედ ნარკომანიის თემაზე, ჩვენს საზოგადოებაში დღემდე არსებულ კრიმინალურ „ფასეულობებზე", იმაზე, რომ მთელი ჩვენი წარმატება უნდა ეფუძნებოდეს ჩვენს კულტურას და მდიდარ შინაგან სამყაროს".

## ქუთაისის ციხეში კარანტინი მოიხსნა

ადამიანისა და პატიმართა უფლებების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოს ხელისუფლებას პენიტენციარულ სისტემაში არსებულ განუკითხაობასა და პატიმართა უფლებების დარღვევაში ადანაშაულებენ. გავრცელებული ინფორმაციით, მე-5 იზოლატორის 2000-მდე განსასჯელი საზოგადოებასა და პოლიტიკურ ორგანიზაციებს ხელისუფლების რეპრესიებისგან დაცვასა და თანადგომას სთხოვენ. არასამთავრობო ორგანიზაცია „დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებების დაცვის კავშირის" ხელმძღვანელის, დავით ლილუაშვილის განცხადებით, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფი 12000 პატიმრიდან დაახლოებით 80% შიმშილობს და ხელისუფლების განცხადება, თითქოს შიმშილობის აქციები საპატიმროებში შეწყვეტილია, სიმართლეს არ შეესაბამება.

სასჯელაღსრულების დაწესებულების ქუთაისის №2 საპყრობილეში კი 7 იანვარს დილიდან ამანათების შეგზავნა დაიწყო. ციხის ადმინისტრაციაში ამანათები საგანგებოდ კონტროლდება, რის შემდეგაც პატიმრები კუთვნილ საყოფაცხოვრებო ნივთებს, საკვებ პროდუქტებსა და მედიკამენტებს იღებენ. ორი კვირის განმავლობაში ქუთაისის ახალ საპყრობილეში კარანტინი იყო გამოცხადებული. ამჟერად პატიმრების ნახვის შესაძლებლობა ადვოკატებსა და სულიერ მოძღვრებს აქვთ. მსჯავრდადებულების ოჯახის წევრებს პატიმრების ნახვა ერთი კვირის შემდეგ შეეძლებათ.

## გაზის ტარიფის გაზრდა სამომხმარებლო კალათაზე ფასების ზრდას გამოიწვევს



„გაზის ტარიფზე „გაზპრომთან" მოლაპარაკებები ხელისუფლებას გაცილებით ადრე უნდა დაეწყო და ხალხი არ უნდა მოეტყუებინა, როდესაც საქართველოში ყაზახური გაზის ალტერნატიულობაზე ლაპარაკობდა. ყაზახეთსა და „გაზპრომს" შორის გაცილებით ადრე დაიდო ხელშეკრულება ურთიერთთანამშრომლობის თაობაზე," — განაცხადა საგანგებო პრესკონფერენციაზე „რესპუბლიკელმა" თინათინ ხიდაშელმა.

„რესპუბლიკელები" მიუღებლად მიიჩნევენ სუბსიდირების იმ სქემასაც, რომელსაც ხელისუფლება გაზის გაზრდილი საფასურის დასაფარად საზოგადოებას სთავაზობს. თინათინ ხიდაშელის თქმით, გაზის ტარიფის გაზრდა სამომხმარებლო კალათაზე ფასების ზრდას გამოიწვევს.

## თავდასხმა ყაჩაღების სიკვდილით დამთავრდა

ხობის რაიონის სოფელ პატარა ფოთში შობის ღამეს მამია ხურცილავას ოჯახს თავს დაესხა ავტომატებითა და ხელყუმბარებით შეიარაღებული შვიდი ნიღბიანი ყაჩაღი. მათ მძევლად აიყვანეს ოჯახის წევრები. ოჯახის უფროსმა მოახერხა ერთ-ერთი თავდამსხმელისთვის ავტომატის წართმევა და ცეცხლის გახსნა. ადგილზე დაიღუპა ერთი თავდამსხმელი, დანარჩენებმა გაქცევა მოახერხეს, თუმცა სამართალდამცველებმა ისინი ცხელ კვალზე დააკავეს. პოლიციასთან შეტაკებისას ორმხრივი სროლის დროს კიდევ ერთი თავდამსხმელი დაიღუპა. ხურცილავას ოჯახის წევრები არ დაშავებულან.

## გალელებს ზუგდიდში ვაჭრობას უკრძალავენ

გალის რაიონში კვლავ ხშირია ქართველების დაყაჩაღების ფაქტები. 6 იანვარს, დილით, გუდავაში, ლეკუხონასა და რეჩხში ე.წ. აფხაზური მილიციის თანამშრომლებმა სამი სამგზავრო ავტობუსის ქართველი ეროვნების მგზავრები გაძარცვეს.

დაზარალებულთა თქმით, მათ თავს დაესხნენ სამხედრო-ფორმიანი, ავტომატებით შეიარაღებული და ნიღბიანი პირები. მათი თქმით, ისინი აფხაზური მილიციის თანამშრომლები იყვნენ.

ქართველ მგზავრებს ზუგდიდის ბაზარში გასაყიდად მიჰქონდათ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. მძარცველებმა მათ განუცხადეს, რომ პროდუქტები ზუგდიდში კი არა, გალის ბაზარში უნდა გაეყიდათ. თუ ქართველები ზუგდიდში ისევ გადაიტანენ პროდუქტს, აფხაზური მილიციის თანამშრომლები ავტობუსების მძღოლებს ლიცენზიის ჩამორთმევით ემუქრებიან.

## „მოსამართლე იურიდიული ნორმის ინტერპრეტაციისთვის არ ისჯება"

არასამთავრობო სექტორმა და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებმა საჯაროდ განიხილეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლითაც მოსამართლეებს უფლებამოსილება შეუჩერდათ. მოსამართლე მერაბ ტურავას განცხადებით, მოსამართლეთა დასჯის გადაწყვეტილება მიღებულია ყველანაირი ფორმალური პროცედურის დარღვევით. იგი არაპროფესიონალების შედგენილია და მისი შინაარსი აბსოლუტურად გაუგებარია. მისი თქმით, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები თანამდებობიდან ორი ბრალდების გამო გათავისუფლდნენ. საქმე ეხება არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მოქალაქის დაზარალებულად ცნობას. მოსამართლეების განმარტებით, მოხდა კანონის ნორმის ინტერპრეტაცია, რომელიც ეყრდნობა ევროსასამართლოს ერთ-ერთ პრეცედენტულ გადაწყვეტილებას. „ვინაიდან ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებში ფაქტობრივი ცოლქმრული ურთიერთობა გათანაბრებულია იურიდიულ ქორწინებასთან, სამართლებრივი ნორმის ჩვეულებრივი ახსნა-განმარტება საერთაშორისო კანონს ეთანხმება", — განაცხადა ტურავამ.

მოსამართლეების არგუმენტებით, სადისციპლინო კოლეგიამ არ იცის კანონი, რადგან არც ერთ სამართლებრივ ქვეყანაში მოსამართლე იურიდიული ნორმის ინტერპრეტაციისთვის არ ისჯება.

მოსამართლეები იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 25 დეკემბრის გადაწყვეტილების გასაჩივრებას მომავალ კვირაში აპირებენ.

## ზატულინის ვარაუდები



„თუ გავითვალისწინებით, რომ საქართველოს ხელისუფლება ყველაფრის ერთბაშად მიღებას ცდილობს, 2006 წელს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში საომარი მოქმედებების დაწყების ალბათობა დიდია", — ვარაუდობს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი, დსთ-ის წევრი ქვეყნების ინსტიტუტის დირექტორი კონსტანტინე ზატულინი. იგი დარწმუნებულია, რომ საქართველოს ხელისუფლება სამხედრო მოქმედებებს ჯერ „სამხრეთ ოსეთში" წამოიწყებს და „თუ აქ შედეგმა არ დააყოვნა", სამხედრო ოპერაციას აფხაზეთშიც განაგრძობს. „საქართველოს ხელისუფლებას არ სურს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება და ქვეყანას რევანშისა და ყოფილი ავტონომიების დაბრუნების მოლოდინში ამყოფებს. საომარი მოქმედებების ფონზე საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრები მოსახლეობის „არააბორიგენობაზე" გაამახვილებს ყურადღებას", — აცხადებს „წინასწარმეტყველი" ზატულინი. მისივე განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ 1994 წლიდან რუსეთის ხელისუფლება თავისი წარმომადგენლების საშუალებით ცდილობს(?!) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას, „აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებას არ დათანხმდებიან".

## კონტრაბანდული კვერცხი გაანადგურეს

როგორც ჩანს, ქათმის გრიპის ვირუსის მავნებლობისა კონტრაბანდისტებს არ სჯერათ. მაშინ, როდესაც რუსეთიდან ქათმის ხორცისა და კვერცხის შემოტანა აკრძალულია, კონტრაბანდული რუსული კვერცხი ისევ იყიდება ქართულ ბაზარზე. 8 იანვარს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უსაფრთხოების მიზნით სავაჭრო ობიექტების დათვალიერებისას ამოიღო და გაანადგურა კონტრაბანდული გზით შემოტანილი რუსული კვერცხი. მინისტრი მიხეილ სვიმონიშვილი მოსახლეობას ურჩევს შემოტანილი კვერცხის შეძენისაგან თავი შეიკავონ. კვერცხის უკანონოდ შემომტანებს და რეალიზატორებს კი მკაცრი სასჯელი ემუქრებათ. ვეტერინარიის დეპარტამენტისა და სოფლის მეურნეობის განცხადებით, საქართველოს ზოგ რაიონში ქათმების დახოცვის არც ერთი შემთხვევა ფრინველის გრიპს არ უკავშირდება. ფრინველი ნიუკასლის დაავადებით, ანუ ქათმის ჭირით დაიხოცა.

## „შავი სიაც" ამას ჰქვია

ოსი სეპარატისტების მიერ შედგენილმა ე. წ. „შავმა სიამ" დიდ ლიახვის ხეობის მკვიდრთა აღშფოთება გამოიწვია. მათგან განსხვავებით ბევრი იმხიარულეს სიაში შეყვანილმა ქართველმა თანამდებობის პირებმა, რომლებსაც თურმე ე. წ. სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლება სანთლით დაეძებს პასუხისგებაში მისაცემად.

„შავი სია" ოსურმა მხარემ მათ კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებულ საგუშაგოებს და გამშვებ პუნქტებს ამ პირთა დაკავების მიზნით დაურიგა.

„შავი სია" 28 კაცისგან შედგება. მის სათავეშია თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი, შემდეგ სამხედრო პოლიციის უფროსი ალეკო სუხიტაშვილი, შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებული მიხეილ ქარელი, შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი, ქართული სამშვიდობო ბატალიონის სარდალი პაატა ბედიანაშვილი, დანარჩენი 23 ლიახვის ხეობის მკვიდრი ან ცხინვალიდან დევნილია.

სეპარატისტები, როგორც ჩანს, გარდაცვლილებსაც ეძებენ, — 28-კაციან სიაში მოხვედრილი ლევან და გიორგი კახნიაშვილები რამდენიმე წლის წინ დაიღუპნენ. დიდი და პატარა ლიახვის ხეობის მოსახლეობა აცხადებს, რომ ასეთივე სიის შედგენა ქართულ მხარესაც შეუძლია და იგი უსასრულოდ გრძელი იქნება, რადგან ცხინვალში მცხოვრებთა უმრავლესობას არაერთი დანაშაული აქვს ჩადენილი. მათი თქმით, სიის ლიდერი ედუარდ კოკოითი იქნებოდა.

## მალე რესტორნებსა და ბარებში სიგარეტის მოწევა აიკრძალება



თამბაქოს კონტროლის ცენტრი სახელმწიფო დაწესებულებებში მწეველთა რაოდენობის დასადგენად და იქ არსებული მდგომარეობის შესასწავლად რეიდებს იწყებს. ცენტრის ხელმძღვანელის, გელა კობეშავიძის თქმით, სახელმწიფო დაწესებულებებში მწეველთათვის შეზღუდვები დაწესდება, მაისიდან კი ეს პროცესი სხვა ორგანიზაციებზეც გავრცელდება. კერძოდ, აიკრძალება 18 წლამდე ახალგაზრდებისათვის სიგარეტის მიყიდვა და კვების ობიექტებში სიგარეტის რეალიზაცია. ის ორგანიზაციები, რომლებიც თამბაქოს კონტროლის შესახებ კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს არ შეასრულებენ, დაჯარიმდებიან.

## მამალაძეს დაუსწრებლად გაასამართლებენ



ქვემო ქართლში პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებულის, ლევან მამალაძის საქმე განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაეცა. საქართველოს ხელისუფლების მიერ დამნაშავედ გამოცხადებული მამალაძის ადვოკატის, ალექსანდრე ალადაშვილის განცხადებით, პროკურატურა ყოფილ გუბერნატორს ქრთამის გამოძალვისა და უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის გამო ედავება. ბრალდებების დადასტურების შემთხვევაში მამალაძეს 15 წლამდე პატიმრობა ელის. ადვოკატი ვარაუდობს, რომ პროკურატურას ბრალის დამტკიცება გაუჭირდება, რადგან გამოძიებაში მოწმეთა ჩვენებები ქრთამის გამოძალვის ფაქტებს არ ადასტურებს. პროცესი ბრალდებულის დაუსწრებლად გაიმართება. სასამართლოს საქმის განხილვისთვის ერთწლიანი ვადა აქვს. ვინ იცის, ამ ხნის განმავლობაში შეიძლება ძებნილი დაიჭირონ კიდეც.

თბილისის პროკურატურამ ქვემო ქართლის ყოფილ გუბერნატორ ლევან მამალაძეზე ძებნა 2004 წლის იანვარში გამოაცხადა. პროკურატურის ინფორმაციით, ერთ-ერთი ეპიზოდი შეეხება 1997 წელს ბრიტანელ ბიზნესმენ ჯაი პანდიტისთვის ათასობით დოლარის გამოძალვას, რომლითაც მამალაძემ 35.000 აშშ დოლარად ღირებული ავტომანქანა „შევროლე ბლეიზერი" შეიძინა.

## ეუთო რუსებით უკმაყოფილოა

საქართველოში, ცხინვალის რეგიონში ეუთოს მისიის ხელმძღვანელის განცხადებით, ეუთო შეშფოთებულია იმის გამო, რომ რუსი სამშვიდობო ძალები ცხინვალის რეგიონში მანდატით დაკისრებულ მოვალეობებს არ ასრულებენ. საქართველოში ეუთოს წარმომადგენლობამ რუსი სამშვიდობოების მეთაურ კულახმეტოვს საყვედური წერილობითაც აცნობა. ეუთო უკმაყოფილოა იმითაც, რომ კონფლიქტის რეგიონში ერთობლივი პატრულირება ე. წ. სამხრეთ ოსეთის თავდაცვის სამინისტროს მიერ უსაფრთხოების გარანტიებზე უარის თქმის გამო ვერ ხერხდება. ცხინვალში კი თავს იმით იმართლებენ, რომ პატრულირების შეწყვეტა ახალი წლის დღეებთან დაკავშირებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან არის შეთანხმებულიო. საქართველოს თავდაცვის უმაღლესი სტრუქტურა ასეთ შეთანხმებას არ იცნობს.

## თავდასხმა გალში

აფხაზებმა ფულის გამოძალვის მიზნით 25 წლის გალელი (სოფელი ნაბაკევი) მალხაზ ოკუჯავა გაიტაცეს, მისი ოჯახი კი დაარბიეს. მოგვიანებით ოჯახს ყაჩაღებმა გატაცებულის ნამების ამსახველი ვიდეოკასეტა გამოუგზავნეს, გათავისუფლების სანაცვლოდ 100.000 დოლარი მოითხოვეს და... კიდევ ერთხელ დაცხრილეს დაზარალებულის სახლი. ოჯახის დარბევისას ერთ-ერთი თავდამსხმელი ამოიცნეს და როგორც ამბობენ, სოხუმში შესაბამის სამსახურს შეატყობინეს ამის შესახებ. ამჟამად სოფელ ნაბაკევში აფხაზ მილიციელთა დამატებითი ძალებია მობილიზებული, თუმცა, ადგილობრივ მოსახლეობას ეს დამშვიდების საბაბს არ აძლევს.

## გაზსადენი ავტომანქანის დაჯახების შედეგად დაზიანდა

7 იანვარს, ღამით, საბურთალოს რაიონის რამდენიმე ქუჩა გაზსადენის დაზიანების გამო ბუნებრივი აირის გარეშე დარჩა. გავრცელებული ინფორმაციით, დაზიანების მიზეზი მიცკევიჩის ქუჩიდან დიდი სისწრაფით მომავალი ავტომანქანა გახდა, რომელიც გაზგამანაწილებელ სარეგულატორო მექანიზმს დაეჯახა. ბუნებრივი აირის მიწოდება ერთ დღეში აღდგა.

## ბოროტმა ხულიგანმა გასაბერი ძაღლი დაჭრა

როგორც ჩანს, სინამდვილეშიც არსებობს ზღაპრული უარყოფითი პერსონაჟი, რომელსაც ბავშვებისთვის ახალი წლის დღესასწაულის ჩაშლა სურს. ასეთმა ბოროტმა არსებებმა ზუგდიდის ცენტრში, ქალაქის მთავარ ნაძვის ხესთან დადგმული გასაბერი თოვლის ბაბუა და ძაღლი ამ დღეებში რამდენჯერმე დაჭრეს. სამართალდამცველებმა ფაქტზე დააკავეს 32 წლის თემურ ქობალია, რომელსაც ბრალად ედება ხელოვნური გასაბერი ძაღლის დაჭრა.

სამართალდამცველების განაცხადებით, თემურ ქობალიას წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე ბოროტი ხულიგნობის ბრალდებით, რის გამოც მას 2-დან 4 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

## აზერბაიჯანი გადარჩა?



„აზერბაიჯანში ქათმის გრიპის ვირუსი არ აღმოჩნდა", — განაცხადა აზერბაიჯანის სახელმწიფო ვეტერინარულმა სამსახურმა, რომელმაც უარყო ინფორმაცია აზერბაიჯანის სამხრეთში მდებარე მასალინის რაიონში ამ საშიში დაავადების გავრცელების შესახებ. როგორც გაირკვა, ფრინველის დაღუპვა მოწამვლასთან, კახექსიასა და კოკური წარმოშობის ინფექციასთან არის დაკავშირებული.

ქათმის გრიპის თავიდან აცილების მიზნით აზერბაიჯანმა ფრინველისა და მისგან დამზადებული პროდუქციის შემოტანა აკრძალა იმ ქვეყნებიდან, სადაც ეს დაავადებაა აღმოჩენილი. საკონტროლო-გამშვებ პუნქტებში გაძლიერებულია ვეტერინარული კონტროლი. გარდა ამისა, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე აიკრძალა გადამფრენ ფრინველებზე ნადირობა, მათი გაყიდვა და საკვებ პროდუქტად გამოყენება.

## ალ-ზავაჰირი ბუშს დამარცხების აღიარებისკენ მოუწოდებს



„ალ-ქაიდას" იერარქიაში მეორე კაცმა, უსამა ბინ ლადენის უახლოესმა თანამებრძოლმა აიმან ალ-ზავაჰირიმ აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს მოუწოდა, ერაყსა და ავღანეთში დამარცხება აღიაროს. ალ-ზავაჰირის თქმით, ერაყიდან კოალიციის ჯარების გაყვანა ისლამის გამარჯვება იქნება. „უნდა დამეთანხმო, რომ ყოვლისშემძლე ალაჰის დახმარებით შენ ერაყში დამარცხდი, შენ მარცხდები ავღანეთში და მალე პალესტინაში დამარცხდები", — მიმართა აშშ-ის პრეზიდენტს ალ-ზავაჰირიმ.

# იესო დაბადებულა, ალილო...

ქრისტესმიერ საყვარელნო მღვდელმთავარნო, მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, დიდად პატივცემულო ხელისუფალნო, მართლმორწმუნენო, მკვიდრნო საქართველოსა და სამშობლოს საზღვრებს გარეთ დროებით მცხოვრებნო თანამემამულენო, სიყვარული და სიხარული განგმრავლებოდეთ და რწმენა და იმედი განგმტკიცებოდეთ, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი!

კვლავაც დაგვიდგა დღე იდუმალი, — შობა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი; ამ დიადი საიდუმლოების თანაზიარნი მუხლმოდრეკით თაყვანსა ვცემთ ბეთლემს შობილ ყრმას და მთელი არსებით ვმადლობთ მამაზეციერს, რომელმან „ესრეთ შეიყუარა სოფელი, ვითარმედ ძეცა თვისი მხოლოდშობილი მოსცა მას, რათა ყოველსა, რომელსა ჰრწმენეს იგი, არა წარწყმდეს, არამედ აქუნდეს ცხოვრებაჲ საუკუნო“ (იოანე 3,16).

მადლობას ვწირავთ უფალს იმისათვისაც, რომ მოგვანიჭა გონება და შინაგანი ხედვა, რათა სული ჩვენი ვყოთ ტაძრად, გული კი, — სანთლად წინაშე ღვთისა, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება დავინახოთ „გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“;

ბედნიერნი ვართ, რომ ჩვენი ერი ოცი საუკუნეა მისდევს მაცხოვრის გზას და დღემდე ერთგული დამცველია იმ რწმენისა, რომელიც იესო ქრისტემ და მისმა მოციქულებმა იქადაგეს.

მართლმადიდებლურმა სარწმუნოებამ ჩამოაყალიბა არა მხოლოდ ერთიანი, ქართული სახელმწიფო და უნიკალური ქართული კულტურა, არამედ განსაზღვრა ქართველი კაცის ცხოვრებისა და აზროვნების წესიც.

დღესაც ჩვენი ხალხი, მიუხედავად ათეისტური რეჟიმის 70-წლიანი ბატონობისა, მართლმადიდებლური კულტურის ერს წარმოადგენს. თვით მუსულმანი ქართველებიც კი საუკუნეთა მანძილზე ინარჩუნებენ ისეთ ტრადიციებს, რომელიც ქრისტიანული სწავლებიდან მომდინარეობს და მამა-პაპათაგან აქვთ შესისხლხორცებული.

საერთოდ, რელიგია უდიდეს გავლენას ახდენს მსოფლიო კულტურასა და ცივილიზაციაზე, რადგან იგი აზროვნების ერთ-ერთი უმთავრესი განმაპირობებელი ფაქტორია. აზროვნება კი ქმნის კულტურას. აღსანიშნავია ისიც, რომ, თავის მხრივ, კულტურასაც შეუძლია შეცვალოს ცალკეული პიროვნების თუ საზოგადოების აზროვნება.

ამიტომაც იყო, რომ მთელი ისტორიის მანძილზე, როგორც ჩვენთან, ისე ნებისმიერ ქვეყანაში, დამპყრობლები ცდილობდნენ ხელოვნურად თავს მოეხვიათ არა მხოლოდ თავისი პოლიტიკური გავლენა, არამედ მოეხდინათ კულტურულ-რელიგიური ასიმილაციაც, რაც გულისხმობდა როგორც რწმენის, ასევე სიმღერის, ცეკვის, სამოსლის, ლიტერატურული ღირებულებების, სუფრის წესის და ა.შ. შეცვლას. ეს ხელოვნური ექსპანსია, რა თქმა უნდა, განსხვავდებოდა და განსხვავდება კულტურათა შორის ურთიერთგამდიდრების ბუნებრივი პროცესისგან, რაც კაცობრიობის კულტურულ განვითარებას განაპირობებს.

დღეს კულტურასა და ცხოვრების წესზე ზემოქმედების ყველაზე გავლენიან ძალად იქცა ისეთი საშუალებები, როგორიცაა მასმედია, კინოხელოვნება, ინტერნეტი და სხვა.

საზოგადოების და, განსაკუთრებით, მოზარდი თაობის, მსოფლმხედველობას მნიშვნელოვანწილად აყალიბებს ტელევიზია. სამწუხაროდ, მისი საშუალებით ბოლო დროს სულ უფრო ხშირად აქვს ადგილი იდეოლოგიური დატვირთვის მქონე გადაცემებით არატრადიციული ცხოვრების წესის დამკვიდრების მცდელობას. წლების განმავლობაში, არატრადიციული ღირებულებების ხელოვნურად დანერგვას ხელს უწყობენ გარკვეული ძალებიც და ამას თავისუფლების, დემოკრატიისა, და განვითარების პროცესად წარმოაჩენენ, რითაც დარტყმას, უპირველეს ყოვლისა, ქართულ სახელმწიფოს და ხელისუფლებას აყენებენ.

ვფიქრობთ, სახელმწიფოსათვის არ უნდა იყოს სულერთი, თუ როგორ პიროვნებებად ჩამოყალიბდება მომავალი თაობა. სიტყვის თავისუფლება და დემოკრატია არ ნიშნავს ყველაფრის უფლებას. მე მრავალ ქვეყანაში ვყოფილვარ და ისედაც ვიცი, რომ განვითარებულ სახელმწიფოებში ოფიციალური და წამყვანი ტელევიზიებით თითქმის არსად არ უჩვენებენ ძალადობის, ნარკომანიის, ალვირახსნილობის ამსახველ ფილმებსა და გადაცემებს, თუმცა არსებობს საკაბელო ტელევიზიები, სადაც მსგავსი მიმართულება დომინირებს, მაგრამ მათი მომხმარებლები დაბალ სოციალურ-კულტურულ ფენას განეკუთვნებიან და ამასთან, სათანადო გადასახადსაც იხდიან.

შეუძლებელია ახალგაზრდა იზრდებოდეს ქართული ტრადიციული ღირებულებების უგულებელყოფის ატმოსფეროში და მაგალითად, ჯარში იგი თავისი ქვეყნის მამაც დამცველად მოგვევლინოს.

შეუძლებელია, საზოგადოება უარყოფდეს თავის მეობას, უარყოფდეს იმ ზნეობრივ საფუძვლებს, რასაც ისტორიულად ეყრდნობოდა (მაგ. მეგობრობის, ვაჟკაცური ღირსების, უფროსისადმი პატივისცემის, ერთგულების, ურთიერთგატანის, ქალის სიწმინდის ინსტიტუტს) და მან ააშენოს წარმატებული ქართული სახელმწიფო, რადგან ნებისმიერი სახელმწიფო თავისი ისტორიიდან მომდინარეობს და თავის ტრადიციებზეა დაფუძნებული.

ასევე შეუძლებელია ამა თუ იმ განვითარებული სახელმწიფოს ცხოვრების წესი მხოლოდ მისი პოლიტიკურ-ეკონომიკური წინსვლის გამოვლინებად მივიჩნიოთ და იგი ვაქციოთ მისაბაძად, რადგან სინამდვილეში იქაური ყოფა-ცხოვრება მნიშვნელოვანწილად არის შედეგი ამ ქვეყნის კულტურის, რელიგიისა და ტრადიციისა. სხვადასხვა განვითარებული ქვეყნების საზოგადოებებს განსხვავებული ცხოვრების წესი აქვთ. ამისი დადასტურებაა იაპონიის, ისრაელის, სამხრეთ კორეის, ნორვეგიის და სხვათა მაგალითი.

ვფიქრობთ, ჩვენთვის ბევრის სწავლა შეიძლება ისრაელის სახელმწიფოს მაგალითზე, რომელმაც უმოკლეს დროში მოახერხა პოლიტიკურ-ეკონომიკურ სფეროში მიეღწია დიდი წინსვლისათვის და ამასთან, აეშენებინა ტრადიციული და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სახელმწიფო.

სამშობლოს წინაშე პასუხისმგებლობას არა მარტო ხელისუფლება, არამედ ყოველი ადამიანი უნდა გრძნობდეს. ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობა აკისრია ეკლესიას, მეცნიერებს, ინტელიგენციას, მაგრამ განსაკუთრებული დატვირთვა მაინც ახალგაზრდობაზე მოდის, რადგან ახალგაზრდობა ქვეყნის მომავალია. მათ უნდა შეიმუშაონ ახალი ეროვნული იდეები, ახალი პროექტები, გამონახონ ახალი გზები განვითარებისათვის და პრობლემების მოგვარებისათვის.

ყველამ ვიცით, რომ ახალგაზრდობისათვის და არა მარტო მათთვის, ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემას ნარკომანია წარმოადგენს. მან დღეს ჩვენი საზოგადოების თითქმის ყველა ფენა მოიცვა. ზოგიერთს იგი არასწორი ყოფის გამოვლინებად მიაჩნია, თვით ნარკომანები კი, მას ლამის ვაჟკაცობად თვლიან;

სინამდვილეში ეს არის ლაჩრობა, ეს არის სირცხვილი, ეს არის შიში რეალობისადმი და თავის არიდება იმ პრობლემებისათვის, რომელთა წინაშეც დგას ყოველი ჩვენგანი. იგია ცხოვრებიდან გაქცევის მცდელობა, უარის თქმა იმაზე, რომ შესაძლებლობისამებრ სიკეთე მოუტანო ოჯახს, საყვარელ ადამიანს, საზოგადოებას და სახელმწიფოს (ჩვენ აღარაფერს ვამბობთ ნარკოტიკების გამავრცელებლებზე, რომელთა საქმიანობაც ეშმაკის მსახურებაა).

მე მესმის, რომ ეს მძიმე სენია და ადვილი არაა მისგან თავის დაღწევა, ამიტომაც თანავუგრძნობ მათ, მაგრამ მარტო ეს არ კმარა. ხელისუფლებამ, მეც და ჩვენმა ეკლესიამაც ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ერთის მხრივ, შევიმუშაოთ სერიოზული პრევენციული ზომები (განსაკუთრებით მოსწავლეებსა და სტუდენტებში), მეორეს მხრივ, ამ საშინელ ურჩხულს როგორმე გამოვგლიჯოთ ჩვენი შვილები.

ამისთვის აუცილებელია, რომ ადამიანი იყოს მორწმუნე და გრძნობდეს პასუხისმგებლობას ღვთისა და ერის წინაშე; მას ასევე უნდა ჰქონდეს დიდი სურვილი დაავადებისაგან განთავისუფლებისა და იმედი, ღვთის შეწევნით მიზნის მიღწევისა.

ამ ადამიანს ასევე უნდა ჰყავდეს მოძღვარი და სასულიერო პირს უნდა აკურთხებინოს სახლი, უნდა მარხულობდეს, ხშირად უნდა ამბობდეს აღსარებას, რათა გათავისუფლდეს ცოდვებისაგან და მიიღოს წმინდა ზიარება. დარწმუნებული ვარ, ასეთი პიროვნება, აუცილებლად, დაამარცხებს ცოდვით მიდრეკილებებს და გაიმარჯვებს საკუთარ თავზე.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ცოდვა დღეს არ წარმოშობილა, იგი უძველესი დროიდან არსებობდა და არსებობს, მაგრამ ადრე ცოდვას ცოდვა ერქვა და იგი სირცხვილად მიიჩნეოდა; დღეს კი სიტუაცია იცვლება და იქითკენ მიდის, რომ მოხდეს ცოდვის ლეგალიზება.

განა შეიძლება ნარკომანობა იყოს ჩვეულებრივი მდგომარეობა და ნარკომანი საზოგადოების სრულფასოვან წევრად მიიჩნეოდეს? განა შეიძლება სოდომ-გომორის ცოდვა ბუნებრივ მოთხოვნილებად შევრაცხოთ და ეს გადახრა ჩვეულებრივ მოვლენად წარმოვაჩინოთ? მაშინ რატომღა ვსჯით მკვლელებსა და ქურდებს, სხვა ბოროტმოქმედთ, მათაც აქვთ ამ დანაშაულების მიმართ მიდრეკილებები?

ასეთი ლიბერალური მიდგომის პროპაგანდა არ შეიძლება; ამას მხოლოდ ურწმუნონი თუ გააკეთებენ და ისინი, ვისაც სინდისი დამწვარი აქვთ, როგორც ამბობს პავლე მოციქული. მართალია, მათი რიცხვი საქართველოში ჯერ დიდი არ არის, მაგრამ ეკლესიის ვალია გააფრთხილოს ისინი და აუხსნას, რომ იმქვეყნად თავის თავს საშინელ ხვედრს უმზადებენ, თუმცა არც ამქვეყნად დარჩებიან დაუსჯელნი.

მეტად მნიშვნელოვანია ქვეყნის მთლიანობის აღდგენის საკითხი. საქართველოსთვის გარეშე ძალების მიერ თავსმოხვეული შიდა კონფლიქტები, რომელსაც არასწორად ეთნოკონფლიქტებსაც უწოდებენ, ორასი წლის მანძილზე მტრული ძალების მიერ წარმოებული ინფორმაციული ომის შედეგიცაა.



მავანნი დღესაც ცდილობენ შეუქმნან საერთაშორისო საზოგადოებას არასწორი წარმოდგენა იმის შესახებ, თითქოს აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ისტორიულად არაქართული ტერიტორიებია.

ისტორიოგრაფია, ენათმეცნიერება, არქეოლოგია... ნაწილობრივ პოლიტიზირებული მეცნიერებებია და, ბუნებრივია, ყოველი ქვეყანა, თავის ინტერესებიდან გამომდინარე, იყენებს მათ. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია იმპერიებისთვის, რომელნიც ამ მეთოდით ცდილობენ გაიმყარონ თავისი პოზიციები (გათიშე და იბატონეს პრინციპი).

ჯერ კიდევ წმინდა ილია მართალი თავის პუბლიცისტურ წერილებში ებრძოდა პეტერბურგის უნივერსიტეტში შექმნილ ანტიქართულ ისტორიოგრაფიულ თეორიას, რომლის მიხედვითაც ერთიანი ქართველი ერი წარმოდგენილი იყო განსხვავებული ტომების ხელოვნურ გაერთიანებად. აღნიშნული კამპანიის გაგრძელება იყო ის, რომ იმპერიულმა ძალებმა დაიწყეს მეგრულად და სვანურად სალვთისმსახურო წიგნების თარგმნა და სცადეს წირვა-ლოცვის ჩატარებაც, მაგრამ ამ კუთხის შვილებმა და მთელმა ქართულმა საზოგადოებამ მათ საკადრისი პასუხი გასცა.

ქართული საზოგადოება წინ აღუდგა აფხაზთა მუჰაჯირობის (გადასახლების) პროცესსაც, ვინაიდან აფხაზები ოდითგან ჩვენი კულტურის და სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილი იყვნენ და არიან.

ასევე ჩვენი ნაწილი არიან ოსები, რომლებიც საუკუნეების მანძილზე საქართველოში მშვიდობიანად ცხოვრობენ.

სამწუხაროდ, აფხაზებისა და ოსების ბოლო თაობები იმ იმპერიულ ისტორიოგრაფიაზე გაიზარდნენ, რომელმაც მათ ქართველებისადმი არამეგობრული დამოკიდებულება ჩამოუყალიბა.

ეს იყო ნელი მოქმედების იდეოლოგიური ნაღმი; ამ ნაღმმა ჩვენ დღევანდელ მდგომარეობამდე მიგვიყვანა და ძმობა და ერთობა დაგვარღვევინა. მაგრამ ჩვენს შორის არსებული ნათესაური, მეზობლური და მეგობრული ურთიერთობების გამო მტერმა მიზანს ბოლომდე მაინც ვერ მიაღწია. ამიტომაც, მიუხედავად ყველაფრისა, ძმათამკვლელი ომი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ძირითადად განიხილება როგორც პოლიტიკური დაპირისპირების შედეგი და არა ხალხებს შორის მომხდარი კონფლიქტი, რისი დადასტურებაცაა თუნდაც დღეს, ორივე მხარის უბრალო ადამიანების ძირითად ნაწილში კეთილგანწყობითი ურთიერთდამოკიდებულება.

ვლოცულობთ, რომ მალე აღდგეს ნამდვილი მშვიდობა და ერთობა ჩვენს შორის.

ის ძალები, რომლებიც ტრადიციულ ღირებულებებს უპირისპირდებიან, ეკლესიის წინააღმდეგაც გამოდიან და სურვილი აქვთ, როგორც საქართველოს, ისე საერთაშორისო მასშტაბით იგი წარმოაჩინონ სხვა კონფესიების უფლებების დამრღვევად და ამის ერთ-ერთ მიზეზად კონსტიტუციურ შეთანხმებასაც ასახელებენ. ისინი, რელიგიური თავისუფლების მოტივით, ითხოვენ ყველას თანასწორუფლებიანობას, მაშინ, როდესაც მსგავსი სამართლებრივი მოდელი არც ერთ ტრადიციული კულტურის სახელმწიფოში არ არის.

მაგალითად, არც ერთ ქვეყანაში არ არის ყველა კონფესიის დიდი დღესასწაული სახელმწიფო უქმე დღედ გამოცხადებული. არც ერთ სახელმწიფოში ჯარში არ მსახურობს ყველა კონფესიის სამხედრო მოძღვარი და ა.შ. რაც უბრალოდ ქაოსსა და ანარქიას გამოიწვევს.

პირიქით, ევროპაში სწორედაც, რომ სხვა მაგალითები გვაქვს: ბრიტანეთის სახელმწიფოს მონარქი, ამავდროულად არის ანგლიკანური ეკლესიის მეთაური, ხოლო ეპისკოპოსები — ლორდთა პალატის წევრები არიან; რომის პაპი სახელმწიფო ვატიკანის მეთაურია; ვატიკანი კი არის საერთაშორისო სამართლის სუბიექტი.

საზოგადოებას შევახსენებთ, რომ საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმება შეიქმნა ევროპული ქვეყნების სამართლებრივი მოდელების შესაბამისად და მას მხარი დაუჭირა ქვეყანაში არსებულმა ყველა ტრადიციულმა რელიგიამ. იგი, აგრეთვე, იყო საერთო-სახალხო განხილვის საგანი და შეიძლება ითქვას მთელი ქართველი ერის მხარდაჭერით იქნა მიღებული.

ამ დღეებში შემდგარმა წმინდა სინოდის სხდომამ, ერთ-ერთ საკითხად მიიღო საქართველოს პრეზიდენტისადმი მიმართვის ტექსტი, სადაც არის თხოვნა კონსტიტუციური შეთანხმების სრულად განხორციელებისათვის ორმხრივი კომისიების ამუშავების შესახებ. ვიმედოვნებთ, ეს თხოვნა მალე რეალობად იქცევა.

წმინდა წერილი გვასწავლის, რომ განსაცდელს უფალი უშვებს, რათა როგორც ცალკეული ადამიანი, ისე ესა თუ ის ერი გამოიცადოს „ვითარცა ცეცხლში გამოწრთობილი ოქრო“.

„გამოსვლათას“ მთელი წიგნი არის მოწმობა ცოდვათა გამო ისრაელის დაცემისა და სინანულით განწმენდილი ერის ღვთის მადლით კვლავ აღდგინებისა.

ქართველი ერის მთელი ისტორიაც სულიერი გზაა ეგვიპტიდან აღთქმული მიწისაკენ. ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი ჩვენზედ განცხადებული ღვთის სასწაულისა არის დავით აღმაშენებლის დროს ქართველთა დაცემული სამეფოს აღორძინება და იმდროინდელი მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ ქცევა.

მთელ ამ პროცესს შეიძლება ეწოდოს „ძლევაჲ საკვირველი“, რადგან თექვსმეტი წლის ყმაწვილმა დავითმა ჩაიბარა ტერიტორიებდაკარგული, გალატაკებული, მოსახლეობისაგან დაცლილი, სულიერად და მორალურად განადგურებულ ქვეყანა და ღმერთმა თავისი სიდიადე სწორედ ამ ახალგაზრდა მეფის საშუალებით დაუძლურებულ ერში განახორციელა; და კვლავ განცხადდა პავლე მოციქულისადმი ნათქვამი უფლის სიტყვები: „ძალი ჩემი უძლურებასა შინა სრულ იქმნების...“ (II კორინთ. 12.9).

თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ ღვთის განგებულებით, ქართველთა გამოხსნისა და აღორძინების საქმე დავითს არც დაუწყია და არც დაუმთავრებია. ამ პროცესს საფუძველი ჩაეყარა ტაო-კლარჯეთში გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობით. საქართველოს აღორძინების ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანი ასევე იყო მტერთაგან დასუსტებულ ქვეყანაში სვეტიცხოვლის დიდებული ტაძრის აგება და ერის სულიერი მომზადება. აი, ამან შექმნა წინაპირობა დავითის საქართველოსთვის.

ასე რომ, კაცთათვის შეუძლებელი, შესაძლებელია ღმრთისაგან, მაგრამ ერის განწმენდის გარეშე ეს სასწაული არ აღსრულდება. აუცილებელია მოხდეს სინერგია, ანუ უფლის და ადამიანის ნების თანხვედრა.

საქართველო კვლავაც აუცილებლად გადარჩება და გაბრწყინდება, მაგრამ ამას განახორციელებს ის თაობა, რომელიც ღვთის მცნების დამცველი და მისი ნების აღმსრულებელი იქნება. ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. მაშ, გავხდეთ უფლის ნების თანაზიარნი და დიდი საქართველოს თანაშემოქმედნი!

პირველ რიგში უნდა ვიცოდეთ ჟამი როგორც შრომისა, ისე ლოცვისა, აღსარებისა და ზიარებისა.

დიდი მნიშვნელობა აქვს შვიდგზის ლოცვას, რადგან ამ დროს ათასობით და ათიათასობით ადამიანი ერთიანდება და აღავლენს ერთობლივ ლოცვას ღვთის წინაშე. მაცხოვარი ბრძანებს: „სადაც ორი ან სამი შეიკრიბება ჩემი სახელით, მეც მათ შორის ვარო“ და როცა ამდენი ადამიანი შეჰღაღადებს უფალს და დახმარებას სთხოვს, რა თქმა უნდა, იგი ჩვენთან იქნება. ამიტომ მოვუწოდებ საქართველოს ეკლესიის ყველა სულიერ შვილს, — როგორც ქართველთ, ისე სხვა ერის წარმომადგენელთ, რომ შვიდგზის ლოცვა გააძლიერონ და ეს იქნება დასაწყისი საქართველოს გაბრწყინებისა.

დღეს ზეიმობს ცა და ქვეყანა, ანგელოზნი უგალობენ ახალშობილ მაცხოვარს: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“ და ჩვენც მათთან ერთად აღმოვთქვამთ სადიდებელს ღვთისას:

უფალო ძლიერო, ბეთლემს შობილო, აღგვადგინე დაცემულნი და კვლავ მოგვანიჭე მადლი შენი; მოგვმადლე განცდაჲ თვისთა ცოდვათა და არა განკითხვაჲ ძმისა ჩვენისა; მოგვეც სიბრძნე, სიმშვიდე, ერთგულება, ერთსულოვნება, გულის სიწრფელე, რწმენის სიმტკიცე, ჯანის სიმრთელე, მთლიანობა ქვეყნისა, შვილთა სიმრავლე, ნაყოფის სიუხვე, ამაღლებული სიყვარული, სასოება შეურყეველი, რათა ვიხაროთ ორსავე სოფელსა შინა.

საშობაო ეპისტოლე კი მსურს დავამთავრო ჭეშმარიტი ღვთისადმი ერთგულების გამო ბაბილონის კერპთმსახური მეფის, ნაბუქოდონოსორის მიერ ცეცხლში ცოცხლად ჩაგდებული და უფლისგან სასწაულებრივად გადარჩენილი სამი ყრმის: ანანიას, აზარიასა და მისაელის ღვთისადმი ლოცვით:

„აკურთხეთ, ადამის ძენო, უფალი, უგალობეთ და განადიდეთ უკუნისამდე...

აკურთხეთ, მღვდელნო, უფალი, უგალობეთ და განადიდეთ უკუნისამდე!

აკურთხეთ, უფლის მორჩილნო, უფალი, უგალობეთ და განადიდეთ უკუნისამდე!

აკურთხეთ, მართალთა სულნო და სამშვინველნო, უფალი, უგალობეთ და განადიდეთ უკუნისამდე!

აკურთხეთ, წმიდანო და გულით გლახაკნო, უფალი, უგალობეთ და განადიდეთ უკუნისამდე... რადგან მან გამოგვიყვანა ჯოჯოხეთიდან, მან გვიხსნა სიკვდილის ხელიდან“.

კურთხეულო საქართველოვ, შეისმინე სიტყვა უფლისა: „აჰა ესერა მიმიცემია წინაშე შენსა კარი განღებული, რომლისა დახშვად ვერვინ შემძლებელ არს“. (გამოცხადება 3,8).

მაშ, გავუღოთ გული ჩვენი ნათელსა მას მიუაჩრდილებელსა და ვიხაროთ უფალთან ერთად.

„ნათელი ქრისტესი განგვანათლებს ყოველთა“.

ქრისტესმიერ საყვარელო ჩვენო სულიერი შვილებო, კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ ქრისტეშობის დიდებულ დღესასწაულს და ახალ წელს.

იხარეთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

თქვენთვის მლოცველი



*სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი*

*ქრისტეს შობა*
*თბილისი, 2006 წელი*

## „კვირის პალიტრის“ საგამომცემლო სახლის წიგნები



წიგნში შეკრებილია „კვირის პალიტრაში“ წლების განმავლობაში გამოქვეყნებული კითხვები რელიგიურ თემაზე, რომელთაც მართლმადიდებელი მამები პასუხობენ.

336 გვერდი, რბილი გარეკანი, ფასი: 5 ლ.



წიგნი მოიცავს ენციკლოპედიურ მონაცემებს იმ თემებზე, რაც კი შეიძლება ადამიანს ცხოვრებაში დასჭირდეს. ის საუკეთესო მეგზური იქნება, როგორც თქვენთვის, ისე თქვენი შვილებისთვის...

888 გვერდი, რბილი გარეკანი, ფასი: 12 ლ.



წიგნში შევიდა ოტია იოსელიანის თორმეტი ახალი ზღაპარი.

წიგნი საუკეთესო საახალწლო საჩუქარი იქნება თქვენი პატარებისთვის...

124 გვერდი, მაგარი გარეკანი, ფასი: 8 ლ.



კრებულში თავმოყრილია საუკეთესო მინიატურები გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან. „ანტიდეპრესანტები“ კარგ გუნებაზე დაგაყენებთ და ბევრ საინტერესო რამეს გამცნობთ იუმორითა და მსუბუქი სტილით...

288 გვერდი, რბილი გარეკანი, ფასი: 5 ლ.



წიგნი განკუთვნილია თავგადასავლებისა და მოგზაურობის მოყვარულთათვის. ავტორი უცხოეთის სხვადასხვა ქვეყანაში თავგადახდენილ ისტორიებსა და შთაბეჭდილებებს გვიზიარებს...

360 გვერდი, რბილი გარეკანი, ფასი: 5 ლ.

წიგნების შეძენა შეგიძლიათ წიგნის მაღაზიებში და პრესის გამავრცელებლებთან

ან დაუკავშირდით „ელვასერვისს“ და მიიღეთ წიგნები სახლში, ფასნამატის გარეშე. ტელ: 42-43-40

ცხელი წიგნები


# რა თაობა მოდის!

## „ლიტერატურული პალიტრა“ სასახლეში...

მე და ნინიკო 15 წუთის მანძილზე ველოდით როდის დაიბეჭდებოდა მწერლებთან ერთად გადაღებული მისი ფოტოები და ის 15 წუთი სხაპასხუპით მიყვებოდა, როგორ მიიწვიეს მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში ჟურნალი „ლიტერატურული პალიტრა“ თავის მწერლებიანად. შემდეგ სიხარულით აუციმციმდა თვალები — აშკარად ამაყობდა სურათზე მწერლებთან ერთად რომ იყო, არადა ნინიკო ჩვეულებრივი თინეიჯერია, ანუ იმ ასაკის, ვისზედაც ამბობენ, იაფფასიანი შოუებით ერთობიან და წიგნი დაივიწყესო... სხვათა შორის, მწერლებმაც გვკითხეს, ფოტოებზე კარგად თუ ვართო, მერე კი გვითხრეს, აუცილებლად შეგვინახეთო... რა თქმა უნდა, შევუნახეთ. მე კი ნინიკოს მონათხრობით თავიდან განვიცადე ის საღამო, რომელიც ბავშვებმა ჟურნალსა და მის მწერლებს მოუწყვეს.

სხვა თუ არაფერი, რედაქციის მოლოდინი — ალბათ შეხვედრა ჩვეულებრივი, სტანდარტული რამ იქნებაო, გაოცებად შეიცვალა... იმიტომ, რომ მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში ბავშვები მწერლებს და ჟურნალის რედაქციას ისე ხალისით შეხვდნენ, ისე მოკრძალებით სთხოვდნენ ავტოგრაფებს, იმ წუთებშივე შეეტყოთ, რომ ლიტერატურა მხოლოდ კი არ უყვარდათ, ლიტერატურით „სუნთქავდნენ“ კიდეც. ჟურნალი „ლიტერატურული პალიტრა“ იუბილარივით სცენაზე საპატიო ადგილზე მოეთავსებინათ და მოერთოთ კიდეც. ორ ჯგუფად გაყოფილი (ქართლოსიანი და პიონერი, ე.ი. პირველი) ლიტერატურული წრის წევრები ლიტერატურის სიყვარულში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. აღმოჩნდა, რომ თითქმის ყველა ბავშვმა იცოდა, რა ეწერა ჟურნალში პირველი ნომრიდან ბოლო ნომრის ჩათვლით. მათივე წარმოდგენილი მინიპიესები „ლიტერატურული პალიტრის“ შესახებ ისეთი მსახიობური ოსტატობით შესრულდა, რამდენიმე მშვენიერი სარეკლამო კლიპი გამოვიდოდა. ნანახითა და მოსმენილით ცოტა არ იყოს დაბნეულმა და გახარებულმა მწერლებმა ბევრი ლამაზი სიტყვა უთხრეს ბავშვებს... თუმცა სასახლის დარბაზში ყველაზე ხალისიანი შეძახილი მაშინ გაისმა, როცა ბავშვებს დაჰპირდნენ, — ამიერიდან სასახლეში ხშირად ვივლით და ერთად უკეთესი რამეები მოვიფიქროთო...

ჩემმა რესპონდენტმა ნინიკომ კი ისევ სხაპასხუპით მომაყარა: „ჩვენთან, ლიტერატურულ წრეში, თბილისის ყველა კუთხიდან დადიან. მასწავლებელმა რომ გვითხრა, — გაიხარეთ, ლიტერატურული ჟურნალი გამოვიდა და ერთად წაიკითხავთ, რაც გაინტერესებთო, ვიფიქრეთ, ესეც ისეთი იქნება, როგორც ყველა ან ვერ ვიყიდით, ისე ძვირი ეღირება-თქო. მაგრამ არც ერთი გამოდგა მართალი და არც მეორე. ზოგს, რაც გამოვიდა, ყველა ნომერი აქვს სახლში... ზოგი ღამით რომ დაიწყებს, დილით უკვე სულ ბოლომდე აქვს დამთავრებული... რამდენიმე ნომერი რომ წავიკითხეთ, ჩვენი წრის ხელმძღვანელმა, ცისანა მასწავლებელმა გვითხრა, — თუ გინდათ ჟურნალის რედაქცია მოვიპატიჟოთ, ვთხოვ, მწერლებიც დაპატიჟონო. „ჭკუაზე არ ვიყავით“ სიხარულით... მაგარი იყო — ყველა გავიცანით!“

*ცისანა ხაზარაძე* („ლიტერატურული წრის“ ხელმძღვანელი): — მშვენიერი ბავშვები მყავს, არ არის საქმე ისე, როგორც ამბობენ, წიგნს აღარ კითხულობენო. კითხულობენ კი არა, სადაც ხელი მიუწვდებათ, წიგნებს ყველგან ეძებენ. სხვათა შორის, ამათ (და არა მარტო ამათ) სწორედ იმიტომ გაუწია „ლიტერატურულმა პალიტრამ“ დახმარება, რომ ყველა კარგ ნაწარმოებს ბეჭდავს, თანაც ფასიც ხელმისაწვდომია. ეს ბავშვები ნამდვილად არიან დღესასწაულის მოწყობის ღირსი და მეც ვცდილობ, ყოველ წელიწადს რაიმე კარგი გავუკეთო ხოლმე. უკეთესი რა უნდა მომეფიქრებინა — ჩვენს ლიტერატურულ სივრცეში „ლიტერატურული პალიტრა“ გამოჩნდა და ამ ჟურნალის რედაქციას ვთხოვეთ მობრძანება. მწერლებიც დაგვიპატიჟეს. ამით ისე გაახარეს ბავშვები, სიტყვით ვერც აგიწერთ.



მწერალი მიხო მოსულიშვილი მოსწავლეებთან

*თამარ მამაცაშვილი* (ჟურნალის მთავარი რედაქტორი): — გამოთქმაც კი მიჭირს, ისე გაგვახარეს ბავშვებმა. თურმე ლიტერატურას ამ თაობის ბავშვებიც კითხულობენ. ჩვენ კი ვამბობთ ხოლმე, ეს ის თაობაა, რომელსაც კითხვა არ უყვარსო, არ უყვარს კი არა, მწერლებს ისეთი გაბრწყინებული თვალებით უყურებდნენ, ის დრო გამახსენდა, როცა ჩემი თაობაც ასე ხვდებოდა მწერლებს...

**P.S.** მწერლებმა კი, რომლებსაც ფურცელზე ასე ლამაზად წერა შეუძლიათ, ძალიან უბრალოდ, მაგრამ გულწრფელად თქვეს, ბავშვების ასეთი სიყვარული ჩვენთვის მოულოდნელი სიხარულიაო, სულ ბოლოს კი ყველამ ერთად (მიხო მოსულიშვილმაც, თამარ შაიშმელაშვილმაც, მარიამ წიკლაურმაც, თაკო ბუილლიშვილმაც, ბესო ხვედელიძემაც, შალვა ბაკურაძემაც და სანდრო კაკულიამაც) ამ თაობას მადლობა უთხრა, — და სამადლობელიც არის, — მათ თავიანთი თაობის სახე გამოხატეს და „ბრაზიანი“ გამოთქმა „ეს რა თაობა მოდისო“, ასე შემოატრიალეს — თაობა მართლა მოდის — კარგი თაობა!

*ეთერ ერაძე*


„კვირის პალიტრა“ და პრესის გავრცელების სააგენტო „ელვასერვისი“ გთავაზობთ ერთობლივ პროექტს:

## გამოიწერეთ „კვირის პალიტრის“ საგამომცემლო სახლის გამოცემები და მიიღეთ საჩუქრები!

- 30-50 ლარის ღირებულების ჟურნალ-გაზეთების გამოწერის შემთხვევაში საჩუქრად გადმოგეცემათ 1 კედლის მოსახევი კალენდარი (2006) და 1 საბავშვო ზღაპარი
- 50-100 ლარის ღირებულების ჟურნალ-გაზეთების გამოწერის შემთხვევაში საჩუქრად გადმოგეცემათ 1 კედლის მოსახევი კალენდარი (2006); 1 საბავშვო ზღაპარი და 1 წიგნი („კვირის პალიტრის“ გამოცემებიდან ერთ-ერთი, თქვენი არჩევანით)
- 100 ლარზე მეტი ღირებულების ჟურნალ-გაზეთების გამოწერის შემთხვევაში საჩუქრად გადმოგეცემათ 1 კედლის მოსახევი კალენდარი (2006); 1 საბავშვო ზღაპარი; 1 წიგნი („კვირის პალიტრის“ გამოცემებიდან ერთ-ერთი, თქვენი არჩევანით) და ოტია იოსელიანის „ზღაპრად გაუგონარი ზღაპრების“ კრებული (მაგარ გარეკანში)

შეავსეთ ქვემოთ მოცემული ქვითარი, გამოაგზავნეთ რედაქციაში „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით და თქვენ დაგიკავშირდებათ სააგენტო „ელვასერვისის“ თანამშრომელი...

### მსურს გამოვიწერო:

„კვირის პალიტრის“ საგამომცემლო სახლის გამოცემები:

1. ______
2. ______
3. ______
4. ______
5. ______
6. ______
7. ______

სახელი, გვარი: ______

მისამართი: ______

ტელ: ______



## ცხელი წიგნები

### სახლში მიტანით ფასნამატის გარეშე!

| გამომცემლობა „კვირის პალიტრა“ | |
|---|---|
| თემურ ყიფიანი — სამაგიდო ენციკლოპედია: | |
| ყველაფერი ყველაფერზე | 12 |
| „რას გვეტყვი, მამაო“ | 5 |
| ოტია იოსელიანი — | |
| „ზღაპრად გაუგონარი ზღაპრები“ (მგ.ყდ) | 8 |
| აკაკი გეგენავა — მოგზაურის დღიურები | 5 |
| ყველაზე სასაცილო (კურიოზების კრებული) | 5 |
| გოჩა დვალი — ანტიდეპრესანტი | 5 |

| გამომცემლობა „ლიტერა“ (ახალი) | |
|---|---|
| აკა მორჩილაძე — მელქისეთ-ბაშის თბილისი | 12 |
| უილიამ შექსპირი — ოტელო, ჰამლეტი, მეფე ლირი, მაკბეტი | სულ 12 |
| **პატარა მკითხველისთვის** | |
| ოდისევსის თავგადასავალი | 7 |
| იულიუს კეისარი | 7 |
| ალექსანდრე მაკედონელი | 7 |
| რობინ ჰუდი | 7 |
| რობინზონ კრუზო | 7 |
| ტროას ომი | 7 |
| ჰერაკლე | 7 |
| გულივერის მოგზაურობა | 7 |

| გამომცემლობა „დიოგენე“ | |
|---|---|
| სანდრა რულოვსი — | |
| „იდეალისტის ნაამბობი“ | 12 |
| „საქართველოს ატლასი მოზარდთათვის“ | 15.6 |

| „ელფის“ გამომცემლობა | |
|---|---|
| მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები ფეხბურთში | 7 |
| „ჩემი პირველი ლექსების წიგნი“ (ახალი) | 6 |
| „მსოფლიოს 10 საუკეთესო ზღაპარი“, „10 საუკეთესო ქართული ზღაპარი“, „10 საუკეთესო ქართული მოთხრობა“, „100 საუკეთესო იგავ-არაკი“, „100 საუკეთესო ქართული ლექსი“ | სულ 20 |
| **„ელფის“ პატარა მკითხველი** (ახალი) | |
| ქრისტეფორე კოლუმბი | 5,9 |
| რაინდების ისტორიები | 5,9 |
| კლეოპატრა | 5,9 |
| იასონი და ოქროს საწმისი | 5,9 |

| (ახალი) | |
|---|---|
| ბესიკ ალადაშვილი — „სპეცსამსახურები და შპიონაჟი“ | 10 |

| ყველაფერი ქალისა და მამაკაცის შესახებ (ახალი) | |
|---|---|
| გიორგი ჯაჯანიძე — „ქალი და მამაკაცი“ | 25 |

| გამომცემლობა „არტანუჯი“ | |
|---|---|
| საქართველოს ისტორია XIX საუკუნე | 14.3 |
| საქართველოს ისტორია XX საუკუნე | 14.3 |
| მსოფლიო რელიგიები | 15.6 |
| ქრონიკები | 20.8 |
| ქართლ-კახეთის თავად-აზნაურები | 7.8 |

| გამომცემლობა „ცხოვრება“ | |
|---|---|
| ხალხური მედიცინის ენციკლოპედია | 10 |
| სამკურნალო წიგნი | 10 |
| პირველადი სამედიცინო დახმარება | 10 |
| ტიბეტური მედიცინა | 5 |

| ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | |
|---|---|
| **საბავშვო** (ახალი) | |
| გეოგრაფიის ენციკლოპედია | 39 |
| ცხოველთა სამყარო | 20 |
| საბავშვო ენციკლოპედია | 16 |
| ადამიანის ორგანიზმი | 19 |
| მსოფლიოს უდიდესი საოცრებანი | 19 |
| მსოფლიოს ატლასი | 20 |
| ჰარი პოტერი I ნაწილი | 5 |
| ჰარი პოტერი II ნაწილი | 9 |
| ჰარი პოტერი III ნაწილი | 12 |
| ჰარი პოტერი IV ნაწილი | 15 |
| ჰარი პოტერი V ნაწილი (ახალი) | 19 |
| მხიარული რიცხვები | 14 |
| სურათებიანი ლექსიკონი (ინგლ.-ქართ.) | 16 |
| ბუნების საოცრებები | 19 |
| პაოლო კოელიო — „ალქიმიკოსი“ | 6 |

| გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“ | |
|---|---|
| ფ. დოლტო — „ცხოვრებისეული სირთულეები“ | 11 |
| ო. შთრუნცი — „მარად ახალგაზრდა“ (ახალი) | 13 |
| **ლექსიკონები** | |
| ი. გვარჯალაძე — ინგლ.-ქართ.–ქართ.-ინგლ. (80 000 სიტყვა) | 28 |
| ი. გვარჯალაძე — ქართ.-ფრანგ. (50000 სიტყვა) | 16 |
| **საბავშვო ლიტერატურა** | |
| ჩიპოლინოს თავგადასავალი | 10 |
| პინოქიოს თავგადასავალი | 10 |
| ბარონ მიუნჰაუზენის თავგადასავალი | 10 |
| ქართული ხალხური ზღაპრები (6 წიგნად) | 15 |

ტელ: 42-43-40 33-26-73

# „ამისთანა არაფერი მსმენია“



## რა ხდებოდა გაცილებისა და ესკორტირების ასეულში?!

საქართველოს მოსახლეობას უკვე დიდი ხანია აღარაფერი აკვირვებს. ჩვენი მოქალაქეები სხვა ქვეყნებისთვის უცნაურ და ანომალიურ შემთხვევას კარგა ხანია ჩვეულებრივად აღიქვამენ... ამ ბოლო დროს კი ისე აირ-დაირია ყველაფერი, რომ თვით ქვეყნის პირველი პირებისა და მაღალი რანგის სტუმრების უსაფრთხო და შეუფერხებელი გადაადგილების სფეროშიც იჩინა თავი კურიოზულმა სიტუაციამ. თბილისის პროკურატურაში გაცილებისა და ესკორტირების ასეულში მომხდარ თაღლითობის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული... ამ ასეულის რამდენიმე თანამშრომელი კი სასამართლოში ჩივის... საქმე ის არის, რომ (როგორც ქართველ თუ უცხოელ ჩინოსანთა გამცილებლები ირწმუნებიან) პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს თუ სხვა მაღალი რანგის სტუმრებს თურმე... „მოხალისე“ მოქალაქეები დააცილებდნენ(?!).

**შოთა ძაგანიშვილი,** პოლიციის უფროსი ლეიტენანტი, გაცილებისა და ესკორტირების ასეულის ყოფილი პატრულ-ინსპექტორი: — 2004 წლის აგვისტოში დამირეკა პოლიციის მაიორმა მერაბ დარბაიძემ და მითხრა, პროფესიონალები მჭირდება და მომეშველეო... თანაც, 500-ლარიან ანაზღაურებას შემპირდა. ექვსსულიანი ოჯახი მყავს სარჩენი და სამსახურზე უარს როგორ ვიტყოდი. მეორე დღესვე გამოვცხადდი სამსახურში. 16 აგვისტოდან 5 ოქტომბრამდე დღე

**„ოფიციალურად გამოწერილი ოცი ლიტრი ბენზინიდან მხოლოდ ხუთს მისხამდნენ“**

და ღამეს ვასწორებდი, პრეზიდენტს ისე ვაცილებდი, მაღალი რანგის სტუმრებისა და დელეგაციების უსაფრთხო და შეუფერხებელ გადაადგილებაზე ისე ვზრუნავდი, რომ არც გაფორმებული ვიყავი სადმე და, რა თქმა უნდა, არც ხელფასი მიმიღია. გაცილებით ხანგრძლივი დროით დარბაიძემ 30-მდე ოფიცერი და რიგითი ამუშავა. ასე გაუფორმებელი ხალხი ყოველდღიურად იცავდა ქვეყნის პირველი პირებისა და მაღალი რანგის სტუმრების უსაფრთხოებას, ბოლოს კი ქუჩაში ისე გაყარეს, რომ შრომის საფასურს ვინლა დაეძებს, მადლობაც არავის უთქვამს. ისეთი სულელი ვინ არის, უხელფასოდ მუშაობას რომ დათანხმებულიყო. ამ ხალხს დარბაიძე დაჰპირდა მაღალანაზღაურებად სამსახურს, ყოველდღიურად სამსახურში დანიშვნის მომლოდინე ხალხს 4-5 თვის განმავლობაში ტყავი გააძვრეს, ისე ამუშავეს, თანაც უფულოდ და ქუჩაშიც მოისროლეს. საინტერესო ის არის, რომ ამდენ გაუფორმებელ ხალხს მანქანებს და საწვავს გვაძლევდნენ, საგზურებსაც გვიწერდნენ... ბოლოს ფორმაც კი გვაყიდვინეს. ჩვენი ასეულის უფროსმა შევარდნაძის „გადამრჩენელ“ გარიკ სიმონიანს საიდანღაც შავი „კურტკები“ მოატანინა და ზოგს ორმოც ლარად მოგვყიდა, ზოგს კი ორმოცდაათად. იმ „კურტკების“ საფასურის გადახდა მე და ბევრ ჩემნაირს სახლიდან მოტანილი ფულით მოუხდა. ოფიციალურად გამოწერილი 20 ლიტრი ბენზინიდან, რაზედაც ხელს ვაწერდი, სინამდვილეში მხოლოდ ხუთს მისხამდნენ, მაგრამ იმის იმედით, რომ დღეს ან ხვალ კარგ პოსტზე დაგვნიშნავდნენ, ვჩუმდებოდით და ვმუშაობდით...

**— სამ-ოთხი თვე უხელფასოდ მუშაობა, თანაც ყოფილი საი-ს თანამშრომლებისგან, ცოტა დაუჯერებლად ჟღერს...**

— პირველი ხელფასი რომ მოვიდა და შტატიან ხალხს დაურიგდა, დარბაიძემ „კრება“ მოიწვია. კოლეგებს უნდა დაეხმაროთო და 50-50 ლარი ხელფასიდან „ჩამოუქვითა“ შტატიანებს... შეაგროვეს ეს ფული და პრეტენზიულობის მიხედვით, ზოგს ცოტა მისცეს, ზოგს მეტი, ზოგს კი საერთოდაც არაფერი არ მისცეს(?!). ამ ხნის კაცი ვარ, პოლიციის სტრუქტურაში დავბერდი, მაგრამ ამისთანა არაფერი მსმენია, არც ის გამიგია, ქვეყნის პირველ პირებს და მაღალი რანგის სტუმრებს რომელიმე ქვეყანაში გაუფორმებელი რიგითი მოქალაქეები დააცილებდნენ. ის კი არა, ერთხელ თბილისში ისრაელის მაღალჩინოსანი იყო ჩამოსული. რამდენიმე დღე მას ასეთი უშტატო „დაცვის“ თანამშრომელი თემურ ხარაზიშვილი აცილებდა. სტუმარს მოეწონა ხარაზიშვილი, წასვლის წინ მისი გვარი, სახელი და თანამდებობა ჩაიწერეს, პრეზიდენტს მადლობა უნდა გამოვუგზავნოთ დაცვის თანამშრომლის მიერ გამოჩენილი თავდადებისთვისო. ეს ამბავი ხარაზიშვილმა სამსახურში გვიამბო. დარბაიძემ კი თავში ხელები წაიშინა, დავიღუპე, გაფორმებული არ ხარ, ხომ დამიჭერენ, ეს მადლობა რომ ჩამოვიდესო. მთელი დღე რეკავდნენ ისრაელში იმ კაცთან, შენი ჭირიმე, არ გვინდა მადლობაო... ბოლოს ის მადლობა მაინც ჩამოვიდა შს მინისტრის სახელზე. თუმცა ვერც მაშინ აღმოაჩინა ვერავინ, რომ გაცილებისა და ესკორტირების ასეულში ებრაელი მაღალჩინოსნის მიერ ნაქები კაცი საერთოდ (რა თქმა უნდა, ოფიციალურად) არ მუშაობდა. თუმც ასეულში მომხდარი თაღლითობები ამით არ დამთავრებულა. 2004 წლის 5 ოქტომბერს (ორთვიანი უხელფასოდ მუშაობის შემდეგ) როგორც იქნა დავინიშნე გაცილებისა და ესკო-

**„პრეზიდენტის ესკორტს 4-5 თვე ისე ვაცილებდი, არც გაფორმებული ვყოფილვარ სადმე და არც ხელფასი ამიღია“**

რტების ასეულის პატრულ-ინსპექტორად. ორი თვე ვიღებდი კიდეც მაღალ ხელფასს, მაგრამ რად გინდა, მესამე თვეს, ბიულეტენზე მყოფი მომხსნეს... დარბაიძემ აქაც ითაღლითა... გამოაცხადა, სამსახურის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით ყველამ პატაკი უნდა დაწეროთ კადრების განყოფილებაში გადასვლაზეო. ავადმყოფი მიმიყვანეს და პატაკი დამაწერინეს. მოგვიანებით კი გავარკვიე, რომ არანაირი რეორგანიზაცია ჩვენს სამსახურში არ ჩატარებულა და არც შტატები შემცირებულა.

**„მთელი დღე რეკავდნენ ისრაელში იმ კაცთან, შენი ჭირიმე, არ გამოგვიგზავნო მადლობა, დამიჭერენო...“**

პატაკი სამსახურის ყველა წევრმა დაწერა ერთი ადამიანის გარდა, თუმცა საინტერესოა, რომ მისი სამუშაოდან გათავისუფლების მოტივი, სწორედ მის მიერვე „დაწერილი“ პატაკი აღმოჩნდა(?!).

**თემურ ესვანჯია:** — ვიდრე დარბაიძე რეორგანიზაციაზე დაიწყებდა ლაპარაკს, შევიტყვე, ჩემი თავიდან მოცილება უნდოდა. სწორედ ამიტომ არ დავწერე პატაკი. რამდენიმე დღეში კი აღმოვაჩინე, რომ სამსახურიდან დამითხოვეს. კადრებში ჩემი პირადი საქმე გადაშალეს და პატაკი მაჩვენეს, შენ თვითონ ითხოვდი გათავისუფლებასო! ცხადია, პატაკი გააყალბეს. ექსპერტმაც დაადასტურა, რომ პატაკი ჩემი დაწერილი არ არის.

**შოთა ძაგანიშვილი:** — სამაგიეროდ, დარბაიძე ისეთ ხალხს აძლევდა 530-ლარიან ხელფასს, რომლებიც სამსახურში თვეობით არ დადიოდნენ. ერთ-ერთი ასეთი მაღალანაზღაურებად თანამშრომელს მანქანების ბიზნესი აქვს და თვეში 20-22 დღეს დუბაიში ატარებს... ციფრები ჰაერიდან არ მომიტანია, თავად მივედი აეროპორტში და გადავამოწმე, ეს „თანამშრომელი“ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე არ იმყოფებოდა საქართველოში. იყო მეორე შემთხვევაც. ერთ-ერთი თანამშრომელი აგვისტოდან დეკემბრის ჩათვლით საერთოდ არ მოსულა სამსახურში, კერძო პირს იცავდა... და ხელფასსაც სრულად იღებდა, მაშინ როცა ათობით თანამშრომელს უმძიმესი შრომის მიუხედავად თვეობით პურის ფულიც ვერ მიჰქონდა სახლში.

**— იქნებ უფროსს ამ ხალხის და თქვენს პროფესიონალიზმში ეპარებოდა ეჭვი...**

— არაპროფესიონალიზმზე ლაპარაკი ზედმეტია. არც ასაკი მაქვს საპენსიო... 51 წლის ვარ და პოლიციის კანონი, როგორც უფროს ლეიტენანტს, უფლებას მაძლევს 55 წლამდე ვიმსახურო. ამას გარდა ხუთთვიანი გამოსაცდელი ვადა ვის გაუგია? მაშინ მითხრა, ყველაფერი შენი ბრალია, რომ გააღე პირი და ბევრი ილაპარაკე, დამავალეს და უნდა გაგიშვაო. ვინ დაგავალა-მეთქი? — ვკითხე. ჯერ თავი შეიკავა, მაგრამ ბოლოს მითხრა, შს მინისტრის მოადგილეს, მაისურაძეს, სია რომ მივუტანე, ხელი თავად დაადო გასაშვებ კადრებზეო. საერთოდ, ჩვენს სამსახურთან დაკავშირებით დიდ უცნაურობას ჰქონდა ადგილი. აქ არსებულ კორუფ-

[illegible]

პოლიცია თვითდაფინანსებაზე იმყოფება, გაცილებისა და ესკორტირების ასეული კი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა.

ბიზნესთან დაკავშირებული მაქინაციების შესახებ უკვე მოგახსენეთ... აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ესკორტირების სამსახური საკმაოდ სარფიან ადგილად ითვლება (ხელფასია მაღალი), თანაც 75 საშტატო ერთეულიდან კარგა ხნის განმავლობაში 26 ადგილი თავისუფალი(?!) იყო და ეს სწორედ მაშინ, როცა ათეულობით თანამშრომელი გაუფორმებლად და უფულოდ მუშაობდა.

გაცილებისა და ესკორტირების ასეულში მომხდარი ფაქტების შესახებ თბილისის პროკურატურაში დიდი ხანია აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. ხუთი თვეა იძიებენ მომხდარ დანაშაულს, მაგრამ კონკრეტული დამნაშავე (როგორც წესი!) ჯერჯერობით არ ჩანს. ისიც საინტერესოა, რომ გამოძიებას ხუთი თვის განმავლობაში სულ ოთხი მოწმე ჰყავს დაკითხული, არადა დასაკითხთა სია საკმაოდ დიდია. საინტერესოა ისიც, რომ გაცილებისა და ესკორტირების ასეული სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შემდეგ ეროვნული საგანძურისა და კულტურის ძეგლთა განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების დაცვის ლეგიონს დაუქვემდებარეს(?!).

ამ ასეულში მომხდარი ამბები ძალზე ეუცხოვათ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მაღალჩინოსნებსაც, რომლის დაქვემდებარებაშიც ეს ასეული ერთი კვირის წინ გადავიდა.

**დავით ცინცაძე**, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის კადრების სამმართველოს უფროსი: — სრულიად დაუჯერებელ ამბავს მიყვებით. ეს დანაყოფი სულ ერთი კვირაა ჩვენს სამსახურს დაექვემდებარა, ამიტომ პასუხს ვერ გაგცემთ სხვა სტრუქტურაში ჩადენილ ქმედებებზე. შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენთან, ისევე როგორც ყველა ნორმალურ ქვეყანაში, სპეციალური შემოწმების გარეშე სახელმწიფო დაცვის სამსახურში ვერც ერთი პირი ვერ მოხვდება. ყველა თანამშრომელი, რომელსაც რაიმე თუნდაც მცირედი შეხება აქვს ქვეყნის პირველი პირების, მაღალი რანგის სტუმრების დაცვასთან თუ პრეზიდენტთან, სათანადო შემოწმებას გადის. ამიტომ წარმოუდგენელია პირის გამოსაცდელი ვადით პოსტზე დაყენება. გამოსაცდელი ვადით, რა თქმა უნდა, ვიღებთ ხალხს სამსახურში, მაგრამ ამ პერიოდში ისინი დაცვის ღონისძიებებში არ მონაწილეობენ. წარმოუდგენელია პრეზიდენტის ან მაღალი რანგის სტუმართა დაცვის ღონისძიებებში რაიმე სახით მონაწილეობას უშტატო, ფაქტობრივად, ჩვეულებრივი მოქალაქეები იღებდნენ... ან თანამშრომელი თავისი ხარჯით ფორმას ყიდულობდეს... პირველად მესმის ასეთი რამ... რაც შეეხება სამსახურში თვეობით გამოუცხადებლობას, ჩვენმა თანამშრომელმა უმიზეზოდ ერთი დღითაც კი რომ გააცდინოს სამუშაო, შეიძლება დავითხოვოთ კიდეც. ვერ გეტყვით, რა ხდებოდა ამ ასეულში წარსულში, ეს სხვა ორგანოს უნდა გაეკონტროლებინა, მაგრამ ამიერიდან იქ რომ ასეთი კურიოზები აღარ მოხდება, ზუსტად ვიცი.

P.S. გაცილებისა და ესკორტირების ასეულის ყოფილი თანამშრომლების ბრალდებები ასეულის უფროსის მიმართ საკმაოდ მძიმეა. მერაბ დარბაიძემ ბრალდებების შესახებ საუბარზე ამ ეტაპზე უარი განაცხადა. თუმცა მან კატეგორიულად უარყო ყოფილ თანამშრომელთა მიერ წარმოდგენილი ფაქტები. აღნიშნა, რომ ზოგიერთი თანამშრომელი თვე-ნახევრის განმავლობაში მართლაც ელოდებოდა დანიშვნას, მაგრამ არც ერთი მათგანი საპასუხისმგებლო პოსტზე არ დაუყენებია. მისივე თქმით, ძაგანიშვილს სურს, იგი ვილაცების წინაალმდეგ აალაპარაკოს(?!). რაც შეეხება პატაკის გაყალბების ფაქტს, დარბაიძე ამტკიცებს, რომ ესვანჯიამ პატაკის წერის დროს უსათვალობა მოიმიზეზა, განცხადება სხვა თანამშრომელს დააწერინა, ხელი კი თვითონ აქვს მოწერილი...

ამ ფაქტების შესწავლა-გადამოწმება პროკურატურის საქმეა. პროკურატურაში კი ჯერჯერობით დუმან და აცხადებენ, რომ, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, საქმის არსისა და ვითარების შესახებ ჯერ ვერაფერს გაამხელენ...

*ხათუნა პაიჭაძე*

# „ნასვამი მძღოლი ავარიამდე უნდა გამოვლინდეს“



**„ქართველ მძღოლს ყანწს რომ ვერ გააგდებინებ ხელიდან, მობილურზე ლაპარაკს როგორღა მოაშლევინებ“**

სამწუხაროდ, საახალწლო დღეები ავტოავარიების რეკორდული მაჩვენებლით დაფიქსირდა. მარტო თბილისში წლის პირველი კვირის განმავლობაში სამოცდაათამდე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, რასაც თერთმეტი კაცი ემსხვერპლა. სპეციალისტების თქმით, ასეთი რამ არასოდეს მომხდარა და თუ დაუყოვნებლივ არ მიიღეს ზომები, ავარიების რიცხვით წლევანდელმა წელმა შეიძლება წინა წლების მაჩვენებელს მნიშვნელოვნად გადააჭარბოს. არადა სტატისტიკას თუ გადავხედავთ, არც წინა წლებში გვქონდა საქმე კარგად. საქართველოში ყოველწლიურად საშუალოდ 500 კაცი იღუპება ავტოავარიაში, 2000 კი სხვადასხვა სახის მძიმე დაზიანებას იღებს. ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, ეს მართლაც საგანგაშო მაჩვენებელია.

რა შეიძლება გაკეთდეს იმისათვის, რომ ავარიების რიცხვი შემცირდეს? როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის მოსაგვარებელი. საქმეში ჩახედულთა მტკიცებით, რამდენიმე ისეთ ხარვეზს სჭირდება გამოსწორება, რომლის გარეშე ავტოავარიების რიცხვის შემცირებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. სახელდობრ რა არის გასაკეთებელი, ამ თემაზე „კვირის პალიტრას“ არასამთავრობო ორგანიზაცია „მძღოლი, გზა, სამართლის“ პრეზიდენტი **როზერტ იანტბელიძე** ესაუბრება: — ავტოავარიების რიცხვი მართლაც კატასტროფულად გაიზარდა. ავტოსაგზაო შემთხვევებს წინ უსწრებს და ხელს უწყობს შესაბამისი სამსახურების არაეფექტიანი მუშაობა. წესით, მათ შესწავლილი და გაანალიზებული უნდა ჰქონდეთ წინა წლებში მომხდარი ავტოავარიების მიზეზები რამ გამოიწვია — გადაჭარბებულმა სიჩქარემ, სიმთვრალემ თუ კიდევ სხვა ფაქტორმა.

**— ე. ი. თქვენ ფიქრობთ, რომ ამ სამსახურების არასათანადოდ მუშაობაა ავტოავარიების ერთ-ერთი მიზეზთაგანი?**

— ნაახალწლევს დოლიძის ქუჩაზე წყლის მილი გასკდა. გზა მოიყინა და დილით იმდენი მანქანა დაეჯახა ერთმანეთს, ზედახორა იყო. ხომ ნახავდნენ, წყლის მილი რომ გასკდა და გზის მოყინვის გამო საავარიო სიტუაცია შეიქმნა, საინფორმაციო ნიშნები მაინც დაედგათ, რათა მძღოლებს ფრთხილად ემოძრავათ. ან სულაც გადაეკეტათ მოძრაობა და ავარიებსაც თავიდან ავიცილებდით.

**— ადრე რას აკეთებდნენ ასეთ სიტუაციებში?**

— როცა საგზაო პოლიცია არსებობდა, მას გზების გაკონტროლება და პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება ევალებოდა. დღეს კი, მიუხედავად იმისა, რომ საპატრულო პოლიციას ბევრი ფუნქცია აქვს და არცთუ ურიგოდ ართმევს თავს საქმეს, მაინც ბევრი რამ არის გამოსასწორებელი. თუნდაც ის, რომ ჩვენთან ავტოავარიების მიზეზების კვლევას მეცნიერულად არ უდგებიან. საპატრულო პოლიციაში არ არსებობს განყოფილება, რომელიც ავარიის მიზეზებს გააანალიზებს და მის აღმოფხვრაზე იმუშავებს.

**— კონკრეტულად, რა უნდა გაკეთდეს?**

— მიიღეს კანონი ღვედების გამოყენების შესახებ, მაგრამ სრულდება კი ეს კანონი? — არა! მობილური ტელეფონიც ხელს უწყობს ავარიებს. ქართველ მძღოლს ყანწს რომ ვერ გააგდებინებ ხელიდან, მობილურზე ლაპარაკს როგორღა მოაშლევინებ.

**— მაინც რა არის გახშირებული ავარიების მთავარი მიზეზი?**

— ყველაზე ხშირად ავარია მძღოლის სიმთვრალის გამო ხდება. საჯარიმო ტარიფი კი გაიზარდა, მაგრამ შედეგი არ მოგვცა, ანუ დამრღვევი მძღოლების რაოდენობა არ შემცირებულა. რატომ? მძღოლს არავინ აჩერებს და ამოწმებს მანამ, სანამ მოძრაობის წესებს არ დაარღვევს. აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ ქართველი კაცის ხასიათი. კანონი სწორედ ამ ხასიათს უნდა დაუპირისპირდეს. როცა გერმანელმა მძღოლმა იცის, რომ საჭეს ნასვამი არ უნდა მიუჯდეს, ამას არასოდეს ჩაიდენს. ჩვენთან კი პირიქით, — რასაც უკრძალავენ, სწორედ იმას ეტანებიან („კაი ბიჭობად“ თვლიან). ამიტომ არის საჭირო რეიდებისა და შემოწმებების ჩატარება, რათა ნასვამი მძღოლი ავარიის მოხდენამდე გამოვლინდეს და არა ავარიის შემდეგ, როცა ამას აზრი აღარ აქვს.

*დავით დევაძე*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „გაზსადენზე ლაპარაკი არც მთლად შემთხვევით გააქტიურებულა“



## „ცხინვალის ბედი კრემლისა და თეთრი სახლის შეთანხმებით გადაწყდება“

Ე[illegible]

კანონი და კანონიერება იმდენად ხშირად დგება ხოლმე, რომ ესოდენ მნიშვნელოვანი საკითხების მხოლოდ კონსტიტუციის ანაბარა დატოვება ალბათ, მთლად მიზანშეწონილი არ უნდა იყოს. სხვათა შორის, რაც შეეხება კანონს, ბუნებრივია, სადაც სამართალია, იქ სიმკაცრეც უნდა იგრძნობოდეს, მაგრამ განვლილმა საახალწლო დღეებმაც აჩვენა, რომ ჩვენი საზოგადოებრივი ურთიერთობები ზედმეტად, უფრო სწორად კი, სახიფათოდ „გაპოლიციურდა“. ახალი წლის დამდეგს გამოჩენილი ახალი საერთო-ეროვნული ღირებულება — „სახელმწიფო თოვლის ბაბუის“ იდეის პრეზენტაციაც კი ხელისუფლებამ საგანგებო პრესკონფერენციების რეჟიმში, სპეცდანიშნულების ძალებისა და პროკურატურის თანხლებით წარმოგვიდგინა. საახალწლოდ ხელისუფლებამ თოვლის ბაბუა დაიჭირა და ე. წ. „კანონიერ ქურდებთან“ რომ გადამწყვეტი ბრძოლა გამოეცხადებინა, რა გასაკვირი იყო... როგორც ბოროტი ხმები ამბობენ, ციხეში მოშიმშილე კრიმინალურ ავტორიტეტებს სპეცდანიშნულების ძალები საცივის ჭამას ხელკეტებითა და ცემა-ტყეპით აიძულებდნენ. მოზრდილებისა რა გითხრათ და, ბავშვთა ფსიქოლოგები ერთხმად აღნიშნავენ, ბავშვისთვის ჭამის დაძალება ნეგატიურ პროცესებს იწვევსო. თუმცა ზოგიერთი მოზრდილი ალბათ, უმჯობესი იყო მშობლებს ისევ ბავშვობაში ეცემათ, მერე, დიდობაში რომ სპეცრაზმის საცემი არ გამხდარიყვნენ... მეორე მხრივ, როგორც ტელევიზიით გამოსული ავტორიტეტებიც ამბობდნენ, პატიმარიც ადამიანია და ადამიანურ მოპყრობას საჭიროებს...

ალბათ, გაცილებით უფრო ეფექტის მომტანი იქნებოდა, ხელისუფლებას ქურდულ მენტალიტეტთან აქტიური იდეოლოგიური ბრძოლა ეწარმოებინა. ჩემი აზრით, ეს უფრო გამოიღებდა შედეგს. უფრო მსუბუქ თემებსაც შევეხოთ, „კვირის პალიტრის“ აქტიური მკითხველისთვის ვფიქრობთ, საინტერესო „ინტერმეცოს“ შემოგთავაზებთ. გასული ნომრის ერთ-ერთ სტატიაში („ავტორეპორტაჟი“) თქვენი მონა-მორჩილის „ორმხრივი“ ჟურნალისტური ცხოვრების შესახებ მოგითხრობდით, როდესაც საგაზეთო და სატელევიზიო რესპონდენტებთან ურთიერთობა ერთმანეთში ირევა ხოლმე. ვფიქრობთ, ნაბახუსევი პოლიტოლოგი ქართული რეალობისთვის ისეთივე ბუნებრივი მოვლენაა, როგორც ნაბახუსევი ინჟინერი, ან ნაბახუსევი მწერალი. განსხვავება ის არის, ამ მდგომარეობაში ტელეეთერით მსჯელობა არცთუ ისე მომგებიანია. გაზეთის ფურცლებზე კი მკითხველი მთხრობელის ლოგიკას ხედავს და არა გარეგნობას. დროთა განმავლობაში „კვირის პალიტრის“ მე-3 გვერდი, „კვირის მიმოხილვა“ ერთგვარ პოლიტოლოგიურ საკლუბო გაერთიანებად ჩამოყალიბდა (რასაც სხვა გაზეთებმაც მიბაძეს. — ავტ.), რომლის „წევრებად“ ანუ, რესპონდენტებად უკვე მერამდენე წელია, საქართველოში ყველაზე ცნობილი დამოუკიდებელი ექსპერტები გვევლინებიან. აღნიშნული სტატიის გამოქვეყნების შემდეგ, ჩვენი „კლუბის“ ერთ-ერთი სტაჟიანი და „საპატიო წევრი“, ბატონი **ᲠᲐᲛᲐᲖ ᲙᲚᲘᲛᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** გამოგვეხმაურა და გვთხოვა, „კლუბის წევრების“ მცირერიცხოვნობის გამო, საზოგადოებრივი ეჭვისა და სახელის გატეხის საფრთხის წინაშე სულ რამდენიმე დამოუკიდებელი ექსპერტი დავდექით, ეგებ ან „დამნაშავე ექსპერტი“ [illegible], ან არადა, „უდანაშაულოების“ მაინც ჩამოთვალე, ვის გულისხმობდი ნაბახუსევ პოლი-

[illegible]

ლაპარაკი. ვთქვათ და იყოს ეს საკმაოდ მოძველებული გაზსადენის სისტემა სტრატეგიული დანიშნულებისა და კიდევ ათწლეულების მანძილზე სახელმწიფოს საკუთრებაში დარჩეს — რა მოგებას, რა სარგებელს მოუტანს თავის მფლობელს, საქართველოს სახელმწიფოს? მაშინ, როდესაც ამჟამინდელი პრემიერის განცხადებით, გაზპრომთან ხელშეკრულების შემთხვევაში, რუსული მხარე თანახმაა, უახლოესი ათი წლის მანძილზე გაზი საბაზრო ფასის ნახევარში მოგვაწოდოს. დამეთანხმებით, რომ ქვეყნის ეკონომიკისა და მოსახლეობისთვის ეს დიდი შეღავათი იქნება. რაიმე კონკრეტული არგუმენტაციის გარეშე ესა თუ ის ობიექტი სტრატეგიულად კი არ უნდა გამოცხადდეს, უბრალოდ, ვაჭრობის საგანი უნდა იყოს, რათა სახელმწიფომ მისი მეშვეობით მაქსიმალური მოგება ნახოს. ასე, არაფრის გამო ყველაფრის სახელმწიფო საკუთრებაში დატოვება უფრო სოციალიზმს მაგონებს და ვფიქრობ, უკვე დროა, ამგვარ აზროვნებას თავი დავაღწიოთ... მეორე მხრივ, ისიც აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ პრივატიზაციის პროცესი აუცილებლად გამჭვირვალედ წარიმართოს, ხელშეკრულებაში დეტალურადაც იყოს გათვალისწინებული ყველა საფრთხის შემცველი ნიუანსი, ყველანაირი საკანონმდებლო მოთხოვნა და ა.შ. გაზი და გაზსადენი მართლაც არის პოლიტიკის საგანი. ამ თვალსაზრისით ის შეიძლება სტრატეგიულადაც მივიჩნიოთ, თუმცა არა იმ აზრით, რომ დავაკონსერვოთ და მუდმივად სახელმწიფო მფლობელობაში დავტოვოთ. პოლიტიკური მოტივით დატვირთულ ობიექტებს სწორედ რომ სტრატეგიული უნარით სჭირდება განკარგვა. ხომ ყველამ კარგად ვიცით, რომ ენერგომატარებლების, მათ შორის გაზის მართვის განაწილებაზეა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული საქართველოს კონფლიქტური რეგიონებიც. აქ იმაზე არ გვაქვს ლაპარაკი, რომ ავიღოთ და ერთ მშვენიერ დღეს საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ყველანაირი ენერგომატარებელი თუ მილსადენი ერთ რომელიმე ქვეყანას ჩავაბაროთ. დამიჯერეთ, ამას ბრმად არავინ გააკეთებს (ასეთი პრაქტიკა მსოფლიოში არ არსებობს) რაკილა ესეც პოლიტიკის სფეროა, ისევე როგორც სხვაგან, აქაც სვლების გათვლა და გონივრული თამაშია საჭირო...

**— ალბათ, გონივრულ თამაშზე ნაკლებად შეიძლება ლაპარაკი თუ ცხინვალის სეპარატისტული ხელისუფლების ბოლოდროინდელ განცხადებას გავიხსენებთ...**

— კოკოითმა ყველაზე კარგად იცის, რომ ცხინვალში მას ხელისუფლება ექნება მანამ, სანამ შენარჩუნდება გაურკვეველი მდგომარეობა — ანუ არც ომი იქნება და არც მშვიდობა. თავისთავად ის კურიოზული ფაქტი, რომ ცხინვალის სეპარატისტულმა ხელისუფლებამ საქართველოს მთავრობის წევრების ძებნა გამოაცხადა და მათ დაპატიმრებით ემუქრება, მე ოპტიმიზმის საფუძველს უფრო მაძლევს — როგორც ჩანს, საქმე საკმაოდ ცუდად აქვთ და ის დრო, როდესაც ცხინვალში ერთიანი საქართველოს იურისდიქცია უნდა აღდგეს, არც ისე შორს არის. გაიხსენეთ, ნიუანსები ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის საახალწლო განცხადებიდან — თეთრი სახლი 2006 წლის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად მოსკოვსა და თბილისს შორის ხიდების აშენებას მიიჩნევს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ცხინვალის ბედი უკვე გადაწყვეტილი თუ არ არის, უახლოეს მომავალში, სწორედ კრემლის და თეთრი სახლის შეთანხმებით გადაწყდება. ამ კონტექსტში კი გაზსადენზე ლაპარაკი არც მთლად შემთხვევით გააქტიურებულა. მთავარია, თბილისმა ვაშინგტონის შუამავლობით, მოსკოვთან საერთო შეხების წერტილები გამონახოს. თუ კრემლი დაინახავს, რომ კავკასიურ პოლიტიკაში მისი ინტერესების ნაწილი მაინც არის გათვალისწინებული, სიტუაციის დალაგებას ხელს აღარ შეუშლის. ის დროც წავიდა, როდესაც რუსეთს აშლილი და ომის ცეცხლში გახვეული კავკასია სჭირდებოდა. უფრო მნიშვნელოვანი დღეს ეკონომიკური ურთიერთობებია.

*დაჩი გრძელიშვილი*

# „ბენდუქიძე თამაშობს...“

## ვინ ჩაიგდებს ხელში გაზსადენს



### „თვითმკვლელობის ტოლფასი გადაწყვეტილება?!“

„გაზპრომი“ საქართველოს მთავრობას მაგისტრალური მილსადენის ფასის დასახელებისთვის სამთვიან ვადას აძლევს. გაზაფხულამდე ქართულმა მხარემ უნდა გადაწყვიტოს, გადასცემს თუ არა გაზსადენს ბუნებრივი აირის რუს მომწოდებელს. მილსადენის რუსეთისთვის მიყიდვის საკითხი „გაზპრომის“ ხელმძღვანელობამ მოსკოვში ბუნებრივი აირის ფასზე მოლაპარაკებების დროს დასვა. რუსულმა მხარემ მილსადენის შესყიდვის წინადადება საქართველოს პრემიერ-მინისტრს ოფიციალურად წარუდგინა. ენერგეტიკის მინისტრი არ უარყოფს, რომ ქვეყნის მთავრობა რუსულ ენერგოკომპანიასთან ამ საკითხზე მოლაპარაკებებს აწარმოებს. თუმცა ამავე დროს აცხადებს, რომ ქართულ მხარეს გადაწყვეტილება ჯერ არ აქვს მიღებული. რის სანაცვლოდ მოითხოვს „გაზპრომი“ ამჯერად მილსადენის დათმობას, ჯერ უცნობია — ამის შესახებ ეკონომიკური გუნდის წევრები არაფერს ამბობენ.

გასული წლის მიწურულს, „გაზპრომის“ ოფისში მიმდინარე მოლაპარაკების დროს, რუსეთის სახელმწიფო კომპანიის ხელმძღვანელობამ საქართველოს სამთავრობო დელეგაციას ერთობლივი საწარმოს შექმნაზე, რომელსაც მილსადენისთვის მხოლოდ ტექნიკური ხასიათის მომსახურება უნდა გაეწია, უარი უთხრა. წინასწარი შეთანხმებით, ერთობლივი საწარმოს საწესდებო კაპიტალში რუსული და ქართული მხარეები თანაბარი წილით უნდა შესულიყვნენ. „გაზპრომმა“ თითქმის უფუნქციო საწარმოს შექმნა მიზანშეწონილად არ მიიჩნია და გაზსადენის შესყიდვის პირობა წამოაყენა. საქართველოს მაგისტრალური მილსადენით „გაზპრომი“ ბუნებრივ აირს სომხეთს აწვდის, სადაც ის გაზის გამანაწილებელი კომპანიის 45%-იან წილს ფლობს. რა ფასად მიიღებს სომხეთი „გაზპრომისგან“ აირს, ამას ქართული მხარის მიერ დადგენილი ტრანზიტის საფასური განსაზღვრავს. ამ გარემოების გათვალისწინებით, რუსული კომპანიის ინტერესი გაზსადენის მიმართ ბუნებრივია. როგორც ეკონომიკური ექსპერტები ირწმუნებიან, მილსადენის გასხვისებით საქართველოს „გაზპრომზე“ ზემოქმედების ერთადერთი ბერკეტიც გამოეცლება.

მაგისტრალური გაზსადენის მიმართ დასავლეთის პოზიცია დიდი ხანია ცნობილია. ამერიკის მთავრობამ არაერთხელ ურჩია საქართველოს ხელისუფლებას მილსადენის გაყიდვისგან თავის შეკავება. როგორც კი რუსეთი გააქტიურებას და ამ საკითხზე ქართულ მხარესთან მოლაპარაკებებს იწყებდა, აშშ-ის ადმინისტრაცია თბილისში ამერიკის პრეზიდენტის მრჩეველს სამხრეთ კავკასიის ენერგეტიკულ საკითხებში, სტივენ მანს აგზავნიდა ხელისუფლების გადასარწმუნებლად. იმისათვის, რომ საქართველოს გაზსადენისთვის თვითონ მოევლო, შარშან ამერიკის მთავრობამ „ათასწლეულის განვითარების პროგრამის“ ფარგლებში მისი რეაბილიტაციისთვის 45 მლნ დოლარი გამოყო, რომელიც ქვეყანაში რამდენიმე თვეში უნდა შემოვიდეს.

ოპოზიცია და ეკონომიკური ექსპერტები ხელისუფლებას მაგისტრალური მილსადენის გაყიდვისგან თავის შეკავებას ურჩევენ. რესპუბლიკელები მიიჩნევენ, რომ მისი რუსეთისთვის მიყიდვით საქართველოს მთავრობა დასავლურ ორიენტაციაზე უარს ამბობს და ქვეყნისთვის დამღუპველ ნაბიჯს დგამს.

**ᲗᲘᲜᲐ ᲮᲘᲓᲐᲨᲔᲚᲘ:** „თუნდაც ის, რომ რუსეთთან ამ საკითხზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ეს უკვე სტრატეგიული ორიენტაციის შეცვლას ნიშნავს. ჩვენმა ხელისუფლებამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაწყვიტოს, ვინ არის მისი ორიენტირი — ნატო, ევროკავშირი თუ რუსეთი. ჩვენი რეაქცია ბენდუქიძის განცხადებას მოჰყვა, რომელმაც თავისი დამოკიდებულება ამჯერად საახალწლო ხუმრობებითა და ანეკდოტებით გამოხატა. ეს არ გახლავთ ის საკითხი, რომელიც შეიძლება მთავრობის ზოგიერთი წევრის კაბინეტში გადაწყდეს“.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება მაგისტრალური მილსადენის გასხვისებასთან დაკავშირებით მთავრობას გადაეგზავნა. ეს დასკვნა მკვეთრად უარყოფითია.

**ᲚᲘᲐᲜᲐ ᲯᲔᲠᲕᲐᲚᲘᲫᲔ** (ენერგეტიკის ექსპერტი): „მილსადენი საქართველოს ენერგეტიკული დამოუკიდებლობის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს. რუსეთზე ზემოქმედების სხვა მექანიზმი ჩვენ არ გაგვაჩნია. ეს ძალიან სერიოზული თემაა. რატომ უბრუნდება ხოლმე მას პერიოდულად ჩვენი მთავრობა, გაუგებარია. რუსეთი ცდილობს, დსთ-ის სივრცეში არსებული გაზგამანაწილებელი ქსელი მთლიანად ჩაიგდოს ხელში. მას მხოლოდ მილსადენი არ აინტერესებს საქართველოში. „გაზპრომს“ სურს, ქვეყნის გაზგამანაწილებელ ინფრასტრუქტურას დაეპატრონოს. ამას თუ შეძლებს, იგი რეგიონში ერთადერთი მონოპოლისტი გახდება, რომელიც იქნება გაზის მომწოდებელიც და გამანაწილებელიც. ჩვენ კი დამოკიდებული ვიქნებით ერთ გიგანტ კომპანიაზე, თანაც ისეთი არამეგობრული ქვეყნის სახელმწიფო კომპანიაზე, როგორიც რუსეთია“.

**ᲡᲝᲡᲝ ᲪᲘᲡᲙᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ** (ეკონომიკის ექსპერტი): „მაგისტრალური მილსადენის რუსეთისთვის მიყიდვა საქართველოსთვის თვითმკვლელობის ტოლფასი გადაწყვეტილება იქნება. ვფიქრობ, ამაოა მოლოდინი იმისა, რომ სანაცვლოდ რუსეთი აფხაზეთსა და სამაჩაბლოში საქართველოსთვის რაიმე სასიკეთოს გააკეთებს.

მას შემდეგ, რაც ქვეყანას ბენდუქიძე მოევლინა, მილსადენის რუსეთისთვის მიყიდვის საშიშროება რეალური გახდა. სამწუხარო ის არის, რომ მან პრემიერ-მინისტრიც დაიყოლია და აზრი შეაცვლევინა, სხვათა შორის, უცხოური ორგანიზაციების მიმართაც. ბენდუქიძე აშკარად თამაშობს, როცა ამბობს, რომ არ ესმის რას ნიშნავს სტრატეგიული ობიექტი. გილაური კი ვიდრე ამ გადაწყვეტილებას მიიღებდა, უმჯობესი იყო თანამდებობიდან გადამდგარიყო. იგი კარგი ახალგაზრდაა, უბრალოდ თავის ადგილზე არ მუშაობს...“

იმის გასარკვევად, გადაწყვეტილი აქვს თუ არა მთავრობას მილსადენის გასხვისება და რამდენად საფუძვლიანია ოპონენტების ბრალდებები, „კვირის პალიტრა“ ნიკა გილაურს ესაუბრა:

**— აპირებს თუ არა მთავრობა მაგისტრალური მილსადენის „გაზპრომისთვის“ მიყიდვას?**

— არა, არ აპირებს.

**— „გაზპრომმა“ შეხვედრისას გაზსადენის მიყიდვა არ მოითხოვა?**

— დიახ, მოითხოვა...

**— რა უპასუხეთ?**

— არაფერი არ გვიპასუხია.

**— რამდენიმე დღის წინ განაცხადეთ, რომ მთავრობა არ გამორიცხავს გაზსადენის გაყიდვას. ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, „გაზპრომი“ რამდენს გადაიხდის...**

— მე ეს არ მითქვამს...

**— პრესაში უკვე იყო თქვენი კომენტარი ამის შესახებ.**

— მხოლოდ იმას ვამბობ, რომ „გაზპრომთან“ ამ საკითხზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს. „გაზპრომმა“ მილსადენის ყიდვის საკითხი დააყენა. ვალდებული ვართ განვიხილოთ ნებისმიერი საკითხი, რასაც ჩვენი პარტნიორი დასვამს და მასზე პასუხი გავცეთ. განვიხილავთ და გადაწყვეტილებას ამის შემდეგ მივიღებთ.

**— ოპოზიცია სტრატეგიული ობიექტის გაყიდვაში გადანაშაულებთ და მთავრობის წევრთა პარლამენტში დაბარებას აპირებს...**

— ძალიან კარგი. მაგრამ თუ ვინმე გაყიდვასა და მოლაპარაკებას შორის განსხვავებას ვერ ხედავს, ამაზე პასუხს მე ვერ გავცემ.

P.S. „გაზპრომის“ შვილობილი კომპანია „გაზექსპორტის“ წარმომადგენლის, დავით მორჩილაძის თქმით, ქართული მხარისგან მილსადენის გასაყიდი ფასის დასახელებას მოსკოვში გაზაფხულისთვის ელოდებიან. კარგია, საქართველო მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობაში სიფრთხილეს რომ იჩენს, მაგრამ რუსეთიდან მას საშიშროება არ ემუქრებაო, — ამბობს იგი.

*ნონა ქვლივიძე*

# „ხუთი დღის წინ ციხიდან დამირეკეს და დამემუქრნენ“

სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ადამიანის უფლებები ხშირად ირღვევა. ადამიანის უფლებას არღვევენ არა მარტო ამა თუ იმ ინსტანციაში და სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, არამედ ქუჩაშიც. ადამიანის უფლების დარღვევაა ისიც, როდესაც მოქალაქეს ქუჩაში უსაფრთხოდ სიარულიც არ შეუძლია. კარგია, რომ უკვე საპატრულო პოლიციაც გვყავს და უბნის ინსპექტორებიც, მაგრამ ჩანს, ეს საქმეს ვერ შველის. ამაზე თუნდაც ქუჩაში გახშირებული ყაჩაღობის ფაქტები მეტყველებს. რამდენიმე დღის წინ ყაჩაღური თავდასხმის მსხვერპლი თავად გავხდი, საღამოს 7 საათზე ჩემს საცხოვრებელ კორპუსთან თავს ორი, ოციოდე წლის ბიჭი დამესხა. ჩანთაც წამგლიჯეს და სახეზე დანის დასმაშიც „ივარჯიშეს“. ეტყობა, ჩემმა წინააღმდეგობამ და გამვლელი ქალბატონის კივილმა დააფრთხოთ, თორემ ხელს სამკაულებსაც გააყოლებდნენ. ამ უსიამოვნო ინციდენტის შემდეგ მშვიდობით გადარჩენა რომ მომილოცეს(!), არ გამკვირვებია, იმიტომ, რომ რამდენიმე დღის წინ ერთ ჩემს ნაცნობ გოგონას ქუჩაში ისე სადისტურად გაუსწორდნენ, რომ არც ერთი კბილი აღარ შეარჩინეს, სამი ნეკნი ჩაუმტვრიეს და იმდენი ურტყეს, თირკმლების სერიოზული მკურნალობა დასჭირდა. ამ ფაქტებს წაყრუება და „დამნაშავეთა არშემჩნევა“ არ უშველის. ეს სერიოზული პრობლემაა და ამაზე მუშაობა უფრო ქმედითი და ეფექტიანი უნდა იყოს! მაშინ, როდესაც მოქალაქის ქუჩაში უსაფრთხო სიარული კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, კრიმინალური სამყარო (სხვისი უფლებების უპირველესი შემლახავი) თავისი უფლებებისათვის თავგანწირვით იბრძვის. როგორი ვითარებაა ქვეყანაში ადამიანის უფლების დაცვის მხრივ, რა ხდება ციხეებში და ვინ მართავს იქ მიმდინარე პროცესებს, ამ საკითხზე სახალხო დამცველს, **სოზარ სუბარს** ვესაუბრეთ, რომლის გადადგომის მიზნითაც საპროტესტო აქციებიც იმართებოდა.

— ციხეებში ჯანყი იმის გამო მოხდა, რომ სახელმწიფომ ქურდულ სამყაროს ბრძოლა გამოუცხადა. ქურდებს ძველი პრივილეგიების შენარჩუნება სურთ, უნდათ, ისევ განკარგავდნენ ციხეს და ციხის გარეთ მიმდინარე მოვლენებზეც ჰქონდეთ გავლენა. სხვადასხვა საპყრობილეში ასობით კაცი შიმშილობს. ზოგს არც უნდა შიმშილობა, მაგრამ იძულებულია კრიმინალურ ავტორიტეტებს გაუწიოს ანგარიში.

კრიმინალური ავტორიტეტები ერთად მოათავსეს მე-7 საპყრობილეში, მობილური ტელეფონები ჩამოართვეს და ციხის გაკონტროლების საშუალება მოუსპეს. დარწმუნებული ვარ, ხელისუფლება კრიმინალურ სამყაროსთან რაიმე გარიგებაზე რომ წავიდეს, ციხეში მღელვარება უმალ ჩაცხრება, მაგრამ ასეთ დროს ერთი ნაბიჯითაც არ შეიძლება უკან დახევა.

— **გაკეთდა ასეთი შეფასებებიც — კრიმინალური ავტორიტეტები იმდენად გავლენიანი არიან, შესაძლოა, ხელისუფლებაც შეავიწროონ.**

— ჩვენი სახელმწიფო არ არის იმდენად სუსტი, რომ კრიმინალურმა ავტორიტეტებმა მისი შევიწროება შეძლონ.

ამბობენ, ციხეებში ხალხს სცემენ, სისხლიანი ზეწრები გამოაქვთ საკნებიდანო. სინამდვილეში შემოწმება ჩატარდა, რადგან ნარკოტიკებს ხშირად ლეიბებში ინახავენ მსჯავრდადებულები. ეს პროცედურა დიდ დროს მოითხოვდა და ამიტომ არჩიეს ციხეებში ძველი ლეიბების ნაცვლად ახლის შეტ-



„როგორ დავიცვა მოსამართლე, რომელმაც მცირეწლოვანი ბავშვის გამტაცებელს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა?“

ანა. თუმც უნდა ვთქვა, რომ ქუთაისის ციხეში მღელვარების დროს რამდენიმე მსჯავრდადებულმა სხეულის დაზიანება მიიღო. სპეცოპერაციის დროს ერთი პატიმარი გარდაიცვალა. ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა სპეცრაზმის თანამშრომლებს ეკისრებათ, შესაძლოა, უფლებამოსილების გადამეტების ფაქტიც გამოიკვეთოს.

— **არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ბაჩო ახალაიას პასუხისმგებლობის საკითხის დასმას ითხოვენ თქვენგან, მსჯავრდადებულებთან ადვოკატებს არ უშვებენო. აპირებთ ამ მოთხოვნის გაზიარებას?**

— ბაჩო ახალაია სავსებით სწორად მოქმედებს. ჩემი მოთხოვნის შემდეგ მსჯავრდადებულებთან ადვოკატებიც შეუშვეს. ასე რომ, ამ მოთხოვნას არ გავიზიარებთ. ჩემი აზრით, კრიმინალური ავტორიტეტები არ უნდა წარმოადგენდნენ ხელშეუხებელთა კასტას, ამიტომ ასეთ განცხადებებს ყოველთვის გავაკეთებ, მიუხედავად იმისა, რომ ხუთი დღის წინ ციხიდან დამირეკეს და დამემუქრნენ.

— **როგორი შინაარსის იყო მუქარა?**

— გარეთ გამოსვლა (ქუჩაში) აღარ გინდა?.. იქ გაგისწორდებითო.

— **ამას წინათ, როდესაც პარლამენტში თქვენი საანგარიშო მოხსენება მოისმინეს, უმრავლესობის ზოგიერთი წევრიც კი აღშფოთებული დარჩა. ბევრი კრიტიკულად შეხვდა თქვენს ანგარიშს.**

— დიახ, თუმც ამ ხალხიდან ზოგიერთი გულწრფელი იყო, ისინი მართლაც ასე ფიქრობენ, ზოგიერთი კი თამაშობდა...

— **კონკრეტულად?**

— მაგალითად, თამაშობდა ნოდარ გრიგალაშვილი, რომელმაც თავისი საპროტესტო განცხადებითა და ვითომდა მართლმადიდებლობის ქომაგობით ამომრჩეველთან ქულების ჩაწერა მოინდომა. ზოგჯერ ისეთ რამეს სჩადიან მართლმადიდებლობის სახელით, თავად მართლმადიდებელი ქრისტიანი ვარ და მრცხვენია.

ტრადიციულად, საქართველოში ყოველთვის სცემდნენ პატივს სხვა რელიგიებს. ჩვენთან არასოდეს ყოფილა რელიგიური და ეთნიკური ნიშნით დევნა. მედავებიან, თითქოს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დადებული ხელშეკრულების გადახედვას ვითხოვდი, არადა ჩემს გამოსვლაში მსგავსი არაფერი ყოფილა. მხოლოდ განვაცხადე, რომ სხვა რელიგიებიც ისეთივე უფლებებით უნდა სარგებლობდნენ, როგორითაც მართლმადიდებლობა-მეთქი. მე, როგორც მართლმადიდებელი, ვფიქრობ, რომ ისე უნდა მოვექცეთ სხვებს, როგორც გვინდა, რომ თავად გვექცეოდნენ.

— **მაგრამ საქართველოში მართლმადიდებლები დიდი უმრავლესობა ვართ და არ უნდა ვიყოთ პრივილეგირებული?**

— სახარება გვასწავლის, გიყვარდეს მოყვასი შენიო და მოყვასი რომ მარტო მართლმადიდებელს არ ნიშნავს, ესეც სახარებაში წერია, — იგავში კეთილი სამარიტელების შესახებ.

— **უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების პრობლემებით დიდი დაინტერესება არ გამოგიჩენიათ, რატომ არ დაიცავით მათი უფლებები?**

— ჩემთვის მოსამართლეებს არ მოუმართავთ, თანაც სანამ მოსამართლეების საქმეს დისციპლინური საბჭო განიხილავდა, ვერც ჩავერეოდი. ახლა, როდესაც განხილვა დასრულებულია, უთუოდ გამოვითხოვ საქმეებს. უცნაურია, ამ მოსამართლეებს ისეთი ხალხი იცავს, რომლებიც ადრე მათზე აუგს ამბობდნენ. ან როგორ შეიძლება დავიცვა ისეთი მოსამართლე, რომელმაც ადამიანის გამტაცებელს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა?

— **რომელ მოსამართლეს გულისხმობთ?**

— ისაევს, სწორედ მან მიუსაჯა 4 წელი მცირეწლოვანი ბავშვის გამტაცებელს. რა უნდა ვილაპარაკოთ ამ მოსამართლეზე?! ხომ ვიცით, რომ ზოგჯერ 14 ლარის ქურდობის გამო უსჯიან 4 წლით თავისუფლების აღკვეთას!

— **თქვენზე ამბობენ, ომბუდსმენი უფრო მძაფრ შეფასებებს უნდა აკეთებდესო.**

— უფრო მკაცრი შეფასებები როგორ უნდა გავაკეთო, არ ვიცი... ჩვენ კაბინეტებში არ ვსხედვართ. არ ველოდებით, როდის მოვა ვინმე ჩვენთან. ჩვენ კვლავ გავაგრძელებთ ეთნიკურ თუ რელიგიურ სფეროებში ადამიანთა, ასევე პატიმრების უფლებების დაცვას. დავიცავთ ასევე პაციენტთა უფლებებსაც, რაც ახალი მიმართულებაა ჩვენს საქმიანობაში.

---

ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲫᲘᲔᲑᲐᲨᲘ

# „ნურავინ დაიკვეხნის, ყველაფერი ვიციო“

## „პრეზიდენტმა თანამოაზრეთა და მრჩეველთა ჯგუფი უნდა გადაახალისოს“

პროფესორ ჯუმბერ ჭუმბურიძეს უნივერსიტეტში, ვაჟა ფშაველას სახელობის კაბინეტში შევხვდით (გაგვიხარდა, რომ არ გაუუქმებიათ). პრიორიტეტების ძიება საინტერესო აღმოჩნდა ადამიანთან, რომელიც ყოველთვის თავისუფლად ამბობდა სათქმელს, არავის და არასოდეს ერიდებოდა.

**ჯუმბერ ჭუმბურიძე:**

— პოლიტიკოსი არ ვარ, რომ თქვენს ყველა კითხვას ვუპასუხო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ აპოლიტიკური ვარ და ჩემი ქვეყნის ბედი არ მაინტერესებს. ის, რაც ორი წლის წინ მოხდა, ჩემი აზრით, სავსებით კანონზომიერი იყო, რადგან შევარდნაძის ხელისუფლება ვერ მართავდა ქვეყანას იმდაგვარად, რომ ამას საზოგადოებისთვის სასიკეთო შედეგები მოჰყოლოდა. წინა ხელისუფლებისადმი დამოკიდებულება არასოდეს დამიმალავს, ყოველთვის შევარდნაძისა და მისი პოლიტიკის წინააღმდეგი ვიყავი, ამიტომ ზნეობრივად ახლაც მაქვს ამაზე ლაპარაკის უფლება.

შევარდნაძე გამჭრიახი, ეშმაკი კაცია, არასოდეს გადადგამს ისეთ ნაბიჯს, მისთვის სასიკეთო რომ არ იყოს. ამიტომაც არ უტევდა უნივერსიტეტს. პირიქით, ცდილობდა უნივერსიტეტსა და აკადემიასთან კეთილი ურთიერთობა ჰქონოდა. მან ისიც კი მოინდომა, უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება მოეპოვებინა. ერთხელაც უნივერსიტეტის დიდი საბჭოს წევრები გაგვაფრთხილეს, პრეზიდენტი მობრძანდება და საპატიო დოქტორის წოდება უნდა მივანიჭოთო. ჩვენი ფაკულტეტის დეკანმა ეს რომ მითხრა, ვუთხარი, არ მოვალ-მეთქი. შეწუხდა, — მაშინ იმას ვიტყვი, რომ ვერ განახეთო.

ღვთის წყალობით ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა და მეც მათ შორის ვიყავი, ვინც ახალ ძალას გულწრფელად უკრავდა ტაშს, რადგან იმაზე უარესი მდგომარეობა აღარ შეიძლებოდა, რომელშიც ვიყავით. იმედი მქონდა, პოლიტიკაში მეტ-ნაკლებად გაცნობიერებული ახალგაზრდები ქვეყანას რეფორმებისა და დემოკრატიზაციის გზით წაიყვანდნენ. საერთაშორისო ურთიერთობების თვალსაზრისით, ამ ხელისუფლებას საყვედურს ვერ ვეტყვით, მისაღებია ის კურსი, რომელიც აირჩიეს, მაგრამ საშინაო ვითარებაა არასახარბიელო. ვინმესთვის პერსონალურად ბრალის დადება ძნელია, მაგრამ ვფიქრობ, ჯერჯერობით ვერ მოხერხდა იმ გზის არჩევა, რომელმაც საბოლოო გამარჯვებამდე უნდა მიგვიყვანოს.

ქვეყნის პოლიტიკური ძლიერების საფუძველი რომ ეკონომიკაა, ეს არ უნდა ესწავლებოდეს იმ ხალხს, რომელიც ხელისუფლებაშია. პოლიტიკა მხოლოდ ეკონომიკაზე დაყრდნობით გაიმარჯვებს. უპირველესი ამოცანა საქართველოს ეკონომიკის სწორი გზით წარმართვა უნდა გამხდარიყო, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა. ფაქტობრივად, ჩვენთან წარმოება არ არსებობს, სოფლად პროდუქტი აღარ იქმნება. ერთი-ორი ძველი საკონსერვო ქარხნის ამუშავება არაფერს ნიშნავს. არ შემოდის ინვესტიციებიც. ის საკანონმდებლო გარემო, რომელიც ინვესტიციების შემოსვლას უნდა ახალისებდეს და ხელს უწყობდეს, ვერ შევქმენით. ეს პრობლემა ჩვენი სახელმწიფოს აქილევსის ქუსლად იქცა. დღევანდელი კანონმდებლობა წვრილი და საშუალო ბიზნესის განვითარებას ხელს ვერ უწყობს. ამიტომაც არის, რომ ბევრი მეწარმე არალეგალურ საქმიანობას მიმართავს. ეს სახელმწიფო ბიუჯეტს აზარალებს. ამას კი გაუთავებელი შემოწმებები, დახურვები და დალუქვები მოჰყვება. თუ ეკონომიკა არ აღორძინდება, ხელისუფლების ლაპარაკი წარმატებებზე ფუჭი იქნება.

აქედან გამომდინარე, უმუშევრობას უმუშევრობა ემატება, ხალხის დიდი ნაწილი სამსახურის გარეშეა და ეს პატარა პრობლემა არ არის. თუ სოციალური საკითხი არ მოწესრიგდა და სოციალურად გაჭირვებულთა მდგომარეობა არ გაუმჯობესდა, ხელისუფლების რეიტინგი დაეცემა.

— **ხელისუფლება აცხადებს, ხელის ერთი მოსმით, უეცრად ამ პრობლემასთან გამკლავება ჭირს, თორემ რომელ ხელისუფლებას უნდა აქციები და ხალხის საყვედურების მოსმენაო.**

— ხელისუფლების თავკაცებს არც ჭკუა აკლიათ, არც განათლება და გამოცდილებაც ასე თუ ისე აქვთ, მაგრამ ხორცშესხმულ პოზიტიურ იდეებს ვერ ვხედავთ. ხელისუფლების ტონში დიქტატიც გაერია. საპარლამენტო უმრავლესობა, რომელიც პოლიტიკას წარმართავს, პასუხისმგებლობის ტვირთსაც უნდა გრძნობდეს. არასწორი პოზიციაა განცხადება, ახლა ჩვენ ვართ ხელისუფლებაში და რაც გვინდა, იმას გავაკეთებთო. ეს არ არის საქმისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომა. უმრავლესობას უთუოდ მართებს სხვისი აზრის გათვალისწინება. პრობლემები საერთო ინტერესების შეჯამებით უნდა წყდებოდეს.

ოპოზიციაც ვერ არის დიდად მოსაწონი და ფრთაშესხმული, მაგრამ მისი აზრის გათვალისწინებაც აუცილებელია.

ზედმეტად ნაჩქარევი გადაწყვეტილებები არ არის სასიკეთო... რამდენიმე კვირის წინ პარლამენტში სასამართლოებზე იყო მსჯელობა. აქამდე ამბობდნენ, სასამართლოში საქმიანობისთვის ხუთწლიანი სტაჟია აუცილებელიო. ახლა კი — სტაჟი და გამოცდილება საჭირო აღარ არის, დიპლომის დაცვისთანავე ჩავაბაროთ ინსტიტუტდამთავრებულებს ეს საპასუხისმგებლო საქმეო. გამოცდილების გარეშე პოლიტიკას კი არა, სულ მარტივ საქმესაც ვერ გააკეთებ. ადამიანს დღეს რომ ჰგონია, ყველაფერი ვიციო, ათი წლის შემდეგ აღმოაჩენს, ბევრი რამ არ მცოდნიაო. როგორ შეიძლება გამოუცდელ ახალგაზრდას ანდო მართლმსაჯულება და ადამიანის ბედის განკარგვა? საბედნიეროდ, ჩვენთან სიკვდილით დასჯა აიკრძალა, მაგრამ ხომ შეიძლება პატიმრობა ისეთს მიუსაჯონ, რომელიც ამას არ იმსახურებს?

ნურავინ დაიკვეხნის, ყველაფერი ვიციო. პრეზიდენტმაც უნდა ჰკითხოს აზრი ჭკვიან, გამოცდილ ხალხს. თუ არ გაიზიარებს, გაითვალისწინოს მაინც, — ეს უფრო წაადგება მის საქმიანობას. ჩვენი პრეზიდენტი ნიჭიერი და განათლებული კაცია, მაგრამ მეჩვენება, რომ გარემოცვა არ ჰყავს ისეთი, როგორიც უნდა ჰყავდეს და, რომელიც ქვეყნისთვის სასიკეთო საქმეების კეთებას შთააგონებს. ამიტომ ძალიან კარგი იქნება, თუ პრეზიდენტი საკუთარი თავისადმი და გარემოცვისადმიც კრიტიკული იქნება და ცოტას გადაახალისებს თანამოაზრეთა და მრჩეველთა ჯგუფს. როდესაც რაღაც სფერო ან საკითხი აინტერესებს, სჯობია, უშუალოდ მათგან მიიღოს ინფორმაცია, ვინც ამ საქმეში არიან ჩართული და ნუ ენდობა სხვების მიერ მიწოდებულ ინფორმაციას. ვფიქრობ, ის ყველაფრის საქმის კურსში არ არის. შესაძლოა, ვერც იცლის საამისოდ, რომ ყველა საკითხში ჩაერთოს, მაგრამ პრეზიდენტმა მართალი სიტყვა უნდა მოისმინოს. ის ხელაღებით და ბრმად არ უნდა ენდოს ყველას.

უნივერსიტეტში პროცესები ისე არ წარიმართა, როგორც საჭირო იყო. ამიტომ იძულებული გავხდით, პროფესორ-მასწავლებლების ერთ ჯგუფს ჩამოეყალიბებინა წარმომადგენლობითი აკადემიური საბჭო. საბჭოს თავმჯდომარედ მე ამირჩიეს. საბჭომ მოახერხა და 800 თანამშრომელი, რომლებიც გაათავისუფლეს და ულუკმაპუროდ დატოვეს, სამსახურში ისევ აღადგინა. მათ სამი წლით სტიპენდიები დაენიშნათ. წარმომადგენლობით აკადემიურ საბჭოს იმ სტუდენტებმაც მომართეს, რომლებიც ბაგებში საერთო საცხოვრებელში ცხოვრობენ — რემონტი წამოიწყეს და ქუჩაში გვყრიანო. ახლა არ ვიცი, გაიყიდა თუ არა ის კორპუსები, მაგრამ ჩვენ დაგვპირდნენ, რომ ზაფხულამდე სტუდენტები იქ იცხოვრებენ, ხოლო რემონტი არდადეგების პერიოდში ჩატარდება.

კარგია, რომ ბოლო დროს რექტორმა ქალბატონმა რუსუდან ლორთქიფანიძემ ჩვენთან დიალოგი მოინდომა და შეგვხვდა კიდეც. რეფორმების წინააღმდეგი არ ვართ და პირველი ჩვენ ვიქნებით მონადირე იმისა, რომ ვინც ქრთამის ამღები, უვიცი და უსაქმურია, უნივერსიტეტს მოაცილონ.

— **რაკი დღეს ვაჟა ფშაველას კაბინეტში ქვედით ერთმანეთს, გამიდის, აფიოტაჟი, ვაჟას კაბინეტი უქმდებაო, ტყუილი იყო?**

— ეს რომ ითქვა, ჭორს არ ავყოლივარ, მაგრამ დეკანატიდან ოფიციალურად რომ მივიღე დოკუმენტი კაბინეტის ლიკვიდაციის შესახებ, დავრწმუნდი, რომ ამას მართლა აპირებდნენ.

— **ვაჟა ფშაველას კაბინეტის ლიკვიდაციის განკარგულება დეკანატმა გასცა?**

— დოკუმენტი მივიღე, აღწერეთ და არქივს ჩააბარეთ ყველაფერი. ეს კაბინეტის ლიკვიდაციამდე უნდა მოესწროსო. ამ კაბინეტში დიდი სიმდიდრეა. ფაქტობრივად, ეს მუზეუმია, რა ტილოებსაც ხედავთ კედელზე, ყველა ორიგინალია — დაწყებული გუდიაშვილით და დამთავრებული ოჩიაურით. ჩვენ მილიონამდე ბარათის სალექსიკონო ფონდი გვაქვს. რექტორთან შევედი ამ საკითხზე — რას ნიშნავს ეს დოკუმენტი-მეთქი. მიპასუხა, არაფერი ვიცი, ვიღაც ახალგაზრდის ინიციატივა იყო და ყველაფერს გავარკვევო. ამას აქციებიც მოჰყვა და საბოლოოდ ვაჟას კაბინეტი გადარჩა.

— **ცოტა ხნის წინ ითქვა, რომ რექტორისადმი კრიტიკული დამოკიდებულების გამო უნივერსიტეტის დატოვება გაიძულეს.**

— ვერავინ ვერაფერს მაიძულებს პროფესორ-მასწავლებლების კონკურსის ჩატარებამდე. ითქვა, ჯუმბერ ჭუმბურიძე მიუღებელი აღმოჩნდა იმის გამო, რომ რექტორს აკრიტიკებდაო. რექტორს რამდენიმე კითხვა მართლაც დავუსვი, მაგრამ ჩემზე ამის გამო შური არავის უძიებია. თუმც ისიც ვიცი, რომ გულზე არ ვეხატები.

— **ხშირად გვიყვებით, ტრადიციებს ვკარგავთო, ასეა მართლა?**

— გლობალიზაცია პატარა ერისთვის დამღუპველია, თუ არ ეცდება თავისი ეროვნული ტრადიციებისა და საუკეთესო ჩვეულებების შენარჩუნებას. ახალგაზრდობას ჩვენი ტრადიციები საქილიკოდ აქვს. არ არის ეს საქილიკო და ასაკში რომ შევლენ, ამას თავადაც მიხვდებიან.

დამოუკიდებელი, თავისუფალი ქვეყანა გვაქვს ასაშენებელი. სხვისი ხელის შემყურე არ უნდა ვიყოთ. ჩვენი მეზობელი ქვეყნების ინტერესები კი უნდა გავითვალისწინოთ, მაგრამ საკუთარი არ უნდა ვაზარალოთ. ქვეყანა ეკონომიკურად რომ მოძლიერდება, აღარ გაუწევს იმას ანგარიშს, ჩემი ნაბიჯი სხვას მოეწონება თუ არაო.

და კიდევ, ხელისუფლება თავისი ხალხის ცხოვრებით უნდა ცხოვრობდეს.

ერთ მაგალითს გავიხსენებ. საქართველოს მთავრობის მეთაური რომ იყო ნოე ჟორდანია, სიმინდის ფქვილსა და ლობიოს ისევ დედა უგზავნიდა სოფლიდან. ერთხელ მიუწერია დედას, გავიგე მინისტრი გამხდარხარ და კიდევ ჩემი შესანახი ხარო? ჟორდანიას კუჭი აწუხებდა და მჭადის ჭამა არ შეეძლო. ერთ-ერთი მინისტრისთვის მიუწერია, თუ შეიძლება, ცოტა ორცხობილა გამომიგზავნეთო. მინისტრს ერთი ტომარა გაუგზავნია. საშინლად განრისხებულა ნოე ჟორდანია, ტომრის გამოგზავნა როგორ მაკადრეთ, მე რამდენიმე შეკვრა გთხოვეთო და ორცხობილა უკან გაუგზავნია. აი, ასე ცხოვრობდნენ გასულ საუკუნეში დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის წევრები. ეს გასათვალისწინებელი მაგალითია, რადგან ქვეყნის მეთაური თავისი ერის სიმბოლოა.

პრეზიდენტი კი ახალგაზრდა კაცია, მაგრამ თავადაც უნდა ხვდებოდეს, რა სჯობია მისთვის, ქლესა და მატყუარა ხალხი რად უნდა გვერდით? არაფრისმომცემი კომპლიმენტები მას და საქვეყნო საქმეს არ გამოადგება. არ შეიძლება ამდენი ტაშ-ფანდურიც. კარგია ბავშვებთან გულღიად მოქცევა და ზომიერი ხალისი, მაგრამ მოგეწონება — ტრაქტორზე დაჯდები, მოგინდება — ავტობუსზე და კარუსელზე, არ შეიძლება... მეტი სიდინჯე და თავშეკავებაა საჭირო.

როგორც გულშემატკივარი, ვეტყოდი პრეზიდენტს, არ შეიძლება მხოლოდ გამარჯვებებზე ლაპარაკი. რასაც ვერ მიაღწია, იმაზეც უნდა ილაპარაკოს ხელისუფლებამ. მიფუჩეჩებით პრობლემა არ გადაწყდება. მილიწუულის აპოლოგიით საქმე არ გაკეთდება. ხალხი რომ შშიერია და ნაგვის ყუთში იქექება, ამას მოვუხუჭოთ თვალი? პენსიის 5 და 10 ლარით გაზრდა არაფერს შველის. ხელისუფლებამ ხალხი ისე არ უნდა გააგულისოს, რომ წყევლა დაუწყოს. პირიქით, საქვეყნო და პატრიოტული საქმეებით დღითი დღე თავი უნდა შეაყვაროს.

*ესაუბრა მოამზადა*
*იზო რიჟაძე*

ექსკლუზივი

# აფხაზეთის სანაპიროს რუსული რადიოლოკატორები იცავენ

## მოსკოვმა სეპარატისტებს ოჩამჩირე-სოხუმი-გუდაუთის სანაპიროს გასწვრივ საბჭოთა კავშირის დროინდელი რადიოლოკაციური კონტროლი აღუდგინა

მას შემდეგ, რაც საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ ქვეყნის არმიის აღმშენებლობა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად გამოაცხადა, საქართველოს ერთიანობის პოტენციური მოწინააღმდეგეები საპასუხო სვლებს აკეთებენ, ოღონდ პიარ-კამპანიების გარეშე.

როგორც „კვირის პალიტრისთვის" გახდა ცნობილი, აფხაზეთის სანაპიროზე მიმდინარეობს გამალებული მუშაობა ნაპირის ახლოს აკვატორიის წყალზედა სიტუაციის საკონტროლო სისტემის შესაქმნელად.

გასაგებია, რომ სოხუმის სეპარატისტულ ხელისუფლებას საამისოდ არც ფინანსები ეყოფა და, მით უმეტეს, არც გამოცდილება, ამიტომაც ამ საქმეს რუსეთის მოქალაქე სპეციალისტები აკეთებენ.

ასე რომ, იქმნება წყალზედა სიტუაციის საკონტროლო სანაპირო რადიოლოკაციური სადგურის, Наяда-5М-ის, სისტემა.

უფრო სწორად, მიმდინარეობს „ნაიადას" სისტემის აღდგენა, რადგან საბჭოთა პერიოდში სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის — КГБ-ს შემადგენლობაში არსებული საბჭოთა სასაზღვრო ჯარების სანაპირო საგუშაგოებზე უკვე მოქმედებდა „ნაიადას" სისტემის რადიოლოკატორები.

იმ დროს რადიოლოკაციურ პოსტებს ევალებოდათ მთელი დღე-ღამის განმავლობაში ეკონტროლებინათ წყალზედა სიტუაცია, რათა ვინმეს საბჭოთა რეჟიმისგან გასაქცევად არ მოესურვებინა გასაბერი რეზინის ნავით ნეიტრალური წყლების გადაცურვა ან არ მომხდარიყო დასავლელი აგენტების შემოპარვა „რკინის ფარდის" მეორე მხრიდან.

ეს რადიოლოკაციური კონტროლის სისტემა საბჭოთა სასაზღვრო ჯარებს საბჭოთა კავშირის ყველა ზღვისა და ოკეანის სანაპიროზე ჰქონდათ მოწყობილი. თუმცა ცხადია, ჩრდილოყინულოვანი ოკეანის სანაპიროზე ის უფრო ფარლალალა იყო (ესკიმოსებს არსად ჰქონდათ გასაქცევი), ვიდრე NATO-ს წევრი თურქეთის მოსაზღვრე საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ „ნაიადას" რადიოლოკატორები საქართველოს სანაპიროს შემორჩა, თუმცა, ძირითადად მწყობრიდან გამოსული (ერთ-ერთი ბოლო ლოკატორი ქართველმა მესაზღვრეებმა, სულ ახლახან, აჭარის სანაპიროზე მას შემდეგ გადაიბარეს, რაც იქ აბაშიძის რეჟიმი დაემხო).



ჩვენი დოსიე: სანაპიროზე განთავსებული რადიოლოკაციური სადგური Наяда-5М სანტიმეტრულ დიაპაზონში მუშაობს და ზღვის ზედაპირს 50-60 საზღვაო მილის რადიუსში აკონტროლებს. ჯერჯერობით, აფხაზეთის სანაპიროზე სამი ასეთი რადიოლოკაციური სადგური უნდა მუშაობდეს, რომლებიც აფიქსირებენ ამ აკვატორიაში მცურავ გემებს.

საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სანაპირო დაცვამ წყალზედა რადიოლოკაციური კონტროლის სისტემის აგება ამერიკელი პარტნიორების დახმარებით და „იორი 2"-ის სისტემის საფუძველზე დაიწყო.

სოხუმის სეპარატისტული ხელისუფლება კი სხვანაირად მოიქცა. იგი, ჩრდილოელი მეგობრის — რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების მხარდაჭერით, ძველი, საბჭოური „ნაიადას" აღდგენას შეუდგა.

რა თქმა უნდა, დღეს აფხაზეთში არავინ ფიქრობს აღდგენილი რადიოლოკატორებით იმ რეზინის ნავების აღმოჩენას, რომლითაც ხელისუფლების უკმაყოფილო მოქალაქეები საზღვარგარეთ გაქცევას ეცდებიან.

სოხუმის სეპარატისტულ ხელისუფლებას ქართული საზღვაო დესანტის ეშინია და ამიტომაც ნაღმავს დესანტსაშიშ სანაპირო მონაკვეთებს. თუმცა სეპარატისტების მთავარი შემოსავლის წყარო ტურისტები გახლავთ და ამიტომაც მთელი სანაპირო ზოლის დანაღმვა შეუძლებელია და არასასურველიც.

ამის გამო სოხუმის სეპარატისტული ხელისუფლება უფრო მეტ ყურადღებას უთმობს სანაპიროს მიმდებარე საზღვაო აკვატორიის რადიოლოკაციური კონტროლის სისტემის შექმნას, რათა დროულად აღმოაჩინოს სანაპიროსთან მოახლოებული გამოუცნობი მცურავი საშუალება.

სოხუმში კარგად იციან, რომ თუკი განახლდება შეიარაღებული კონფლიქტი აფხაზეთის რეგიონში, მაშინ ქართული შეიარაღებული ფორმირებები ეცდებიან, ძირითადი შეტევები, როგორც მთებიდან, კოდორის ხეობიდან, ისე ზღვიდან, საზღვაო დესანტის საშუალებით განახორციელონ. 1992 წლის აგვისტოში უკვე იყო ამის პრეცედენტი, როდესაც ქართული საზღვაო დესანტი წარმატებით გადაჯდა განთიადში.

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენშტაბმა, რომელიც, წესით, უნდა გეგმავდეს ამა თუ იმ სახისა და დონის საბრძოლო ოპერაციას, უნდა გაითვალისწინოს, რომ აფხაზეთის სანაპიროს გასწვრივ დაჩქარებული ტემპებით მიმდინარეობს „ნაიადას" ტიპის წყალზედა საკონტროლო რადიოლოკაციური სადგურების სისტემის აღდგენა.

ამ რადიოლოკატორებს თითქმის 50-60 საზღვაო მილის სიღრმეში შეუძლიათ მცურავი ობიექტების აღმოჩენა. 50 მილის გასაცურად კი მცირე სადესანტო ხომალდებს (დაახლოებით ისეთებს, როგორიც ქართულ საზღვაო ძალებს ჰყავს) არანაკლებ 3 სთ სჭირდებათ. ეს დრო კი სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ სეპარატისტებმა სანაპირო დაცვის არტილერია, „გრიფის" ტიპის სასაზღვრო კატარღები და შვეულმფრენები მზადყოფნაში მოიყვანონ(!).

საერთოდ, საჰაერო და წყალზედა (წყალქვეშასაც, თუმცა შავ ზღვაში ეს დღეს ნაკლებად აქტუალურია, რადგან ბრძოლისუნარიანი წყალქვეშა ნავები აქ ძირითადად მხოლოდ თურქეთს დარჩა) კონტროლს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. თუკი რომელიმე მხარე ელვისებურ შეტევითი ხასიათის საბრძოლო ოპერაციას გეგმავს, ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ ოპერაციის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე მწყობრიდან გამოიყვანოს მოწინააღმდეგის როგორც რადიოლოკაციური, ისე ჰიდროგრაფიული სადგურები. ეს პრევენციული მეთოდები იმიტომაა საჭირო, რომ მოწინააღმდეგემ ადრეულად არ დააფიქსიროს საბრძოლო ოპერაციაში ჩართული შვეულმფრენების, თვითმფრინავების, სადესანტო ხომალდებისა და კატარღების მიახლოება მის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებამდე და, შესაბამისად, ვერ მოასწროს სათანადოდ მომზადება.

ამისთვის კი არსებობს საგანგებოდ გაწვრთნილი დივერსიული ჯგუფები, რომლებიც ჩუმად აღწევენ მოწინააღმდეგის რადიოლოკატორებამდე და შეტევითი ოპერაციის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე აფეთქებენ მათ. თუკი დივერსიული ოპერაცია რამდენიმე საათით ადრე განხორციელდა, მოწინააღმდეგეს რჩება დრო, აღადგინოს რადიოლოკაციური სადგური.

არსებობს ინფორმაცია, რომ აფხაზი სეპარატისტების კვალდაკვალ მათი ოსი მეგობრებიც აპირებენ ცხინვალის მიდამოებში ადრეული აღმოჩენის რადიოლოკაციური სადგურების დადგმას. თუმცა იმის გამო, რომ ცხინვალის რეგიონი მთაგორიანია, რადიოლოკატორის მუშაობა იქ ნაკლებად ეფექტიანი იქნება.

აფხაზეთის შავი ზღვის სანაპიროზე გაშლილი წყალზედა და საჰაერო კონტროლის რადიოლოკაციური სადგურების ქსელი კი ბევრად უფრო ეფექტიანია და იგი საშუალებას იძლევა, აღმოჩენილი იქნეს ყველა ის ობიექტი (საჰაეროს ჩათვლით), რომელიც ეცდება აფხაზეთის სანაპიროსთან მიახლოებას (მათ შორის დაბალ სიმაღლეზე), როგორც ზღვიდან, ასევე სამხრეთი მიმართულებიდან.


აქსისპალასი
AXIS PALACE

მშენებარე საცხოვრებელი კომპლექსი საბურთალოზე ბახტრიონის, გამრეკელის (კუტუზოვის) და საბურთალოს ქუჩების გადაკვეთაზე



რა ეღირება ცხოვრება აქსის პალასში?

მომსახურების აუცილებელი პაკეტი – 60–70 ლარი

დამატებითი საფასურის შემთხვევაში – ინდივიდუალურად შექმნილი მომსახურების პაკეტი

მინიმალური საცხოვრებელი ფართი 55მ²

საახალწლო ფასდაკლება -30-50$

სასტუმროს ტიპის მომსახურება და ინფრასტრუქტურა

- დიდი ფოიე 2400 მ²
- ეზო 8780 მ²
- გამწვანებული სარეკრეაციო ზონა
- მოპირკეთებული ქუჩა და მიმდებარე ტერიტორია

თქვენს საცხოვრებელ სახლში კომპლექსურად გაერთიანდება დასვენების, გართობისა და სპორტული ცხოვრების ყველა საშუალება.

- საცურაო აუზი
- ფიტნეს კლუბი
- საბავშვო მოედანი
- ბილიარდისა და ჩოგბურთის მაგიდები
- კომბინირებული სპორტული მოედანი

55 34 34, 55 34 33

# პრეზიდენტებზე მონადირე სნაიპერებისა და ბომბისტების რისხვა




იყო დრო, პრეზიდენტს დაცვის მანქანები არ ჰყოფნიდა

5 იანვარს აშშ-ის საელჩომ თბილისში ქართულ მხარეს მორიგი, ამჯერად 450 ათასი დოლარის ღირებულების საჩუქრები გადასცა.

სხვა დროს ოკეანისგაღმელ „ამერიკელ ძიას" ქართველებისთვის ათჯერ და ასჯერ მეტი თანხაც გაუმეტებია და ამ ნახევარ მილიონზე ყურადღების გამახვილება თითქოს არც ღირდა.

თუმცა ეს ერთი შეხედვით, რადგან ამჯერად საჩუქრის ადრესატი საქართველოს პირველი პირია, უფრო სწორად კი მის პირად უსაფრთხოებაზე მზრუნველი სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური.

ოფიციალური ინფორმაციით, „საჩუქრებს" შორის არის რადიოსიხშირეების ჩამხშობები, ასაფეთქებელი ნივთიერებების დეტონაციის გამომწვევი აპარატურა, დამალული ვიდეოკამერების დეტექტორები, სნაიპერების აღმომჩენი და მათ საწინააღმდეგოდ მოქმედი აღჭურვილობა და სხვა.

შეიძლება ჩვეულებრივი ობივატელისთვის ეს ნუსხა არაფერს ნიშნავდეს, მაგრამ სპეციალისტები მიხვდებიან, რამდენად სერიოზული და საჭირო აპარატურა გამოუგზავნეს მეგობარ სააკაშვილს ოკეანის გაღმიდან.

ჩვენ არ შევუდგებით თითოეული საჩუქრის დეტალურ ტექნიკურ მიმოხილვას (თუნდაც იმიტომ, რომ ეს საიდუმლო ინფორმაციაა), მაგრამ ვეცდებით, დაინტერესებული მკითხველი მივახვედროთ, რომელ სპეცაპარატურას რა დანიშნულება აქვს.

რადიოსიხშირეების ჩამხშობი აპარატურა, ისევე როგორც ასაფეთქებელი მოწყობილობის ინიცირების მაპროვოცირებელი, გამოიყენება ქვეყნის პირველი პირის გადაადგილებისას მისი საავტომობილო კორტეჟის დასაცავად.

თბილისელებს ეხსომებათ, ხილიანის ქუჩაზე ჯაბა იოსელიანის ავტომობილის ჩავლისას დანაღმული „ზაპოროჟეცის" აფეთქებას რამდენი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. მაშინ იოსელიანის დაცვას არ ჰქონდა რადიოსიხშირეების ჩამხშობი აპარატურა და ამიტომ, როდესაც სახლის სადარბაზოში მიმალულმა პირმა დისტანციურად მართვად რადიოპულტს დააჭირა თითი, აფეთქებამ რამდენიმე წამით დაიგვიანა; ამასობაში იოსელიანის მანქანა გასცდა დანაღმულ „ზაპოროჟეცს". აქ რადიოსიხშირის ჩამხშობის ფუნქცია რაღაც სხვა გარეშე ფაქტორმა შეასრულა.

პრეზიდენტების კორტეჟები კი ასეთი „ბედნიერი წამის" იმედად ვერ იქნებიან. ამიტომაც მათ საავტომობილო კორტეჟებში აუცილებლად არის თუნდ ერთი ავტომობილი (უფრო ჯიპის ტიპისა), რომელიც სხვებისგან გრძელი ანტენების სიუხვით გამოირჩევა. ამ ავტომობილზე დაყენებული სპეციალური რადიოელექტრონული აპარატურა გამოასხივებს რადიოტალღებს, რომლებიც ელვის უსწრაფესად ცვლიან სიხშირეებს. რადიოსიხშირეებზე „სირბილისას" ჩნდება დიდი შანსი, რომ ტერორისტის მიერ გაშვებული რადიოსიგნალი ჩაიხშოს და აფეთქებაც არ მოხდეს.

ამასთანავე, შეიძლება მოხდეს პირიქითაც

**თეთრი სახლი პრეზიდენტ სააკაშვილის პირად უსაფრთხოებაზე ზრუნვას აძლიერებს**

— რადიოსიხშირეების ჩამხშობი აპარატურა გახდეს მაპროვოცირებელი ჩადებული ასაფეთქებელი მოწყობილობის ინიცირებისა. მაგრამ იმის გამო, რომ ეს სპეციალური რადიოელექტრონული აპარატურა რამდენიმე ასეული მეტრის ან რამდენიმე კმ-ის რადიუსში მოქმედებს, „ჯოჯოხეთის მანქანის" წინასწარ აფეთქება პრეზიდენტის კორტეჟს ვერაფერს დააკლებს (თუმცა შეიძლება დაზარალდნენ უდანაშაულო გამვლელები).

სხვათა შორის, „ვარდების რევოლუციის" შემდეგ ვაზიანის ბრიგადაში პრეზიდენტი სპეციალური ანტენებით დახუნძლული დაჯავშნული „შევროლეს" ჯიპით მივიდა. ეს სპეცმანქანა თავის დროზე პრეზიდენტ შევარდნაძის კორტეჟში შედიოდა. ისე, ვინც ჩართული აპარატურით ასეთი ავტომობილით მოძრაობს, საკმაოდ მაღალ ელექტრომაგნიტურ დასხივებას იღებს.

თბილისელები, განსაკუთრებით კი საპრეზიდენტო ტრასის ახლოს მცხოვრებნი, მაშინ იგრძნობენ ამერიკული საჩუქრის ძალას, როდესაც პრეზიდენტის საავტომობილო კორტეჟის მიახლოებისას მათი ტელევიზორები „აურევენ".

ფარული კამერების აღმომჩენი დეტექტორები, ისევე, როგორც ჩასაფრებული სნაიპერების გამოსავლენი აპარატურა, დაახლოებით ერთი პრინციპით მოქმედებს.

ეს აპარატურა გარკვეული დიაპაზონის სიხშირეზე გზავნის ლაზერის სხივს და თუ მას გზაზე ლინზა შეხვდა, აირეკლება, უკან ბრუნდება და აპარატურის ინდიკატორი აჩვენებს იმ მიმართულებას, საიდანაც მოსალოდნელია საფრთხე.

ამ შემთხვევაში ლინზა შეიძლება ჰქონდეს როგორც ფარულად დამონტაჟებულ ვიდეოკამერას, ისე სნაიპერულ შაშხანაზე დაყენებულ ოპტიკურ სამიზნეს. თუმცა სულაც არ არის გამორიცხული, რომ ლინზების დეტექტორმაც ცრუ განგაში სათვალიანების გამოც ატეხოს.

რუსულ პრესაში ერთ დროს გავრცელდა ინფორმაცია, თითქოსდა რუსულმა ანტიტერორისტულმა დანაყოფმა რაღაც ამდაგვარი აპარატურა ჩეჩნეთის ერთ-ერთ სოფელში გამოსცადა და თანაც ლინზების დეტექტორი შეუერთა ქვეითთა საბრძოლო მანქანა БМП-2-ის ქვემეხის მოწყობილობას. საითაც მიბრუნდებოდა ლინზების დეტექტორი, БМП-ს ავტომატური ქვემეხიც იქითკენ „იყურებოდა" და საფრთხის აღმოჩენის შემთხვევაში ავტომატურ რეჟიმში ისროდა. როგორც ამბობენ, ამ სარისკო ექსპერიმენტის შემდეგ იმ ჩეჩნურ სოფელში ყველა სათვალიანი დაიღუპა.

საერთოდ, ქალაქის პირობებში, სადაც ბევრი სათვალიანი გამვლელი, ვიტრინა, სარკე, დაცვის ვიდეოკამერაა, ლინზების დეტექტორის გამართული მუშაობა ჭირს.

ამერიკელთა საჩუქრებში შეიძლება კიდევ ერთი უნიკალური სახის აპარატურაც იყოს. იგი, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივ კომპიუტერს ჰგავს, მაგრამ მასზე აწყობილი ნებისმიერი ინფორმაცია ამობეჭდვის შემდეგ ინარჩუნებს იდენტიფიკაციის უნარს. ანუ ვთქვათ, ჩვეულებრივი კომპიუტერიდან ვინმემ საიდუმლო სახის ინფორმაცია ამობეჭდა, ვერავინ გაიგებს, ეს რომელი კომპიუტერიდან მოხდა (როგორც ამბობენ, საიდუმლო ინფორმაციის ასეთი არასანქცირებული გზით გაჟონვა ქართველი ჩინოსნების კომპიუტერებიდან არცთუ იშვიათი მოვლენა ყოფილა), ახალი კომპიუტერის მიერ დასაბეჭდად გაშვებული ფურცლები კი სპეციალურ საიდენტიფიკაციო ნიშნებს შეიცავს, ქაღალდის დახევის და დაჭმუჭნის მიუხედავად, სპეციალისტს შეეძლება დაადგინოს, თუ რომელი კომპიუტერიდანაა იგი გამოშვებული.

## სამხედრო კალეიდოსკოპი

### ქუდია თუ ბოხოხია?!

ფაფახმა, კავკასიელი მეომრების ამ აუცილებელმა ატრიბუტმა, ჯერ კიდევ მეფის რუსეთის არმიაში მოიკიდა ფეხი.

ბოლშევიკების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ფაფახი ჯერ გააუქმეს, როგორც მეფის არმიის გადმონაშთი, შემდეგ დააბრუნეს (ისევე, როგორც სამხრეები), ომის შემდგომ პერიოდში საბჭოთა არმიის მხოლოდ მაღალ საოფიცრო კატეგორიას — პოლკოვნიკებსა და გენერლებს ჰქონდათ უფლება, ეტარებინათ ფაფახი ზამთარში.

1994 წელს პრეზიდენტმა ელცინმა კვლავ აკრძალა ფაფახის დახურვა, რის გამოც შორიდან გაჭირდა რუსეთის არმიის გენერლის ლეიტენანტისგან გარჩევა.

2005 წელს თავდაცვის მინისტრმა ივანოვმა პრეზიდენტ პუტინის თანხმობით, დააბრუნა ფაფახი. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, პრეზიდენტის ხელმოწერილ დოკუმენტში გამორჩათ რუსეთის შსს-ს შინაგანი ჯარებისა და ფედერალური უშიშროების სამსახურის მესაზღვრეთა გენერლები და პოლკოვნიკები. ასე რომ, ფაფახით თავს მხოლოდ რუსეთის თავდაცვის უწყების გენერლები და პოლკოვნიკები იწონებენ.

სხვათა შორის, კრაველის ფაფახის ტარების უფლება რუსეთის არმიაში ერთ-ერთ პრივილეგიად მიიჩნევა და ამ ტრადიციის გაუქმებამ მაშინ ბევრი გენერალი დაუპირისპირა პრეზიდენტ ელცინს.

### ამერიკელები ჯავშანჟილეტებს აუმჯობესებენ

ამერიკული ჯავშანჟილეტები, დაცვის ხარისხის მიხედვით, მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესოდ არის აღიარებული, მაგრამ პენტაგონმა მაინც გადაწყვიტა მათი გაუმჯობესება.

ამის აუცილებლობა მოიტანა ერაყსა და ავღანეთში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებმა. ამერიკელი სამხედროების სხეულის დაცვა უკეთესადაც შეიძლება.

ჯავშანჟილეტის გაუმჯობესება ითვალისწინებს ჯარისკაცის მხრებისა და გვერდების დაცვას დამატებითი კერამიკული დეტალებით. ექსპერტთა დაკვირვებით, ჯარისკაცების უმრავლესობას ტყვია ხვდება სწორედ სხეულის დაუცველ მონაკვეთებზე. თუკი ამერიკელი კონსტრუქტორები მოახერხებენ ჯავშანჟილეტის დაცვის ხარისხის გაუმჯობესებას ისე, რომ მებრძოლის მხრები და გვერდები დაცული აღმოჩნდება, მაშინ დაჭრის შედეგად სამხედროთა სიკვდილიანობა 80%-ით მაინც შემცირდება.

თუმცა, გაუმჯობესება გაზრდის ჯავშანჟილეტის მასას, რაც არასასურველია, რადგან მძიმე ჯავშანჟილეტიანი ჯარისკაცი შედარებით ნელა მოძრაობს და, შესაბამისად, ადვილად ხდება მტრის სამიზნე.


არ გამოგრჩეთ!

სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი




ყველაზე კაცური ჟურნალი არა მარტო მამაკაცებისთვის


არსენალი

## „რონალდ რეიგანი" ოკეანეში გადის

### ყველაზე დიდი ახალი ამერიკული ატომური ავიამზიდი



წყნარ ოკეანეში პირველად გასული ამერიკული ატომური ავიამზიდი CVN-76 „რონალდ რეიგანი" მსოფლიოში უდიდესი საბრძოლო ხომალდია

„მშვიდობა ძალის დახმარებით" — ეს იყო აშშ-ის მე-40 პრეზიდენტის რონალდ რეიგანის საყვარელი დევიზი და მსოფლიოში უდიდესი ატომური ავიამზიდის „რონალდ რეიგანის" დევიზად დარჩა.

საერთოდ, ეს ავიამზიდი პირველი ამერიკული ხომალდია, რომელსაც სახელი ჯერ კიდევ რეიგანის სიცოცხლეში მიენიჭა.

„რონალდ რეიგანი" ექსპლუატაციაში 2003 წლის ივლისში შევიდა, მაგრამ 18 თვის განმავლობაში სან-დიეგოს საზღვაო ბაზაში იდგა და მასზე უკანასკნელი სამუშაოები ტარდებოდა.

წლის დასაწყისშივე, 4 იანვარს, ავიამზიდმა საზღვაო გადასვლა დაიწყო წყნარი ოკეანის დასავლეთ რაიონში. აქ ის სათავეში ჩაუდგება საავიამზიდო დამრტყმელ ჯგუფს, რომელშიც მის გარდა შევა სარაკეტო კრეისერები, ფრეგატები და წყალქვეშა ნავები.

ავიამზიდი „რეიგანი" „ნიმიტცის" კლასის ავიამზიდებს განეკუთვნება და რიგით მე-9, ბოლოა. „რეიგანის" სრული წყალწყვა 102 ათას ტონაზე მეტია, რის გამოც ის ყველაზე დიდ და მსხვილ საბრძოლო ხომალდად არის აღიარებული.

ავიამზიდის სიგრძე 317 მ-ია, სიგანე 40,8 მ., თუმცა საფრენოსნო გემბანის გაბარიტები ამ მონაცემებს აღემატება, სიგრძე 333 მ (სამი ფეხბურთის მოედნის სიგრძე!), ხოლო სიგანე — 76,8 მ-ია.

ასეთი გრანდიოზული გაბარიტები საშუალებას იძლევა ავიამზიდზე განთავსდეს F-14-ის ტიპის 20 გამანადგურებელი თვითმფრინავი, 36 ცალი გამანადგურებელი-მოიერიშე F/A-18, რადიოელექტრონული ბრძოლის 4 თვითმფრინავი EA-6B, 4 საზღვაო „ავაქსი" — E-2C, 6 ცალი ხომალდსაწინააღმდეგო თვითმფრინავი S-3 და ამდენივე შვეულმფრენი სამაშველო სამუშაოებისთვის.

თანამედროვე „რეიგანზე" მოძველებული F-14-ის ნაცვლად F/A-18-ის რიცხვს ზრდიან, მომავალში კი ისინიც შეიძლება საზღვაო ბაზირების F-35-ებით ჩაანაცვლონ.

დამრტყმელი თვითმფრინავები ამერიკული ატომური ავიამზიდების მთავარი იარაღია, რომელიც თეთრ სახლს საშუალებას აძლევს, თავისი ძალისმიერი პოლიტიკა გაატაროს მსოფლიოს ამა თუ იმ რეგიონში, მიუხედავად იმისა, რამდენად არის დაცილებული შესაძლო საბრძოლო მოქმედებები ოკეანისა თუ ზღვის სანაპიროს.

*რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა*

# საახალწლო მივლინება



ამჯერადაც ვერ აიცილა დავითმა მივლინება. არადა როგორ უნდოდა, ახალ წელს შინ შეხვედროდა. მისმა გოგონამ ის-ის იყო ფეხი აიდგა და სახლში ყოფნას არაფერი ერჩივნა, მაგრამ სამსახური თავისას ითხოვდა და მასაც ზღვისპირა ქალაქში უკრეს თავი — „სადღესასწაულო დღეებში ადგილობრივი წესრიგის დამცველებისთვის დახმარების აღმოჩენის მიზნით" — ასეთი ფორმულირება ჰქონდა ბრძანების ასლს, რომელიც ახლა საერთაშორისო ვაგონის კუპეში წამოწოლილს გულის ჯიბეში ედო და ამ სულელური იდეის ავტორებზე ფიქრობდა.

— რა დახმარება, რის დახმარება, ჩავალ ახლა, დამავლებენ ხელს და მივლინებისთვის განკუთვნილ ხუთ დღეს სულს ამომხდიან ქეიფით. ასე რომ, აქეთ მე მოვცდები ჩემს კუდრაჭასთან ყოფნას, იქით ისინი თავიანთ საქმეს, მაგრამ ხელმძღვანელობასაც ხომ უნდა გავუგოთ. აბა, მე და ჩემისთანები თუ არ დაგვასაქმეს რაიონებში, ზემოთ, თავიანთ უფროსობას, როგორ უნდა გასცენ პასუხი კითხვაზე: — რა ღონისძიებებს ატარებთო საახალწლო ზეიმის დღეებში?

როგორც ფიქრობდა, ყველაფერი ისე აუხდა. ვაგონის კიბიდან პირდაპირ მანქანაში უკრეს თავი და სადღაც ზემოთ, სოფლისკენ გააქანეს.

— მოიცათ, მოიცათ, ოპერატიული სამსახურის უფროსები ხელქვეითებიანად აქ ხართ. განყოფილებაში აღარავინ დაგიტოვებიათ? — შეშფოთდა ამ კამპანიის შემხედვარე დავითი.

— როგორ არა, რაც მთავარია, ჩვენი მილიციის უფროსი, გალუსტოვიჩია ადგილზე. ორი ოპერმუშაკიც დავუტოვეთ, ყოველი შემთხვევისათვის. ვუთხარით, რომ მთებში უცნობი ბანდა თუ ბანდის რამდენიმე წევრი გამოჩნდა და ისე აწიოკებენ მოსახლეობას, რომ საწყლები შიშით მილიციამდეც კი ვერ მოდიან. გალუსტოვიჩმაც დააპირა წამოსვლა, მაგრამ ვურჩიე: ალბათ, იქ სროლაზეც მიდგება საქმე, შენ კი ხუთი შვილის მამა ხარ, რამე რომ მოხდეს, რით ვანუგეშოთ შენები. ჩვენ უცოლშვილო ხალხი ვართ, მარტო საკუთარ თავზე ვაგებთ-მეთქი პასუხს და დამიჯერა. ასეთი „დამყოლია" გალუსტოვიჩი, როცა საქმე ბათქაბუთქს ეხება. სამაგიეროდ, საქმე თუ გამოგვივიდა, მერე უნდა უსმინოთ უფროსებთან მაგის ტრაბახს, — როგორც ყოველთვის ხუმრობის ხასიათზე იყო ტატო. დავითმა იცოდა, რომ განყოფილებას ფაქტობრივად ის მართავდა. მისი უფროსი კი მხოლოდ ფულის კეთებით იყო გართული.

— გალუსტოვიჩმა ამას წინათ სახლი იყიდა. გაარემონტა კიდეც, მაგრამ ავეჯს ვერ შოულობს და ჭკუაზე აღარაა, ლამისაა შემჭამოს, გინდა თუ არა, „ლუდოვიკო" მაშოვნინეო. შევპირდი, იქნებ ამ დღეებში გაგიხერხო რამე, ხომ იცი, შარშანდელი ფონდები ამოიწურა, წლევანდელი კი ჯერ არ დაუმტკიცებიათ-მეთქი. როგორ ეკადრება გალუსტოვიჩს, ძველ ავეჯს ხომ არ გადაიტანს ახალ სახლში! მე ხომ ვიცი, ავეჯის მშოვნელი არ ვარ. არადა, კაცი ჩემს იმედადაა. ახლა თავს ვიტეხ, ის ავეჯის ფული როგორ დავახარჯვინო, რომ თუნდაც ერთხანს ჩამოვიცილო. ღმერთია მოწყალე, ალბათ, შემთხვევაც მომეცემა, — დაასრულა მონოლოგი ტატომ.

ამასობაში მანქანამ აღმართი აათავა და ტყის სიღრმეში მდებარე კოპწია აგარაკთან გაჩერდა. დავითმა აღტაცება ვერ დამალა.

— ოჰო, მართლაც მშვენიერია!

— ჯერ სადა ხარ, აბა, შიგნით შევიდეთ. ერთმა აქაურმა მოსკოველმა გააკეთა და საპატრონოდ ჩაგვაბარა. ჰოდა, ჩვენც ვპატრონობთ... რაც შეგვიძლია.

დეკემბრის უთოვლო, მაგრამ სუსხიანი სიცივის ფონზე სახლში თითქოს გაზაფხული იდგა. ლამაზად მორთულ საახალწლო ნაძვის ხეზე ნათურები ციმციმებდა. დარბაზის შუაგულში გაშლილ საახალწლო სუფრას ჩიტის რძეც არ აკლდა.

— ბიჭოს, მასპინძელი სადღაა? — იკითხა დავითმა. იმწუთას დარბაზის მოპირდაპირე მხარეს კარი გაიღო და ერთბაშად ხუთი მოკლეკაბიანი გოგო შემოცქრიალდა.

— ოჰო, ეს მართლაც საახალწლო ზღაპარია, ბიჭებო, მაგრამ თქვენ დაგავიწყდათ, რომ მე ცოლშვილიანი კაცი ვარ?

— თქვენი საქმეა, ამხანაგო მაიორო, შეგიძლიათ უარიც თქვათ, — ოფიციალურად მიმართა დავითს დიდი ხნის წინ გაშინაურებულმა ტატომ.

სამ დღეს გაგრძელდა ქეიფი. მეოთხე დილას დავითი აწრიალდა: — ასე არ გამოვა, ბიჭებო. ჩვენ აქ განცხრომაში ვართ, ამ დროს კი კაცმა არ იცის, რა ხდება ქვემოთ. ასე წაყრუებაც არ ივარგებს. უნდა წავიდეთ.

— მოდი, ასე ვქნათ, ტავარიშჩ მაიორ, ფეხით ჩავირბენ ქალაქამდე. გავიგებ, რა ხდება. თუ წასვლა იქნა საჭირო, მაშინ მანქანით ამოვალ და ყველას წაგიყვანთ, თუ არა და, დავრჩეთ კიდევ ორი დღე. რვა წელია ამ დაწყევლილ მილიციაში ვმუშაობ და ერთი დღე არ დამისვენია, — ხმა ამოიღო უფროსმა ოპერრწმუნებულმა მათემ. დავითს კი ცუდი წინათგრძნობა აწუხებდა. იცოდა, მოიკითხავდნენ და ტყუილის თქმა გაუჭირდებოდა, მაგრამ მათე ისე დაელრიჯა, უარი ვერ უთხრა. უფრო სწორად ფიქრობდა, — მათე ქალაქიდან სხვა განწყობით დაბრუნდება და მაინც წავალთო და დაყაბულდა. სამი დღე-ღამის განმავლობაში ნაქეიფარმა მათემ, ჯერ კიდევ რომ არ გამოწელებოდა სასმელი, ავტოსადგურიდან დაურეკა გალუსტოვიჩს:

— სადა ხართ, კაცო, როგორ მიდის ოპერაციის საქმე? გუშინ სამინისტროს მორიგემ აქაურობის ამბავი გამომკითხა, დავითთანაც უნდოდა საუბარი, მაგრამ ვუთხარი, მესამე დღეა მთებში ოპერაციაზე არიან-მეთქი. იმას მინისტრისათვის მოუხსენებია და, ეს წუთია, თვითონ მინისტრი მელაპარაკა, — როგორ მიდის ოპერაციის საქმეო. ასე არ შეიძლება, დროდადრო მაინც მომახსენეთ როგორ ვითარდება მოვლენები, — ხმის ამოღება არ აცალა მათეს მილიციის უფროსმა.

— გალუსტოვიჩს ვენაცვალე, საქმე ისე მიდის, თქვენ რომ გაგიხარდებათ. ჩონგურივითაა აწყობილი, კიდევ ორი დღეც და საღ-სალამათი დაგიბრუნდებით. ახლა კი გავრბივარ. ბიჭები ისეთ ადგილზე დავტოვე, სროლა რომ ატყდეს, გაუჭირდებათ. აბა, წავედი! — და ყურმილი დადო. მათემ ახლაღა შენიშნა, რომ ავტოსადგურის ბუფეტში, ზედ დახლის წინ, სუფრა გაეშალათ ახალგაზრდებს და შობა-ახალ წელს ულოცავდნენ ერთმანეთს. თვალი კი მოავლო, მაგრამ მაძებრის ყურადღებას რომ მიიქცევდა, მათ შორის ერთის მეტი ვერავინ შენიშნა. ის ერთიც წყნარად, თავისთვის იჯდა და ხმას არ იღებდა. მათემ ჯიბეზე გაიკრა ხელი, ფული მებუფეტეს დაუდო, — ბიჭებს შამპანური შეაშველეო და საფულე ისევ ქურთუკის შიგნით, შარვლის ჯიბეში ჩაიდო. მაგიდასთან მსხდომთ არ გამოპპარვიათ, როგორ გაიელვა მის ქამარში გარჭობილმა პისტოლეტმა. თუმცა ამაზე იმ ერთის გარდა ყურადღება არავის გაუმახვილებია. ის კი, ის ერთი, აქამდე წყნარად რომ იჯდა, თითქოს ახლა გამოერკვაო, ზეწამოიჭრა, მათეს მხარში სწვდა და უთხრა:

— ნაწყალობევად ჩაგითვლით თქვენს ძღვენს, ცოტა ხნით თუ არ ჩამოჯდებით ჩვენს სუფრასთან, — უთხრა და სკამი მიუმარჯვა. ნაბახუსევ მათესაც თავპატიჟი აღარ გაუდვია და ნაშუალამევს ბიჭებთან დაბრუნებულმა აღმოაჩინა, რომ პისტოლეტი აღარ ჰქონდა. ტაბელური იარაღის დაკარგვისათვის კი უარეს შემთხვევაში — ციხეა, უკეთესში — სამსახურიდან გაგდება.

— სასწრაფოდ უნდა ავიბარგოთ აქედან, — განაცხადა დავითმა.

ავტოსადგურში იმ დღესვე დაადგინეს, რომ პისტოლეტი მკვლელობისა და ყაჩაღობისთვის ძებნილს, ვინმე „გაბოს" ამოეცალა შამპანურით გამომთვრალი მათესთვის.

— სამი წელია გადაკარგულია და ახლა გამოჩნდა ახალი წლის მოსალოცად? ვის რაში სჭირდება ეგ ოხერი, ან რა სიკეთეს მოიტანს მაგის აქ გამოჩენა, — თავს იკლავდა [illegible] მილიციელის ერთდროული სტუმრობ[illegible] ფოთებული მებუფეტე.

— დაიმახსოვრეთ, ბიჭებო! ეს დღეები „გაბოს" დავდევდით ტყეში, ბოლო მომენტში გაგვისხლტა მამაძაღლი, მაგრამ ისეთი ინფორმაცია გვაქვს, უეჭველად დავიჭერთ. ხომ ხედავთ, ტყუილიც მათქმევინეთ. თუმცა, თქვენ რას გერჩით, ყველაფერი ჩემი ბრალია. „გაბო" კი მართლა უნდა დავიჭიროთ. მგონი, ორ მკვლელობასა და ათობით ყაჩაღობაში ედება ბრალი. ისიც ვიცი, რომ ერთხანს დონეცკში იმალებოდა, მაგრამ ვერ მოვიხელთეთ. ეტყობა, ამით გათამამდა და საახალწლოდ მშობლიურ ადგილებში მოინდომა გრიალი. ამ საღამოსვე მისი ახლობლების სახლებს მეთვალყურეობა დაუწესეთ. არ შეიძლება, არ გამოჩნდეს. ესეც იცოდეთ, — მაგნაირები იშვიათად მგზავრობენ ტაქსებითა და კერძო მანქანებით. ავტობუსში უფრო ნაკლებშესამჩნევები არიან, ასე რომ, ნურც ავტოსადგურს დავტოვებთ უყურადღებოდ. დღეს თვითონ დავზვერავ იქაურობას. უცხო ვარ და ვერ მიცნობენ.

დიდხანს იტრიალა დავითმა ავტოსადგურის ტერიტორიაზე. მართალია, ახლომახლო ბევრი ნასვამი ადამიანი ირეოდა, მაგრამ ახალი წლის პირველ დღეებში ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო. სამაგიეროდ ავტოსადგურს „ფხიზლად" დარაჯობდა ასევე მთვრალი, ჭარმაგი მილიციელი, რომელმაც მაშინვე მიიქცია აგრესიულობით დავითის ყურადღება. დავითმა იფიქრა, გავაგდებო, მაგრამ ამით თავს გასცემდა. მილიციელმა კი იმდენი ქნა, რომ პატარა ბიჭების შეძიძგილავების „დასაშოშმინებლად" პისტოლეტი იშიშვლა და ისეთი ბათქაბუთქი ატეხა, ავტობუსის მომლოდინე დაფეთებული მგზავრები გაქცევითღა შველოდნენ თავს. დავითი ჯიქურ მიეჭრა მილიციელს, იარაღიანი ხელი ამოუტრიალა, პისტოლეტი აართვა და ავტომანქანაში შეაგდო.

— მილიციის განყოფილებაში, — გადაულაპარაკა მძღოლს და რაკი მთვრალ მილიციელთან ლაპარაკს აზრი არ ჰქონდა, მისთვის წართმეული იარაღი შეათვალიერა.

— ბიჭოს! — შეიცხადა დავითმა, — ეს ხომ ის იარაღია, მათე ბიჭმა რომ დაკარგა გუშინ? — პისტოლეტზე ამოტვიფრული ნომერი და გამოშვების წელი ზუსტად ემთხვეოდა მათეს იარაღის რეკვიზიტებს. გვიან ღამით დაჰკითხა დავითმა მილიციელი.

— რა გქვია? ოთარი? ჰოდა, ოთარ, მგონი ხვდები, რაც დააშავე?

— ბატონო, ნუ დაიდებთ ჩემი შვილების ცოდვას, ოთხი ბალღი მყავს სარჩენი. აქედან რომ გამაგდოთ ან ციხეში გამიშვათ, ვინღა გამიკარებს მერე?

— არა, ოთარ, მე შენს სიმთვრალესა და სროლას არ ვგულისხმობ. იმას გედავები, ნაქურდალ იარაღს რომ ატარებ. იცი, რომ ის იარაღი მილიციის თანამშრომელს მოჰპარეს?

მკვდრისფერი დაედო მილიციელს.

— არც ვიცოდი, თუ იარაღი მილიციელისა იყო. ისე კი, თუ არ გამწირავთ, ყველაფერს ვიტყვი.

— მე კი გეტყვი, რომ უკვე ვიცი, მაგ იარაღის მომპარავის, მკვლელობასა და ყაჩაღობისთვის ძებნილი გაბოს ბიძაშვილი რომ ხარ და ამწუთასაც შენ ინახავ მკვლელს.

მილიციელი შეცბა, ამდენს აღარ ელოდა.

— აქაურებმა ყველაფერი იციან? დავღუპულვარ და ეს არის.

— არა, ეს ჯერ მხოლოდ მე ვიცი, მაგრამ თუ მიკიბვ-მოკიბვას დაიწყებ, ყველა შეიტყობს.

— არა, არ არის საჭირო. მართალია, „გაბოს" მე ვინახავ, მაგრამ ახლა რომ დაგაჭერინოთ, ნათესავები ჩამქოლავენ. ზეგ გორში წაიყვანენ, იქ ვიღაცის ნახვა უნდა, საღამოს კი მოსკოვში აპირებს გამგზავრებას. იქნებ აჯობოს, გორში დააკავოთ. თქვენს საქმესაც გააკეთებთ და მეც გადავრჩები უბედურებას, — გალახული ბავშვივით ლუღლუღებდა ოთარი.

— აგრე იყოს, ოღონდ მანამდე აქ დარჩები, როგორც დაკავებული. ასე აჯობებს შენთვის. „გაბომ" კარგად იცის, რისთვისაც დაგაკავეთ. სამაგიეროდ, აზრადაც არ გაივლებს, რომ მის ნაჩუქარ ნაქურდალ იარაღს მეორე დღესვე ჯიბეში ჩაიდებდი. იფიქრებს, სიმთვრალემ აამჩატა და სატაბელო იარაღიდან ისროდაო. ასე უცებ რომ გაგიშვათ, დაეჭვდება.

გალუსტოვიჩი თავს იკლავდა, პისტოლეტის გასროლისთვის რატომ აკავებთ ჩემს ერთ-ერთ საუკეთესო მილიციელსო, მაგრამ ამის თქმას დავითს ვერ უბედავდა. არადა, ყველა მისკენ იშვერდა ხელს.

იმ დილით დავითი მოსკოვს დაუკავშირდა.

— გვაქვს საშუალება, რომ ავიყვანოთ საკავშირო ძებნილი „გაბო", რომელიც ამ საღამოს მოსკოვში აპირებს გამომგზავრებას.

— სასურველია, მოსკოვამდე გამოაცილოთ, აქ კი ჩვენებს გადმოაბარეთ, — იყო პასუხი.

ხაშურში „გაბოს" კუპეს ვიღაც მხარბეჭიანი კახელი მიადგა. თან იმდენი სურსათ-სანოვაგე და სასმელი მიჰქონდა, თავის საბარგულში რომ ველარ ჩაატია, „გაბოს" სთხოვა, შენი საწოლის ქვეშ ჩამაწყობინეო და მალარიჩად ჩამოდგა ხუთვარსკვლავიანი კონიაკი და მრგვლად მოხარშული ვარია, რასაც მალე საცივიც შეაშველეს, გოჭიც და ასე გაგრძელდა მოსკოვამდე. დავითმა ადრევე დაიჭირა თადარიგი და იმ კუპეში სხვა მგზავრი არავინ შესულა.

კახელი კარგი ბიჭი გამოდგა. „გაბო" უკეთეს თანამგზავრს ვერც ინატრებდა.

— შენა, ჩემო ვასო (ასე გააცნო თავი გაბომ კახელს), — გულში არაფერი გაივლო. ე პურმარილი მართლა ძლვნად კი არ მიმაქ ვინმეთვინა. ჩემთვინ და კიდევ ჩემი მოსაწონი ხალხისთვინ წამოვიღე. მოსკოვამდეც გვეყოფა და იქაც შეგვინახამს ბარე ორი დღე, მერე კი ახალი ჩამოვა. აბა, რას მიკეთებენ ჩემი ბიჭები, საიდუმლოდ გეტყვი და მდიდრებს ვართმევთ რაღა. აბა, რა ვქნა, კაცო, ვმუშაობდი და დღეში ხუთ მანეთს მაძლევდნენ, მე კიდევა დილიდან საღამომდე ხუთი თუმნის მარტო საჭმელი არა მყოფნის.

„გაბოს" სასმელი თავში რომ გაუჯდა, ისიც ტრაბახის ხასიათზე მოვიდა და ჯიბიდან ოცდახუთმანეთიანების რამდენიმე დასტა დააძრო:

— მეც აგრე ვცხოვრობ, ჩემო თედო, არც ერთი დღე არ მიმუშავია. ეს ფულიც გორში დამახვედრეს ჩემმა ბიჭებმა. ორ ამდენს სოხუმში მიფეშქაშებენ. იციან, თუ გამიჭირდა, იმათაც გაუჭირდებათ, ამიტომაც მევლებიან თავს. შენი სადღეგრძელო იყოს, ჩემო თედო.

ვასო, ანუ იგივე „გაბო" ერთი კაცის სამყოფს კი სვამდა, მაგრამ თედოს რას უზამდა. კახეთში მისი დამთრობი კაცი არ იყო. ახლაც ისე ადვილად იმთვრალებდა თავს, თითქოს დავითს არ დაერიგებინოს, ასე მოიქეციო. გეგმის მიხედვით, როცა „გაბო" ძილად მიეგდებოდა, თედო მეორე ვაგონში გადადიოდა და დავითსა და ტატოს საქმის ვითარებას წვრილად მოახსენებდა ხოლმე. ორი დღისა და სამი ღამის განმავლობაში თედომ სულ ჩამოაკაკვლინა „გაბოს" ჩადენილი დანაშაულები. ყველაზე მძიმე დანაშაულები მოსკოვში ჩაედინა. თუმცა სიტყვაც ვერ დააცდენინა თანამონაწილეების შესახებ. მოსკოველ კოლეგებთან შეთანხმებით გადაწყდა, რომ „გაბოს" კიდევ რამდენიმე დღის განმავლობაში არ აიყვანდნენ. თუმცა კონტაქტს ძებნილთან თედო არ გაწყვეტდა.

— მოსკოვში შევდივართ, ვასო. მე აქ შენოდენა საძმაკაცო არა მყავს. სამაგიეროდ, ქალების სიმცირეს არ ვუჩივი. ჩემი თავი გენაცვალოს, აი ერთ-ერთი მათგანის ტელეფონის ნომერი. თუ გაგახსენდები, შემეხმიანე. პირველივე დაძახებაზე შენთან გავჩნდები.

— მოიცა, თუ ძმა ხარ. არსადაც არ გიშვებ. ეგ შენი ბარგი ვისაც გინდა, გადაულოცე, აქ მე ვარ მასპინძელი, — და თედოც გაჰყვა ვასოს... მოსკოვის „ტორპედოს" საწვრთნელ ბაზაზე, რუსულ აბანოში.

— გაიცანით, ჩემი ძმაკაცია. კარგი ბიჭია, ნაღდი. ხომ იცით, კაცის ცნობა არ მეშლება, თავით ვაგებ პასუხს...

თედო მიხვდა, ვასოს აქ დიდ პატივს სცემდნენ, თორემ ასე ჰაიჰარად ამნაირ ადგილზე ვიღაც უცხოს მიყვანას არ მოუწონებდნენ. ორი ქართველი, „კანონიერი ქურდი" ნახა იმ დღეს თედომ აბანოში, ექვსიც რუსი და ორი უკრაინელი „ზაკონნიკი". ქართველებმა გამოცდა დაუპირეს თედოს.

— ჩვენიანებიდან ვისთან ახლობლობ, ძმაკაც? — ჰკითხა ერთ-ერთმა.

— რა ვიცი, აბა? ყველასთან, ვინც შემხვდება, ისე კი, მე ერთი გლეხი კაცი ვარ, ქურდული კანონებისა ბევრი არა გამეგება რა. თუ ვნახე, ვიღაცას ბევრი ფული აქვს, მივალ და წავართმევ. აბა, მე თქვენთან სად მოვალ? იმითაც კმაყოფილი ვარ, ჯიბის ფული თუ არ შემომაკლდება.

არადა ჯიბის ფული მარტო თედოს კი არა, დავითსა და ტატოსაც შემოაკლდათ და მართლაც გაუჭირდებოდათ, ტატოს რომ გალუსტოვიჩის ავეჯის ფული არ გახსენებოდა. იმავე საღამოს დაურეკა მილიციის უფროსს.

— ჩვენთან, რაიონში დაწყებული ოპერაცია წარმატებით გრძელდება მოსკოვში და ხვალზეგ დასრულდება. დავითმა თქვა, წასახალისებელთა სიაში პირველი გალუსტოვიჩი უნდა ჩავწეროთ, რადგან მისი თანადგომის გარეშე ამხელა საქმეს ვერ გავქაჩავდითო. ჰო, მართლა, გუშინ ავეჯის მაღაზიები შემოვიარე. გადატენილია ევროპული ავეჯით. რამდენიმე საათით რომ ჩამოფრინდებოდეთ, გალუსტოვიჩ, თქვენთვის სასურველ ავეჯს შეარჩევთ და გამოგზავნა ჩემზე იყოს, გელოდებით.

**P. S.** გალუსტოვიჩი მეორე დღესვე ჩაფრინდა მოსკოვში. კიდევ სამი დღის შემდეგ კი თვითმფრინავის ბილეთი და ორმოცდაათიოდე მანეთიღა ედო ჯიბეში. სამაგიეროდ, დავითმა და ტატომ იქაური კოლეგებისგან აღებული ვალები გაისტუმრეს (რა თქმა უნდა, გალუსტოვიჩის ფულით) და ორი ქართველი ქურდიც გამოაყოლეს ხელს. „გაბო" კი „ბუტირკაში" დაიტოვეს მოსკოველებმა, — აქ გავასამართლებთო.

ჰო, მართლა, დამნაშავეების აყვანისას თედო „ადგილზე არ აღმოჩნდა", — საყიდლებზე გაეგზავნათ ქურდებს (ესეც დავითის დამუშავებული სცენარის ერთი დეტალი გახლდათ). ისე კი „გაბომ" ვიღაც „პრესტუპნიკი" ჩაუშვა, მაგრამ სახელის მეტი ვერაფერი გაიხსენა და აღარც გამოძიება „დაინტერესებულა" ამ კაცით.

თედო მიხვდა, ვასოს აქ დიდ პატივს სცემდნენ, თორემ ასე ჰაიჰარად ამნაირ ადგილზე ვიღაც უცხოს მიყვანას არ მოუწონებდნენ. ორი ქართველი, „კანონიერი ქურდი" ნახა იმ დღეს თედომ აბანოში, ექვსიც რუსი და ორი უკრაინელი „ზაკონნიკი". ქართველებმა გამოცდა დაუპირეს თედოს.

*ვაჟა გაგაშელი*

# საქართველო — სახელოში დამალული მეხუთე ტუზი?!

## „გაშიფრულ გეგმას ალარავინ აგრძელებს“

ამ ცოტა ხნის წინ ერთმა ქალბატონმა დაგვირეკა და შეხვედრა გვთხოვა: „კვირის პალიტრაში“ გამოქვეყნებული წერილი წავიკითხეთ, სადაც საქართველოში ირანული რელიგიური სკოლების გახსნაზეა ლაპარაკი. ასეთი სკოლა ჩვენს უბანშიც იხსნება და გვინდა ამ თემაზე გესაუბროთო...

შეგახსენებთ, რომ ის ირანული რელიგიური სკოლები იგულისხმება, რომელთა გახსნა აზერბაიჯანმა კატეგორიულად აკრძალა, რის შემდეგაც რელიგიური ცენტრის მესვეურებმა საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებში სცადეს ფეხის მოკიდება და როგორც ჩანს, შეძლეს კიდეც: დღეს საქართველოს მოქალაქე აზერბაიჯანელები ბევრ ისეთ რელიგიურ რიტუალს მართავენ, თვით ისლამურ აზერბაიჯანშიც რომ ვერსად შეხვდებით.

რა მიზანს ემსახურება საქართველოში ასეთი რელიგიური ცენტრის შექმნა, ამაზე ცოტა ქვემოთ მოგახსენებთ. რაც შეეხება ქალბატონს, რომელმაც ამ საკითხთან დაკავშირებით გვთხოვა შეხვედრა, იგი თბილისში, ზემო ვეძისის დასახლებაში მცხოვრები ლალი ქადაგიშვილი აღმოჩნდა: — არ გეგონოთ, აზერბაიჯანელებისა და მათი რელიგიის საწინააღმდეგო გვქონდეს რამე. ეს ხალხი იმდენი ხანია ცხოვრობს ჩვენ გვერდით, რომ მათ რელიგიურ შევიწროებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. მაგრამ საკითხი, რომელზეც გვინდა გესაუბროთ, ნამდვილად ღირს დაფიქრებად. „კვირის პალიტრაში“ რომ წავიკითხეთ ზემოვეძისელებმა, როგორ გამოაძევეს ირანული რელიგიური ცენტრი აზერბაიჯანიდან, ბევრი რამ გვენიშნა.

ჩვენს უბანში 2003 წლის ზაფხულში დაიწყეს გრანდიოზული მშენებლობა. რომ ვიკითხეთ, რისთვის იყო გათვალისწინებული შენობა, გვითხრეს, აქ მეჩეთსა და მედრესეს მამა-შვილი ბაირამოვები აშენებენო. რომ გავაპროტესტეთ, უცებ გადათქვეს, ეს საცხოვრებელი სახლი იქნებაო.

**— მეჩეთის აშენება საქართველოში აკრძალულია?**

— საქმე ის არის, რომ ჩვენს უბანში უკვე ათი წელია მოქმედებს მედრესე — აზერბაიჯანელების რელიგიური სასწავლებელი. ახალი შენობის მშენებლობა ზუსტად მის გვერდით წამოიწყეს. რა საჭიროა ერთმანეთის გვერდით ორი სასწავლებლის არსებობა? ამ კითხვამ ისეთ პასუხამდე მიგვიყვანა, შეიძლება დაუჯერებელიც კი გეჩვენოთ. ამასაც მალე მოგახსენებთ. ჯერ მინდა თვითონ უბანში შექმნილი სიტუაცია გაგაცნოთ:

აზერბაიჯანელებს ბავშვები მედრესეში 10-12 წლიდან შეჰყავთ. ვერ წარმოიდგენთ, მედრესეს ამოქმედებიდან ხუთი წლის მერე რა აგრესია გამოხატეს იქ ნასწავლმა ახალგაზრდებმა ქართველების მიმართ. არადა მანამდე უბანში ქართველები, ოსები და აზერბაიჯანელებიც მეზობლურად და ტკბილად ვცხოვრობდით. სწორედ მედრესეს ამუშავების შემდეგ დაიწყო აგრესიული გამოხდომები.

**— აგრესია რით გამოიხატება?**

— ხშირად ქვებს ესვრიან ჭიშკრებს და ნაგავს ეზოში გვიყრიან. რამდენჯერმე გავაფრთხილეთ, მაგრამ მაინც არ იშლიან.

**— ქვები ჭიშკარს შეიძლება ბავშვმაც ესროლოს და ნაგავიც გადმოყაროს. რელიგიური ფორმით თუ გამოიხატება აგრესია?**

— სწორედ ეს არის მთავარი. აზერბაიჯანელი კაცი, რომელიც ადრე უბატონოდ ხმას არ გვცემდა, უცბად რომ გეუბნება, აქედან უნდა წახვიდე, რადგან აქ მეიდანის გაკეთება გვინდაო, რა უნდა იფიქრო?

ხომ ვიცოდით, რომ თვით ისლამური რელიგიისთვისაც კი არატრადიციული რელიგიური სკოლა შენდებოდა. საძირკვლის ჩაყრაზე ასობით მუშა მუშაობდა. უცხოეთიდან ჩამოიყვანეს სასულიერო პირები, შესაბამისი ცერემონიალი ჩაატარეს და ყველაფერი ეს ვიდეოფირზეც გადაიღეს. ჩვენ საკითხის გარკვევამდე მოვითხოვეთ მშენებლობის შეჩერება. მათ კი აქეთ დაგვადანაშაულეს: ჩვენ საცხოვრებელ სახლს ვიშენებთ და თქვენ ხელს გვიშლითო. მაშინ შევთავაზეთ: ხელწერილი მოგვეცით, რომ მართლაც საცხოვრებელ სახლს აშენებთ-თქო, მაგრამ უარი თქვეს.

მართლაც მეჩეთი რომ ყოფილიყო, არც დავუშლიდით. რა უფლება გვაქვს აქ მცხოვრებ აზერბაიჯანელებს ლოცვა ავუკრძალოთ, მაგრამ ჩვენ ბევრი რამ მოვიკვლიეთ და გაირკვა, რომ მშენებლობას თურქები აფინანსებენ და მასში აქაური მაღალჩინოსნებიც არიან ჩარეული. ერთ-ერთ აქციაზე ვაკე-საბურთალოს გამგებელს უთხრა ბაირამოვმა: შენ ზემოთ დაგიბარებენ და რაც მოგივა, თავს დააბრალეო. ზურგი რომ არ ჰქონოდა, ასეთ რამეს ეტყოდა გამგებელს ისეთი კაცი, ვაჭრობის მეტი რომ არაფერი იცის? ურუჯალა ბაირამოვი, როგორც ყველა აზერბაიჯანელი, შიიტი იყო. ერთხელ უბანში თქვა, — 80-იან წლებში სირიაში ვმუშაობდი და იქ ნაშოვნი ფულით ვაშენებ ამ სახლსო. რამდენი უნდა ეშოვა 80-იან წლებში სირიაში, რომ ეს უზარმაზარი მშენებლობა წამოეწყო? რაც სირიიდან დაბრუნდა, სხვა რელიგიის მქადაგებელი გახდა: ის რელიგია არ ვარგოდა, ახლა ვეზიარე ჭეშმარიტ სარწმუნოებასო და რამდენიმე ოჯახიც კი მოაქცია. ეს „ახალი რელიგია“ ისლამური სუფიზმია, რომელმაც საუკუნეების შემდეგ სათავე დაუდო ვაჰაბიზმს. აი, ამ სწავლების დანერგვას ცდილობენ საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებში. სხვათა შორის, ბევრი აზერბაიჯანელისთვის ეს მიუღებელია, თუმცა ხმას ვერ იღებენ.

**— ოფიციალური პირები თუ დაინტერესდნენ ამ მშენებლობით?**

— უშიშროებიდან მოვიდნენ და გვითხრეს: გაიგეთ საიდან ფინანსდებიან, ვინ დგას ამის უკან და მერე ჩვენ მივხედავთო(?!). რამდენჯერმე ვიყავით თბილისის საკრებულოს დეპუტატთან — ნოდარ ახმედოვთან. გვითხრა: აზერბაიჯანის საელჩოში ვიყავი და იქ მითხრეს, ჩვენ ასეთი ხალხი აზერბაიჯანიდან გამოვაძევეთო.

...ზემოვეძისელებმა მიზანს მიაღწიეს — სასამართლოს გადაწყვეტილებით მშენებლობა შეჩერდა და გაგრძელდება თუ არა, ეს სამომავლოდ ისევ სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, რომელიც როგორც ჩანს, გაჭიანურდება, — როგორც ჩვენთან საუბრისას მშენებლობის თავკაცებმა თქვეს, ახლა ისინი შეიტანენ საპასუხო სარჩელს და ზარალის ანაზღაურებას მოითხოვენ.

*ელგარ ბაირამოვი:* — ბრალი დაგვდეს, ვითომ მედრესეს თუ რაღაცას ვაშენებთ. მე, ჩემი ძმა და ბიძაშვილი ვაშენებდით სამსართულიან სახლს, ყველას ერთად უნდა გვეცხოვრა. ეს აქციები რომ დაიწყეს, ჩემს ბიძაშვილს ნერვებმა უმტყუნა და მშენებლობაზე უარი თქვა. ახლა მარტო მე და



ჩემი ძმა ვიშენებთ ორსართულიან სახლს.

**— თქვენი მოწინააღმდეგეები ამტკიცებენ, რომ აქ რელიგიური სკოლა უნდა გაიხსნას.**

— რახან ვლოცულობ, შეიძლება მეჩეთის აშენება დამაბრალონ? საძირკველს რომ ვასხამდით, მაშინ მოლამ დაგვილოცა მშენებლობა. თქვენც ხომ იმავეს აკეთებთ ხოლმე? ამიტომ უნდა დამაბრალონ მეჩეთის გახსნა? ზარალში რომ ჩამაგდეს და მშენებლობა გამაჩერებინეს, ახლა მე უნდა ვუჩივლო...

ერთი სიტყვით, ელგარ ბაირამოვი კატეგორიულად უარყოფს რელიგიური დანიშნულების შენობის აგებას. სამაგიეროდ, ზემოვეძისელები საპირისპიროს ამტკიცებენ.

*ლერი გოგოლაური:* — სამშენებლო მასალების შემოტანა რომ დაიწყეს და ჩვენი ისედაც ვიწრო ქუჩები გადათხარეს, მაშინ მუშებიც კი ამბობდნენ, მეჩეთს ვაშენებთო. სხვათა შორის, ბევრი ჩვენი უბნელი აზერბაიჯანელიც წინააღმდეგი იყო: იქ ჩვენს შვილებს არ მივიყვანთ, ეს ჩვენი რელიგიის გადაგვარებააო. წინააღმდეგობა რომ გავუწიეთ, მხოლოდ ამის შემდეგ მოიმიზეზეს სახლის მშენებლობა.

საკრებულოს წევრის, ნოდარ ახმედოვის თქმით, ინფორმაციას თურქეთის საელჩოში გადაამოწმებს.

— აზერბაიჯანის საელჩოში ამაზე არაოფიციალური საუბარი მქონდა, — ამბობს საკრებულოს წევრი, — ამიტომ კომენტარს ვერ გავაკეთებ, მაგრამ რამდენიმე დღეში თურქეთის ელჩთან შეხვედრისას განვიხილავ ამ საკითხს...

...კომენტარის გაკეთებისგან სხვა ოფიციალური პირებიც თავს იკავებენ. საინტერესოა, რა საჭიროა თურქეთის საელჩოში მშენებლობის საკითხის გადაწყვეტა, თუკი ეს მართლაც საცხოვრებელი სახლია და არა ის, რაზეც ზემოვეძისელებს ეჭვი აქვთ?

როგორც კომპეტენტურ წრეებს მიაჩნიათ, ამ მშენებლობის გარშემო კიდევ ბევრი ვნებათაღელვაა მოსალოდნელი. სპეცსამსახურების ექსპერტი კობა ცერცვაძე ასეთ ვერსიას გვთავაზობს: — ამ პრობლემის აზერბაიჯანთან დაკავშირება და იმის თქმა, რომ ის ხალხი იქიდან გამოყარეს და ამის შემდეგ საქართველოში ცდილობენ ფეხის მოკიდებას, არ შეიძლება. კონკრეტულ შემთხვევაში მაინც სხვა გარემოებასთან უნდა გვქონდეს საქმე.

**— მაინც?**

— თუკი აქ სუნიტური (სუფიზმიდან გამომდინარე მიმდინარეობა) ტაძარი შენდება, ირანულ რელიგიურ ცენტრთან მისი დაკავშირება არ შეიძლება, რადგან ცენტრი შიიტური ისლამის გაძლიერებას ცდილობს. ამ მიმდინარეობას კი არაფერი აკავშირებს სუნიზმთან და აქედან გამომდინარე — ვაჰაბიზმთან. ჩვენი მეზობელი ქვეყნები ხომ არ ცდილობენ ისლამის მიმდევართა შორის ძალების დაბალანსებას და სუნიტური მიმდინარეობის გაძლიერებას? სწორედ ეს საკითხი მოითხოვს გაანალიზებას.

**— ძალების დაბალანსება რა მიზანს ემსახურება?**

— გეოსტრატეგიული მდებარეობის გამო საქართველო უცხოეთის სპეცსამსახურების სამიზნედ რომ არის ქცეული, ეს ყველასთვის ცნობილია. „სამიზნედ ქცევა“ სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენს ქვეყანაში ვინმე დივერსიებს თუ ტერაქტებს გეგმავს. ლაპარაკია გრძელვადიან სამოქმედო გეგმებზე, რისთვისაც არც ფულს იშურებენ და არც გარჯას. ამ შემთხვევაში კი, როცა შიიტური ირანისადმი არცთუ კეთილმოსურნედ განწყობილი სუნიტი ისლამისტები ხედავენ, როგორ ცდილობს ირანი აზერბაიჯანსა თუ საქართველოს აზერბაიჯანელებში რელიგიური კონტროლის დანესებას, თვითონაც შეეცდება ამ რეგიონში თავისი ზეგავლენის გავრცელებას. შეიძლება ვინმეს ეს ამბავი უმნიშვნელოდ მოეჩვენოს, მაგრამ დღევანდელი მსოფლიოს პირობებში, სადაც ხელახალი პოლიტიკური გადანაწილება მიმდინარეობს, ამას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ირანის ზურგს უკან რუსეთი დგას. თუკი ირანს რაიმე დაემუქრება, ბევრ სხვა მექანიზმთან ერთად მას პრომერიკულ საქართველოში რელიგიურ ნიადაგზე არეულობის გამოწვევაც შეეძლება. ამის შემდეგ საქართველო ამერიკისთვის აღარ იქნება მომგებიანი სამხედრო პარტნიორი. და პირიქით, — თუკი სუნიტები შეეცდებიან აქაურ აზერბაიჯანელებში ვითარების გაკონტროლებას, მაშინ სხვადასხვა მიზნით ამ ხალხის გამოყენებასაც მოახერხებენ. ჟარგონით რომ ვთქვათ, საქართველო სახელოში დამალულ მეხუთე ტუზად უნდათ აქციონ. ამიტომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ასე არ მოხდეს. რაც შეეხება ზემონახსენებ შემთხვევას! ვფიქრობ, რისი აშენებაც უნდა ყოფილიყო ზემო ვეძისში დაგეგმილი, ამიერიდან, მოსახლეობის პროტესტის შემდეგ, მიზნის მიღწევა გაუჭირდებათ და ეტყობა, ბაირამოვებს ბოლოს მართლაც სახლი შერჩებათ ხელთ. ასეა, — გაშიფრულ გეგმას აღარავინ აგრძელებს.

P.S. იმედია, შესაბამისი სამსახურების ჩარევის შემდეგ ზემო ვეძისში და საერთოდ, ქვეყანაში, უცხო ქვეყნების მალული გეგმები ვერ განხორციელდება. ამით ქვეყანაც მოიგებს და საუკუნეების განმავლობაში ერთმანეთის გვერდით მცხოვრები ქართველები და არაქართველები ისევ ტკბილად და კეთილმეზობლურად იცხოვრებენ, როგორც აქამდე ცხოვრობდნენ.

*დავით დევიძე*

# „საქართველოს ტელეკომი“ —

## „ქართული ხარისხის“ მფლობელი და „ბრენდი ლიდერი“



***2006 წელს „საქართველოს ტელეკომი“ თავის საქმიანობას წარმართავს საგანგებო ხარისხის ნიშნით, რომელიც მას მიენიჭა ფონდი „ქართული ხარისხის“ მიერ. თავის მხრივ, „ქართული ხარისხი“, დიდი ხანი არ არის, რაც გაწევრდა „ევროპის ხარისხის“ ორგანიზაციაში, რაც ერთიორად ზრდის ამ მაღალი შეფასების მნიშვნელობას.***

***ასევე, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტო „პროფილის“ მიერ ჩატარებული ქართული სავაჭრო ნიშნების კვლევის შედეგად, „საქართველოს ტელეკომმა“ გაიმარჯვა ნომინაციაში „ბრენდი ლიდერი“.***

რა კრიტერიუმებით იქნა „საქართველოს ტელეკომი“ გამორჩეული სხვა საერთაშორისი ოპერატორებისაგან; რამ განაპირობა მისი საუკეთესო ხარისხის კომპანიად და „ბრენდ-ლიდერად“ გამოცხადება აღიარებული და კომპეტენტური შემფასებლების მიერ, ამასთან დაკავშირებით გვესაუბრება „საქართველოს ტელეკომის“ გენერალური დირექტორი ბ-ნი **ოთარ ზუმბურიძე**:

— „საქართველოს ტელეკომი“ პირველი საერთაშორისო და საქალაქთაშორისო სატელეკომუნიკაციო ოპერატორია საქართველოში — ქვეყანაში მოქმედ ასობით ქართულ და უცხოურ ორგანიზაციასთან მუშაობის 12-წლიანი გამოცდილებითა და მუდმივი განვითარების რეალური შესაძლებლობებით.

„საქართველოს ტელეკომი“ არის მსოფლიოს სატელეკომუნიკაციო სფეროში აღიარებული პრესტიჟული კომპანია, შეულახავი რეპუტაციითა და მაღალი პროფესიონალიზმით, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, მსოფლიოს წამყვან — ევროპულ და ამერიკულ სატელეკომუნიკაციო კომპანიებთან არსებულ პარტნიორულ ურთიერთობებზე დაყრდნობით.

კომპანიის მისიაა ადეკვატურად უპასუხოს სატელეკომუნიკაციო მომსახურების მაღალ სტანდარტებზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ მოთხოვნებს, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების ყველასთვის ხელმისაწვდომობის პრინციპზე დაყრდნობით.

კომპანიის მიზანია ჩამოაყალიბოს პარტნიორული და სტაბილური ურთიერთობები თითოეულ ფიზიკურ თუ კორპორაციულ მომხმარებელთან.

დიდი ხანი არ არის, რაც დასრულდა „საქართველოს ტელეკომის“ პრივატიზაცია. სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული 51-პროცენტიანი წილის, ერთიანობაში კი 81 პროცენტის მფლობელი გახდა ამერიკული კონცერნი „Metromedia International Group, Inc.“-ი (კონკრეტულად მისი შვილობილი კომპანია „International Telcell Inc.“-ი), რომელსაც გააჩნია აღმოსავლეთ ევროპისა და შუა აზიის სატელეკომუნიკაციო სივრცეში მოღვაწეობის უდიდესი გამოცდილება, რომელიც კარგად იცნობს საქართველოს შესაბამის ბაზარს და წლების მანძილზე არის მისი წარმატებული მონაწილე.

1994 წელს, სწორედ „მეტრომედია“ გახლდათ ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი პირველი ქართული საერთაშორისო ოპერატორის შექმნისა, „საქართველოს ტელეკომის“ სახით, რის შემდგომაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველად გახდა შესაძლებელი საერთაშორისო სამყაროსთან პირდაპირი (შუამავალი რგოლის გარეშე) სატელეფონო კავშირის დამყარება.

„საქართველოს ტელეკომი“ ფლობს, თამამად შეიძლება ითქვას, საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ და თანამედროვე სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურას — თბილისში განთავსებული „სიმენსის“ წარმოების საქალაქთაშორისო და საერთაშორისო სატელეფონო სადგური; ციფრული რადიო-სარელეო ხაზი თბილისი-ქუთაისი-ფოთს შორის, შუალედურ პუნქტებში კავშირის 2 მგბტ/წმ არხების ორგანიზების საშუალებით; თანამგზავრული თანამედროვე სადგურები და კავშირები ოპტიკურ-ბოჭკოვანი არხებით მთელ რიგ კომპანიებთან, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. თანამედროვე ტანდემი და მაღალტექნოლოგიური მართვისა და აღრიცხვის სისტემები...

„საქართველოს ტელეკომი“ თანამშრომლობს მსოფლიოს ისეთ გიგანტ ოპერატორებთან, როგორიცაა MCI, DEUTCHE TELECOM, TURK TELECOM, OTE და სხვა.

კომპანია ძლიერია მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით, მაღალი დისციპლინითა და გუნდური მუშაობის კულტურით.

საერთაშორისო და საქალაქთაშორისო სატელეფონო საუბრების უმაღლესი ხარისხი




„საქართველოს ტელეკომის“ ცალსახა უპირატესობაა. კომპანიაში მუდმივად მიმდინარეობს ტექნიკურ-ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფა, რათა ოპერატორმა არა მარტო შეინარჩუნოს, არამედ გააუმჯობესოს და დახვეწოს საერთაშორისო სატელეფონო კავშირების მაღალი ხარისხის სტანდარტი.

დღესდღეობით მაქსიმალურად მობილიზებულია როგორც ადგილობრივი ტექნიკური რესურსები, ისე კავშირები უცხოურ ოპერატორებთან, რათა „საქართველოს ტელეკომის“ კოდებით 8-10-ითა და 8-100-ით სარგებლობისას მომხმარებელს გარანტირებული ჰქონდეს სწრაფი დაკავშირება და უხარვეზო სმენადობა.

ამასთან, კომპანიისათვის მეტად აქტუალურია, რათა კლიენტს შეუქმნას მომსახურების სრული პაკეტი და შესთავაზოს არა მარტო ხმოვანი ინფორმაციის, არამედ მონაცემთა მაღალხარისხოვანი გადაცემაც. შესაბამისად, უახლოეს მომავალში „საქართველოს ტელეკომის“ მომხმარებლები, ISDN ტექნოლოგიის პარალელურად, შეძლებენ DSL ტექნოლოგიების უახლესი ფორმებით სარგებლობას.

პარალელურად, „საქართველოს ტელეკომში“ მიმდინარეობს „ხარისხის მართვის სისტემის“ დანერგვის პროცესი, რისი მიზანიც გახლავთ კომპანიის მენეჯმენტის მაქსიმალური ეფექტიანობის მიღწევა.

დღეს, „საქართველოს ტელეკომის“ პრიორიტეტია საერთაშორისო სატელეფონო მომსახურების მაქსიმალური ორიენტირება მომხმარებლის მოთხოვნებზე. აღნიშნული მოთხოვნა კი სატელეფონო კავშირების ხარისხის გარდა, მომსახურების ხარისხსაც გულისხმობს. სწორედ ამ მიზნით კომპანიაში დასრულდა მომხმარებელთა მომსახურე პერსონალის საკვალიფიკაციო მზადება პროგრამა „სერვის პლუსის“ ფარგლებში და მოდერნიზაცია განიცადა კომპანიის სერვისცენტრებმა.

ამდენად, „საქართველოს ტელეკომში“ ანგარიშსწორების პროცესი, დღესდღეობით, მაქსიმალურად სწრაფი და კომფორტულია. არჩევანის შემდეგ, თუ სად გადაიხადოს მომხმარებელმა დავალიანება: „საქართველოს ტელეკომის“ თანამედროვე სერვისცენტრში, გატანილ საანგარიშსწორებო პუნქტში თუ ახლომდებარე ბანკის ფილიალში, მას ოპერატიულად მოემსახურება საგანგებოდ მომზადებული და ინფორმირებული პერსონალი. მათ კი ვისაც სახლიდან გაუსვლელად სურთ დავალიანების დაფარვა, შეუძლიათ მიმართონ ინტერნეტ-ანგარიშსწორებას ან საბანკო ანგარიშიდან აწარმოონ პირდაპირი გადარიცხვები. ასეთ შემთხვევაში ასევე ხელსაყრელია წინასწარ შეძენილი „ტელეკომბარათები“.

*ყოველივე ეს გვაძლევს უფლებას, ვთქვათ, რომ „საქართველოს ტელეკომი“, ძლიერ კონკურენტულ გარემოშიც კი, ინარჩუნებს ყველაზე პრესტიჟული და ძლიერი ოპერატორის იმიჯს, შესაბამისად, სატელეკომუნიკაციო ბაზრის სოლიდურ წილს.*

***„საქართველოს ტელეკომის“ საინფორმაციო სამსახური*** R

# ახალი წლის ანგელოზი

ძველით ახალი წლის შეხვედრას განსაკუთრებული ხიბლი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აქვს. დიდი ქალაქის ხმაურს მირჩევნია სოფლელ ნათესავებთან ერთად ბუხრის წინ განყობილ ტაბლასთან ჯდომა და ძველი დროის ტკბილ მოგონებებთან ერთად სამომავლო იმედის დალოცვა. ავიბარგები ხოლმე, ჩანთას ქალაქური ნუგბარით ავავსებ და ხშირად სადგურზე გასულმა არც ვიცი — რაჭისკენ ავიღებ გეზს, გურიისკენ თუ იმერეთის მომხიბვლელობა გადამძალავს...

არა, ალბათ მართლა სხვა ხალხი ვართ ქართველები, სხვა სისხლი გვიტრიალებს ძარღვებში, რაც გვაახლოებს ღმერთთან და ამის გამო გადაშენებაც არ გვიწერია.

მოკლედ, გურიაში გაუფრთხილებლად დავადექი თავს ჩემს უსაყვარლეს სისონა ბიძიას და თალიკო ბიცოლას, რომელმაც ისე „შეიცხადა" ჩემი დანახვა, ლამის მთელი სოფელი დამაყენა თავს — გადაყევი, ხო, საქმეებს, ალარ გახსენდება შენი თალიკო ბიცოლა... ბავშვობაში სიცოცხლეს რომ გერჩია ჩემს კალთაში ჯდომა და ნაირ-ნაირი ამბების მოსმენაო...

...ბიცოლაჩემს სამართლიანად მიაჩნია, რომ ჩემს „მწერლად" ჩამოყალიბებაში განუზომლად დიდი ღვაწლი მიუძღვის, რადგან მის მიერ მოთხრობილი ძველი ამბავი ხშირად გამომიყენებია საგაზეთო მასალად, რითაც დიდად ამაყობს კიდეც.

...ჩოხა-ახალუხსა და „აზიაცკებში" გამოწყობილი სისონა ბიძია აშკარად სასტუმროდ იყო გამზადებული...

ცუდ დროს გესტუმრეთ-მეთქი, — მოვიბოდიშე.

— სტუმრისთვის გლახა დროი არ არსებობს, ისიც ძველი ახალ წლის ღამეს. მაი რავა თქვი, შოვუთვლი ბედისოს ოჯახს ბოდიშს და დავრჩები შინ, — ყაბალახის მოხსნა დააპირა სისონა ბიძიამ და ხელებში ეცა თალიკო ბიცოლა: — აჰ, ახლა ლალატი რავა იქნება, კაცს თამადობას დაჰპირდი, წაი შენ, გამოაჩინე ოჯახიც და წინაპარიც, მე და აგი ციცა სახლში ნოვუქეიფებთ და თუ გინდა, დილამდე დაგელოდებით, თან ახალ წლის ღამეს კარს არ გამევიკეტავთ, ანგელოზმა რომ მეიგუნებოს სტუმრობა, სინათლე და სითბო ხომ უნდა დავახვედროთო!

მოკლედ, გავისტუმრეთ საჩუქრებით ხელდამშვენებული სისონა ბიძია და ჩვენც გავაწყვეთ სუფრა ტელევიზორის წინ, ახალ წლამდე ორი საათი იყო დარჩენილი და ამიტომ იმით დავინტერესდი, ვისთან იყო ქეიფი და რას აღნიშნავდნენ ახალი წლის ღამეს.

— ბედისო ზენაიშვილი 60 წლის მეიყარა და შვილებმა არ მეისვენეს — თელი ცხოვრება შრომაში გაატარე, ოჯახი სასახელოდ შეინახე და კი ხარ ღირსი, შენს მეზობელ-მოკეთესთან ერთად დაგლოცოთო.

გაგანია ომის დროს სად მოიცალა მამამისმა ბიჭის საკეთებლად, ან ასე უცნაური სახელი სად გამოუძებნესმეთქი, — ვკითხე ღიმილით.

— მართლა ბედის საჩუქარია მაი ღვთისნიერი კაცი, შვილო, ამოწყვეტილი ოჯახი გადაარჩინა ამოგდებას და არ ჩააქრო ზენაიშვილების კერა. მე პატარეი ვიყავი მაშინ და სისონამაც გადმოცემით იცის მათი ამბავი, მარა ნამდვილათ ასე იყო ყოლიფერი, რავარც ახლა მე შენ მოგიყობი: ბედისო მიგდებული ბალანეია და სწორედ ახალი წლის ღამეს მიუსვეს პელაგია და კირილე ზენაიშვილებს კართან... მანამდე სამი ბიჭი გოუშვენ იმ უბედურებმა ომში: ვაჟიკო და ტყუპები: შაქროიე და ზაქროიე. ვაჟიკოს დალუპვის ცნობა რამდენიმე თვეში მიიღეს, ქერჩში დაიწვა ცოცხლათ. ზაქროიეს სიკვდილი მისმა ტყუპისცალმა მეიწერა 43-ში: ჩემს თვალწინ აქცია ნაფლეთებად ბომბმაო, შაქროიეს ამბავი კი გალმასოფლელმა რამიშვილმა გააგებიათ: „ჩემი ხელით მივაყარე მიწაო." ამ ამბავმა ლოგინად ჩააგდო საწყალი პელაგია. არც კირილე იყო უკეთეს დღეში, მარა ცოლის საცოდაობა აძლებიებდა. და ამ დროს მოხთა სასწაული სწორეთ: 1945 წელი შემოდიოდა, ლხინის თავი და ხალისი ვის ქონდა, ნახევარი სოფელი დათალხული დეიარებოდა, მარა საკლავი ყველამ დაკლა და დეილოცა...

კირილეს და პელაგიას სინათლეც არ ოუნთიათ იმ ღამეს — ჩვენთვის სიცოცხლე 44-ის ზაფხულში დასრულდაო. მარა ღმერთი სხვაგვარად ბჭობდა თურმე: ჩათვლემილი კირილე ჯერ ძაღლის წკმუტუნს, მერე კი პელაგიას ხმას შეუფხიზლებია: — გაი, კარში, ყაზახო, გონია თავათ ანგელოზი ჩამევიდა ციდან, წუხელის ჩემი ბიჭები მესიზმრენ, გახარებულები იყვენ — „საახალწლო საჩუქარს გიგზავნით და აბა, თქვენ იცით, რავა გაგვიმართლებთო."

კირილემ ყაბალახი მოიხვია და კარი გამოაღო. თოვლი დღესავით ანათებდა გარემოს და ამიტომ არც ხის სკამ-ლოგინზე დადებული ფუთის დანახვა გასჭირვებია, არც ეზოში ახალი ნაკვალევისა.

ფუთას დასწვდა და... ტანში გააჟრჟოლა, ცოცხალი არსება იყო შიგ... შინ შემოვარდნილმა ლამპა აანთო და ცოლს დოუგორა საბანზე „ღამის სტუმარი"... არავინ იცის, საიდან მიეცა პელაგიას ძველი შალის გახსნის ძალა — ჩვილი ასავსავებდა უმწეოდ ხელ-ფეხს, სუსტი ღნავილით ითხოვდა შველას...

...აივანზე გავარდა და თოფი დააქუხა კირილემ, მეზობლები შეყარა. ვიღაცამ მაინც გაბედა ხუმრობა: — არ გადამრიოთ, პელაგიამ გააგორა ბიჭიო?

კი, ბიჭი იყო ნამდვილად... თავს დაეხვივნენ ქალები, ხელახლა შეახვიეს. მეზობლის მეძუძურმა რძალმა თავისი შვილის წილი რძე უწილადა და ტკბილად დააძინა...

კირილე ნაფეხურს მიჰყვა „ძღვენის" პატრონის საძებრად, მაგრამ კვალი არ ჩანდა. ისე ბარდნიდა, თითქოს თავად ღმერთს სურდა ამ ამბის საიდუმლოდ დატოვება...

მოკლედ, ბედისო დაარქვეს ბიჭს და მისმა გამოჩენამ სასწაული მოახდინა: პელაგიაც წამოაყენა ფეხზე, კირილესაც ორი კაცის ძალა მიეცა და გაზარდეს დალუპული შვილების სახელზე ახალი წლის ღამის საჩუქარი. ახალი სახლიც გამართეს, ცოლიც მოუყვანეს, ინსტიტუტშიც ასწავლეს და ამის მერე „გაემგზავრნენ" მშვიდად საიქიოს...

გოუმართლა ბედისოს. სამი შვილი ყავს, ცხრა შვილიშვილი და გააცოცხლა ზენაიშვილების ხატება: კირილეც დეიარება მის ეზო-გარემოში, პელაგიაც, ვაჟიკოც, ზაქროც, შაქროც და მრავლდებიან. 60 წელიწადია თითქოს ღმერთი ჩასახლდა კირილე ზენაიშვილის კერაზე, — დაამთავრა თხრობა თალიკო ბიცოლამ და ახალი წელიც შემობრძანდა, ატყდა ზათქაბუთქი და გადაძახილი სოფელში, მილოცვას და დალოცვას არ უჩანდა ბოლო... თალიკო ბიცოლას მობილურმა ტელეფონმაც „ამოიდგა ენა" — ერთი შვილი თბილისიდან ურეკავდა, მეორე ბათუმიდან, მესამე — მოსკოვიდან ეხმიანებოდა და ამ დროს კარიც შემოაღო მეკვლედ გამოგზავნილმა მეზობლის ბიჭმა — მურთაზიამ, კანფეტები დაგვაყარა თავზე, დაილოცა და აგვაჩქარა: — ბედისოსას გველოდებიან, უთქვენოდ სუფრასთან არ მიმიშობენ და ნუ დამჩაგრავთ, ცოდვა ვარო.

მეტი რა გზა გვქონდა და გავყევით. იმ დროს შევედით დარბაზში, განსაკუთრებული სასმისით რო სვამდა სისონა ბიძია საახალწლო საჩუქრით გადარჩენილი კერის სადღეგრძელოს.



ფუთას დასწვდა და... ტანში გააჟრჟოლა, ცოცხალი არსება იყო შიგ... შინ შემოვარდნილმა ლამპა აანთო და ცოლს დოუგორა საბანზე „ღამის სტუმარი"... არავინ იცის, საიდან მიეცა პელაგიას ძველი შალის გახსნის ძალა — ჩვილი ასავსავებდა უმწეოდ ხელ-ფეხს, სუსტი ღნავილით ითხოვდა შველას...
...აივანზე გავარდა და თოფი დააქუხა კირილემ, მეზობლები შეყარა. ვიღაცამ მაინც გაბედა ხუმრობა:— არ გადამრიოთ, პელაგიამ გააგორა ბიჭიო?

**ინგა ჯაყელი**





# გალობა — ზეხელოვნება



გალობა — ლოცვის უმაღლესი გამოვლინებაა და არა სიმღერისა. ამის მიუხედავად, სწორედ გალობაა ყველაზე ამაღლებული ხელოვნება, შეიძლება ითქვას ზეხელოვნება. მას უდიდესი ზემოქმედების ძალა აქვს და სამყაროს ყველაზე ამაღლებულ აღქმას ემსახურება. სწორედ ამიტომ იყო უმნიშვნელოვანესი საჩხერეში ჩატარებული სრულიად საქართველოს ფესტივალი „ქართული საგალობელი". ფესტივალი უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ჩატარდა.

იმ დღეს საჩხერეს 700-მდე სტუმარი ეწვია. ფესტივალში მონაწილეობა 43-მა კოლექტივმა მიიღო. ასპინძიდან, ახალციხიდან, ბოლნისიდან და სხვა რაიონიდან ჩამოსულ მგალობლებს საჩხერე ჩვეული სტუმართმოყვარეობით შეხვდა.

**მეუფე დანიელი:** — საგალობელთა ფესტივალი მესამედ ტარდება საჩხერეში. გასულ საუკუნეში არ გვქონდა საშუალება ღრმად შეგვესწავლა და დავუფლებოდით ქართულ საგალობელს. მის განვითარებაზე არავინ ზრუნავდა. ამის გამო არაერთი ტრადიცია დაიკარგა, ბევრი რამ კი ისე არ სრულდებოდა, როგორც ეს საჭირო იყო. დღეს მიმდინარეობს საგალობელთა აღორძინება. ფესტივალზე მგალობლები ხვდებიან ერთმანეთს, შთაბეჭდილებას უზიარებენ, გამოცდილებას გადასცემენ, იმდიდრებენ საშემსრულებლო ტექნიკას. ეს ეხმარება მრევლსაც, რომ მიიღოს სულიერი საზრდო. კარგია ბიზანტიური გალობა. ჩვენც სიამოვნებით ვუსმენთ, როცა ის ბერძნულენოვან ტაძრებში სრულდება, მაგრამ ჩვენ ჩვენს საგალობლებს უნდა ვგალობდეთ. ასევე უნდა მივუდგეთ ნებისმიერ საეკლესიო ხელოვნებას. არსებობს ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება, ქართული ფრესკა... ეროვნულის შენარჩუნება სულაც არ უშლის ხელს, რომ მსოფლიო მართლმადიდებლური სულისკვეთება ერთიანი დარჩეს.

ყველა მართლმადიდებელს კარგად ესმის, რას ნიშნავს საგალობელი. მისი ძლიერი ზემოქმედება ხშირად საკუთარ თავზე განუცდია ტაძარში მისულ მლოცველს. დიდად საყურადღებო ფაქტია ისიც, რომ უცხოელ სტუმრებს ყველაზე მეტად ქართული საგალობლები აოცებთ. ბევრი მათგანი საქართველოდან წასვლისას საეკლესიო საგალობლების ჩანაწერს ეძებს, როგორც სანუკვარ სამახსოვროს არაჩვეულებრივი ქვეყნის — საქართველოს გასახსენებლად. ჩვენი ძლიერება, როგორც ჩანს, ყველაზე მეტად კოდირებული სწორედ ამ ზეხელოვნებაშია.

**ლელა ჯიყაშვილი**



## რას გვეტყვით, მამაო?

**— ჩემს შვილიშვილს დაარქვეს თეონა. ამბობენ, თეონა უძველესი სახელია და ამ სახელის წმინდანიც არსებობსო. გთხოვთ გვიამბოთ მის შესახებ.**

— მართალია, თეონა ძალიან ძველი სახელია. ამ სახელის წმინდანი ნიკომიდიაში ცხოვრობდა. ქრისტიანობის დევნით სახელგანთქმული დიოკლეტიანეს (284-305 წ.წ.) დროს თეონა მოგვი იყო და ჯადოქრობდა. იმპერატორმა ნიკომიდიის ეპისკოპოსს, თეოპემპტესაც მოსთხოვა კერპებისთვის მსხვერპლი შეეწირა. როცა ეპისკოპოსმა მტკიცე უარი უთხრა, იმპერატორმა იგი გახურებულ ქურაში ჩააგდო. მოხდა სასწაული, მოწამე ქურიდან უფლის ნებით, უვნებლად ამოვიდა. განრისხებულმა იმპერატორმა ბრძანა, თეოპემპტე შიმშილით და წყურვილით ეტანჯათ. ეპისკოპოსმა ამ ტანჯვასაც გაუძლო. მაშინ დიოკლეტიანემ დასახმარებლად თეონა გამოიძახა. თეონამ ორჯერ ერთმანეთზე უარესი შხამი აჭამა წმინდანს, მაგრამ ამანაც ვერაფერი დააკლო. გაოგნებულმა თეონამ თავისი კერპების უძლურება შეიცნო და ჭეშმარიტი ღმერთი აღიარა. ასე იქცა ნიკომიდიის ცნობილი ჯადოქარი ქრისტიანად. ამის გამო თეონა საპყრობილეში ეპისკოპოსთან ერთად გამოამწყვდიეს. მან თეონა მონათლა. განრისხებულმა იმპერატორმა ეპისკოპოსი ენით აუწერლად აწამა, ქრისტეს სიყვარულით აღვსილი თეონა კი ცოცხლად დამარხეს. წმინდანები თეოპემპტე და თეონა ერთ დღეს 5 იანვარს (ახ. სტ. 25 თებერვალს) მოიხსენიებიან.

**— ისე მეშინია განკითხვის დღის, უფალს ვთხოვ, მის დადგომამდე წამიყვანე იმ ქვეყნად-მეთქი. ცოდვას ხომ არ ჩავდივარ?**

— თუკი ამდენს ფიქრობთ ბოლო ჟამზე და გაშინებთ, უფალს დროზე ადრე წაყვანა კი არ უნდა სთხოვოთ, არამედ ის, რომ ქრისტიანული ცხოვრებითა და მონანიებით შეგინდოთ ცოდვები. უნდა გითხრათ, რომ ყოველი ადამიანის გარდაცვალება იგივე ბოლო ჟამია. ყველა ჩვენგანი ამ დროს უფლის სამსჯავროზე დგება. ასე რომ, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს უფლის წინაშე გარდაცვალებისას წარდგები თუ საყოველთაო განკითხვის დღეს. ამიტომაც ადამიანი უფალს უნდა ევედროს, იმდენი სიცოცხლე მიეცეს, რაც ცოდვათა მიტევებისათვის ეყოფა.

**— თბილისში შემომავალ მგზავრებს დიღომთან წმინდა ნინოს ქანდაკება გვხვდება. მე მასთან ყოველთვის პირჯვარს ვიწერდი. ახლა იქვე წმინდა დავით აღმაშენებლის ქანდაკებაც გადაიტანეს. როგორ მოვიქცე, მის წინაშეც დავიწერო პირჯვარი?**

— მართლმადიდებლური საეკლესიო კანონიკით ხელოვნების ის ნიმუშები, რომლებიც სამგანზომილებიან სივრცეში განლაგდებიან, ხატად არ ითვლება. ასეთია ქანდაკებაც. ამიტომაც ქანდაკებასთან ჩავლისას პირჯვრის გარდასახვა საჭირო არ არის და მათ წინაშე არც ლოცვა შეიძლება.

თუ წმინდა ნინოს ან წმინდა დავითის თაყვანისცემა გსურთ, მიბრძანდით ტაძარში, სადაც საეკლესიო კანონიკითა და ეკლესიის ლოცვა-კურთხევით დაწერილი ხსენებულ წმინდანთა ხატებია. ილოცეთ მათ წინაშე და სთხოვეთ შემწეობა ყოველგვარ საქმეში.

**— რამდენიმე ცნობილ ქართულ ფილმში წმინდანები ისეთი პატივით არ მოიხსენიებიან, როგორც მათ შეეფერება. ხომ არ არის საჭირო ასეთი ფილმებიდან ხსენებული კადრები ამოვჭრათ...**

— მსგავსი ქმედება ეკლესიის საქმე არ არის. ეკლესიას მხოლოდ ის შეუძლია, რომ მოუსმინოს იმ ადამიანებს, რომლებიც თავიანთი ნების საწინააღმდეგოდ ცხოვრობდნენ ულმერთოების პერიოდში, მოუსმინოს და თუკი ჭეშმარიტად შეინანებენ, ცოდვები მიუტევოს... მერე კი ყველას და ყოველივეს თავად უფალი განსჯის და ყველას თავის ცხოვრების წესისა და მონანიების მიხედვით მიაგებს.

*თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის" ყუთების საშუალებით. მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.*

# „ერთხელ მანქანის ქვეშ მიპირებდნენ შეგდებას“

## „წლების წინ სამედიცინო ინსტიტუტში არსებულმა უკანონობამ ქართულ მედიცინას მძიმე დარტყმა მიაყენა“



ბოლო დროს სამედიცინო სფეროში განვითარებულ მოვლენებს საზოგადოების დიდი ინტერესი მოჰყვა. ექიმთა და პაციენტების ურთიერთობის გარკვევის ფორმა ისტერიაში გადაიზარდა. აქედან გამომდინარე, ბევრმა ექიმმა ელემენტარული პასუხისმგებლობის თავზე აღებაც აღარ ისურვა, რამაც სამედიცინო სფეროში შიში დაამკვიდრა.

„აქ კონკურსია ყველაფერში, აბა, როგორ გინდათ?! ექიმობას აპირებენ — ავადმყოფებთან ექნებათ საქმე, სწორედ ასეთ სიტუაციაში უნდა გამოავლინონ, რა შეუძლიათ. თუ კონკურსს ვერ გაივლიან, ავადმყოფი როგორღა უნდა გადაარჩინონ ექსტრემალურ სიტუაციაში“, — ეს სიტყვები სამედიცინო ინსტიტუტის ყოფილ რექტორს ეკუთვნის... წლების შემდეგ კი პრაქტიკამ ცხადყო, რომ ექსტრემალურ სიტუაციაში მოხვედრილ ექიმებს სამედიცინო ინსტიტუტის მისაღებ გამოცდებში მიღებულმა „გამოცდილებამ“ გამბედაობა ვერ შემატა.

სამედიცინო წრეებში დამკვიდრებული პანიკის საფუძველს პროფესორი ოთარ წიწილაშვილი წლების წინ სამედიცინო ინსტიტუტში, მისაღებ გამოცდებზე საკუთარი თვალით ნანახ და განცდილ ამბებს უკავშირებს. ოთარ წიწილაშვილი 1989 წელს სამედიცინო ინსტიტუტის მოსამზადებელი განყოფილების გასაუბრებას დაესწრო. ის დღეები პროფესორმა „კვირის პალიტრაში“ გამოქვეყნებული შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, ლადო ჭიპაშვილის ინტერვიუს გაცნობის შემდეგ გაიხსენა. მისი აზრით, სამედიცინო სფეროში განუკითხაობასა და არაპროფესიონალიზმს სამედიცინო ინსტიტუტში წლების წინ დამკვიდრებულმა კორუფციამ და უსამართლობამ ჩაუყარა საფუძველი.

**ოთარ წიწილაშვილი:** — 1989 წელს სახალხო ფრონტმა სამედიცინო ინსტიტუტში არსებულ განუკითხაობაზე უამრავი საჩივარი მიიღო. სახალხო ფრონტის ხელმძღვანელმა ნოდარ ნათაძემ, ზვიად გამსახურდიასთან შეთანხმებით, სახალხო ფრონტის გამგეობის ორი წევრი, ქიმიკოსი რუსუდან დუნდუა და თქვენი მონა-მორჩილი სამედიცინო ინსტიტუტის მოსამზადებელი განყოფილების გასაუბრებაზე მიგვავლინა. სამედიცინო ინსტიტუტში არსებულ კორუფციასა და განუკითხაობაზე ბევრი მსმენოდა, მაგრამ იმან, რაც ჩვენ იქ ოთხი დღის განმავლობაში ვნახეთ, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. სამედიცინო ინსტიტუტში ჩვენი მისვლა ყველასთვის უსიამოვნო სიურპრიზი აღმოჩნდა. ჯერ იყო და, ჩვენი თავიდან მოცილება სცადეს, მაგრამ მოგვიანებით გასაუბრებაზე იმ პირობით დაგვიშვეს, რომ ოთახის შესასვლელში დავდგებოდით და იქიდან ვადევნებდით თვალყურს გასაუბრებას(?!). მოგვიანებით, მაგიდებთან მისვლის უფლებაც მოგვცეს(!). გასაუბრება ერთ ოთახში ტარდებოდა. ოთახი ქსოვილით იყო გადატიხრული. ფარდის იქით ქიმიკოსთა კომისია იჯდა, ფარდის აქეთ კი ბიოლოგების. ვთქვათ, თუ ქიმიაში აბიტურიენტი მეხუთე მაგიდაზე მოხვდებოდა, ბიოლოგიაშიც მეხუთე მაგიდასთან უნდა დამჯდარიყო. იქ კი საქმეს უკვე თავად სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი არჩილ ასათიანი აგვარებდა. ის განსაზღვრავდა, ვისთვის რა ნიშანი უნდა დაეწერათ. ბილეთები საგამოცდო კომისიის ერთ-ერთ წევრს ჰქონდა (რა თქმა უნდა, დანიშნული) და აბიტურიენტებს თავად ურიგებდა. ეს რომ შევამჩნიე, ბილეთები გამოვართვი და კარტივით ავჭერი. აბიტურიენტებმა ბილეთების აღება დაიწყეს. ვხედავ, უმეტესობა ხმას ვეღარ იღებს. ცხადია, ბევრმა დანიშნული ბილეთი ვეღარ აიღო. რა უნდა ექნათ? დაიწყეს „შპარგალკების“ შემოტანა, კარნახი. ერთი შემთხვევა ახლაც კარგად მახსოვს. კომისიის წევრმა პროფესორმა ერთ-ერთ აბიტურიენტს „შპარგალკა“ მიუტანა. ცხადია, დავინახე და წავართვი.

გამოცდები საღამოს ტარდებოდა, გამომცდელები კი რექტორს ჰყავდა ჩაკეტილი. იმ გამოცდებზე მიღებული „გამოცდილებით“ დავრწმუნდი, რომ გამომცდელების ჩაკეტვა ობიექტურობასა და კანონიერებას კი არა, რექტორისა და საგამოცდო კომისიის კაპრიზების დაკმაყოფილებას ემსახურებოდა. ყველა რეპეტიტორს თავისი პროტეჟეს ჩარიცხვა უნდოდა, რომ ფული აეღო, მაგრამ ამის საშუალებას მარტო რეპეტიტორს ვინ მისცემდა? ყველაფერი ისე უნდა გაკეთებულიყო, როგორც მიმღებ კომისიას უნდოდა. ამ

### „ასეთ ბილეთებს უპატრონო და უფულო ბავშვებისთვის ადგენდნენ“

საკითხს რექტორი და საგნების კომისიების თავმჯდომარეები აკონტროლებდნენ. ე.წ. „მოსაწყობი“ აბიტურიენტები წინასწარ იყვნენ განაწილებული, ვინ რომელ გამომცდელთან უნდა მოხვედრილიყო. ბილეთების არევის შემდეგ გამოცდებზე საშინელება დატრიალდა. ცხადია, დანომრილი ბილეთები ადრესატამდე ვეღარ მივიდა, მაგრამ მალე იპოვეს გამოსავალი. თქვეს, არ უნდა ბილეთი, ისე უპასუხოსო... არც ჰქონდა მნიშვნელობა, აბიტურიენტი უპასუხებდა თუ არა, მაინც მაღალი ნიშნები იწერებოდა. უცნაური კრიტერიუმით აფასებდნენ. შესაძლოა, აბიტურიენტს ყველა კითხვაზე კარგად ეპასუხა და მაინც დაბალი შეფასება ან საერთოდ, ორი დაეწერათ, იმისთვის კი, ვინც საერთოდ ხმას ვერ იღებდა — ფრიადი. მოსამზადებელ განყოფილებაზე მოხვედრა სამედიცინო ინსტიტუტში ჩარიცხვის გარანტია იყო. მოკლედ, პირველივე დღის „საგამოცდო“ გამოცდილების მიღების შემდეგ სახალხო ფრონტმა თხოვნით მიმართა განათლების მინისტრ გურამ ენუქიძეს, რომ სახალხო ფრონტის ნდობით აღჭურვილი შვიდი ქიმიკოსისა და შვიდი ბიოლოგისთვის თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში გასაუბრებაზე დასწრების ნება დაერთო. ენუქიძემ განცხადებას რეზოლუცია დაადო, მაგრამ რად გინდა? — მიმღებმა კომისიამ განიხილა განცხადება და მისი დაკმაყოფილება შეუძლებლად მიიჩნია, საგამოცდო ოთახების ფართობის სიმცირის გამო(?!).

მეოთხე დღეს ჩვენ ორმა გამოცდები დავტოვეთ. იქ ყოფნას აზრი არ ჰქონდა, სამაგიეროდ, პრესაში გამოვაქვეყნეთ დაწვრილებითი ანგარიში. წერილით მივმართეთ ქვეყნის პრეზიდენტსაც და კატეგორიულად მოვითხოვეთ მოსამზადებელ განყოფილებაზე მისაღები გამოცდების ხელმეორედ ჩატარება. რა თქმა უნდა, ვერაფერს გავხდით, — გამოცდების ხელმეორედ დანიშვნის შემთხვევაში ხომ ფული უკან გაუხდებოდათ დასაბრუნებელი?! ამიტომ სამედიცინო ინსტიტუტის მოსამზადებელ განყოფილებაზე უარყოფითნიშნიანი აბიტურიენტებიც ჩარიცხეს. სულ 2000-მა ბავშვმა მოიყარა თავი. სამედიცინო უნივერსიტეტი ამდენ სტუდენტს ვერ დაიტევდა და ამიტომ იმ წელს დააარსეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო აკადემია და აბიტურიენტების დიდი ნაწილი იქ ჩარიცხეს. დაახლოებით ორ კვირაში სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ჩემს ნაამბობში ახალი და საზოგადოებისთვის უცხო არაფერია. ხმა სამედიცინო ინსტიტუტში არსებული ვითარების შესახებ მანამდეც დადიოდა, მაგრამ ჩემი თვალით ნანახმა და გაგონილმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ჯერ ერთი, ბილეთები ისე იყო შედგენილი, რომ აბიტურიენტი განსაკუთრებული ნიჭით და მეხსიერებით უნდა ყოფილიყო დაჯილდოებული, იმ კითხვებზე დახმარების გარეშე რომ ეპასუხა. ახლაც მახსოვს ბილეთი №63. ბილეთში შეტანილი იყო მწერები — მათი დახასიათება მთლიანად. ეს საკითხი წიგნში დაახლოებით 85 გვერდს მოიცავს. ამ კითხვაზე პასუხი იმ დროში, რაც აბიტურიენტებს ჰქონდათ მოსაფიქრებლად მიცემული, წარმოუდგენელი იყო. ასეთ ბილეთებს უპატრონო და უფულო ბავშვებისთვის ადგენდნენ. გამოცდებზე ბევრი უსიამოვნება შემხვდა, — ორჯერ კინაღამ მომკლეს. ერთხელ მანქანის ქვეშ მიპირებდნენ შეგდებას. აბიტურიენტის მშობლებმა გადამარჩინეს. რა თქმა უნდა, ეს ბაკქანალია 1989 წელს არ დაწყებულა. წლების განმავლობაში იყო დამკვიდრებული სამედიცინო ინსტიტუტში და ამის გამოძახილია ის, რაც დღეს სამედიცინო სფეროში ხდება. ის, რომ ექიმებს საოპერაციო მაგიდასთან მისვლისა და პასუხისმგებლობის თავზე აღების ეშინიათ, მხოლოდ და მხოლოდ ატეხილი პანიკითა და კონტროლის გამკაცრებით არ არის განპირობებული. ბევრს ცოდნა, გამოცდილება და კომპეტენცია არ ჰყოფნის. საიდან გაჩნდა ამდენი უცოდინარი?! არავინ ამბობს, რომ საქართველოში ღირსეული და პროფესიონალი ექიმები არ გვყავს, თუმცა სამწუხაროდ ასეთები ცოტანი არიან.

და მაინც, წლების წინ სამედიცინო ინსტიტუტში არსებულმა უკანონობამ და კორუფციამ ქართულ მედიცინას რომ მძიმე დარტყმა მიაყენა, ამის მოწმე სწორედ დღეს გახდა ქართველი საზოგადოება.

***ხათუნა პაიჭაძე***


TB STARS

პირველი ელიტური სახლი გურამიშვილზე



ღრმაღელე გურამიშვილი



ბინები 57 მ² - დან
თანამედროვე დიზაინი
სუპერმარკეტი
საბავშვო ბაღი
აფთიაქი
სამედიცინო ცენტრი
მიწისქვეშა ავტოსადგომი
დაცვა
კაფე - ბარი
იზოლირებული კეთილმოწყობილი ეზო 5000 მ²
მოპირკეთებული ქუჩა და მიმდებარე ტერიტორია
თეთრი კარკასი

38-91-92 45-17-17
877-77-70-77 899-35-90-00
გურამიშვილის 78 (მეტრო "გურამიშვილთან")

ინდივიდუალური გადახდის სისტემა
პირველი შენატანი 5000

# „კვირის პალიტრის“ სახალხო პროექტი გრძელდება...

*„კვირის პალიტრის“ სახალხო პროექტი, „წერილი მომავალში“, უკვე 5 წლის გახდა და ჩვენც მეორედ (გზავნილების პირველი ნაწილი 2002 წლის დასაწყისში გაიხსნა) შევიკრიბეთ სახელმწიფო არქივში იმ წერილების ამოსაღებად, რომლებიც 2006 წლის დასაწყისში უნდა მიეღოთ ადრესატებს (ჩვენს მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ ეს პროექტი 100 წელს გასტანს და მომავლის წერილებიც შესაბამისად 2010, 2025, 2050 და 2100 წლების ბოლოსაც გაიხსნება).*

მართლაც გრანდიოზული ჩანაფიქრი იყო წერილების გაგზავნა მომავალში. „კვირის პალიტრის“ თანამშრომლის გოჩა ტყეშელაშვილის მშვენიერ იდეას საქართველოს ბევრი მოქალაქე გამოეხმაურა. დღესაც აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ ჩვენი სტუმრები.

**გიზო ნიშნიანიძე,** *მწერალი:* — ბრძენმა თქვა: მომავალი ჯერ არ დამდგარა, წარსული უკვე წასულია. ჩვენი არის მხოლოდ აწმყო. უნდა შევძლოთ და აწმყო წარსულთანაც და მომავალთანაც დავაკავშიროთ. სწორედ ეს გააკეთეთ თქვენ, პალიტრელებო. წარსულის გარეშე მომავალი არ არსებობს. რაც ჩემს წიგნში, „პაემანი ვერაზე“, გავაკეთე, ესეც ერთგვარი წერილი იყო, მომავალში გაგზავნილი წერილი. ჩვენ ასე ვიცხოვრეთ. ახლა ვწერ წიგნს, რომლის მეორე სათაური იქნება „რეპორტაჟი ხანში შესული კაცის დღემდე გაუმხელელი ფიქრებიდან“. ჩემი ხნის ხალხი ნეკროლოგებშიც აღარ ხვდება. უფალმა რატომღაც მე და რამდენიმე კაცს გვაჩუქა სიცოცხლე. ამას გამოვიყენებ და ვგზავნი წერილს მომავალში.

„კვირის პალიტრის“ პროექტში მონაწილე თითოეული წერილის შინაარსი მაინტერესებს. თქვენ ამბობთ, ყველა წერილს თავისი ადრესატი ჰყავს, მხოლოდ იმ წერილებს წავიკითხავთ, რომელიც ქართველ ხალხს ან ჩვენს რედაქციას ეკუთვნისო... ეპოქასაც ჰყავს ადრესატი. მაინტერესებს, რას ფიქრობს ხალხი... ვიცხოვრე ჩარკვიანის, მგელაძის, მჟავანაძის, შევარდნაძის დროში, გამოდის, ჩემს დროში არც მიცხოვრია. მინდა ჩემს დროში ვიცხოვრო, მინდა ეს დრო მთელი ქართველი ხალხის თვალით დავინახო. სხვისი წერილის კითხვა უზრდელობაა, მაგრამ მაინც დიდ ინტერესს იწვევს... ბარათს XXI კი არა XXII საუკუნეშიც გავაგზავნიდი, რომ შეიძლებოდეს. დიდი მადლობა ამ შესანიშნავი პროექტისთვის.

**თემურ წიკლაური,** *მომღერალი:* — მე რომ დღეს ჩემი წინაპრის ასი წლის წინ დაწერილი წერილი მიმეღო, ალბათ გული ამომივარდებოდა, მღელვარებისგან რეალობის შეგრძნებას დავკარგავდი და წარსულში აღმოვჩნდებოდი. დავინახავდი ჩემს წინაპარს, სადღაც მთაში, ხმლითა და ფარით აღჭურვილს... წერილი კი ალბათ ვაჟკაცური იქნებოდა. შეიძლება ბოდიშიც კი დაეტოვებინა შთამომავლობისათვის. რა ვიცი, ეს ყველაფერი ზღაპარია, მე კი ისეთი რომანტიკული კაცი ვარ, ნამდვილად ზღაპარში გადავიდოდი. ამაზე დიდი ბედნიერება რა არის! „კვირის პალიტრამ“ ამისი შანსიც მისცა ხალხს.

**გიორგი თევდორაშვილი,** *„კვირის პალიტრის“ მთავარი რედაქტორი:* — ეს არის „კვირის პალიტრის“ საუკუნის პროექტი. მომავლის წერილები საქართველოს ათასობით მოქალაქემ ჩვენს სკივრებში მოათავსა. სკივრები შეგვინახა სახელმწიფო არქივის დირექტორმა ბატონმა ზურაბ



მახარაძემ, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით. ამ პროექტში არანაირი კომერციული ინტერესი არ ყოფილა, უბრალოდ, ვიკისრეთ მისია — მიგვეწოდებინა წერილები მომავალი თაობებისთვის.

საკმაოდ ბევრი წერილი მოვიდა „კვირის პალიტრის“ სახელზე. დიდი ინტერესით და გულისყურით წავიკითხე თითოეული მათგანი.

დრო გავა. ეს სკივრი განძსაცავ ზარდახშად იქცევა. აქ შენახული ყველა სიტყვა, შეიძლება ითქვას, ოქროდ გადაიქცევა. ეს არის შთამომავლობისადმი გაგზავნილი გულისნადები, ანდერძი თუ კეთილი სურვილი. ეს შეიძლება მშობლის დარიგებაზე ძლიერიც გამოდგეს.

ვნახე საოცრად გულღია წერილები. ერთი გოგონა, თავის სიკეთეში დარწმუნებული, მომავალ მეუღლეს უძღვნის დითირამბებს. სჯერა, ყველაფერი კარგად იქნება. ასეთი გრძნობით დაწერილი წერილის წაკითხვა ძალიან სასიამოვნოა.

ძალიან თბილი და მადლიერებით სავსე წერილები მიიღო „კვირის პალიტრამ“, და შენც გინდა მეტი გაუკეთო იმ ხალხს, ვინც გენდო და ჩაგაბარა გულის ნადები.

იმასაც გეტყვით, რომ სკივრის პირველი გახსნის შემდეგ დღემდე ხალხის ყურადღება ამ პროექტის მიმართ გაათმაგდა. მოწვეული სტუმრები დიდი ინტერესით გვთხოვდნენ: — ერთი წერილი მაინც წაგვაკითხეო. ეს ხდება 5 წლის შემდეგ, წარმოიდგინეთ, რა იქნება 100 წლის მერე... იმდენად დიდია დაინტერესება, რომ შეიძლება 2010 წლის მიწურულს რომ გავხსნით სკივრებს, კიდევ მივცეთ საშუალება მკითხველს, ჩაამატოს თავისი ბარათი და გაგზავნოს მომავალში.

*„კვირის პალიტრის“ რედაქციაში მხოლოდ ის წერილები გავხსენით, რომელთა ადრესატები ან ჩვენი რედაქცია, ან ზოგადად ქართველი ხალხი გახლდათ. იყო პრეზიდენტისათვის განკუთვნილი წერილები თხოვნით — გამოაქვეყნეთ „კვირის პალიტრაშიო“. ბარათები რედაქციაში მოვიტანეთ, დავახარისხეთ. რამდენიმე ხნით ჩვენი სამუშაო ოთახები გოდერძი ჩოხელისეულ დარდების შემგროვებლის გუდას დაემსგავსა. რა დარდი არ გამოუგზავნია ჩვენს მკითხველს რედაქციაში, რა დალოცვა, რა იმედი... ხომ გახსოვთ „ადამიანთა სევდა“ და დარდების შემგროვებელი გამიხარდაი. რამხელა ფიქრსა და ვარამს იტევდა გამიხარდაის ჩაწერილი დარდები, რომლებიც ბოლოს ღმერთთან უნდა წაეღო. ჩვენი, „კვირის პალიტრის“ კიდობანიც, რომელშიც მთელი საქართველოს ამდენი დარდი და სიხარულია თავმოყრილი, ზღაპრულ ზარდახშას დაემსგავსა. თავს ახდი და...*

*გვინდა ზოგიერთი ამ არაჩვეულებრივი გზავნილის თანაზიარი გავხადოთ ჩვენი მკითხველი.*

# „შენ გაგიმარჯოს, ჩემო მომავალო ქართველო“

## მომავალ საქართველოს

აგერ, ხუთი წელი გავიდა ამ ბარათის დაწერიდან. ჩემო უსაყვარლესო შთამომავალო, ღმერთმა არ ქნას, რომ ჩემი თანამედროვეებივით ზეზეულად ხმებოდე... ქართველი გამოუსწორებელი ოპტიმისტია, მეც იმედიანად გეხმაურები. მჯერა, რომ მსოფლიო თანამეგობრობაში შენც დაიკავებ ღირსეულ ადგილს. ივლი უფლის გზით, მრავალჟამიერ დააგუგუნებ „ლილეოსა“ და „შენ ხარ ვენახს“, კვლავაც ააშენებ გელათს და სვეტიცხოველს, დაწერ „ვეფხისტყაოსანს“, შექმნი ოქროცურვილ ვაზის ჩუქურთმას...

არავის ძალუძს ქართველთა აყრა და გადაშენება ამ მიწიდან; და თუ ეს ღვთის ნებით მოხდა, მაშ, ღირსი ვყოფილვართ ამ სასჯელისა... საქართველო, ოდითგან ჯვარზე გაკრული, გმირთა სისხლით განმტკიცებული, არავის მისცემს დამცირების და დამცრობის უფლებას! ჩვენ ხომ აგერ 20 საუკუნეა ვიმეორებთ — „იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა“...

შენ გაგიმარჯოს, ჩემო მომავალო ქართველო, ისე გეცხოვროს, როგორც მიწაზე მყარად მდგომ არიელს ეკადრება. და თუ კაცობრიობის მომავალს საფრთხე არ ემუქრება, უეჭველად უნდა იკეთილო, რადგან უფალი, რომელიც მთელი შენი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე (მიუხედავად შენი უამრავი მანკიერებისა), მაინც გიფარავდა, ახლაც გიპატრონებს — მისი სიკეთე დაუსაბამოა...

*ნათელა ბერიანიძე*

## ქართველ ერს

მე, ნუკრი ალექსის ძე დობაძიშვილი, სისხლით და ხორცით, სულით და გულით ქართველი, მივესალმები ახალი საუკუნის საქართველოს, მის მკვიდრ მოსახლეობას — ჩემს ქართველებს!

ხალხო, ჩემო ჯიშო და ჯილაგო, გლოცავთ, გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს. მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულმა მძიმე ფურცლები ჩაწერა მრავალტანჯული საქართველოს ისტორიაში. უშუალო მონაწილე ვარ აფხაზეთის ტრაგედიისა — ლაპარაკიც და მოგონებაც ძალიან მტკივნეულია!

დანაკარგი აუნაზღაურებელია, ერის გენოფონდი საფრთხის წინაშეა, მაპატიეთ, მაგრამ გული მტკივა, რომ სატრაბახო და საამაყო აღარაფერი გვაქვს ქართველებს. 39 წელი შემისრულდა დეკემბრის 15-ში, არაფერი არ მიხარია, მაგრამ...

საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, განირვა არ უწერია. ქართველი ამაყად იტყვის — მე ქართველი ვარ!!! 21-ე საუკუნეში აღარ იქნება ცრემლი, ტკივილი და დარდი. ეს ღვთის ნებაა! ღმერთმა დაგლოცოთ, ქართველებო, გემუდარებით, გიყვარდეთ ერთმანეთი.

## ყველაზე ახალგაზრდა და უცოლო პარლამენტარს

შენ, რადგანაც გერგო ბედნიერება წილად, გამხდარიყავი პარლამენტარი, მინდა დაიცვა სამშობლოს ინტერესები. არ გამდიდრდე ხალხის ხარჯზე, რადგან ქვეყნის სამსახურში ხარ, უნდა გაიღო მსხვერპლი საჭიროებისამებრ და არ იფიქრო მხოლოდ ხეირზე.

სტენდალს უთქვამს: პოლიტიკოსი ვერ იქნები, თუ მოთმინება არ გაგაჩნია და რისხვის დაოკების უნარი არ გაქვს. მინდა გისურვო გამძლეობა და მოთმინების უნარი, რაც დღევანდელ პარლამენტარებს აკლიათ... ნუ გაიმეორებ სხვის შეცდომებს.

დღევანდელ ქართველობას უჭირს მატერიალურად, ხალხი დეპრესიაშია, უმუშევრობა მძვინვარებს, კორუფცია ბობოქრობს, სინათლესა და სხვა რამეებზე ზედმეტია ლაპარაკი. ვიმედოვნებ, როდესაც შენ იქნები ხელისუფლებაში, ეს პრობლემები ნახევრად მაინც გადაიჭრება, რადგანაც თქვენ, ახალგაზრდებმა და ჩვენ, მომავალმა თაობამ, ერთად უნდა ვიბრძოლოთ საქართველოს კეთილდღეობისათვის...

მინდა ხალხმა პატივი გცეს და შენი სიტყვა თქვა ცხოვრებაში. ამით გემშვიდობები.

P.S. და კიდევ ყველაზე პატარავ (პარლამენტარო), მინდა შენი გაცნობა.

*თამარ ჯუმბერის ასული ისაშვილი. დუშეთის რ-ნი*

## მომავალ თაობას

მომავალ თაობას და ახლობლებს ვუსურვებ, სასურველი ყოფითი პირობების შექმნას, რის შემდეგ გზა გაეხსნება ერის შესაძლებლობებს, ყოფითმა მოუგვარებლობამ 2000 წ. მანძილზე ქართველობა ვერ გაათავისუფლა შურის, სიძულვილის, ყველა სახეობის ქურდობის, ბოროტების, უსუფთაობისა და საფლავების ძარცვისაგან. ვერ დავძლიეთ მოსყიდვა-მოქრთამვა, ყოველივე ამან განაპირობა ქვეყნის დაქუცმაცება და ხალხის დაპირისპირება. დამკვიდრდა სწრაფვა თანამდებობისკენ და კანონის უგულველყოფა. ყოველივე აღნიშნული დავძლიოთ: შრომით, ცოდნით, ჭეშმარიტი კანონების მიღებით და მისი მორჩილებით; ტრადიციის დადებითი მხარეები შევინარჩუნებინოთ, შემწყნარებელნი და ღირსეულნი ყოფილიყავით ყველა ქვეყნის მიმართ, განსაკუთრებით მეზობლებთან, არ დათმოთ არც ერთი მტკაველი მიწა, რომელიც ისტორიულად და გეოგრაფიულად ჩამოყალიბდა ქართველ ერთან ერთად. თავს არ მოიხვიოთ არავისი (უცხოს!) ბატონობა. ერთობლიობას, მეგობრობას, სიყვარულს, მშობლების და ავადმყოფების მიმართ თანაგრძნობას არ განუდგეთ. დახვეწეთ, განავითარეთ დედაენა, სამუდამოდ არ მოწყდეთ მშობლიურ მიწას, იწამეთ ის, რაც ბუნებით კანონზომიერია, უწიგნურს და უცოდინარს გზა გადაუღობეთ, ნიჭს ფართო ასპარეზი მიეცით. გახსოვდეთ, ბუნებაში ყველაფერი წარმავალია, დაძლიეთ სიხარბე და ხალხის ბედნიერებაში ჰპოვეთ სავანე.

გაუფრთხილდით ბუნებას, ბუნების, საზოგადოების და აზროვნების განვითარების კანონზომიერებაში დავიცვათ ეროვნული ტრადიციების დადებითი თვისებები. ყოველივე გასაჭირი დავძლიოთ განათლებით და გონიერებით.

ჩვენი შესაძლებლობების გამომზეურებით მთელმა სამყარომ გაიგოს, ვისი გორისანი ვართ!

*იუზა კატუკია*

## გაზეთ „კვირის პალიტრას“
## „რწმენა არის მთავარი!“

*გული ისევ თუ გულობს, ისევ გიჭრით გონება,*
*რწმენა თუ არ დაკარგეთ, ფერს ვერ გიცვლით დროება.*
*სულ არ გაგვკარებათ ყორნისფერი ფიქრები,*
*თუკი ამ საუფლოში სიყვარულით ინთებით.*
*დარდით ვერას გახდებით, არც კვნესაა წამალი,*
*ალქაჯიც ვერას გავნებთ, თუკი გწამთ მომავალი.*
*დიდი განძის პატრონი სულმოკლეა მრავალი...*
*მტკიცე რწმენა ოქროა, რწმენა არის მთავარი!*

*რეზო ვიაჩესლავის ძე სვანიძე*

## ბატონ პრეზიდენტს, საქართველოს სახელმწიფო მეთაურს

ბატონო პრეზიდენტო! პირველ რიგში გილოცავთ ახალ წელს და გისურვებთ ჯანმრთელობას, რა თქმა უნდა, სულიერ ჯანმრთელობას. შეგეწიოთ უფალი რთულ საქმიანობაში, რათა ღირსეული ადგილი მოიპოვოთ საქართველოს ისტორიაში.

ბატონო პრეზიდენტო, თქვენ მძიმე მემკვიდრეობა გერგოთ. თქვენ უნდა შეძლოთ, იმედი დაუბრუნოთ ქართველ ხალხს და საერთოდ საქართველოში მცხოვრებ თითოეულ ადამიანს, იმედი იმისა, რომ საქართველო, ბოლოს და ბოლოს, იქნება სახელმწიფო და ამ სახელმწიფოში შეიძლება ადამიანურად იცხოვრო მაშინაც კი, თუ პრეზიდენტის სანათესაო და სამეგობრო კლანს არ ეკუთვნი, თუ პარლამენტში „კრიშა“ არ გყავს, თუ... ერთი სიტყვით, თუ უბრალო, რიგითი მოქალაქე ხარ. ბატონო პრეზიდენტო, ყველაფერს აქვს საზღვარი და ქართველი კაცის მოთმინებასაც ექნება — იმედი მაქვს, თქვენ ამის შემოწმებას არ შეუდგებით. გისურვებთ, გიყვარდეთ საქართველო!

*პატივისცემით, თ. თვაური.*

## ყველაზე მდიდარ ადამიანს საქართველოში

გამარჯობა! მე ვარ სოფიკო. გოგონა, რომელსაც სჯერა სასწაულებისა.

ახლა 2000 წლის 31 დეკემბერია, წუთებიღა რჩება ახალი წლის, ახალი საუკუნის, ახალი ათასწლეულის შემობრძანებამდე, მე კი ჩავუთქვი ჩემი დიდი ხნის ოცნება და გწერთ თქვენ, კეთილო ადამიანო!

ამისრულეთ ოცნება — მინდა ამერიკის შეერთებულ შტატებში გამგზავრება განათლების მისაღებად. ბევრს აღარ გწერთ, რომ თხოვნასავით არ გამომივიდეს — მაშინ უფრო ვრცელ ბარათს მოგწერდით. ეს ხომ ახალი წლის ღამეს ჩათქმული სურვილია, რომელიც, როგორც ამბობენ, ყოველთვის სრულდებაო.

გთხოვთ, ნუ გამიბრაზდებით ამ გულუბრყვილო და უცნაური ბარათისათვის, სხვა თუ არაფერი, უბრალოდ წაიკითხეთ...

მოუთმენლად ველოდები 2006 წელს და თქვენს პასუხს. გისურვებთ წარმატებებს.

*სოფო (თამარ) ახმედის ასული სანიკიძე, ქობულეთის რ-ნი, სოფ. ალამბარი*

*„კვირის პალიტრას“ რამდენიმე „წინასწარმეტყველური“ წერილიც მოუვიდა. ბატონ* **ზურაბ ჩხუტიაშვილს** *2000 წელს, მაშინდელი იუსტიციის მინისტრისათვის პირდაპირ „გაპრეზიდენტება“ მიულოცია.* **ლაშა ბრეგაძე** *კი დაახლოებით ისეთ დროშას მოითხოვს საქართველოსთვის, როგორიც უკვე გვაქვს...*

## მიხეილ სააკაშვილს (იუსტიციის მინისტრი)

ბატონო მიხეილ, გილოცავთ გაპრეზიდენტებას. გისურვებთ ჯანმრთელად ყოფნას, დიდხანს სიცოცხლეს და ყოფილიყავი ყველასათვის სანაქებო და სანატრელი პრეზიდენტი.

კიდევ ერთს გთხოვთ, როცა პრეზიდენტი იქნებით, პატივი ეცით პენსიონერებს და რაც შეიძლება გაუზარდეთ პენსია.

ბატონო მიხეილ, ღმერთმა ნუ ქნას, ჩემი ნატვრა არ ასრულდეს. დუშეთის რაიონის სოფელ საკრამულაში (ბაზალეთის ტბასთან) ღორის დაკვლაზე გეპატიჟებით და უარი არ მითხრათ.

*პატივისცემით — თქვენი თაყვანისმცემელი ზურაბ ვასილის ძე ჩხუტიაშვილი ოჯახით*

## საქართველოს პრეზიდენტს!

ბატონო პრეზიდენტო, მე თქვენი არც სახელი ვიცი, არც გვარი, მაგრამ გთხოვთ ერთი სურვილი შემისრულოთ და საქართველო გაბრწყინდება.

გეხვეწები, შეასრულოთ! საქართველოს დროშა დაე იყოს თამარისეული და გერბი შევცვალოთ, როგორ, იცით? წმინდა გიორგი დარჩეს, ოღონდ სიახლე შეიტანეთ მის ახლანდელ მდგომარეობაზე (და ავაზაკები მოვაცილოთ საქართველოს). ღმერთმა დალოცოს სრულიად საქართველო, ამინ!

*ლაშა ლუტუშას ძე ბრეგვაძე, ქუთაისი*

## საქართველოში მცხოვრებ ყველაზე მრავალშვილიან ქართველ დედას!

ამ ბარათს გწერთ უცნობი ქართველი ქალიშვილი.

ახლა 2001 წლის 10 იანვარია, ღამის 10 სთ და 21 წთ. ჩვენი ყოფა-ცხოვრებიდან გამომდინარე, სინათლე სულ რამდენიმე წუთია, მოვიდა და გადავწყვიტე თქვენთან გასაუბრება.

ცოტა რამ ჩემ შესახებ: დავიბადე 1975 წ. 13/03 თბილისში. მყავს მშობლები და და. ვარ პროფესიით იურისტი, ჯერჯერობით უმუშევარი. ალბათ გაგიკვირდებათ, მაინცდამაინც თქვენ რატომ ამოგირჩიეთ ადრესატად. ჩვენ ხომ საერთოდ არ ვიცნობთ ერთმანეთს.

მოგეხსენებათ, ქართველი კაცისთვის შვილთა სიმრავლე უდიდესი სიმდიდრე იყო, თანაც ყოველთვის „ჩვენს სიმცირეს მივსტიროდით მუდამ“. მით უფრო, დღესდღეობით საქართველოსთვის ეს პრობლემა უპირველესია. მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ არა მარტო გაჩენა, არამედ აღზრდაა მთავარი, რადგანაც „ბავშვის გაჩენა სიმამაცეა, მაგრამ დედობა — გმირობა“. დარწმუნებული ვარ, თქვენ მართლაც ღირსეული ქართველი ქალი და დედა იქნებით. ღვთისმშობელი და უფალი იყოს თქვენი ოჯახის მფარველი.

ღმერთმა უმრავლოს ჩვენს სამშობლოს მრავალშვილიანი ოჯახები და თქვენისთანა მანდილოსნები.

„ქალი — სუსტია, დედაა — ძლიერი“.

*პატივისცემით — თეონა თოდუა*

## „კვირის პალიტრას“

მინდა ჩემს სამშობლოს, ჩემი ქვეყნის მოქალაქეებს ვუსურვო სიხარული, ბედნიერება და, რაც მთავარია, მამულის მიმართ სიყვარული.

მინდა გაძლიერდეს საქართველო ისე, როგორც იყო დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დროს, გაფართოვდეს საზღვრები — შემოიერთოს დაკარგული მიწა-წყალი. ვუსურვებ მომავალ თაობას ლაღ და ბედნიერ ცხოვრებას საქართველოში.

*ნიკა გოცირიძე, 12 წლის. 2001 წ.*

P.S. საქართველო მართლაც გაბრწყინდება და იცით, რატომ? ქვეყანა, სადაც ამდენი გულანთებული ადამიანი ცხოვრობს, სადაც ექვსი წლის ბიჭიც და 85 წლის მოხუციც სამშობლოს კეთილდღეობაზე ოცნებობს, არ შეიძლება არ გაბრწყინდეს. რედაქციაში მოსულ ასობით ბარათში სწორედ სამშობლოს ნათელი მომავლის ოცნება ამოვიკითხეთ. თურმე საქართველოს სიყვარულს ვუტოვებთ, როგორც ყველაზე საწუკვარს შთამომავლობას — ამას ვაგზავნით მომავალშიც.

**გზავნილების ადრესატთა სია იხილეთ 31-ე გვერდზე**

# მთავარია, ვერაგმა ვირუსმა მუტაცია არ განიცადოს...



## საქართველოში ქათმის გრიპთან საბრძოლველად ყველაფერი მზად არის

გრიპის პანდემიებმა გასულ საუკუნეში 43 მლნ ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. სპეციალისტები არც ფრინველის გრიპად წოდებული ახალი ვირუსისგან მოელიან ნაკლებ უბედურებას. ზუსტად არავინ იცის, როდის დაიწყება ახალი პანდემია, თუმცა, ვარაუდობენ, რომ იგი აზიაში, ვირუსის „სამშობლოში", იფეთქებს და საქართველოს ორ თვეში მოაღწევს. ვირუსისგან გადარჩენის შანსი კი, მხოლოდ პანდემიის დაწყებიდან ექვსი თვის შემდეგ გაჩნდება — როგორც კი შეიქმნება ვირუსის დასამარცხებელი ვაქცინა. ჩვენთან ვირუსის ერთადერთ შემომტანად ჯერჯერობით მხოლოდ გადამფრენი ფრინველები ითვლება, კერძოდ კი ისეთები, რომლებიც კონტინენტიდან კონტინენტზე მოგზაურობენ. ამიტომაც, სპეციალისტების აზრით, რისკი გაზაფხულზე მოიმატებს. თუმცა, ბოლო დღეებში საქართველოს მეზობელ თურქეთში, ქათმის გრიპით სიკვდილიანობის შემთხვევები გვაფიქრებინებს, რომ საფრთხე შეიძლება იმაზე ადრეც გამოჩნდეს, ვიდრე ვვარაუდობდით. იმ დღიდან, რაც ფრინველის ვირუსმა თავი იჩინა, დაავადდა 145 ადამიანი, მათგან 75 გარდაიცვალა. ადამიანთა ამ ვირუსით დაავადების მიზეზია ცოცხალ, დაავადებულ შინაურ ფრინველთან მჭიდრო კონტაქტი. ანტისანიტარიულ პირობებში ან თერმულად დაუმუშავებელი ფრინველის საკვებად გამოყენება, რასაც ადგილი აქვს აზიაში. მაგალითად, ვიეტნამში ბატის სისხლს სვამენ. სპეციალისტების განმარტებით, რაც უფრო დიდხანს იმოძრავებს ფრინველის გრიპის ვირუსი, მით უფრო გაიზრდება მისი მუტაციის და ადამიანიდან ადამიანზე გადადების შანსი, რაც პანდემიის აფეთქების მიზეზი გახდება. მანამდე კი ისღა დაგვრჩენია, თავდაცვის ყველა საშუალებაზე ვიზრუნოთ, რაც მეტად აქტუალური გახადა 2 იანვარს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ლადო ჭიპაშვილის ავისმომასწავებელმა განცხადებებმა — პანდემიის განვითარების შემთხვევაში საქართველოს მოსახლეობის 40% დაავადდება, მათგან ყოველი მესამე კი შეიძლება დაიღუპოსო(!). საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის პაატა იმნაძის განცხადებით, პანდემიის დროს დაავადების საფრთხე მარტო საქართველოს კი არა, მსოფლიოს მოსახლეობის 40%-ზე მეტს ემუქრება.

**პაატა იმნაძე**: — ეს არ ეხება მხოლოდ საქართველოს. ამისათვის ყველა ქვეყანა ემზადება. პანდემია, წინასწარი გათვლებით, ორ წელიწადს გაგრძელდება. ეს გათვლა ეფუძნება „ისპანკის" დროინდელ გამოცდილებას. ახალი ვირუსის წინააღმდეგ მოქმედების სქემა ამჟამად თითქმის არ არსებობს, რადგან დღემდე დედამიწაზე ძალიან ცოტა ადამიანი დაავადდა მისგან და, შესაბამისად, ვერ დგინდება ვირუსის სრულყოფილი ხასიათი.

ჯერჯერობით, ეს ვირუსი ჩვენთან ფრინველებში არ არის და ამ ეტაპზე არც პანიკის საფუძველია, მაგრამ მზად უნდა ვიყოთ მნიშვნელოვანი ღონისძიებების გასატარებლად, რათა პანდემიის შემთხვევაში რისკის ფაქტორი შემცირდეს. თუ პანდემია დაიწყება და ადამიანიდან ადამიანზე ჩვეულებრივი გრიპის ვირუსივით გავრცელდება, მისგან თავდაცვა მხოლოდ და მხოლოდ ნიღბით იქნება შესაძლებელი, რადგან ჯერჯერობით ვაქცინა არ არსებობს.

— **მინისტრ ჭიპაშვილის განცხადებების შემდეგ სერიოზული რეკლამა გაუკეთდა ამ ვირუსთან მებრძოლ პრეპარატს, რომლის შემოტანასაც საქართველოში აპირებენ.**

— ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით, ერთ-ერთი ანტივირუსული პრეპარატი ტამიფლუ, იგივე ოსელტამივირი, გრიპის ვირუსის სიმპტომების დაწყებიდან ორი დღის ვადაში დანიშვნის შემთხვევაში შეიძლება ეფექტიანი აღმოჩნდეს. ეს არის შვეიცარიული ანტივირუსული პრეპარატი და ვირუსული ინფექციის დროს აჩერებს პათოგენურ შედეგებს, მოქმედებს გრიპის და სხვა ვირუსებზეც. ტამიფლუ უკვე გამოსცადეს დაავადებულ ადამიანებზე და რეკომენდაციაც ამის საფუძველზე მისცეს. თუმცა პანაცეა არ არის, მაგრამ მას ყველა სახელმწიფო იმარაგებს. რიგში (30-ე) ჩვენც ვართ...

პაატა იმნაძის თქმით, მოსახლეობას ვირუსის გამოჩენის მოლოდინში არგებს ორგანიზმის გაკაჟება და ჯანსაღი წესით ცხოვრება. იმავეს აცხადებენ ტრადიციული მედიცინის სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებიც, რომლებიც, ოფიციალური მედიცინის მსგავსად, ეძებენ გამოსავალს — ოფიციალური და ტრადიციული მედიცინის ერთობლივი მუშაობის შედეგად უფრო გაიოლდება ახალ ვირუსთან ბრძოლაო.

## როგორ უნდა ვიკვებოთ, რომ ეს საშინელი ვირუსი ავიცილოთ

ჯერჯერობით, ეს ვირუსი ჩვენთან ფრინველებში არ არის და ამ ეტაპზე არც პანიკის საფუძველია, მაგრამ მზად უნდა ვიყოთ მნიშვნელოვანი ღონისძიებების გასატარებლად, რათა პანდემიის შემთხვევაში რისკის ფაქტორი შემცირდეს... ამ ეტაპზე გვმართებს იმუნიტეტის გაძლიერება. უნდა მივიღოთ დიდი რაოდენობით სითხე. მენიუში ყოველდღიურად უნდა იყოს წვნიანი კერძები. საჭმელში ჩაახარშეთ დიდი რაოდენობით კამა. მიირთვით რაც შეიძლება მეტი მჟაუნა და ტყემლის საწებელი.

ფიტოთერაპევტი **ნანული ნაჭყებია** მიიჩნევს, რომ ბუნებაში უხვად მოიპოვება ნებისმიერ შხამთან (ანუ ვირუსთან) ბრძოლის ეფექტიანი საშუალებები.

— უპირველესად, ყურადღება უნდა მიექცეს კვებას. უხარისხო პროდუქტით კვება დაავადებულით კვებაზე უარესია. ადამიანს იმუნიტეტი უქვეითდება. ამ ეტაპზე გვმართებს იმუნიტეტის გაძლიერება. უნდა მივიღოთ დიდი რაოდენობით სითხე. მენიუში ყოველდღიურად უნდა იყოს წვნიანი კერძები. საჭმელში ჩაახარშეთ დიდი რაოდენობით კამა. მიირთვით რაც შეიძლება მეტი მჟაუნა და ტყემლის საწებელი. ქართული სამზარეულოს ძველისძველი კერძები საოცრებაა. რეცეპტების გასინჯვისას აღმოჩნდა, რომ მათი უმრავლესობა სამკურნალოა.

— **ცნობილია, რომ პანდემიების დროს, როდესაც მთელი ოჯახები ნადგურდებოდა, ვიღაც ან საერთოდ არ ავადდებოდა, ან იოლად გადაჰქონდა სენი. რით იყო განპირობებული ეს?**

— ვისაც ძლიერი იმუნური სისტემა ჰქონდა, უძლებდა. ვირუსი შეტევას ადამიანის სუსტი წერტილიდან იწყებს. ამიტომაც არის სავალდებულო იმუნიტეტის გაძლიერება და სისხლის განწმენდა, რითაც ღვიძლს დავიცავთ. ამ შემთხვევაში შესაძლოა ვირუსი შეეყაროს ადამიანს, მაგრამ ორგანიზმი მას გაუძლებს.

ჰომეოპათი **თორნიკე ალაშვილი**:

— შეიძლება თავი დავიცვათ ოფიციალური მედიცინის აცრებით ან ალტერნატიული ჰომეოპათიური საშუალებებით. ამ დღეებში ამ საკითხზე მინისტრთან მოლაპარაკებას ვაპირებთ.

(გაგრძელება იხ. გვ.29)

ონიქსი
გრანიტი
პარკეტი
მარმარილო
რბილი იატაკი
ხელოვნური ქვა
ხალიჩები
კერამოგრანიტი
კაუჩუკის იატაკები

თბილისი 0160, ყაზბეგის გამზ. 12ა
ტელ.: +995 32 339 777
ფაქსი: +995 32 335 888
E-mail: info@phoenix.ge

შპს. ფენიქსი
www.phoenix.ge

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები – მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები,
სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
ბუდაპეშტის ქ. 22, მესაზღვრეების ჰოსპიტალი, III სართული
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

კავკასიის აკადემიური ცენტრი
CAC სი ეი სი
გთავაზობთ
ბიზნესის ადმინსტრირების
სასწავლო პროგრამას
Short course in Business Administration



პროგრამა გათვალისწინებულია აგრეთვე როგორც **ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურის /MBA/** მოსამზადებელი კურსი.
აღნიშნული კურსი გულისხმობს ეკონომიკური განათლების არმქონე სპეციალისტთა ინტენსიურ მომზადებას ბიზნესის ადმინსტრირების, ძირითად დისციპლინებში, როგორიცაა:
- თანამედროვე ბიზნესი
- მიკრო-მაკრო ეკონომიკა
- მათემატიკური მეთოდები მენეჯმენტისათვის
- ზოგადი მენეჯმენტი
- მარკეტინგის პრინციპები
- ფინანსური აღრიცხვის ელემენტები
- სტრატეგიული მენეჯმენტი
- ადამიანური რესრსების მენეჯმენტი
- იმიტაციური ბიზნესი - ვირტუალური თამაში

სწავლის ხანგრძლივობაა 24 კვირა;
მსმენელები უზრუნველყოფილნი არიან სასწავლო ლიტერატურით;
სრული კურსის წარმატებით დამთავრების შემთხვევაში გაიცემა **CAC** (სი ეი სი)-ის სერტიფიკატი და მსმენელი უგამოცდლოდ ჩაირიცხება ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურის პროგრამაზე;
მსმენელთა მიღება ხორციელდება 17 იანვრამდე.
*დაგვიკავშირდით, ნებისმიერ დაინტერესებას დაწვრილებით განვმარტავთ*

მის.: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 41;
ტელ.: 29-40-80 / 25-17-30; ელ.ფოსტა: katerina@cac.ge

# მხოლოდ მშვიდობიანი გზით

**Газета СНГ**



საქართველოს ხელისუფლება სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების მომხრეა, — განაცხადა კონფლიქტების დარეგულირების დარგში სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ გიორგი ვოლსკიმ.

„არსებობს ქართულ-სამხრეთოსური კონფლიქტის მოწესრიგების გეგმა, რომელსაც მსოფლიო საზოგადოებრიობა უჭერს მხარს, ამიტომ საქართველო თავს უფლებას არ მისცემს, ამ საკითხის მოსაგვარებლად იარაღი გამოიყენოს. ძალისმიერი მეთოდის გამოყენება საქართველოს დიდ პრობლემებსაც შეუქმნის და იმ ნდობასაც დაგვაკარგვინებს, რაც მსოფლიო საზოგადოებრიობამ გამოგვიცხადა", — ამბობს ბატონი ვოლსკი.

ქართული მხარე შსკ-ის სხვა თანათავმჯდომარეებს და ეუთოს სთავაზობს ქართულ-სამხრეთოსური კონფლიქტის დარეგულირების შერეული საკონტროლო კომისიის მორიგი სხდომის ჩატარებას თბილისში, 20 იანვარს.

გიორგი ხაინდრავას მიერ მათდამი გაგზავნილ წერილში ნათქვამია: — „მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების საკითხებში გარკვეული მიახლოებული პოზიციები გაგვაჩნია, შსკ-ის ბოლო სხდომამ სასურველი შედეგი არ გამოიღო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მოვახერხებთ ამ მდგომარეობიდან გამოსვლას". გარდა ამისა, ქართულმა მხარემ სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონაში მდგარ სამშვიდობოების მეთაურთაგან მოითხოვა მოხსენებითი ბარათი იმის თაობაზე, თუ როგორ მიმდინარეობს დემილიტარიზაციის პროცესი, ასევე, რეგიონში სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნების შემსწავლელი მისიის საქმიანობის შესწავლა და 2004 წლის 3 ნოემბერს კონფლიქტის ზონიდან გაუჩინარებული ე. კახნიაშვილის ძებნის ერთობლივი გეგმის შემუშავება.

ქართული მხარის შეთავაზებას მაშინვე გამოეხმაურა სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოგვარების დარგში, შსკ-ის თანათავმჯდომარე ბორის ჩოჩიევი. მის მიერ გიორგი ხაინდრავასთვის გაგზავნილ წერილში (წერილის ასლები გაეგზავნათ შსკ-ის თანათავმჯდომარეებს: რუსეთის მხრიდან ვალერი კენიაიკინს, ჩრდილო ოსეთის მხრიდან — თეიმურაზ კუსოვს და საქართველოში ეუთოს მისიის მეთაურს როი რივს) ნათქვამია: „სამხრეთ ოსეთის მხარე გეთანხმებათ, რომ აუცილებელია უმოკლეს დროში შსკ-ის სხდომის ჩატარება, მაგრამ იმ გაუგებრობის განმეორების თავიდან ასაცილებლად, რაც მოხდა მოსკოვში, წინა სხდომაზე (ქართულმა მხარემ სხდომის დროს მოულოდნელად შეცვალა თავისი პოზიცია და ამით ხელი შეუშალა საპროტოკოლო გადაწყვეტილების მიღებას), გთხოვთ ოფიციალურად აგვიხსნათ, საქართველოს ხელისუფლების პოზიცია ერთობლივი სამუშაო ჯგუფისა და სამოქმედო პროგრამის შექმნის თაობაზე. ხოლო რაც შეეხება შსკ-ის მორიგი სხდომის თბილისში ჩატარებას, შექმნილი სიტუაციის გამო — როცა შინაგან საქმეთა და თავდაცვის მინისტრები, აგრეთვე სხვა მაღალი თანამდებობის პირები ოფიციალურად, საინფორმაციო საშუალებებით, ფიზიკური განადგურებით გვემუქრებიან მეც და სამხრეთ ოსეთის სხვა ხელმძღვანელებს, მიზანშეწონილად მიმაჩნია, თუკი ამაზე შსკ-ის სხვა თანათავმჯდომარეები დამთანხმდებიან, სხდომა ვლადიკავკაზში ჩავატაროთ".

# აფხაზეთში ვატიკანის წარმომადგენლები ჩავიდნენ

**LENTA·RU**

საქართველოში ვატიკანის ელჩი კლაუდიო გუჯეროტი და ვატიკანის წარმომადგენლები სამხრეთ კავკასიაში, მღვდლები: ჯერი პილუსი და ვიტოლდ შულჩინსკი სოხუმში შეხვდნენ აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრს სერგეი შამბას.

ვატიკანის წარმომადგენლებმა აფხაზეთის საგარეო საქმეთა უწყებას გააცნეს ის გეგმები, რაც საქართველოში პაპის წარმომადგენლობას გააჩნია, კერძოდ, მათ გადაწყვეტილი აქვთ, დაეხმარონ აფხაზეთს ჯანდაცვის სფეროში. ამ საკითხების მოსაგვარებლად შეხვდნენ ჯანმრთელობის მინისტრს ზურაბ მარშანიას და დაათვალიერეს აფხაზეთის საავადმყოფოები.

მღვდელმა შულჩინსკიმ აღნიშნა, რომ მოკლე ხანში იტალიის მთავრობისგან ელოდებიან დახმარებას, რომლის ნაწილი მოხმარდება აფხაზეთში პროექტის განხორციელებას — შეიძენენ საავადმყოფოებისთვის საჭირო მოწყობილობებსა და ტრანსპორტს.

შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამ და სხვა აქციებს არავითარი კავშირი არა აქვთ პოლიტიკასთან, მხოლოდ და მხოლოდ ჰუმანიტარული ხასიათისაა და მდგომარეობის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად.

ბ-ნმა გუჯეროტიმ აღნიშნა, რომ აფხაზეთში რელიგიური ტოლერანტობის მაღალი დონეა, რაც სტაბილურობის უმთავრესი ფაქტორია. როგორც ცნობილია, აქ მართლმადიდებლურ ეკლესიასთან ერთად მოქმედებენ ლუთერანული, კათოლიკური ეკლესიები, იუდაიზმის მიმდევრები სინაგოგაში იკრიბებიან. ბაპტისტები



— თავის სალოცავ სახლში. რადგან მუსლიმანებს აფხაზეთში ისლამური მეჩეთი არ გააჩნიათ, ისინიც თავის სალოცავ სახლში იყრიან თავს. აფხაზეთში კრიშნაიტებიც მრავლად არიან. აკრძალულია მხოლოდ „იეღოვას მიმდევრების" რელიგიური ორგანიზაციის მოღვაწეობა.

გუჯეროტიმ მოიარა ახალი ათონის და ბიჭვინთის მართლმადიდებელი ტაძრები, შეხვდა მართლმადიდებელი ეკლესიების წარმომადგენლებს.

# ბრალად ედებათ ტერაქტები...

**REGNUM**

სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა იმ პირთა სია, რომლებიც იძებნებიან ჩადენილ დანაშაულთა გამო. სიაში არიან საქართველოს ძალოვან უწყებათა ხელმძღვანელები, მათ შორის ქვეყნის თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი. ძებნილებს ბრალად ედებათ მონაწილეობა ხალხის გატაცებაში, შეიარაღებულ თავდასხმებში, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ტერაქტების მოწყობაში.

სამხრეთ ოსეთის შს მინისტრი **მიხეილ მინძაევი** ამბობს: — ჩვენ იმ პირთა ძებნა გამოვაცხადეთ, ვისაც გარკვეული დანაშაული აქვთ ჩადენილი ჩვენს ტერიტორიაზე. შარშან ქართულმა მხარემ ულტიმატუმი წამოგვიყენა — იმ პირობით მოვაწერთ ხელს დოკუმენტებს, თუ ძმები ხაჭაპურიძეებისა და მათი ნათესავი ლომიძის გატაცების საქმის გახსნითო. ეს საქმეც გავხსენით, გენო პეტრიაშვილისაც და კიდევ სხვები, მაგრამ მაინც არაფერი შეცვლილა ანუ ქართული მხარე ვალდებულებებს არ ასრულებს. ჩვენი მხრივ, ქართულ მხარეს გადავეცით იმ ბოროტმოქმედებების სია, რაც მათ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ჩაიდინეს — დღემდე არც ერთი არ გახსნილა.

— **რა დანაშაული მიუძღვის კერძოდ ირაკლი ოქრუაშვილს, გაქვთ მის ბრალეულობათა მტკიცებულებები?**

— ირაკლი ოქრუაშვილი არის 2004 წლის ზაფხულში სამხრეთ ოსეთში შეიარაღებული შეჭრის ორგანიზატორი, სამხრეთ ოსეთის მოქალაქეების, როგორც ქართველების, ისე ოსების მოტაცების, სხვადასხვა ტერაქტის მოწყობის თაოსანი და ამის უტყუარი მტკიცებულებებიც გაგვაჩნია. გარდა ამისა, ამ სიაში სხვა ქართველი ძალოვნებიც არიან, მაგალითად, ვანო მერაბიშვილი. ის დადანაშაულებულია სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების ცილისწამებაში, შეუფარავ მუქარაში და სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის პირად შეურაცხყოფაში — მან მე ყალბი ფულის დამზადებაში, ხალხის გატაცებასა და სხვა ბოროტმოქმედებებში დამადანაშაულა.

— **აპირებთ ამ პირთა დაკავებისთვის საჭირო ღონისძიებების გატარებას?**

— რასაკვირველია. დავიღალეთ გაურკვეველი პოლიტიკური დათმობებით! ბოროტმოქმედებმა პასუხი უნდა აგონ სამართლის წინაშე.

— **სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის მშვიდობიანი ინიციატივების ერთ-ერთი პუნქტი მხარეების სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა შეხვედრაა. თქვენი ბრალდებების ფონზე ეს როგორ მოხდება?**

— მე მზად ვარ შესახვედრად, მაგრამ ქართველმა სამართალდამცავებმა ჯერ ის დანაშაულები გახსნან, რაც ქართველებმა ჩაიდინეს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე: 2005 წლის 29 მაისს ოსი სამხედროების დახვრეტა, ხალხის გატაცებები, ზარის ტრაგედია (1992 წლის მაისში ოსი ლტოლვილების კოლონის დახვრეტა) და სხვა...

# გაზით ვეღარავის დავაკავებთ...

## ინტერვიუ პოლიტოლოგ ნიკოლაი სვანიძესთან

**КРЕМЛЬ★ORG**



— რამდენიც არ უნდა ილაპარაკონ, გაზის კონფლიქტს პოლიტიკური სარჩული არ უდევსო, ეს მაინც ასეა. რადგან, თუ არა პოლიტიკა, გაზის საკითხი მშვიდად და საქმის ცოდნით გადაწყდებოდა. როცა ასეთი საქმე ორივე მხრიდან კონფრონტაციულად წყდება, აშკარაა, რომ აქ პოლიტიკის „თავი მარხია".

კვლავ გრძელდება მძაფრი დაპირისპირება, ერთი მხრივ, ჩვენსა და უკრაინას შორის, მეორე მხრივ, ჩვენსა და საქართველოს შორის. შიში, რომელმაც რუსულ ელიტაში დაიბუდა ნარინჯისფერი რევოლუციების გამო, ჩემი აზრით, სრულიად უსაფუძვლოა. იმიტომ, რომ რუსეთში ნარინჯისფერი რევოლუცია არ შეიძლება მოხდეს. და თუ მოხდა, ის მუქი ყავისფერი იქნება...

— **რუსეთმა გაზის გაძვირებით საქართველოს და უკრაინას კიდევ ერთხელ მიანიშნა — ეკონომიკურ ასპექტში თქვენზე ზემოქმედების ბერკეტები ჯერ კიდევ ხელთ მაქვსო. როგორ ფიქრობთ, ბოლოს და ბოლოს, დავკარგავთ უკრაინას და საქართველოს?**

— რას ნიშნავს დავკარგავთ თუ არა? უკრაინა უკვე დავკარგეთ, ჩვენი აღარ არის. უკრაინა უკრაინისაა, საქართველო — საქართველოსი. წავიდა ის დრო, როცა შეგვეძლო ჩვენს მეზობელ ქვეყნებზე უდიდესი გავლენა გვქონოდა. საამისო რესურსები ამოიწურა, იმპერია აღარა ვართ. მათი შენარჩუნება და დაკავება აღარ შეგვიძლია. საქართველო პატარა ქვეყანაა, იქ სხვა მდგომარეობაა, სრულიად განსხვავებული კავკასიური სუბიექტურობა. უკრაინა უზარმაზარი ევროპული სახელმწიფოა და გაგვიჭირდება მისი ჩვენი გავლენის სფეროში დატოვება.

— **ვერც გაზით?**

— კარგი ერთი, გაზი... საუდის არაბეთსაც აქვს ნავთობი, მაგრამ მეზობელ ქვეყნებზე გავლენის პრეტენზია როდი აქვს! ამერიკა მისგან ყიდულობს ნავთობს, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ საუდის არაბეთი ამერიკის პოლიტიკაზე ახდენს გავლენას ან ამერიკა მისი სატელიტია. ეს მიზეზი არ კმარა რომელიმე ქვეყნის შინა ან გარე პოლიტიკაზე გავლენის მოსახდენად. გაზის გაყიდვაც შეიძლება და შესყიდვაც. იმ ქვეყანასთან, რომელთანაც ვაჭრობ, ნორმალური პოლიტიკური ურთიერთობაც უნდა დაამყარო; მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის ქვეყანა გაბატონებს. ჩვენ მეზობლებზე ისეთ გავლენას ვეღარ მოვახდენთ, როგორსაც საბჭოთა კავშირი ახდენდა. ეს ილუზიაა: უკრაინასაც, საქართველოსაც და სხვებსაც თავისი სამოქმედო გეგმები აქვთ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1991 წლიდან, ამ ქვეყნებში ნაციონალისტური გრძნობები გაძლიერდა და ეს გრძნობები მათ რუსეთს აშორებს, რადგან ისინი რუსეთს დღემდე აღიქვამენ იმპერიის ცენტრად, რომელიც ყელში ამოუვიდათ და რომლისაც ეშინიათ. ამიტომაც, შეძლებისდაგვარად, მისგან გაქცევას ლამობენ. ხოლო რუსეთს მათი შეკავება აღარ ძალუძს — დასავლეთთან და ამერიკასთან შედარებით ეკონომიკურად სუსტია. უკრაინა და საქართველო დასავლეთისკენ მიემართებიან, ჩვენ კი პირიქით, მას გავურბივართ.

*იბეჭდება მცირედი შემოკლებით*

*გვერდი მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა*


**ევროპული დონის პოლიგრაფია**

**ფერადი ბეჭდვა „ჰეიდელბერგის" გერმანულ დანადგარებზე**

**შპს „გოდოლი"**



ნებისმიერი სახის ნაბეჭდი პროდუქცია

**ხარისხი**

**ოპერატიულობა**

**ფასი**

ტელ: 56-40-56 877-43-04-57

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრი იწვევს:**

I. აბიტურიენტებს, ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებლად (სრული პაკეტი);

II. გადამზადება – მეორე ახალი სპეციალობის მისაღებად (1 ან 2 წელი): *საერთაშორისო ბიზნესი, საერთაშორისო მარკეტინგი, საერთაშორისო მენეჯმენტი, საერთაშორისო ტურიზმი, ბიზნესის ადმინისტრირება, ფინანსური მენეჯმენტი, ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი, საბაჟო და საგადასახადო ბიზნესი და სხვ.*

III. მოსამზადებელ 1-2-თვიან კურსებზე: კომპიუტერი (ყველა პროგრამა), ბიზნეს-ინგლისური, ბუღალტერია, ფინანსები, საბანკო საქმე, მენეჯმენტი, მარკეტინგი, ოფისის მენეჯერი და სხვ.

გაიცემა უნივერსიტეტის დამთავრების შესაბამისი მოწმობა (დიპლომი ან სერტიფიკატი)

თსუ მაღლივი კორპუსი, X სართული

☎ (822) 30 51 07; (899) 58 99 50; ფაქსი: (822) 30-89-64

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გილოცავთ შობა-ახალ წელს!



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარების გონიერება

***

პატარა **ლერიკო ჭალაგანიძეს** ძალიან უყვარს საბავშვო ბაღი და ლენა მასწავლებელი.

ამას წინათ ბაბუას ეკითხება:

— ჩემხელა რომ იყავი, დადიოდი საბავშვო ბაღში?

— დიახ, დავდიოდი...

— შენც ჩემი ლენა მასწავლებელი გასწავლიდა?

***

5 წლის **ქეთი გაბისონიას** დედა დილით უმზადებს ჩაის.

— ჩაი ს ლიმონომ? — ეკითხება დედა.

— და, ი ს შაქარომ! — პასუხობს ქეთი.

## I ანა, გამოიცანი

**1. რომელ მხატვარს ეკუთვნის შემდეგი ტილოები: „ირემი", „ჟირაფი", „თეთრი დათვი", „თეთრი ღორი გოჭებით", „დათვი მთვარიან ღამით"?**

ა) ლადო გუდიაშვილს; ბ) ელენე ახვლედიანს; გ) ნიკო ფიროსმანს; დ) დავით კაკაბაძეს.

**2. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი არ არის ცეკვა?**

ა) ფერხული; ბ) განდაგანა; გ) ხორუმი; დ) ოროველა.

**3. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი ქართული ეკლესია არ მდებარეობს საქართველოს ტერიტორიაზე?**

ა) ფიტარეთი; ბ) ქვათახევი; გ) სამთავრო; დ) ოშკი.

**4. რომელ მეფეს ეკუთვნის პოეტური ნაწარმოები „გალობანი სინანულისანი"?**

ა) დავით აღმაშენებელს; ბ) ერეკლე II-ს; გ) გიორგი ბრწყინვალეს; დ) ვახტანგ VI-ს.

## II მოუძებნეთ თოვლის ბაბუებს თავიანთი ნახევრები




შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ ერთ-ერთი **საახალწლო ნუგბარის** პასუხს.

## III



## IV გამოცანები

**ა)** პირში წიწუსკაწრილი
დგომით როდი იღლება,
ყინვა უფრო ახარებს
მზეზე ცრემლად იღვრება.

**ბ)** ფაქიზი ფრთების ფარფატით
გადაეფარა მიწას,
ზარიდან მალე წავიდა,
მთაში კი დიდხანს იწვა.

### გამოიცანი, რომელი ნაკვალევი რომელს ეკუთვნის



ისრების მიხედვით მიიყვანე კურდღელი ნაძვებთან, მხოლოდ წრეების გავლით



## შოკოლადი

მოთხრობა

რეზო ნაძვის ხეზე დაპატიჟეს.

ათიოდე ბავშვი იყო მოწვეული. ბავშვებმა იმღერეს, იცეკვეს, ლექსები წაიკითხეს. ყველანი კმაყოფილნი და ბედნიერნი იყვნენ.

მერე დიასახლისმა ბავშვები სუფრაზე მიიპატიჟა. მაგიდაზე უამრავი ნამცხვარი და ტკბილეული იყო.

პატარა რეზომ დაირცხვინა, ყველაფერზე უარს ამბობდა, პირი არაფერს არ დააკარა.

წასვლისას დიასახლისმა რეზოს ცალკე გაუხვია მისი კუთვნილი ტკბილეული და ერთი ფილა შოკოლადი დაუმატა.

რეზო შინ რომ მივიდა, შოკოლადი შეჭამა და ძალიან მოეწონა. როცა გაათავა, უცბად ტირილი მორთო.

— რა იყო, რეზო, ენა ხომ არ მოიკვნიტე? — გაეხუმრნენ მშობლები.

— მე რომ სტუმრად ვიყავი, იქაც რომ მეჭამა, ორი შოკოლადი შემხვდებოდა. — სინანულით ამბობდა პატარა რეზო.

*მარიჯანი*

პასუხები იხილეთ 35-ე გვერდზე

*გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა*





შემეცნებით-გასართობი ჟურნალი პატარებისთვის



# „ვისაც საქართველოსთვის ბრძოლა ჩემზე მეტად შეუძლია, იმათ ვენაცვალე მარჯვენაში“

## „70 წლის გავხდი და ფორხილი დავიწყე, როგორც უღლიდან გამოშვებულმა ცხენმა“

*შობა-ახალი წლისთვის საზეიმოდ ვემზადებით. ყოველ ოჯახში სადღესასწაულო სუფრა მზადდება, ზოგან უფრო ხვავრიელი, ზოგან — ძალიან მოკრძალებული... გვიყვარს ქართველებს სადღეგრძელოები და ერთმანეთის შექება სუფრასთან. ალბათ ცუდი არ იქნება, ცნობილი ქართველი მწერლის* ***მერაბ ელიოზიშვილის*** *მილოცვა გადმოგცეთ, თუნდაც ლხინსა და დღესასწაულში გალურსული „სულების გასაფხავებლად“.*

— გილოცავ შობა-ახალ წელს, — იტყვი, ამოიღებ კანფეტს და მიაწოდებ. მერე რა არის ახალი წელი? ახალი სუნთქვა ხომ უნდა იყოს, ახალი გაფართხალება ხომ უნდა იყოს კაცის გონი-გუნებისა? მე, ქართველი, ჩურჩხელებსა და გოზინაყზე გაზრდილი კაცი, მეფე ერეკლესა და ინგილო ქალის, ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილის ამბებზე გაზრდილი კაცი, ვხედავ, რომ შვილები ველარ გადასცემენ ამ ქართულ მონათხრობებს თავის შვილებს. გმირობის ძაფი წყდება. სიკვდილის სულ არ მეშინია. 70 წლის გავხდი და ფორხილი დავიწყე, როგორც უღლიდან გამოშვებულმა ცხენმა, რომელსაც იმიტომ უშვებენ, წავიდეს და თვითონ იშოვოს თავისი საჭმელი თივა — ეკლესიაა ჩემთვის ყველაფერი: ჩემი თივაც, მზეცა და მთვარეც.

დავჯანდაგდი, რომ ვუყურებ ამ ცხოვრებას. სცენაზე ხომ გამოდიან მსახიობები. ჯერ ერთი მსახიობი რო გააქრო სცენიდან, მერე — მეორე, ბოლოს ყველა ამტვრიანებული ფარდის იქით რო დატოვო, მართალი იქნები? ერთი კილოგრამი შაქრის ფასი ვიცით, ერთი კილოგრამი პურის ფასი ვიცით, კაცის ფასი რომ არ ვიცით? მწერლის ფასი არ ვიცით და მეცნიერისა? ილია იყო მამა და გონებით მარჩენალი საქართველოსი. ფოტო მახსენდება: ილიას თითი აქვს გაშვერილი და იღიმის. სად წავიდა ის გალიმებული საქართველო — რუსეთის იმპერიაში მოქცეული და მაინც ღიმილიანი საქართველო? რის იმედი ალიმებდა ქართველ კაცს, რისი იმედი ჩუხჩუხებდა მის გულგვამში, გამაგებინეთ ერთი. უცხო სიტყვებით მეტყველებენ, ტრაბახობენ და ამ დროს საუცხოო ჩვენი ქართული — აბუჩად აქვთ აგდებული. ან კიდევ, რამდენი აბუჩარი ჰყავდა საქართველოს თავისუფლების დაკარგვის შემდეგ, ვერც დავთვლი. რამდენმა აბუჩარამ წამოგვკრა ხელი კისერში. მოდი და ნუ გეტკინება. ქურთაში, ქალმა, რომელსაც მოსტაცეს ოჯახის წევრები თუ მეზობლები, რომელიც დაილალა ცდაში და ლოდინში, თქვა: ოსებს სამი პრეზიდენტი ჰყავთ: კოკოითი, პუტინი და სააკაშვილი, ჩვენ ერთიც არ გვყავსო. ის ქურთა-აჩაბეთი ფეხით მაქვს შემოვლილი. ვიცნობ იქაურებს. თვალებლია სძინავთ ქართველებს შიდა ქართლში, რომ არავინ შემოუვარდეს სახლში. რატომ, რისთვის? დემოკრატიული დატაკებები რომ დაიწყო და შუბლზე რქა არ შეარჩინეს ერთმანეთს მთავრობაში, ეს გვიშველის? ახლა მიულოცე შენ შობა-ახალი წელი იმ ქალს ქურთაში, ნათესავები რომ მოსტაცეს. რა სიტყვებით მივულოცო? ყოველი წუთი წელიწადს გვაკარგვინებს. ჩვენ უსწრაფესად უნდა გვემოქმედა. დღეს ზედმეტად ასანთის გაკვრა აღარ შეიძლება, ისეა გაჟღენთილი ჰაერი დენთით, ისე ადვილად იწირება სიცოცხლე. რითი გავუკეთო გული იმ ქურთელ ქალსა? მწერალი ვარ, მერე რა... ხომ შეიძლება სილაც კი გამკრას, — რად მინდა შენი მწერლობა და შენი ქართველობაო. შობა-ახალი წელი როგორ მივულოცო? აგერ, გუშინ, მე და ჩემმა მეუღლემ წავიკიდეთ გულზე ცეცხლი. ვთქვით, აღარ გვინდა წვალებით ბაზარში წასვლა, იქიდან ოთხი ფეხით მოსვლა ზურგზე აკიდებული სანოვაგით... ასე თრევა-თრევით, საკუჭნაოს ძონძების მიტან-მოტანით გავდივართ წლიდან წლამდე და ვაგროვებთ ფულს იმისთვის, რომ შობა-ახალ წელს შევხვდეთ. ეს ხომ ცოდოობაა. ამას რომ ეტყვი, გაეცინება ჩვენი პარლამენტის წევრს, რომელსაც გინდა — გინდა ყველაზე ჭკვიანს, ენაწყლიანსა და ყველაზე გოზინაყიანს. მაგათ ჰგონიათ, რინგზე არიან გამოსულები, დაუშენენ ერთმანეთსა, ერთი რომ მეორეს გაუსწორდება და მოუგებს, ჰგონიათ, საქართველოც ეგრე იგებს საბრძოლველსა.

**გილოცავ შობა-ახალ წელს, — იტყვი, ამოიღებ კანფეტს და მიაწოდებ...**



ისეა გადაგრეხილი დარბილებული ძვლები საქართველოსი, ველარ იცნობ. იმიტომაც წამოგვესივნენ. გაგისკდება გული, აბა, რა იქნება. რუსს თავის წინ ფეხის წვერებზე მოცეკვავე უნდა მხოლოდ, აზერბაიჯანის ნავთობი უნდა, საქართველოსი — ზღვა უნდოდა და ხომ უქნა ყლამპი. დავრჩებით კიდეც ზღვის გარეშე, თუ არ გავისარჯეთ, თუ ფეხზე არ დავდექით. ვინ არის ჩვენი ფეხზე დამყენებელი, მარტო პრეზიდენტი? არ დაიჯეროთ!.. თვითონ უნდა დავდგეთ ფეხზე!

ერთი შვილი შორსა მყავს პურის ფულზე გაგზავნილი. ასე რამდენი ოჯახია საქართველოში. აქა ჰგონიათ, უცხოეთში საკონცერტო დარბაზში მიდის ხალხი, კარგად ცხოვრობს... ამ დროს რა დღეში არიან, რა წვალებაში. ჩემი შვილი 60 კილომეტრზე მიდის უდაბნოს ქვიშაში, რომ მუსიკის გაკვეთილი ჩაატაროს და მერე უკან დაბრუნდეს. აღებული გროშების ნაწილი მე უნდა გამომიგზავნოს, რომ ამ „ნიკალას“ ფული გადავიხადო, რომელიც მათბობს. რა ვუთხრა იმ ოჯახებს, ვისაც მამა, შვილი, ცოლი, ქმარი უცხოეთში ჰყავს გაშვებული სამოვარზე, რითი მივულოცო ახალი წელი?

შობა-ახალი წლის მიმლოცველი რომ იყო, ცოტათი მაინც ხო უნდა იყო იმ ტახტის ფეხი, რომელზედაც ვაჟა, ილია, აკაკი ისხდნენ... იმათგან მილოცვილიც არის შობა-ახალი წელი და დალოცვილიც საქართველო, მაგრამ მათი სიტყვების გამმეორებელი აღარ გვყავს.

ჩვენ ხომ უერთმანეთოდ ცხოვრება არ შეგვიძლია, ვინც არ უნდა ვიყოთ — ქართველი, ოსი თუ აფხაზი. ჩვენ ხომ საერთო გვაქვს პური, წყალი, ყველი, ქორწილი და ჭირი. იმ ურთიერთობაზე შეიძლებოდა ტორებით შედგომა? ეს ისეა, რომ ბეწვის ხიდზე ხმლის ქნევა დაიწყო და ეს ბეწვის ხიდი ჩაჭრა და ჩაწყვიტო.

მშვიდობა რომ იყოს, კიდევ მივულოცავდი შობა-ახალ წელს პირადად ყველას, როგორც ვულოცავდი ხოლმე. გავიდოდი ქამარზე დაკიდებული კანფეტიანი პარკით, გულზე სასტვენს დავიკიდებდი, დავუსტვენდი, გამოიხედავდა ჩემი ოსი ამხანაგი, მივულოცავდი, მომილოცავდა. ასე მივდიოდი ჩემს ბიძაშვილმამიდაშვილებთან მისალოცად. არ ვიკადრებდი, ესენი გამომეტოვებინა და ისე მივსულიყავი ბიძაშვილ-მამიდაშვილებთან... ჩემი სახლიდან მათ სახლამდე არავის გამოვტოვებდი. ასე სიკეთეში ვცხოვრობდით.

მთავარი სიფხიზლეა. ფხიზლად უნდა ვყოფილიყავით ადრეც და ახლაც. მთვრალი და ბარბაცით მოსიარულე ვერც თავის თავს ხედავს, ვერც სამშობლოს.

ამდენი ვთქვი გულზე მოსახვედრი და... ვისაც ხვალინდელი დღე ჩემზე მეტად სწამს, ვისაც საქართველოსთვის ბრძოლა ჩემზე მეტად შეუძლია, იმათ ვენაცვალე მარჯვენაში, ვენაცვალე მოქნეულში, სიტყვა იქნება თუ ხმალი. ისე, სიტყვა მირჩევნია, რა თქმა უნდა! საახალწლო სუფრა იმიტომ იყო ტკბილი, გოზინაყიანი და ჩურჩხელიანი, რომ ტკბილად შევსწრებოდით მომავალს. სიყვარულსა და სიტკბოს ვუსურვებ საქართველოს!


„ჭკუა!“ (აღმოაჩინე ამ ჟურნალში)




გამოვიდა იანვრის ნომერი


# „მარტო რადა ვარ?“



თალხი კაბა ჩამოიფერთხა და ღობესთან მიდგმულ ძელსკამზე ჩამოჯდა. ნაჯაფი ხელები კალთაში ჩაიწყო და ღიმილით ამომხედა: ვისი სტუმარი ხარო. ვუთხარი. ესიამოვნა. კარგი ხალხის სტუმარი ყოფილხარ, კარგი ადამიანიც ჩანხარო. მერე დასძინა: აუცილებლად უთხარი შენს მასპინძლებს და ამ საღამოს ჩემთან მოდითო.

საღამოს აქ აღარ ვიქნები, შინ მივდივარ, საახალწლოდ უნდა მოვემზადო და ოჯახში შევხვდე ახალ წელს-მეთქი, — მადლობასთან ერთად მოვახსენე. იმან კიდევ: იჰ, თქვენცა ხართ, ნეტა რა დაგარბენინებთ. იმ ქალაქში ყოფნას აქ ყოფნა არ გირჩევნიათო?! აი, დარჩი და ახალი წლის შეხვედრა როგო უნდა, აქ გაჩვენებთო: დედალს მოვხარშავ, გოზინაყს გავაკეთებ, ქადა-პურებსაც გამოვაცხობ, ახალ ღვინოსაც მოვხდიო.

ვიცოდი, მარტოხელა იყო და ფრთხილად ვკითხე: — ახალ წელს მარტო ხვდებით თუ...

არც დამაცადა სიტყვის დამთავრება. წარბი შეკრა: — მარტო რადა ვარ? ამოდენა სოფელს ვერ უყურებ? ყველა ჩემიანია და ყველა ჩემთან ერთად ხვდება ახალ წელს. მარტოო... მარტოობა თქვენ იცით, ქალაქელებმა. გამოიკეტავთ კარსა და ქვეყანა რო თავზე ჩამოგექცეთ, არას გაიგებთ-რა! მისჩერებიხართ ტელევიზორს. ნეტა ი ტელევიზორში იგეთს რას აჩვენებენ, რო ამოდენა ხალხი დგახართ და გასუსული შეჰყურებთ. აქაც დაიწყეს, სოფელშიც. მიუსხდებიან ხოლმე და უყურებენ.. იჰ! მე მაგას არ შევხედავ. ლხინი და სიხარული იცი, როგორ უნდა? აი, სიძე გვყავდა ერთი, ჩემი დის ქმარი. ახალი წლის ღამეს მოდიოდა და:

*გამომხედე, სიმამრო, / ნუ გაქ მიეთ-მოეთიო, / შენ ნუ შაგეშინდება, / პურმარილით მოვედიო.*

მამაჩემი კართან მიეგებებოდა და:

*შემობრძანდი, სიძეო, / არ შეშინდე, ვაგლახო, / კარგად უნდა გაგაძღო, / განა უნდა გაგლახოო.*

ის ეტყოდა:

*ახალ წელს უმადლოდე, / არ დაგიწყებ ჭიდილსაო, / ცემა იგეთი ვიცი, / მტერს ვანატრებ სიკვდილსაო...*

მამაჩემი:

*შენზე ხელს როგო ავწევ, / ნურას მეტყვი საცდელადო, / ჩემი ქალიც მეყოფა, / თავში ხელის საცემადო...*

იყო ერთი ჟრიამული და სიცილი.

...მარტო რადა ვარ, არც არასოდეს ვყოფილვარ. მარტო რო ვიყო დედაკაცი, ღვინოს დავწურავდი? მაგრამ მარტო არა ვარ და შემოდგომაზეც ერთად დავკრიფეთ ჩემი ვენახი, მოვიტანეთ, დავწურეთ. ამ უბანს რო უყურებ, რვა კომლი ცხოვრობს: ჯერ ჩემი ვენახი დავაბინავეთ, მერე მიხედეს თავისებს. შენ კიდენა ამბობ, მარტოო... მოდი, რა გაჩვენო...

წამოდგა, წელში მოხრილი შევიდა შინ და იქიდან რაღაც მოზრდილი ფუთა გამოიტანა. პირი მოუხსნა. ჭრელი წინდები გამოჩნდა, ყველა სხვადასხვა ფერისა: — მარტო რომ ვიყო, ამაებს დავქსოვდი? ერთი ჩემი დის შვილიშვილისაა, მეორე მეზობლის ბალღის — მიშიკოსი, პირველში ეგ მოვა მეკვლედ, მესამე — ნინოსი, მეოთხე — არჩილასი, მეხუთე სანდროსი — მარტო დარჩა საწყალი, ორი თვის წინ დაქვრივდა. ეს კოკასი, ესეც ნატოსი... მეზობლის ბალღები არიან... ჩემნაირი დედაკაცის მარტოობა არ ითქმის...

კიდევ ერთხელ გამიყარა თვალი თვალში... შევწუხდი. თვითონვე გამიღიმა და გაუხეშებული ხელი ლოყაზე მომითათუნა: — გინდა, საახალწლო შაირი გასწავლო? რო ჩახვალ თბილისში თქვენებს უთხარი:

*„ვერ გამტეხავს გაჭირვება, / ცივი ქარი სისინაო, / არც დღესასწაულს მოვიშლი, / გასახარად მტრისთვინაო, / მამაპაპურ სუფრას გავშლი / შობა-ახალწლისთვინაო“.*

დავემშვიდობე, რაღაცნაირად გული ყელში მომებჯინა...

— მოიცა, სად მიხვალ, აი, ეს წინდა, ესეც ჩურჩხელები. წაიღე, გაგახსენებს ნადია ბაბოს... ისე, ხო კიდე, ჩამოხვალ, ქალაქელო?

— ჩამოვალ, როგორ არ ჩამოვალ...

— ჰოდა, ეგრე, — მოკლედ მომიჭრა, დაკოჟრილი ხელები მზისა და წვიმისაგან გაუანგულ ნაოჭიან შუბლზე გადაისვა. მერე თითქოს ახლაღა გამოერკვა:

— უი, ქა, ქათმები დამავიწყდაო! — ჩქარი ნაბიჯით შევიდა ეზოში.

კარგა ხანს მესმოდა, ხორბლის თუ სიმინდის მარცვალს ქათმებს უბნევდა, კრუხ-წიწილა კრიახობდა და ნადია ბაბოს დუდუნა ხმა ილოცებოდა: ამდენი სიხარული, ამდენი თოთო ბალღი, ამდენი ოქრო, ამდენი სიტკბო, ამდენი წლის ბედნიერი სიცოცხლე, ამდენი ხბო და ამდენი წიწილა...

***გვერდი მოამზადა ლელა ჯიყაშვილმა***

ეროვნული ბიბლიოთეკა




## საქმე არ ითმენს!

წარმოიდგინეთ ტელეფონი, რომელშიც ორგანულად არის შერწყმული ელეგანტური დიზაინი და იშვიათი ფუნქციონალურობა. ტელეფონი, რომელშიც ყველაფერია იმისთვის, რომ ბიზნესსამყაროში ყოველთვის თავდაჯერებული იყოთ. ეს ტელეფონი მართლაც წარმატებული ადამიანებისთვისაა. ყველაფერი ადვილი წარმოსადგენია – Samsung X700.

- 1.3-მეგაპიქსელიანი კამერა • ფერადი TFT დისპლეი (262 144 ფერი)
- სტერეოხმა • FM-რადიო • MP3 / AAC პლეერი • MPEG4 ვიდეოპლეერი
- მეხსიერების ბარათი TransFlash™ • 40-ტონალური პოლიფონია
- Bluetooth • EDGE




X700

## Дело не ждет!

Представьте телефон, органично сочетающий элегантный дизайн и исключительную функциональность. Телефон, в котором есть все, чтобы Вы могли уверенно чувствовать себя в мире бизнеса. Телефон для действительно успешных людей. Samsung X700. Легко представить.

- 1,3-мегапиксельная камера • Цветной TFT-дисплей (262 144 цвета)
- Стереозвук • FM-радио • MP3 / AAC плеер • MPEG4 видеоплеер
- Карта памяти TransFlash™ • 40-тональная полифония
- Bluetooth • EDGE

ელიტ ელექტრონიქსი – კომპანია სამსუნგ ელექტრონიქსის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში

ELIT ELECTRONICS

**Elit Electronics** – официальный дистрибьютор компании Samsung Electronics в Грузии

მარჯანიშვილის ქ. №47; ტელ: (822) 94 24 72
აღმაშენებლის გამზ. №146; ტელ: (822) 96 28 67
ხიზანიშვილის ქ. №53; ტელ: (822) 35 69 95

Адреса магазинов: г. Тбилиси,
ул. Марджанишвили №47 / Тел: (822) 94 24 72
пр. Агмашенебели №146 / Тел: (822) 96 28 67
ул. Хизанишвили №53 / Тел: (822) 35 69 95

3-წლიანი უფასო სერვისული მომსახურება

3 года бесплатного сервисного обслуживания

SAMSUNG
სამსუნგი

# მამულ-დედული



## ზამთრის სამუშაოები

იანვარი საუკეთესო დროა სანამყენე კალმების ასაჭრელად. აჭრილი კალმები კი სარდაფში, სველ ქვიშაში უნდა შევინახოთ. კალმებს, როგორც წესი, ვაჭრით ვარჯის გარეთა ნაწილებიდან, ამავე დროს იგი უნდა იყოს კარგად მომწიფებული და აუცილებლად წლევანდელი ნაზარდი.

მავნებლების დიდი ნაწილი იზამთრებს კვერცხისა და ჭუპრის სახით, რომელთა აღმოჩენა არც ისე ძნელია ხეხილის შტამბის ქერქისა და ღეროს დაზიანებულ ადგილებში. სასურველია, სწორედ ამ პერიოდში თუ გავათავისუფლებთ მცენარეებს „მიძინებული“ მავნებლებისგან. ამიტომ სანამ ისინი გამოიღვიძებენ და თავიანთ „საქმიანობას“ შეუდგებიან, მანამდე უნდა ჩავატაროთ წინასწარი ღონისძიებები: დაზიანებული და დასნებოვნებული ადგილები ჩამოვაჭრათ, ჩამოვფხიკოთ მეტალის ჯაგრისებით, შევათეთროთ კირით შტამბი და მსხვილი ღეროები. და თუ ამ ღონისძიებათა შემდგომ მაინც დარჩება მავნებლები, მათ ჩიტები მოუვლიან გამოღვიძებისთანავე.

## რჩევა დამწყებ მეფუტკრეებს

*(ამოჭერით და შეინახეთ)*

არცთუ ისე იშვიათად მინდვრის თაგვი ძვრება სკაში და ერთიანად ხრავს როგორც თაფლიან, ისე ჭეოიან ფიჭას. თაგვს ადვილად შეუძლია სკის საფრენ ჭრილში შეღწევა. ეს რომ არ მოხდეს, როცა ფუტკარი ინტენსიურ ფრენას დაამთავრებს, საფრენის საკეტი ლითონის ფირფიტა შეაბრუნეთ და სავარცხლისებრი მხარე დაბლა მოაქციეთ, რომელშიც ფუტკარი თავისუფლად ეტევა, თაგვი კი ვერა.

მეფუტკრეთათვის ყველაზე არასასურველი და გადამღლელია ნაყრობის დრო, რომელიც მაისის მეორე ნახევრიდან იწყება. მეფუტკრე უნდა ეცადოს, რომ ფუტკარმა არ იყაროს, რადგან ამ დროს ძლიერი ოჯახიც კი სუსტდება.

ნაყრობის თავიდან ასაცილებლად, პირველ ყოვლისა, ფუტკარი უნდა დავტვირთოთ, სკას დროულად ჩავუმატოთ ჩარჩოები, თუ ისინიც შეავსეს, დავადგათ საკუჭნაო, სკის სახურავს დავაფაროთ საჩრდილობელი (ჩიფერი).



## ამურს ადვილად მოვაშენებთ



კობრისებრთა ოჯახის ეს გვარი წარმოდგენილია ორი სახეობით — თეთრი და შავი ამური.

ამური სამრეწველო მნიშვნელობის, ბალახის მჭამელი თევზია, რომელიც მეტად ხელსაყრელია ჩვენი ქვეყნისთვის, მით უმეტეს, დიდი ხანია აკლიმატიზებულია საქართველოს მრავალ ტბასა და წყალსატევში (ჯაპანისა და ნაქალაქევის თევზსაშენი ტბორები, ჯანდარის, ლისის, კუმისის ტბები, მარაბდის წყალსაცავი).

იმის გამო, რომ ძირითადად მცენარეული საკვებით საზრდოობს, თავისუფლად შეიძლება სხვა სახეობის თევზებთან ერთად მისი მოშენება. ამური არც ერთ თევზს საკვებში არ შეეცილება, გარდა სქელშუბლასი, რომელიც კვებისა და ცხოვრების ნირით მას ჰგავს. ამური სიგრძით ერთ მეტრს აჭარბებს, ხოლო წონით 50 კგ-მდე აღწევს. სწრაფად იზრდება — 4 წლის ასაკში 3,5 კგ-ს იწონის. ყრის 100-800 ათასამდე ქვირითს.

როგორც ტბებსა და წყალსატევებში სარეველების გამანადგურებელს (სქელშუბლასთან ერთად) ბადალი არ ჰყავს. ჩინეთში 1-3-წლიან ამურს იყენებენ ბრინჯის პლანტაციებში სარეველების მოსასპობად.

გარდა ბუნებრივად მზარდი ბალახებისა, ამურის გამოკვება შეიძლება სხვადასხვა მცენარეული საკვებით, როგორიც არის: ახალმოთიბული ბალახი, კომბოსტოსა და ჭარხლის ფოთოლი.

ასე რომ, კარგი ხელშეწყობით და მოვლა-პატრონობით, საქართველოს შანსი აქვს ასეულობით ტონა თევზი აწარმოოს ამურის სახით, როგორც არსებულ ტბებსა და წყალსატევებში, ისე ახალაგებულ თევზსაშენებში.

## წამლები... თქვენი ბოსტნიდან

ოხრახუში... დეზოდორატორი: ოხრახუში არა მარტო აქრობს უსიამოვნო სუნს პირის ღრუში, არამედ ახასიათებს ბაქტერიოციდული მოქმედება. იგი სასარგებლოა ღრძილების ანთების დროსაც.

უძილობა თუ გაწუხებთ: 35 გრამ ნიახურის ფესვს დაასხით 1 ლ ანადუღარი ცივი წყალი, დააყოვნეთ 8 საათი, გაწურეთ და დალიეთ თითო ჩაის კოვზი 3-ჯერ დღეში. უძილობა მალე მოგეხსნებათ.

თუ ფეხები გისივდებათ: 1 სუფრის კოვზი დასრესილი ნიორი ხარშეთ 200 მლ წყალში 5 წუთის განმავლობაში და შეიზილეთ დილა-საღამოს.

კბილების შესანარჩუნებლად: ბადრიჯანი გაახმეთ ჰაერღუმელში 24 საათის განმავლობაში 80 გრადუს ტემპერატურაზე, წმინდად დაფშვენით და მიღებული ფხვნილით ყოველდღე იწმინდეთ კბილები.

ერთი სვეტი შეკითხვებისთვის

## როდის დავრგოთ თხილი?



**— წლის რომელ პერიოდში შეიძლება თხილის, კერძოდ ბერძულას ჯიშის დარგვა?**

***დავით მგელაძე, ლანჩხუთი***

— თხილის დარგვის საუკეთესო პერიოდია შემოდგომა-ზამთარი, სანამ ყინვები დაიწყება. პლანტაციის გასაშენებლად ჯობია წინასწარ გამოყვანილი, 3-წლიანი ნერგები. სტანდარტული ნერგების გამოსაყვანად ფესვის ამონაყრებს აცლიან და ზრდიან სანერგეში, სადაც კარგად უვითარდება ფესვთა სისტემა — 40-50 სმ დიამეტრის და 3-4 50 სმ-იანი ამონაყარით.

დარგვის წინ ფესვებს ავლებენ ნაკელისა და თიხის ემულსიაში (წყალხსნარში) — თითო წილი ნაკელი და თიხა. ყოველ ორმოში შეაქვთ 10 კგ გადამწვარი ნაკელი, 300 გ სუპერფოსფატი და 150 გ აზოტი, რომელსაც წინასწარ ურევენ ნიადაგის ზედა ფენიდან ამოღებულ მიწაში. ნარევის ნაწილს ყრიან ორმოს ფსკერზე, ნაწილს კი უყრიან დარგვის დროს, შემდეგ აუცილებლად რწყავენ, რაც აუცილებელია ნარგავის გახარებისთვის.

თხილის დარგვის პერიოდს ჯიშთან არავითარი კავშირი არა აქვს!

## მოზაიკა

* * *

*პეტრე I-მა პირველად 1700 წელს დააწესა რუსეთში ახალი წლის აღნიშვნა 1-ელ იანვარს და ბრძანა, სახლები და ქუჩები მოერთოთ ფიჭვისებრი და ღვიისებრი წიწვიანი ხეებით. ეს ტრადიცია რუსეთის იმპერატორმა გერმანელებისგან გადმოიღო.*

*პეტრე I თავად დადიოდა დედაქალაქში და ვისაც საახალწლოდ მორთული ნაძვის ხე არ ედგა, იმ ოჯახის უფროსს კეტით „უმასპინძლდებოდა“.*

*საქმე ის არის, რომ ნაძვის ხის ტოტებით სახლების მორთვა მთელ რუსეთში საუკუნეთა მანძილზე სამგლოვიარო რიტუალად ითვლებოდა. დღესაც კი რუსეთში ნაძვის ტოტებით რთავენ სამგლოვიარო გვირგვინებს და იმავე ტოტებს ყრიან გზადაგზა დასაფლავების დროს.*

* * *

*ჭიანჭველების ერთი ბუდე დღე-ღამეში ანადგურებს უამრავ მწერს, მთელ სეზონზე — 8 მილიონამდე. მათ ნანადირევში შედის: გრძელცხვირები, ბაღლინჯოები, ბუზები, ჭრიჭინობელები, ფოთოლჭამიები და მხერხავები. მთავარი ის გახლავთ, რომ ეს ნამცეცა მწერები უშიშრად ესხმიან თავს თავისზე ბევრად დიდ მწერებს, ისეთებს, როგორიც არის მუხლუხო.*

## მკითხველის ფოტო



— ფრთხილად, გრიპი არ დაგემართოთ!..

## რედაქციისაგან:

ბატონო მკითხველო! მოგვწერეთ ამ რუბრიკიდან გამომდინარე, რა გაინტერესებთ.

გაგვიზიარეთ თქვენი დაკვირვება, გამოცდილება; მოგვაწოდეთ საკუთარ მამულ-დედულში გადაღებული უცნაური, საინტერესო ფოტოები.

წერილები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით.

## კალენდარი მემამულეთათვის




*გვერდი მოამზადა სწავლულმა აგრონომმა, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა, ფიტოთერაპევტმა ნიკოლოზ იოსებიძემ*

# 13-დან 19-მდე

# „ნიკუშას გაცნობა შეიძლება?.."

ერთ პატარა გოგონას მოსვენება დაეკარგა. საიდან ვიცით? — რედაქციაში დარეკა და იკითხა: ნიკუშა ახლაც იცნობთო? ვიცნობთ, — უპასუხეთ, — „ლიტერატურულ პალიტრაში" (№12; დეკემბერი; 2005) მისი ნოველები დაიბეჭდა-თქო. პასუხს მომდევნო კითხვა არ მოჰყოლია... თურმე „ლიტერატურული პალიტრის" 38-ე გვერდზე დაბეჭდილმა ჩანახატმა აღუძრა... რედაქციიდან კვლავ რომ დარეკა, ხმამ გაყიდა... კითხვაზეც — ნიკუშას გაცნობა თუ შეიძლებაო... ცხოვრებაშიც ისეთია, როგორიც ფოტოზეო?! რა გვექნა, რალაც ხომ უნდა მოგვეფიქრებინა ის გოგონას გულის გასახარად. პოდა, მოვიფიქრეთ: მას, და არა მარტო მას, ახლა უკვე „კვირის პალიტრის" ფურცლებზე ვთავაზობთ ნიკუშა ათაბაის ნოველას „მობილური ტელეფონი", მცირე ჩანახატს, რა თქმა უნდა, ფოტოსაც და „ბულბრფილ" დოსიესაც.

## „მიყვარს გოგონები"



*პირველი მოთხრობა:* ოთხი წლისამ მამას ვუკარნახე.

*ნოვა დაიწყო:* „დილის გაზეთში", საბავშვო ზღაპრებსა და მოთხრობებს ვთარგმნიდი.

*დებიუტი:* „ლიტერატურულ პალიტრაში" ხუთი ნოველა დაიბეჭდა. ვერ წარმომიდგენია, რომ არ ვწერო. სულ ვფიქრობ, რაზე, როგორ... ვინც წაიკითხავს და მოეწონება, იმისთვის ვწერ.

*დაბა:* ჯობეში მიდევს, პატარას. ალბათ, ცუდად არასოდეს გამოვიყენებ.

*სკოლა:* 161-ე სკოლის XI კლასში ვსწავლობ. ძალიან არ მიყვარს სწავლა, მაგრამ მასწავლებლებს ვუყვარვარ... გაკვეთილზე ყველას ჩემს ნაწერებს; თუმცა ქართულის მასწავლებელმა, „ენდ-მორსონი" ვმონაწილეობდი-მეთქი რომ ვუთხარი, მკითხა, ეგ რა არისო.

*ამპლუა:* კარგ საქმედ მითვლიან, რომ ვწერ, თუმცა ბევრს ვერ არაფერი წაუკითხავს... უხარიათ, ჟურნალში ჩემს ფოტოს რომ ნახავენ. მეგობარ ბიჭებს უფრო სერიული მკვლელობები მოეწონებათ, გოგონებს სხვა რამეები მოსწონთ... ვის რა მოეწონება, იმის მიხედვით ვერ დავწერ. დავწერ და ვისაც მოეწონება, მოეწონება.

*გოგონები:* კარგი ადამიანები არიან... მიყვარს გოგონები.

*ქუჩა:* ჩემი ძმა ერთი წლით დიდია ჩემზე, ის უფრო კარგად იცნობს ქუჩას. ბევრი რამ მოსაწონი არ არის, თუმცაღა ის, რომ ერთი უმნიშვნელო სიტყვის გამო მოსაკლავად იმეტებენ კაცს.

*წიგნი:* მაინტერესებს, სხვები რას წერენ, განსაკუთრებით თანამედროვე ქართველი მწერლები. ძალიან მომწონს ასე მორჩილაძე... წერენ, რა... აი, ლაშა ბუღაძე თინეიჯერებისთვის წერს, გამოსცემს. „ბილლ ზარა" რომ კითხულობდნენ, ვიცინოდი კიდეც, მაგრამ მერე რომ დავფიქრდი, არაფერი დაუტოვებია. იქნებ ასეც ჯობდა ჩაფიქრებული.

*ინტერნეტი:* ნახევარი წელია, კომპიუტერი შემიყვარდა. კარგია, ადამიანების გაცნობა შეიძლება. ვისი? — გოგონების, საინტერესოა უცხოელ გოგონებთან ლაპარაკი. ფინელებთან, ბრაზილიელებთან, ამერიკელებთან, ინგლისელებთან მილაპარაკია. გოგონები კომპიუტერით საუბრისას უფრო გულახდილები არიან, ვიდრე ცხოვრებაში. კომპიუტერი ათამაშებს, ისეთ რამეს ეტყვიან, რასაც ცხოვრებაში არასოდეს... ტელეფონით არ დამაკავშირებიან, რეალობის შეგრძნება არ გავაცეთ და არ ვიტყვი არ, რასაც სხვა დროს არ ვიტყვი.

*მობილური:* მაქვს, მაგრამ ტელეფონის ნომერი საიდუმლოა, იმ გოგონას ვერ უკარნახებ. გეგმასაც არ გავიქცეოდი... როცა, მთხოვენ, ვარეკვინებ. ჯერ ვერ წავართვეს.

თუ გოგონამ დამირეკა და მითხრა შენი გაცნობა მინდა, ეგრევე... ტელეფონზე გაცნობას რეალურად არ ვუყურებ. ტელეფონით არავისთვის მითხოვია გაცნობა, თუმცა მობილურისა და მესიჯების გარეშეც გამიჭირდებოდა.

*სიმკაცრე:* ცხოვრებაში ნაკლებად, ისე შინაგანი სიმკაცრე მახასიათებს.

*არაო?!*
*(კო, კო...)*
*ანათებდა პატარა, საყვარელი სანთლები...*
*ისმოდა მუსიკა, სასიამოვნო...*
*კალამი ვიხედით...*
*პასუხი უნდა ეთქვა...*
*ხან თვალებში ვუყურებდით ერთმანეთს, ხან ისე,*
*მეშინოდა პასუხის...*
*საშინაოდ...*
*ორასიოდ...*
*ის იყო, რალაცის თქმა დააპირა, შეშფოთ...*
*— მოდი, მე თვალებს დავხუჭავ და შენ მაკოცე... თუ — კი, მაშინ ლოყაზე... თუ — არა, მაშინ ტუჩებში...*
*— დახუჭე...*
*დავხუჭე...*
*მაკოცა...*
*ჯერ ლოყაზე...*
*ერთხელ...*
*7 წამის მერე ტუჩებში...*
*ბედნიერი...*
*კოო... კოო... კოო...*
*მახარობელი...*
*თვალების გახელას არ ვჩქარობდი...*
*ანათებდა პატარა, საყვარელი სანთლები...*
*ისმოდა მუსიკა, სასიამოვნო...*

## გამოხმაურება



*წინა ნომერში კარინა გვწერდა, რომ შეყვარებულის საქციელმა ახალი წელი ჩაამწარა. ის „გულახდილთა კლუბისგან" ითხოვდა სადღესასწაულო განწყობის დაბრუნებაში დახმარებას. კარინას ბევრი დაუდგა გვერდით. გთავაზობთ რამდენიმე ეს-ემ-ესს.*

კარინა, გახსოვდეს, რომ ცხოვრება გრძელდება. შედარებით გვიან რომ დაშორებულიყავით, უფრო მეტად გაგიჭირდებოდა. უფალს მადლობა უთხარი, დათოსნაირ მოღალატეს რომ დაგაშორა. დაფიქრდი, დათო მართლა გიყვარს თუ თავს ცუდად იმიტომ გრძნობ, რომ მიგატოვა? ზოგიერთი ბიჭის გული ხომ ყველაფერს იტევს, წრფელი სიყვარულის გარდა!..

**ანა**

დათოსნაირ ბიჭებს მინდა ვუთხრა, მოუფრთხილდით გოგონებს, არ ატკინოთ გული! არ გეგონოთ ეს კაიბიჭობაა... სხვის გრძნობებზე თამაშს იცით რა სახელიც აქვს... მე ნუ მათქმევინებთ.

**ლევანი**

ზუსტად ასეთი რამ შემემთხვა მეც, ოღონდ არა ახალ წელს. დამირეკა და მითხრა, ყველაფერი მორჩაო. ერთი წლის მერე კი საოცრება მოხდა — მომიბოდიშა... მივხვდი, თურმე როგორ მყვარებიხარო. კარინა, რა იცი, რა ხდება, იქნებ დათო დაგიბრუნდეს კიდეც.

**ლიკა**

როცა ორ ადამიანს ერთმანეთი უყვარს, დაუჯერებელია ურთიერთობა ასე დასრულდეს. კარინა, დათოს მართლა უყვარდი, რამეს გპირდებოდა თუ შენს ფანტაზიებს გამოემშვიდობე? გოგონებს ხშირად ყველანაირი მეგობრობა სიყვარული ჰგონიათ, ამიტომ სხვა დროსაც არ შეგეშალოს.

**გია**

მყავდა შეყვარებული. ოთხი წელი მიყვარდა, მაგრამ ისე უმიზეზოდ დავშორდი... მერე დიდხანს ვნანობდი. ბოლოს გავბედე და სანახავად მივედი. გათხოვილი დამხვდა! კინალამ გავგიჟდი. სულ მენატრებოდა. შემთხვევით კურსელები გავხდით. ქმარს გაცილებულია... დღეს ის დიდი სიყვარული დიდ მეგობრობაში გადაიზარდა. გისურვებ წარმატებას. არ იჯავრო, ყველაფერი კარგად იქნება. გისურვებ დიდ სიყვარულს, მრავალს დაესწარი.

**თაზო**

## მობილური ტელეფონი

— რა გაყვირებს, შენი დედა... — ამოასხა ბიჭს, რომელიც აქამდე ძლივს იკავებდა თავს და გაქცევა სცადა, მაგრამ ამ დროს ჰაერში ორმა დანამ იელვა და კვნესის ხმა გაისმა.

ბიჭი ძირს დავარდა, თემომ კი ტელეფონი ამოაცალა, მამუკას ანიშნა, წავედითო და სასწრაფოდ გაეცალნენ იქაურობას.

კოკისპირულად წვიმდა. მიუხედავად ამისა, ჟამთა გამგებელი მშვენიერ ხასიათზე იყო. ირგვლივ თავისი ერთგული ადამიანები შემოეკრიბა და ხალისიანად მასლაათობდა.

— რამდენიმე წუთის წინ ერთი ყმაწვილი დაილუპა, — აღნიშნა წუთო მერკინსმა და ამოიოხრა.

— როგორ? — დაინტერესდა ჟამთა გამგებელი.

— ორმა არამზადამ დანებით საშინელი ჭრილობები მიაყენა ორ ადგილას — საწყალი ბიჭი წამსვე გარდაიცვალა, — დააზუსტა წუთომ.

— კიდევ ერთი უაზრო მკვლელობა... ვერ იქნა ამათი გამოსწორება, — ჟამთა გამგებელმა ხელი ჩაიქნია, — ამჯერად რა იყო მიზეზი?

თხუთმეტიოდე წლის გუგა ავაზაშვილი ეზოში მეგობრებთან ერთად ჯოკერის თამაშს აპირებდა. თამაშის მსურველი შვიდი ბავშვი იყო, თუმცა ატუზვის შედეგად ოთხი ტუზიდან ერთ-ერთი სწორედ მას ერგო. რომ არა ეს, უბრალოდ მაყურებლის როლით დაკმაყოფილება მოუწევდა... გუგა მეტად კმაყოფილი გახლდათ, მაგრამ ამ დროს მისი მობილური აწკრიალდა.

— „მამა", — ამოიკითხა ეკრანზე და ტელეფონს უპასუხა, — ჰო, მა...

მამამ, სასწრაფოდ შინ ამოდი, საქმე მაქვსო. გუგამ იმის თქმაც კი ვერ მოასწრო, ცოტა ხანში ამოვალ, ჯოკერი უნდა ვითამაშოო, და სხვა რალა გზა ჰქონდა... თავისი „Siemens A 52" უხალისოდ ჩააცურა შარვლის ჯიბეში, ადგილი ერთ-ერთ ძმაკაცს დაუთმო, რომელიც მოთამაშე ოთხეულში ვერ მოხვედრილიყო, და შინისკენ გასწია.

საქმე ის არის, რომ, როდესაც ბატონი ნოდარი, გუგას მამა, სამსახურიდან ბრუნდებოდა, თავის სადარბაზოსთან ძირს დაგდებულ, ვერცხლისფერ, გასახსნელ მობილურ ტელეფონს მოჰკრა თვალი. შეჩერდა, დაიხარა, ტელეფონი აიღო და ირგვლივ მიმოიხედა, რათა ამ ძვირფასი ნივთის დამკარგველი აღმოეჩინა, მაგრამ, მისდა სასიხარულოდ თუ საუბედუროდ, ირგვლივ არავინ იყო. ბატონმა ნოდარმა არცთუ ისე მსუბუქ ნივთთან ერთად განაგრძო გზა. აბა, რა ექნა? ტელეფონს ისევ ძირს ხომ არ დადებდა? სადარბაზოში შევიდა, მეორე სართულზე თეთრ კარს მიუახლოვდა და ზარი დარეკა. თუმცა არავინ გამოეპასუხა, რადგან შინ არავინ იყო. ბატონმა ნოდარმა თავად გაალო კარი გასაღებით და შევიდა. თვითონ მობილურებში კარგად ვერ ერკვეოდა, ამიტომ გადაწყვიტა დაუყოვნებლივ მოეხმო თავისი თხუთმეტი წლის ვაჟი, რომელიც, მისი ვარაუდით, იქვე, ეზოში თუ იქნებოდა. ნაპოვნი მობილური დროებით საჟურნალე მაგიდაზე დააბინავა, თავისი ტელეფონი ამოიღო, გუგას დაუკავშირდა და ახლავე შინ ამოდიო, სთხოვა.

გუგამ უკმაყოფილოდ აირბინა მეორე სართულზე და თეთრ კარზე გაბმულად დარეკა. მამამ სწრაფად გაუღო და ბიჭმაც, რა მოხდაო, მიახალა პირდაპირ. ბატონმა ნოდარმა ყველაფერი უამბო და მობილური აჩვენა. გუგას გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა.

— მამა, ეს ძალიან ძვირფასი რალაცაა, — გუგამ ტელეფონი საფუძვლიანად შეათვალიერა, — პატრონი ალბათ არ გამოუჩნდება, კარტაც კი არ აქვს, — აკუმულატორი მოხსნა და აღმოაჩინა, რომ სიმ-ბარათის ადგილი ცარიელი იყო, — მოდი, აბა, ჩემსას ჩავდებ, — გადაწყვიტა გუგამ და გადაწყვეტილება სასწრაფოდ აღასრულა კიდეც. მობილური ჩაირთო. მართლა ძალიან მაგარი რალაც იყო. ფერადი ეკრანი ფანარივით ანათებდა, ხმაც მაგრად ისმოდა და რაც მთავარია, ფოტოაპარატი და ვიდეოკამერა ჰქონდა.

— აუ, მამ, მაგრად გაასწორე, — გუგა ბატონ ნოდარს მივარდა, რომელიც აქამდე ჩუმად იჯდა და მაგრად აკოცა, — ხო ჩემია? — მამამ თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა, — გმადლობ, ამაზე ვერც კი ვიოცნებებდი.

— შენია, — გაულიმა მამამ, — ოღონდ იცოდე, თუ რომელიმე მეზობლის აღმოჩნდება, აუცილებლად უნდა დავუბრუნოთ.

— აბა, რა, მაგრამ არა მგონია... აქ ასეთი არავის ხელში არ დამინახავს, თან კარტაც არ ჰქონდა, ვნახოთ... ახლა კი, თუ შეიძლება, წავალ, — და გუგა თავქუდმოგლეჯილი გაქანდა მეგობრებისკენ თავისი ახალი ტელეფონის საჩვენებლად.

ბატონი ნოდარი კი შინ დარჩა ჩაფიქრებული. თავში უამრავი აზრი უტრიალებდა. შვილს საგანგებოდ არ უყიდეს ძვირფასი მობილური, რაიმე უსიამოვნებას არ გადაეყაროსო, ამ უცაბედმა შემთხვევამ კი ყველაფერი არია... ასე გახარებულ შვილს გულს ხომ ვერ გაუტეხდა, ხომ ვერ ეტყოდა, არა, შენი არ არისო?

— იქნებ არ უნდა დამეძახა გუგასთვის და ჯერ ნანას დაველოდებოდი, — გაიფიქრა მან. ამაში შინ დაბრუნებული მეუღლე, ქალბატონი ნანაც დაეთანხმა, რა გეჩქარებოდა, მოვიდოდი და მერე ერთად გადაგვეწყვიტაო, მაგრამ რალას იზამდნენ... გუგა ბედნიერებისაგან ჭკუაზე არ იყო და მშობლებს არწმუნებდა, ნუ გეშინიათ, არაფერი მოხდებაო. მობილურსაც ნამდვილი პატრონი არ გამოუჩნდა და საბოლოოდ გუგას დარჩა.

მამუკა და თემო ტროტუარზე, დიდ მაღაზიებს შორის უშნოდ გამოჩრილ სადარბაზოსთან იდგნენ და გამვლელებს ათვალიერებდნენ. ამის გაკეთება მტკიცედ ჰქონდათ განზრახული, უბრალოდ, ჯერ ვერავინ ამოერჩიათ. უეცრად კარგად ჩაცმული, ასე თხუთმეტი წლის ყმაწვილი შენიშნეს, ხელში ძვირფასი ტელეფონი ეჭირა და საკმაოდ ხმამაღლა ლაპარაკობდა. მამუკამ და თემომ ჯერ ერთმანეთს გადახედეს, მერე კი ბიჭს, რომელმაც ამასობაში ლაპარაკი დაასრულა და კუთხეში შეუხვია. ისინიც შეყვნენ.

— ბიჭო, ზარს ვერ გამაშვებინებ? — დაიწყო მამუკამ.

— ანგარიშზე არ მაქვს, — უპასუხა ბიჭმა ისე, რომ არც კი გაჩერებულა.

— აუ, შენი სახელი, ძმაო? — ჩაეკითხა თემო.

— გუგა.

— აუ, ზარსაც არ უშვებს? — განაგრძო მამუკამ.

— არა, — გუგამ კვლავ მოკლედ მოუჭრა.

— რა არა, ბიჭო, რას გვატყუებ, — მამუკამ ხმას აუწია.

ბიჭს არაფერი უთქვამს. უბრალოდ, ძალიან დაიძაბა.

— ტელეფონი მოგვეცი, თორემ იცოდე მაგარი პრობლემები შეგექმნება, — თემომ ხელი თავისი ქურთუკის გულის ჯიბისკენ წაიღო.

— ტელეფონის დაკარგვაზე მეტი რა პრობლემა უნდა შემექმნას, — ჩაილაპარაკა გუგამ.

— რამდენს ლაპარაკობ, ბიჭო, — დაიღრიალა მამუკამ.

— რა გაყვირებს, შენი დედა... — ამოასხა ბიჭს, რომელიც აქამდე ძლივს იკავებდა თავს და გაქცევა სცადა, მაგრამ ამ დროს ჰაერში ორმა დანამ იელვა და კვნესის ხმა გაისმა.

ბიჭი ძირს დავარდა, თემომ კი ტელეფონი ამოაცალა, მამუკას ანიშნა, წავედითო და სასწრაფოდ გაეცალნენ იქაურობას.

— აი, ასე მოხდა, — დაასრულა წუთომ მოყოლა და ჟამთა გამგებელს გახედა, — მგონი, ღირს მისი დაბრუნება.

— კი ბატონო, დაე, იყოს ეგრე, — დათანხმდა ჟამთა გამგებელი, ხელისგულები ერთმანეთს მიუახლოვა და ორჯერ ფრთხილად შემოჰკრა.

გუგამ უკმაყოფილოდ აირბინა მეორე სართულზე და თეთრ კარზე გაბმულად დარეკა. მამამ სწრაფად გაუღო და ბიჭმაც, რა მოხდაო, მიახალა პირდაპირ. ბატონმა ნოდარმა ყველაფერი უამბო და მობილური აჩვენა.

— ვაა, — გუგამ ტელეფონი საფუძვლიანად შეათვალიერა, აკუმულატორი მოხსნა და უეცრად გაეღიმა, — ნამდვილი არ არის!

— რაა? — გაუკვირდა ბატონ ნოდარს, — აბა, რა არის?

— სათამაშოა, ნახე, — გაუწოდა გუგამ, — კარტის ჩასადები არ აქვს. მაგრამ ძაან მაგარი სათამაშოა, ჩემს კლასელს აქვს ესეთი და იმის ზუსტი ასლია.

— მართლა?

— ჰო, ალბათ უცხოეთიდან არის ჩამოტანილი, იქ ვიტრინებში ესეთებს დებენ ხოლმე. მოდელია რა...

— ნეტა აქ საიდან გაჩნდა? — გაეცინა ბატონ ნოდარს.

— რა ვიცი... კარგი იქნებოდა, ნამდვილი ყოფილიყო, — ხელი ჩაიქნია გუგამ და ტელეფონი იქვე მიაგდო, — წავედი, წავედი, ჯოკერს ვითამაშებ, გიო დავტოვე ჩემ მაგივრად და ალბათ უკვე სამი ხიშტი აიკიდა, — მობილურს კიდევ ერთხელ დახედა და კარისკენ წავიდა, — მამა, მალე მოვალ!

## ფორუმი

ნოველა „მობილურ ტელეფონს" ალბათ წაიკითხავდით და გაიხარებდით, დასაწყისი და დასასრული ერთმანეთს რომ არ დაემთხვა, მაგრამ უშველის კი არამზადების დანებს ახალბედა ავტორის მხატვრული „ეშმაკობა", ან სისხლის სამართლის კოდექსში მითითებული მუხლები. დაბეჯითებით ვის შეუძლია თქვას, რომ ხვალ მსგავსი საშინელება არ განმეორდება? — არავის!

როგორ ფიქრობთ, რა არის მიზეზი, რა უნდა ვილონოთ, ახალგაზრდებმა ერთმანეთი ასე იოლად რომ არ გაიმეტონ.

მოგვწერეთ ეს-ემ-ესები, გამოგვიგზავნეთ წერილები „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. გამოთქვით აზრი.

*რუბრიკა მოამზადა ინგა უბილავამ*

# „ალ-ქაიდა“ ბრიტანეთის დედოფალსაც ემუქრება



ვინ იფიქრებდა, რომ „ალ-ქაიდას“ ტერორისტული ქსელი გადასწვდებოდა ბრიტანეთის დედოფალ ელისაბედ II-საც, რომელიც, ტრადიციულად, პოლიტიკის გარეთ დგას. მაგრამ „ალ-ქაიდა“ ამჟამად მის უდიდებულესობასაც ემუქრება: თანაც სერიოზულად, რის გამოც მონარქის პირადი დაცვა მნიშვნელოვნად გაძლიერდა.

„ალ-ქაიდამ“ გაერთიანებული სამეფოს სპეცსამსახურები მას შემდეგ დააფიქრა, რაც დედოფალს „ისლამის ერთ-ერთი უდიდესი მტერი“ უწოდა და „ჯვაროსნული კანონების“ შემოღებაში დასდო ბრალი — იგულისხმება უსაფრთხოების გაძლიერებული ზომების გატარება ლონდონში, 7 ივლისის ტერაქტების სერიის შემდეგ, რომლის დროსაც 52 ადამიანი დაიღუპა.

„ალ-ქაიდას“ ვიდეოგზავნილი ინტერნეტში ახლო აღმოსავლეთის ფუნდამენტალისტების ერთ-ერთ საიტზე გამოჩნდა. ფირზე მოჩანს ბინ ლადენის უახლოესი თანაშემწე, აიმან ალაზავაქირი, რომელიც ბრიტანეთის დედოფალს მუქარას უთვლის.

*ეხო პლანეტი*

# ჩინური არშიყობა

მორიდებული ჩინელი სიყვარულმა კინაღამ ციხეში გამოამწყვდია. მეზობელი ქალი შეუყვარდა, გრძნობა ვერ გაუმხილა და მისი გულის დასაპყრობად ორიგინალური გზა აირჩია. ქალი რომ სამსახურში წავიდოდა, თაყვანისმცემელი რჩეულის სახლში შედიოდა, ურეცხავდა ტანსაცმელს, ალაგებდა სახლს, უმზადებდა საჭმელს. დაამთავრებდა საქმეს და წერილს ტოვებდა: „არ ინერვიულო, ვიმედოვნებ, დააფასებ შენდამი ჩემს გრძნობას“. ქალბატონმა სიყვარული არ დააფასა და პოლიციაში განაცხადა. პოლიციელებმა შეყვარებული კაცი მაშინ დაიჭირეს, როცა ქალის სახლიდან გამოდიოდა და რამდენიმე ფოტოსურათიც გამოჰქონდა. სასამართლომ ხელმოცარული რომეო შეიწყალა, გაათავისუფლა, მაგრამ გზა რჩეულისკენ, ეტყობა, უკვე გადაეკეტა.

*იტოგი*

# მუმია — მკურნალი



ტუტანხამონის აკლდამისაგან განსხვავებით, ნილოსის ველზე ფარაონებისა და ეგვიპტის უბრალო მოსახლეობის აკლდამები გაიძარცვა ოქროსა და მუმიისათვის, რომლებიც ამ აკლდამებში ინახებოდა. რამდენიმე ასწლეულის მანძილზე მუმიის სახვევებს და თვით ცხედრებს ხალხი იყენებდა... წამლად.

ნარჩინებული ფრანგები მუმიისა და ტილოს ფხვნილს ავგაროზივით იკიდებდნენ ყელზე — სჯეროდათ, რომ ის ჯადოსა და შავი ჭირისაგან დაიფარავდა მათ.

მუმიისაგან დამზადებული წამლები XVIII ს-ში ოფიციალური ფარმაკოლოგიის სიაში ირიცხებოდა და მისი ყიდვა აფთიაქში შეიძლებოდა. ამ საშუალებას ხმარობდნენ მოტეხილობების, ეპილეფსიის, გაციების, ჰემოროის, აგრეთვე შავი ჭირის ეპიდემიისას პროფილაქტიკის მიზნით.

*ნლო*

# „კატრინას“ კვალდაკვალ



თურმე ნებისმიერი ტრაგიკული მოვლენა შეიძლება სასარგებლო გახდეს. ამერიკულმა ტურისტულმა კომპანიამ მოიფიქრა, როგორ იშოვოს ფული... ქარიშხალ „კატრინასაგან“. იანვრიდან აშშ-ში გაჩნდება ახალი ტურისტული მარშრუტი „ქარიშხალი კატრინა“ — ამერიკის ყველაზე საშინელი კატასტროფა. „მსურველებს შეეძლებათ დაათვალიერონ სტიქიით დანგრეული ახალი ორლეანის რაიონი, თუმცა უფლება არ ექნებათ, გადაიღონ ნანგრევები, ვერც ავტობუსიდან გადმოვლენ. მაგრამ როგორც ორგანიზატორები ირწმუნებიან, შეძლებენ სრულად შეიგრძნონ უბედურების მასშტაბები, რომელიც მოქალაქეებმა განიცადეს. მგზავრობის ღირებულება 35 დოლარია, აქედან ყოველი ბილეთის 10% სტიქიით დაზარალებულთა ფონდში გადაირიცხება. ტელეკომპანიის წარმომადგენლები ირწმუნებიან, რომ ახალი ექსკურსიის ორგანიზებისკენ მათ ხელისუფლების უმოქმედობამ უბიძგა, რომელიც აქტიურად არ ეხმარება უბედურების მსხვერპლთ.

*დენგი*

# მოლაპარაკე ძაღლი



იაპონური კომპანიის „სონის“ მიერ შექმნილი ელექტრონული ცუგა — ნამდვილივით საყვარელია. მისთვის სულაც არ არის ძნელი, ჩაიწეროს დღის მოვლენები, მაგალითად, ისეთი, როგორიცაა „შევხვდი პატრონს“ ან „ვითამაშეთ ბურთი“. დრუნჩით, რომელზეც ჩამონტაჟებული აქვს ფოტოკამერა, ცუგას შეუძლია გადაიღოს სურათები. თუკი პატრონი შინ არ არის, შეუძლია, უსადენო ინტერნეტით გაუგზავნოს შეტყობინება, გაიგოს და წარმოთქვას ათასი სიტყვა.

*მონდი*

# მოიპარეს დედა ტერეზას ფუნთუშა

ქალაქ ნეშვილის (ტენესის შტატი) მოსახლეობას და წესრიგის დამცველებს დიდი თავსატეხი გაუჩნდათ — მაღაზიის ვიტრინიდან გაუჩინარდა დარიჩინიანი ფუნთუშა. ოღონდ ის უბრალო ფუნთუშა კი არ გახლავთ, არამედ ცნობილი „ნაან ბანია“ („ფუნთუშა-მონაზონი“). ამბობენ, მრავალი წლის წინ, ერთმა მუშტარმა ფუნთუშა იყიდა, დახედა და აღმოაჩინა, რომ ნუგბარი ძალიან ჰგავდა დედა ტერეზას. ერთ საათში უბრალო ფუნთუშა ადგილობრივ ღირსშესანიშნაობად იქცა — მინის ვიტრინაში გამოფინეს ცნობისმოყვარე ტურისტების მოსაზიდად. ნამცხვრის ფოტო მალე მაისურებზე, ტოლჩებზე, ყულაბებზე გაჩნდა, ქალაქის ხაზინა კი დოლარებით გაივსო. უჩვეულო ფუნთუშის ამბავმა დედა ტერეზამდეც მიაღწია. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ის ქალაქის ხელისუფლებას სწერდა, რომ მისი სახელი კომერციული მიზნებისთვის არ გამოეყენებინათ.

— ვერ გამიგია, რისთვის დასჭირდა ვილაცას მისი მოპარვა, — ამბობს გაოცებული მაღაზიის პატრონი, — მისი გაყიდვა არ შეიძლება ინტერნეტაუქციონზე, არ გამოდგება საჭმელად, პოლიციამაც სულ რაღაც 20 დოლარად შეაფასა. მაგრამ ეტყობა, ქურდი რაღაც მოსაზრებით შეძვრა ყავახანაში, გატეხა მინის ვიტრინა, გამოაძვრინა მხოლოდ დედა ტერეზას „პორტრეტიანი“ რარიტეტი, ხოლო იქვე შენახულ ფულს თითიც არ დააკარა.

*ვოგი*

# დელფინზე დაქორწინდა

41 წლის ლონდონელი მილიონერი შარონ ტენდლერი ცოლად გაჰყვა 35 წლის... დელფინს. ტენდლერმა აკვარიუმში მობინადრე დელფინი სინდი 15 წლის წინ, ისრაელის საკურორტო ქალაქ ეილატში გაიცნო. მათ მაშინვე მოეწონათ ერთმანეთი. მას შემდეგ შარონი ეილატში თავის ახალ მეგობართან დროს გასატარებლად წელიწადში ორ-სამჯერ ჩადიოდა. გასულ კვირას შარონმა სთხოვა დელფინის მწვრთნელს, მეიე ზილბერგს, დაეთანხმებინა სინდი, ცოლად შეერთო. მწვრთნელს არ გაჰკვირვებია, „მოელაპარაკა“ სინდის. ისიც „დათანხმდა“, ქორწილი ხუთშაბათს გაიმართა. იყო ბევრი სტუმარი — შოკირებული დელფინარიუმის დამთვალიერებლები თეთრკაბიან პატარძალს ულოცავდნენ, იყო ქეიფი, სადღეგრძელოები. საზეიმო ცერემონიის შემდეგ პატარძალი წყალში ჩააგდეს, რათა მეუღლის ალერსით დამტკბარიყო?!.

*ნიუს რუ*

# ომი ეგადის კუნძულებთან



ორ წელზე მეტია, რაც იტალიელი არქეოლოგები ეძებენ ეგადის კუნძულებთან გაჩაღებული ომის დროს 2000 წლის წინ ჩაძირულ ხომალდებს — ლეგენდარული ბრძოლა რომისა და კართაგენის ომში გარდამტეხი აღმოჩნდა. იტალიელმა სწავლულებმა წყალქვეშა სამძებრო სამუშაოების კვადრატი მონიშნეს — სიცილიის დასავლეთით მდებარე კუნძულები. სწორედ აქ იპოვეს ბრინჯაოს ჩაფხუტი, რომელიც ჩვ.წ.აღ-მდე 241 წელს განეკუთვნება.

როგორც ცნობილია, დაახლოებით ამ დროს მოხდა ლეგენდარული ომი ზღვაზე, რომლის დროსაც რომაელთა ფლოტმა სასტიკად დაამარცხა კართაგენი.

ისტორია ამბობს, რომ ეგადის კუნძულებთან, ზღვის ფსკერზე ჩაძირულია 60 ხომალდი. წყალქვეშა არქეოლოგების ძიებამ უკვე გამოიღო პირველი შედეგები — სწავლულებმა ზღვის ფსკერიდან ამოიღეს ძველი ამფორები, იარაღი, ფარები.

*ოჯი*

# ტელეფონი — დიეტოლოგი

დიდ ბრიტანეთში იყიდება ტელეფონი, რომელიც აკონტროლებს მფლობელის წონას. ამგვარი ტელეფონის პატრონმა უნდა შეიტანოს სპეციალურ მენიუში თავისი სიმაღლისა და წონის მონაცემები. აპარატი ამ პარამეტრების შესაბამისად აცნობებს, დროა, ზედმეტი ქონი მოიშოროო. ტელეფონში ჩაყენებული კალკულატორი კი აღრიცხავს მიღებული და დახარჯული კალორიების რაოდენობას.

*თაიმი*

# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში თემურ მღებრიშვილის სიტყვებს ამოიკითხავთ..

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დ | ა | ი | ს | ვ | ე | ნ | ე | დ | ა | გ | ა | ე | რ | თ | ე | ჩ | ვ | ე | ნ | თ | ა | ნ | ე | რ | თ | ა | დ |
| ა | ი | ე | ა | ნ | | გ | მ | ა | ა | ა | ი | ვ | ნ | ა | | ძ | ნ | ი | ნ | | დ | | მ | ი | გ | | ო |

**დ.** ქართველი მწერალი, რომელიც გაუგებრობის გამო 11 თვე ციხეში იჯდა; **ა.** ლობიოს სამშობლო; **ი.** მონასტრის წინამძღვარი; **ს.** კახეთის ერთ-ერთი რაიონი; **ვ.** ბადმინტონის ბურთი; **ე.** რა ერქვა დათა თუთაშხიას დას; **ნ.** მაჰმადიანთა ლოცვა; **ე.** ჩხირზე წამოცმული ნაყინი, რომელიც გარედან შოკოლადით არის დაფარული; **დ.** ნადირობის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში; **ა.** მთავარი არტერია, რომელიც არტერიული სისხლით კვებავს სხეულის ყველა ორგანოს (ფილტვების გარდა); **გ.** საქართველოს ზღვისპირა ქალაქი; **ა.** რა ერქვა პიპინია ერისთავის ნაბოლარა შვილიშვილს; **ე.** რუსი მწერალი, ცნობილი ზღაპრის „კუზიანი კვიცის“ ავტორი; **რ.** სამაგიეროს გადახდა; **თ.** ქალაქი, სადაც 1943 წლის 30 ნოემბერს (ჩერჩილის დაბადების დღეს) ერთმანეთს შეხვდნენ სტალინი, ჩერჩილი და რუზველტი; **ე.** ჭადრაკის ფიგურა; **ჩ.** ქართველი რეჟისორი, მედეა ჩახავას შვილი; **ვ.** ბანქოს თამაშისას მთელი ბანკის მოთხოვნა; **ე.** სახელმწიფოს მიერ ქაღალდის ფულის გამოშვება; **ნ.** განთქმული ბელგიელი მეიარაღე; **თ.** რა ცხოველი იყო ამალთეა, რომელმაც თავისი რძით გამოკვება ყრმა ზევსი; **ა.** სამხედრო გემების დიდი შენაერთი; **ნ.** ნაპოლეონის ერთ-ერთი მარშალი; **ე.** კანის ანთებითი დაავადება; **რ.** ბრინჯაოს ძველი ქართული სახელწოდება; **თ.** ხელსაწყო, რომლითაც რაიმე ზედაპირის ჰორიზონტალურობას ადგენენ; **ა.** ჯუზეპე ვერდის ოპერა; **დ.** ზღაპრული ურჩხული.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**დ.** დისპუტი; **ა.** არარატი; **ი.** იაკუძა; **ს.** სიმენსი; **ვ.** ვიაგრა; **ე.** ეზოპე; **ნ.** ნადეჟდა; **ე.** ესკიმო; **კ.** კვაშალი; **ვ.** ვერონა; **ი.** იაგანი; **რ.** რეალი; **ი.** იადონი; **ს.** სევანი; **პ.** პათოსი; **ა.** ანანასი; **ლ.** ლემუელი; **ი.** იკაროსი; **ტ.** ტუში; **რ.** რიონი; **ი.** იუბილე; **ს.** სიბილა; **ფ.** ფლირტი; **ე.** ეკლერი; **რ.** რეიგანი; **ე.** ეტალონი; **ბ.** ბერეტა; **შ.** შადური; **ი.** იასონი.

გამუქებულ უჯრებში იკითხება: **საჭმაოდ კარგად ვთამაშობ ბილიარდს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენთვის, ბატონებო!

# საბედისწერო შეცდომა

შევატყვე, უჭირდა თავის გრძნობაზე ლაპარაკი. იმდენად განიცდიდა წარსულის მოგონებას, ველარ შევბედე მეკითხა, ამდენი წლის მერე რაღა აზრი აქვს გულახდილობას-მეთქი. ბოლოს მითხრა, — ვიცი, ალარაფერი შეიცვლება, მაგრამ ჩემი მონათხრობით მინდა ახალგაზრდები გავაფრთხილო, — დიდ და წმინდა გრძნობას გაუფრთხილდნენ და ნყენის ან გაუგებრობის გამო ერთმანეთს იოლად ნუ შეელევიანო.

**მთელი სიცოცხლე ერთადერთი ქალი მიყვარდა და მიყვარს**

ახლა კი, ბატონ გიორგის მოვუსმინოთ:

— ბიძაშვილთან ვიყავი სტუმრად, ერთ მთიან სოფელში. ეთერიც იქ ისვენებდა ნათესავის ოჯახში. რომ დავინახე, თითქოს წონასწორობა დავკარგე... ეთერი მეშვიდეკლასელი იყო, მე კი — მეცხრე. იმ არდადეგებმა ისე ჩაიარა, ვერაფრის თქმა ვერ მოვახერხე.

გავიდა 4 წელი. ყოველდღე მასზე ვფიქრობდი. ჩემი ბიძაშვილი ეთერს რომ ახსენებდა, ჟრუანტელი მივლიდა. ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა და ჩემს ბიძაშვილს გამოვუტყდი: ძალიან მიყვარს ეთერი და იქნებ დამეხმარო-მეთქი. შეხვედრას მოგიხერხებო, — დამპირდა. დაიწყო ჩემი ტანჯვა-წამება, შიში შეხვედრისა. ამ პერიოდში უკვე ორივე თბილისში ვსწავლობდით. ჩემმა ბიძაშვილმა იგი, ვითომ შემთხვევით, ჩემთან, სახლში, გამოატარა. ისე დავიბენი, წესიერად ვერც ვუმასპინძლე. როცა მივხვდი, სიყვარულში ვერ ვუტყდებოდი, ბიძაშვილის ხელით წერილი გავუგზავნე — ძალიან მიყვარხარ, ჩემი გრძნობა წრფელი და უანგაროა, ამიტომ გულწრფელად მიპასუხე ან „ჰო", ან „არა"-მეთქი. ტყუილად ველოდი ეთერის პასუხს. მან არც „ჰო" მაღირსა და არც — „არასთვის" გამიმეტა. გადავწყვიტე, მენახა. ვიცოდი, სადაც ცხოვრობდა და როდის მიდიოდა სასწავლებელში. დილიდანვე სახლთან ჩავუსაფრდი. ეთერი გამოვიდა შინიდან. მე ვერც შემამჩნია, ისე ავიდა ტრამვაიში. ავყევი. წინ დავუჯექი და თვალებში მივაჩერდი. ასე მეგონა, ჩემი გულის ბაგაბუგი ქვეყნიერებას ესმოდა. მან უკვე იცოდა ჩემი გულისნადები, მაგრამ კვლავ ჯიუტად დუმდა. იდგა 1958 წელი. მე 20 წლის ვიყავი, ის — 18-ის. მაშინ ქალ-ვაჟი ერთად გავლასაც კი ვერიდებოდით. ვუფრთხილდებოდი ეთერის სახელს, მის ახლოს ყოფნაზე ხშირად უარს ვამბობდი, რათა ვინმეს მასზე ჭორი არ გაევრცელებინა. არადა მენატრებოდა სიგიჟემდე. დილით რომ ვნახავდი და გამოველაპარაკებოდი, საღამოს უკვე ერთი სული მქონდა, როდის გათენდებოდა, რომ ისევ შევხვედროდი. ხშირად შუაღამისას დამიკრავს ფეხი და ეთერთან გავჩენილვარ (ის და მისი ამხანაგი ერთად ცხოვრობდნენ), თვალი შემივლია და გამოვბრუნებულვარ. ხედავდა, როგორ ვიტანჯებოდი, მაგრამ თითქოს ჯიბრზე არაფერს მეუბნებოდა. ასე გაგრძელდა 3 წელი. ბოლოს, გადავწყვიტე, წერტილი დამესვა ჩვენი ურთიერთობისთვის. შინ ვეწვიე და ვუთხარი: ძალიან მიყვარხარ და მიჭირს უშენობა, მაგრამ ვამჯობინებ გაგეცალო, რადგან ჩემი სიყვარული არ დააფასე და აბუჩად ამიგდე-მეთქი... მერე კი ისეთ დეპრესიაში ჩავვარდი, ყველაფრის ინტერესი დავკარგე. ამხანაგები მანუგეშებდნენ: ქალებმა ასე იციან, თავდაპირველად ჯიუტობენ, კეკლუცობენ, მაგრამ მაინც თანხმდებიან ცოლობაზეო, თუ გინდა, ეთერის მოტაცებაში დაგეხმარებითო, მაგრამ უარზე ვიყავი — მას მოსატაცებლად და გასანაწყენებლად ვერ ვიმეტებდი, თანაც მისი ბოლო სიტყვები — მეგობრებად დავრჩეთო, — სულ ყურში ჩამესმოდა. ვერ წარმომედგინა, ქალი, რომელიც ხატად მყავდა, ჩემი მეგობარი გამხდარიყო.



განშორების შემდეგ სამხედრო სამსახურმა მომიწია. ვითხოვე, რაც შეიძლება შორს გავეგზავნე. ასე მეგონა, მანძილი და დრო მის სახელს დამავიწყებდა. გამგზავნეს შორეულ ჩრდილოეთში, იაკუტიაში, მაგრამ განშორებამ კი არ დამავიწყა საოცნებო გოგო, არამედ უფრო გაალვივა და გააძლიერა მისი სიყვარული. დავბრუნდი ჯარიდან. შეგნებულად თავს ვარიდებდი ეთერთან შეხვედრას. ერთხელ, ნაცნობმა მითხრა, ეთერი თანახმაა შენს ცოლობაზეო. დიდი სისულელე ჩავიდინე — იმ ნაცნობს დავაბარე, ეთერი ჩემი სიყვარულის ღირსი არ არის, ამიტომაც აღარ მინდა მისი სახელის ხსენება-მეთქი. ეს იყო ის საბედისწერო შეცდომა, რომლის გამოსწორებაც მთელი სიცოცხლე ველარ შევძელი.

ეთერი გათხოვდა. ძალიან განვიცადე. დარდისგან მოსვენება დავკარგე...

გაიარა დრომ, უსიყვარულოდ მოვიყვანე ცოლი და ცხოვრება ჯოჯოხეთად მექცა. ყოველ საღამოს ვბრუნდებოდი სახლში, სადაც არ მეგულებოდა საყვარელი ქალი. მხოლოდ შვილებთან ურთიერთობა დროებით მიხალისებდა გულს, მერე ისევ ფიქრსა და დარდში ვიძირებოდი. ორი წლით სამუშაოდ ეგვიპტეში მიმავლინეს. თუ დამიჯერებთ, იმ ორი წლის მანძილზე დღე არ ყოფილა, ეთერზე არ მეფიქრა. ალბათ, ზოგს მწარედ გაეღიმება და იტყვის, ასეთი სიყვარული არ არსებობსო. მე კი გარწმუნებთ, რომ არსებობს და მე გახლავართ ის მამაკაცი, რომელსაც მთელი სიცოცხლე ერთადერთი ქალი მიყვარდა და მიყვარს.

რაც ასაკში შევედი, მით უფრო მეტად მიყვარს. არ ვიცი, ის როგორ შეეგუა თავის მეუღლეს, არის თუ არა ბედნიერი, მე კი სიცოცხლე ტანჯვად მექცა. დარწმუნებული ვარ, ეთერი რომ გვერდით მყოლოდა, უბედნიერესი კაცი ვიქნებოდი.

ვიცი, ამ რუბრიკას უამრავი მკითხველი ჰყავს. გთხოვთ ყველას: იბრძოლეთ სიყვარულისთვის, უბრალო რამისთვის ნუ შეაქცევთ ზურგს საყვარელ ადამიანს. ახლა, ამ გადასახედიდან უკვე „უბრალო რამედ" მეჩვენება ეთერის ჯიუტი სიჩუმე. ვნანობ, ძალიან ვნანობ, რომ სიამაყემ მძლია და როცა უკვე თანახმა იყო ჩემს ცოლობაზე, მაშინ შევუშვირე ქვას თავი. ალბათ ეთერიც წაიკითხავს ამ წერილს... ვიცი, საამქვეყნოდ ალარაფერი შეიცვლება, მაგრამ იქნებ იმ ქვეყნად მაინც ვიყოთ ერთად...

ჩვენ გვწერენ

## გოგონა და ყელსაბამის „ქურდი"

— ალბათ გახსოვთ, ფილარმონიასთან, ფოტოატელიეს მარჯვნივ ბუკინისტური მაღაზია იყო, სადაც თითქმის ყოველდღე შევდიოდი.

მთელი ღამე ქეიფში გავატარეთ ბიჭებმა. დილით თავი მისკდებოდა, მაგრამ გულგრილად მაინც ვერ ჩავუარე ჩემს საყვარელ მაღაზიას. ავიღე წიგნი და ფურცვლა დავიწყე. ჩემ გვერდით გოგონა იდგა, ისიც წიგნს ათვალიერებდა. მაღაზიაში სხვებიც ბლომად იყვნენ. უცებ გოგონამ კისერზე ხელი მოიკიდა, მომიბრუნდა და მკაცრად მითხრა, — ახლავე დამიბრუნე ჩემი ყელსაბამიო. გაოგნებულმა ავათვალიერე, მერე დანარჩენებს გადავხედე. ყველა მე მომჩერებოდა. ღამენათევი და ნაბახუსევი ეტყობა, მართლა ჯიბგირს ვგავდი. შეურაცხყოფისგან სახეალეწილმა გოგონას დავუყვირე, — აზრზე თუ ხარ, რას ამბობ-მეთქი. უცებ, სად იყო და სად არა, მილიციელიც გამოჩნდა.

აპილპილებულმა გოგონამ უკან არ დაიხია — ამან ყელსაბამი შემხსნა კისრიდანო. პერანგის და შარვლის ჯიბეები გადმოვიტრიალე, — აგერ ვარ და გამჩხრიკეთ-მეთქი. მილიციელი ახლა გოგოს მიუბრუნდა, დააკვირდა და ჰკითხა: — აბა, კისერზე რა გიკეთიაო. გოგონამ დაიხედა და გაშეშდა — ყელსაბამი, თავისი ჯვრით, მართლაც კისერზე ეკიდა. ყველანი გავშრით. მან ბოდიში მომიხადა და თვალზე ცრემლი მოადგა. ბრაზი მახრჩობდა, ზამბარასავით ვიყავი დაჭიმული, ხმა ალარ ამომიღია, გიჟივით გამოვვარდი გარეთ.

რამდენიმე დღე გავიდა. ეს კაფანდარა გოგო ვერ დავივიწყე. სიბრაზე რომ გამინელდა, ჩემს თავს გამოვუტყდი, რომ მისი ნახვა მინდოდა. რამდენჯერმე მივაკითხე იმ მაღაზიას, მაგრამ ვერ ვნახე. ბოლოს, გამყიდველს ვკითხე, — მაშინ რომ გოგომ ძენკვის ქურდობა დამაბრალა, ხომ არ გამოჩენილა-მეთქი და — ერთი საათის წინ იყოო.

ერთხელ, მაღაზიაში ჩვეულებისამებრ შესულმა სტელაჟთან ნაცნობი სახე დავლანდე. ლამის გული ამომივარდა. ახლოს მივედი და მივაჩერდი. მან, ეტყობა, იგრძნო დაჟინებული მზერა. მობრუნდა და აღმოხდა: — თქვენ? თურმე ისიც მეძებდა. ხელი მოვკიდე და პროსპექტს უსიტყვოდ გავუყევით...

მას მერე 42 წელი გავიდა. მე და მარიამს დღეს შვილები და შვილიშვილები თავზე გვახვევია...

***პატივისცემით, თქვენი მუდმივი მკითხველი ჯონი***

***რუბრიკა მოამზადა მარინა ბაბუნაშვილმა***

*ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ — 899 27-25-61*

# მეგონა გზაზე დავაყენე და... მაშინ მიღალატა

უცნაურია კაცის ბუნება. ქალისგან მიყენებულ ტკივილს ზოგი უსაშველოდ განიცდის და ჭიანჭველას სპილოდ გადააქცევს ხოლმე. მართალი გითხრათ, როცა შოთას „სატკივარი" მოვისმინე, გამეღიმა და მივუგე: ეგ ამბავი ამდენ ნერვიულობად არც ღირს-მეთქი, მაგრამ იგი იმდენად განიცდის თავს გადახდენილ „ისტორიას", რომ ბოლოს მაინც გადავწყვიტე ამ ამბის გამომზეურება. მართლაცდა, რას გაუგებ ადამიანს (თანაც კაცს), ზოგს რა აწუხებს და ზოგს — რა.

— თქვენთან უდიდესმა ტკივილმა მომიყვანა, — მითხრა შოთამ, — საშინლად შეურაცხყოფილი ვარ. მინდა ყველაფერი გულახდილად გიამბოთ. ამას მარტო იმისთვის არ ვაკეთებ, რომ ირმაზე შური ვიძიო, მინდა, ქალის ორგულობასა და უმადურობას ხაზი გავუსვა... მე ცოლშვილიანი კაცი ვარ. გამიმართლა და ისეთ საქმეს მოვკიდე ხელი, რომელმაც საკმაოდ ბევრი ფული მაშოვნინა. თითოეული კაცის ცხოვრებაში დგება ისეთი წუთი, როცა ოჯახს გარეთ გართობის ან ფლირტის (როგორც გინდათ, ისე დაარქვით) განწყობა უჩნდება. ერთ დღესაც, აღმოვჩნდი იმ „დაწესებულებაში", სადაც ქალები სხეულით ვაჭრობენ, ის ღამე ირმასთან გავატარე. მეორე დღესვე მივხვდი, რომ კიდევ მინდოდა მასთან შეხვედრა. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, დავახლოვდით, თითქმის ყოველდღე ვნახულობდი. ირმამ საკუთარ თავზე ბევრი რამ მიამბო: რაიონიდან იყო, ჰყავდა ქმარი და ოთხი შვილი. ცხოვრება გაჭირდა, ბავშვები კი ნახევრად მშიერი მყავდაო, — მითხრა მან. ჰოდა, გადაწყვიტა თბილისში ეშოვა სამუშაო. აქ პროსტიტუციას მიჰყო ხელი. გადავწყვიტე, ირმა ამ ჭაობიდან ამომეთრია და გზაზე დამეყენებინა. ბინა ვუქირავე და კატეგორიულად გავაფრთხილე, აღარ გაჰკარებოდა ძველ ნაცნობებს. ოთხი წლის მანძილზე ერთად ვიყავით, არაფერს ვაკლებდი, დედამისსაც ვეხმარებოდი და მის შვილებსაც, მაგრამ მაინც ვერაფერი დავანახვე. როგორც ჩანს, ადამიანმა თუ ერთხელ აიღო ხელი ნამუსზე, აღარაფერი ეშველება. ვერ წარმომედგინა იმდენი სიკეთის მერე თუ მიღალატებდა.

*— ცოლსაც ბევრი სიკეთე ექნება თქვენთვის გაკეთებული, ბოლოს და ბოლოს, თქვენი შვილების დედაა, მაგრამ ხომ უღალატეთ?*

— მე ცოლი არ მიმიტოვებია, თანაც, ოჯახში ყველაფერი საათივით მაქვს აწყობილი და ვერავინ მკადრებდა საყვედურს.

*— თქვენ რა, ღალატი მხოლოდ ოჯახის მიტოვება გგონიათ?*

— აბა, სხვა რა არის?

— თქვენს სითბოს და სიყვარულს სხვა ქალს რომ უნაწილებდით და დროის უმეტეს ნაწილს სხვა ქალთან ატარებდით, აბა, ამას რა ჰქვია?

შევატყვე, დაიბნა და გაუჭირდა პასუხის გაცემა.

*— როდის გაიგეთ, რომ გღალატობდათ?*

— ბოლო ხანს აიჩემა, რამდენიმე წლით საბერძნეთში უნდა წავიდეო. შევატყვე, აღარ გადათქვამდა თავის სიტყვას და გამგზავრებაში დავეხმარე.

ერთხელაც, ახლობელმა მითხრა, ტყუილად მისტირი ირმას, გღალატობდაო. კინაღამ გავგიჟდი. მაინც ვერ ვიჯერებდი. რამდენიმე დღეში კი, საბერძნეთიდან თავად დამირეკა და მითხრა: გღალატობდი, რადგან არასოდეს მყვარებიხარ, მხოლოდ მჭირდებოდი და გამოგიყენეო. თვალთ დამიბნელდა, მაგრამ რაღას ვიზამდი? ახლა ძალიან ვნანობ, რომ ჩემი უჭკუო ნაბიჯით ცოლს გული ვატკინე. ყველაფერს ვეცდები იმისათვის, რომ ეს ტკივილი დავავიწყო. დაე, მკითხველმა განსაჯოს ჩემი საქციელი, ყველაფრისთვის მზად ვარ, კრიტიკისთვისაც და საყვედურისთვისაც.



1 ქიმიური ელემენტი
2 სამხედრო ფორმის ქურთუკი
3 სამატომიანი ჟანგბადი
4 შეთანხმებულობა, ერთსულოვნება
5 ამერიკის შტატი
6 ვიეტნამის ფულის ერთეული
7 ქსოვილის კიდეზე მოსაყოლებელი ზოლი
8 ქონება, სიმდიდრე
9 ნივთიერების უმცირესი ნაწილი
10 შუამდინარეთი
11 ინტერესთა შეურიგებელი დაპირისპირება
12 მტაცებელი ცხოველი
13 ფეხბურთის მეფე
14 უმაღლესი სასამართლო თურქეთში
15 ნარკოტიკი, რომელსაც თამბაქო შეიცავს
16 მუს. ნოტი
17 ჭკუის დამრიგებლობა
18 ადამიანის წვრილი, გაბმული ხმა
19 ჰომეროსის პოემა
20 მარჯვე, ეფექტური მეთოდი
21 მხარზე გადასაკიდებელი ჩანთა
22 ლატვიის დედაქალაქი
23 ქართველი პროფესიონალი მოკრივე
24 ვეშაპებზე სანადირო სატყორცნი იარაღი
25 სატანვარჯიშო იარაღი
26 სისხლძარღვი
27 სოფი ლორენის ნამდვილი გვარი
28 სამაგიდო თამაში
29 ერთგვარი კრემიანი ნამცხვარი
30 ბავშვის საწოლი
31 დიდი სიზუსტე
32 რუსული ხალხური სიმებიანი საკრავი
33 სახელმწიფო აზიაში
34 კულტურის დაქვეითება, დაცემა
35 საკრებულო მეჩეთი
36 ოხერი, ტიალი
37 შოკოლადის ხე
38 ათცენტიანი მონეტა აშშ-ში
39 მახრჩობელა გველი
40 პლანეტა იუპიტერის თანამგზავრი
41 ინდოეთის დედაქალაქი
42 მსახიობი … ელიავა
43 არასრულფასოვანი ხურდა ფული
44 კოშკის ძველებური საათი
45 არაოფიციალური მაკლერი ბირჟაზე
46 პურის მცხობელი
47 მდიდრული აგარაკი
48 მექანიკის ნაწილი
49 ალბანეთის ფულის ერთეული
50 სმენადობის პირობები რაიმე შენობაში
51 შენობის სვეტი
52 ინგლისის სამეცნიერო საზოგადოების წევრი
53 მიცვალებულის გვამის დაწვა
54 ზღვრული ნორმა
55 წილი
56 კოვბოის ქამანდი
57 ხილფაფა ანუ …
58 16-მარცვლიანი და 6-ტაეპიანი ლექსი
59 მამა-პაპათაგან დამკვიდრებული ჩვეულება
60 წამლის ფორმა
61 ძირითადი ფერი
62 იაკობ გოგებაშვილის მშობლიური სოფელი
63 სახელმწიფო აზიაში
64 გემის უკანა ნაწილი
65 ხერხემლის ძვალი
66 რძის ნაწარმი
67 ქცევის თავისებურება
68 ვულკანური მასა
69 3-4-წლიანი ცხენების დოღი
70 მტკიცე პირობა
71 დაბა აღმოსავლეთ საქართველოში
72 ნადირობის წესების დამრღვევი
73 სინათლის სიკაშკაშის ერთეული
74 რხევა
75 ესპანელი ფერმწერი





1. ჩინური ლეგენდის მიხედვით, ძაღლის ეს ჯიში წარმოიშვა გიგანტური ლომისა და პატარა მაიმუნისგან, მათი ყოლის უფლება ჩინეთში მხოლოდ იმპერატორის ოჯახის წევრებს ჰქონდათ



2. „დიდი მდინარე“ — ასე ითარგმნება ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელთა ენიდან ამ მდინარის სახელწოდება



3. მსოფლიოში ყველაზე მეტი ამ ღვთაების ქანდაკებაა შექმნილი



4. ეს დიდი იტალიელი რეჟისორი ერთ დროს გაზეთში კარიკატურისტად მუშაობდა



5. გველის ამ სახეობის ახალგამოჩეკილ ნაწილს შეუძლია სასიკვდილოდ დაკბინოს მსხვერპლი

**1-ელ ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:** 1. ფილუმენია; 2. ფინიკი; 3. მილიტარიზმი; 4. პოლისი; 5. ნიანგი; 6. თეატრი; 7. იარდი; 8. ისანი; 9. ეპარქია; 10. სვე; 11. უნდილი; 12. კინოლოგია; 13. ჩატურანგა; 14. ცუკატი; 15. ატოლი; 16. ხაო; 17. იორი; 18. ანანი; 19. ანოა; 20. გიდი; 21. ოლიგოფრენია; 22. ლირა; 23. ოლე; 24. ლომაია; 25. ატილა; 26. ვაშლი; 27. ვამპირი; 28. ნიგოზი; 29. პასტელი; 30. ფოლგა; 31. მალა; 32. ლამი; 33. მეტრო; 34. ეტა; 35. პუფი; 36. რაინი; 37. ტოკაი; 38. რაში; 39. მიმიკა; 40. ნარდი; 41. პაკეტი; 42. ეივე; 43. ტრენაჟორი; 44. ჭა; 45. დანტე; 46. კალენდარი; 47. ბოლივიანო; 48. რეპეტიტორი; 49. დეკარტი; 50. მედინა; 51. გალისია; 52. ანკარა; 53. ზეგანი; 54. ბაია; 55. ტანგო; 56. ნონეტი; 57. ჟინი; 58. ნეკი; 59. თელავი; 60. სიმეტრია; 61. ავლანეთი; 62. ღადარი; 63. ტიტრი; 64. არესი; 65. რადა; 66. რადიკალი; 67. კონა; 68. თოლია; 69. კოლიმა; 70. ისარი; 71. საკე; 72. სასკია; 73. დაისი.

**სურათებზე**: მადონა; 1. ვაგნერი; 2. ფილიპინები; 3. კარატე; 4. პენტაგონი; 5. შატილი.

**პასუხები მოცემულია სკანვორდში მითითებული ნუმერაციის მიხედვით, ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები**

შეადგინა ვანო კაჭახიძემ

## ორშაბათი 9 იანვარი

7.55 „ადრე" 10.00 სერიალი „ანასტასია" (U) 11.00 დოკ/ფ „ქის ხანის კოლუმბი" (BBC) 12.00 მთავარი 12.20 ანიმაცია „ბამეის უცნაური თავგადასავლები" 12.45 ანიმაცია „პატარა კენგურუები" 13.00 სარჩევი 14.00 ტ/სერიალი „დანაშაული" (U) 15.00 მთავარი აფხაზურ ენაზე 15.30 მთავარი რუსულ ენაზე 15.45 მულტსერიალი „კიბერსამურაების რაზმი" 16.15 „პოლმარკი" – ტ/სერიალი „კამელოტის ქალები" I სერია (U) 17.00 დეტექტიური სერიალი „დაცვის უფლება" (U) 18.00 მთავარი 18.30 გზავნილები 19.00 დოკ/ფ „დღეები, რომლებმაც შეიცვალეს შენა" (BBC) 20.00 მთავარი 20.45 „ბაბილონი" 21.00 სერიალი „ანასტასია" (U) 22.00 დეტექტიური სერიალი „დაცვის უფლება" (U) 23.00 კინოსამყარო „დიდი ოჯახები" (U) 0.30 საინფორმაციო გამოშვება.

19.00 ბაბილონი 19.15 მხ „ტინტინის თავგადასავალი" 19.40 სპექტაკლი „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს".

07.30 დილა 08.00 „რობოტი და რობოტუნები" 10.00 სერიალი „მოპარული გულები" (U) 11.00 ღამის შოუ 12.00; 15.00; 17.00; 18.00; 21.00 კურიერი 12.20 სერიალი „დედინაცვალი" (U) 13.30 მხ/ფ „უძლეველი ლეგა" (U) 15.25 „რობოტი და რობოტუნები" 16.00 სერიალი „მოპარული გულები" (U) 16.40 სერიალი „შემთხვევითი სული" 18.30 პატრული 19.30 სერიალი „დედინაცვალი" 22.00 ცოცხალი შოუ 23.00 სერიალი [illegible] 00.00 მხ/ფ [illegible] 01.50 კურიერი 02.10 პატრული.

07.00 „იმედის" დილა 08.00 „ქრონიკა" 09.00 „ქრონიკა" 10.00 „ქრონიკა" 10.10 სერიალი „ჩემი შეყვარებული" 11.00 „ქრონიკა" 12.40 „TV-მარკეტი" 13.00 „ქრონიკა" 13.15 [illegible]

## სამშაბათი 10 იანვარი

7.55 „ადრე" 10.00 სერიალი „ანასტასია" (U) 11.00 დოკ/ფ „დღეები, რომლებმაც შეცვალეს შენა" (BBC) 12.00 მთავარი 12.20 ანიმაცია „ბამეის უცნაური თავგადასავლები" 12.45 ანიმაცია „პატარა კენგურუები" 13.00 სარჩევი 14.00 ტ/სერიალი „დანაშაული" (U) 15.00 მთავარი ოსურ ენაზე 15.30 მთავარი რუსულ ენაზე 15.45 მულტსერიალი „კიბერსამურაების რაზმი" 16.15 „პოლმარკი" – ტ/სერიალი „კამელოტის ქალები" II სერია (U) 17.00 დეტექტიური სერიალი „დაცვის უფლება" (U) 18.00 მთავარი 18.30 დოკ/ფ „სიქარე" 19.00 დოკ/ფ „კოსმოსური ოდისეა" (BBC) 20.00 მთავარი 20.45 „ბაბილონი" 21.00 სერიალი „ანასტასია" (U) 22.00 დეტექტიური სერიალი „დაცვის უფლება" (U) 23.00 კინოსამყარო „როგორ მოვკალი მამაჩემი" (12) 0.30 საინფორმაციო გამოშვება.

19.00 ბაბილონი 19.15 მხ „ტინტინის თავგადასავალი" 19.40 ტელეფილმი „ქვარი". 20.00 კინოსაგა „ცეცხლთან თამაში" 1 სერია.

07.30 დილა 08.00 „რობოტი და რობოტუნები" 10.00 სერიალი „მოპარული გულები" (U) 11.00 სერიალი „პროვოკატორი" 12.00; 15.00; 17.00; 18.00; 21.00 კურიერი 12.20 სერიალი „დედინაცვალი" 13.30 მხ/ფ „რიცხვი ცხოვრებაში" (U) 15.25 „რობოტი და რობოტუნები" 16.00 სერიალი „მოპარული გულები" (U) 16.40 სერიალი „შემთხვევითი სული" 18.30 პატრული 19.30 სერიალი „დედინაცვალი" 22.00 ცოცხალი შოუ 23.00 სერიალი [illegible] 00.00 მხ/ფ [illegible] 01.45 კურიერი 02.05 პატრული.

07.00 „იმედის" დილა 08.00 „ქრონიკა" 09.00 „ქრონიკა" 10.00 „ქრონიკა" 10.10 სერიალი „ჩემი შეყვარებული" (U) 11.00 „ქრონიკა" 11.15 სერიალი „საბრალო ნასტია" (U) 12.00 „ქრონიკა" 12.10 სერიალი „საბრალო

## ოთხშაბათი 11 იანვარი

7.55 „ადრე" 10.00 სერიალი „ანასტასია" 11.00 დოკ/ფ „კოსმოსური ოდისეა" (BBC) 12.00 მთავარი 12.20 ანიმაცია „ბამეის უცნაური თავგადასავლები" 12.45 ანიმაცია „პატარა კენგურუები" 13.00 სარჩევი 14.00 ტ/სერიალი „დანაშაული" (U) 15.00 მთავარი სომხურ ენაზე 15.30 მთავარი რუსულ ენაზე 15.45 მულტსერიალი „კიბერსამურაების რაზმი" 16.15 „პოლმარკი" – ტ/სერიალი „კამელოტის ქალები" III სერია (U) 17.00 დეტექტიური სერიალი „დაცვის უფლება" (U) 18.00 მთავარი 18.30 დოკ/ფ „მითხარი როგორ" 19.00 დოკ/ფ „წინაპრები" (BBC) 20.00 მთავარი 20.45 „ბაბილონი" 21.00 სერიალი „ანასტასია" (U) 22.00 დეტექტიური სერიალი „დაცვის უფლება" (U) 23.00 მშობლიური კინო „მღვდლები" (U) 1.30 საინფორმაციო გამოშვება.

19.00 ბაბილონი 19.15 მხ „ტინტინის თავგადასავალი" 19.40 ტელეფილმი „კვალმხილავი" 20.00 კინოსაგა „ცეცხლთან თამაში" 2 სერია.

07.30 დილა 08.00 „ადამიანი ობობა" 10.00 სერიალი „მოპარული გულები" (U) 11.00 ღამის შოუ 12.00; 15.00; 17.00; 18.00; 21.00 კურიერი 12.20 სერიალი „დედინაცვალი" 13.30 მხ/ფ „ზოლიანი მგელი" (U) 15.25 „ადამიანი ობობა" 16.00 სერიალი „მოპარული გულები" (U) 16.40 სერიალი „შემთხვევითი სული" 18.30 პატრული 19.30 სერიალი „დედინაცვალი" 22.00 ცოცხალი შოუ 23.00 სერიალი „ჟურნალისტი მამაკაცი" 00.00 მხ/ფ „უკვდავი სულები, სამყაროთა ომები" 01.50 კურიერი 02.10 პატრული.

07.00 „იმედის" დილა 08.00 „ქრონიკა" 09.00 „ქრონიკა" 10.00 „ქრონიკა" 10.10 სერიალი „ჩემი შეყვარებული" (U) 11.00 „ქრონიკა" 11.15 სერიალი „საბრალო ნასტია" (U) 12.00 „ქრონიკა" 12.10 სერიალი „საბრალო

## ხუთშაბათი 12 იანვარი

7.55 „ადრე" 10.00 სერიალი „ანასტასია" (U) 11.00 დოკ/ფ „წინაპრები" (BBC) 12.00 მთავარი 12.20 ანიმაცია „ბამეის უცნაური თავგადასავლები" 12.45 ანიმაცია „პატარა კენგურუები" 13.00 სარჩევი 14.00 ტ/სერიალი „დანაშაული" (U) 15.00 მთავარი აზერბაიჯანულ ენაზე 15.30 მთავარი რუსულ ენაზე 15.45 მულტსერიალი „კიბერსამურაების რაზმი" 16.15 „პოლმარკი" – ტ/სერიალი „კამელოტის ქალები" IV სერია (U) 17.00 დეტექტიური სერიალი „დაცვის უფლება" (U) 18.00 მთავარი 18.30 დოკ/სერიალი „ქვეცნობიერი ადამიანები" 19.00 დოკ/ფ „შუღურის ბელი" (BBC) 20.00 მთავარი 20.45 „ბაბილონი" 21.00 სერიალი „ანასტასია" (U) 22.00 დეტექტიური სერიალი „დაცვის უფლება" (U) 23.00 კინოსამყარო „ჩემებრ ლამაზი გოგო" (12) 0.30 საინფორმაციო გამოშვება.

19.00 ბაბილონი 19.15 მხ „ტინტინის თავგადასავალი" 19.40 სპექტაკლი „დოლიტლის მარჯვენა".

07.30 დილა 08.00 „ადამიანი ობობა" 10.00 სერიალი „მოპარული გულები" (U) 11.00 ცოცხალი შოუ 12.00; 15.00; 17.00; 18.00; 21.00 კურიერი 12.20 სერიალი „დედინაცვალი" 13.30 მხ/ფ „ადამიანი კაპუცინების ბულვარიდან" (U) 15.25 „ადამიანი ობობა" 16.00 სერიალი „მოპარული გულები" (U) 16.40 სერიალი „შემთხვევითი სული" 18.30 პატრული 19.30 სერიალი „დედინაცვალი" 22.00 თავისუფალი თემა 23.30 მხ/ფ „ნიშნულები" 01.30 კურიერი 01.50 პატრული.

07.00 „იმედის" დილა 08.00 „ქრონიკა" 09.00 „ქრონიკა" 10.00 „ქრონიკა" 10.10 სერიალი „ჩემი შეყვარებული" (U) 11.00 „ქრონიკა" 11.15 სერიალი „საბრალო ნასტია" (U) 12.00 „ქრონიკა" 12.10 სერიალი „საბრალო ნასტია" (U) (გაგრძელება) 12.25 „იმედის" მელოდიები 12.40 „TV-მარკეტი" 13.00 „ქრონიკა" 13.15

## პარასკევი 13 იანვარი

7.55 „ადრე" 10.00 სერიალი „ანასტასია" (U) 11.00 დოკ/ფ „შუღურის ბელი" (BBC) 12.00 მთავარი 12.20 ანიმაცია „ბამეის უცნაური თავგადასავალი" 12.45 ანიმაცია „პატარა კენგურუები" 13.00 სარჩევი 14.00 ტ/სერიალი „დანაშაული" (U) 15.00 მთავარი რუსულ ენაზე 15.30 მულტსერიალი „კიბერსამურაების რაზმი" 16.00 „პოლმარკი" – ტ/სერიალი „ვულონის მხარის ომი" I სერია (U) 17.00 დეტექტიური სერიალი „დაცვის უფლება" (U) 18.00 მთავარი 18.30 ქართული ფილმი – „ჩარი-რამა" (U) 20.00 მთავარი 20.45 „ბაბილონი" 21.00 საახალწლო გადაცემა 0.45 საახალწლო კლიპები 1.15 კინოსამყარო – „თქვენი არჩევანი, ქალბატონო" (12) 1.30 საინფორმაციო გამოშვება.

19.00 ბაბილონი 19.15 მხ „ტინტინის თავგადასავალი" 19.40 სიცილის ოთახი 19.50 ქართული ფოლკლორი 20.00 აფხაზეთის ტელევიზია 20.30 სპექტაკლი „ძველი ვოდევილები".

07.30 დილა 08.00 „ადამიანი ობობა" 10.00 სერიალი „მოპარული გულები" (U) 11.00 სერიალი „ციმბირელი" 12.00; 15.00; 17.00; 18.00; 21.00 კურიერი 12.20 სერიალი „დედინაცვალი" 13.30 მხ/ფ „თავგადასავლების მაძიებლები" (U) 15.25 „ადამიანი ობობა" 16.00 სერიალი „მოპარული გულები" (U) 16.40 სერიალი „შემთხვევითი სული" 18.30 პატრული 19.30 სერიალი „დედინაცვალი" 22.00 ღამის შოუ 23.00 სერიალი „მოგზაური" 23.40 მხ/ფ „ენების ნიშნები" 01.30 კურიერი 01.50 პატრული 02.10 მხ/ფ „მისტერ და მისის სმიტები".

07.00 „იმედის" დილა 08.00 „ქრონიკა" 09.00 „ქრონიკა" 10.00 „ქრონიკა" 10.05 სერიალი „ჩემი შეყვარებული" (U) 11.00 „ქრონიკა" 11.15 სერიალი „საბრალო ნასტია" (U)

## შაბათი 14 იანვარი

08.00 საინფორმაციო გამოშვება 08.15 საახალწლო კლიპები 08.45 ანიმაცია „პოლიუდი და შობა" 09.15 მონტე-კარლოს ცირკი 10.00 ანიმაცია „ჯადოსნური ფლეიტა" 10.50 მხ/ფ „ჩვეულებრივი სასწაული" I სერია (U) 12.00 მთავარი 12.10 მხ/ფ „ჩვეულებრივი სასწაული" II სერია (U) 13.20 ბალანჩინი - „პერში კი" 13.50 მოკლემეტრაჟიანი მხ/ფ – „კოჯრის ტყის სიზმრები" 14.20 დოკ/ფ „შტრაუსი – ვალსის მეფე" 15.20 დოკ/ფ „ქართული ხმების მოგზაურობა აღმოსავლეთ გერმანიაში" 16.05 ჩაპლინი – „პარკში" 16.20 სტუმრად ბაბილინასთან 18.00 მთავარი 18.20 კვირა 18.50 დოკ/ფ – ლ. ასათიანი 20.00 მთავარი 20.45 „ვიაროთ ერთად" 21.45 „ქართული თეატრის დღე" 23.15 სოფიკო ჭიაურელის ბენეფისი 00.45 მხ/ფ „იდეალური ქმარი" (12) 02.20 საინფორმაციო გამოშვება.

19.00 ტელეზღაპარი „ნაცარქექია" 19.15 ტელეფილმი „კოჯრის ტყის სიზმრები" 19.40 სპექტაკლი „საბრალდებო დასკვნა" 21.00 კონცერტი „ცეკვის ზეობა".

08.00 კლასიკა 09.00; 12.00; 15.00; 18.00; 21.00 კურიერი 09.30 „ჯეტიქსი" 11.00 საბავშვო ფილმი 12.20 გაიღიმეთ ფარული კამერაა 12.50 მხ/ფ „ქალაქელი მონადირე" 15.20 უდაბნოს თეთრი მზე 17.00 სერიალი „ანდრომედა" 18.20 სერიალი „ციმბირელი" 19.15 მხ/ფ „თოჯინები იცინიან" 22.00 შაბათის შოუ 23.20 მხ/ფ „პატარძალი და ცრუ რწმენა" 01.00 კურიერი 01.30 მხ/ფ „საიდუმლო აგენტები".

## კვირა 15 იანვარი

8.00 მთავარი 8.15 „მომავლის ცირკი" 8.55 ანიმაცია „ზღარბ სონიქის თავგადასავალი" 9.20 საბ/სერიალი „ექშენმენი" 9.45 საბავშვო სერიალი „სკოლის შემდეგ" 10.00 დოკ/ფ „მითხარი როგორ" 10.30 მხ/ფ „მაშა და ვიტიას საახალწლო თავგადასავალი" (U) 11.30 დოკ/ფ „ექსცენტრიული ადამიანები" 12.00 მთავარი 12.40 სპექტაკლი 14.30 დოკ/ფ „თუთიყუშები" 15.30 „არტე" დოკ/ფ „ჯოკონდა – მითი და საიდუმლოება" 16.30 მუსიკა – ჯ. ვერდი – „რეკვიემი" 18.00 მთავარი 18.20 „კვირა" 18.50 ბიოპორტრეტები – სანდრინ ბონერი, ნატალი ბეი 20.00 მთავარი 20.30 ტ/სერიალი „ჩინჩილა" 21.30 დოკ/სერიალი „სიჩქარე" 22.00 კინოსამყარო „კარლოს პიგმეები" (U) 23.30 საინფორმაციო გამოშვება.

19.00 ტელეზღაპარი „მეფე – ბაყაყი" 19.15 ტელეფილმი „კუზიანი ბედნიერი" 19.45 კონცერტი 20.35 სოფიკო ჭიაურელის შემოქმედებითი საღამო.

08.00 კლასიკა 09.00; 12.00; 15.00; 18.00; 21.00 კურიერი 09.20 „ჯეტიქსი" 11.00 საბავშვო ფილმი 12.20 დოკ/ფ 13.20 მხ/ფ „ორნი ზღვის პირას" 15.20 მხ/ფ „ჩერჩილი" 17.00 სერიალი „ანდრომედა" 18.20 უბნის ინსპექტორი 19.20. მხ/ფ „ლონდრე" 22.00 გაიღიმეთ ფარული კამერაა 23.00 მხ/ფ „მეომარი" 01.30 კურიერი 01.50 უბნის ინსპექტორი 02.10 მხ/ფ

# გასართობი ჟურნალი „TV კარუსელი" უკვე პარასკევობით!

# ჟურნალში სულ ახალი გასართობია - ფრეში! ამოხსენი!

## ორშაბათი (გაგრძელება)

14.00 „ქრონიკა" 14.05 ქართული მხ/ფ „ცისფერი მთები" (U) (გაგრძელება) 15.00 „ქრონიკა" 15.20 სერიალი „მოჯადოება" 16.00 „ქრონიკა" 16.05 სერიალი „მოჯადოება" (U) (გაგრძელება) 16.25 „TV-მარკეტი" 16.40 დ/სერიალი „ველური ჩვილები" 17.00 „ქრონიკა" 17.10 „იმედის" მელოდიები 17.40 სერიალი „ჩემი შეყვარებული" (U) 18.00 „ქრონიკა" 18.05 სერიალი „ჩემი შეყვარებული" (U) (გაგრძელება) 18.30 სერიალი „მოჯადოება" (U) 19.00 „ქრონიკა" 19.10 სერიალი „მოჯადოება" (U) (გაგრძელება) 20.00 „ქრონიკა" 20.55 სერიალი „საბრალო ნასტია" (U) 21.55 „ნია ქავთარაძის შოუ" 23.00 „ქრონიკა" 23.35 „ნია ქავთარაძის შოუ" 0.35 მხ/ფ „მე ურჩები" (15) 02.15 „TV-მარკეტი" 02.50 „ქრონიკა" 03.00 „იმედის" მელოდიები.

8.30 მუსიკა 9.00 ანიმაციური ფილმი 9.25 სერიალი „ასა" 10.00 სერიალი „ჩენტო" 10.50 სერიალი „ასა" 10.55 მზერა 11.05 სერიალი „ტასი უფლებამოსილია განაცხადოს" 11.55 მზერა 12.05 სერიალი „ტასი უფლებამოსილია განაცხადოს" (გაგრძელება) 12.30 მხ/ფ „ბორსალინო და კომპანია" (U) 12.55 მზერა 13.05 მხ/ფ (გაგრძელება) 13.50 სერიალი „ასა" 13.55 მზერა 14.05 მხ/ფ (გაგრძელება) 14.55 მზერა 15.05 მხ/ფ „სამი უნდა მოვიშოროთ" (U) 15.55 მზერა 16.05 მხ/ფ (გაგრძელება) 16.50 სერიალი „ასა" 16.55 მზერა 17.05 სერიალი „გვერდიგვერდ" 17.35 სერიალი „ტასი უფლებამოსილია განაცხადოს" 17.50 სერიალი „ასა" 17.55 მზერა 18.05 სერიალი „ტასი უფლებამოსილია განაცხადოს" (გაგრძელება) 18.55 სერიალი „ასა" 19.00 მზერა 19.05 სერიალი „ჩენტო" 19.30 მზერა 19.35 სერიალი „ჩენტო" (გაგრძელება) 20.00 მზერა 20.50 ქართული ფილმი „ცისკრის ზარები" (U) 22.30 სერიალი „ასა" 23.00 მხ/ფ „წმინდანი" (15).

8.00 „შესანიშნავი შვიდეული" 8.30 „ახალი ამბები" 8.45 კომედია „როდეჯერი დოდეჯერი" 10.40 სათავგადასავლო ფილმი „ყაჩაღები" 12.20 მხ/ფ „ლოხანჯელესის საიდუმლოებანი" 14.30 „ახალი ამბები" 14.45 „დებატები" 15.45 დოკ/ფ 16.40 მულტსერიალი 17.30 „ახალი ამბები" 18.00 „პროექტი მომავალი" 18.30 „ნოვოსტი" 18.50 დოკ/ფ 19.30 „შესანიშნავი შვიდეული" 20.00 „გოლიათი" 20.30 „ახალი ამბები" 21.00 მუსიკა 21.30 „პროექტი" 22.00 სერიალი „განბიერებული ლამაზმანი" 23.00 დოკ/ფ 00.15 „გოლიათი" 00.40 კომედია „საფრთხილო ვარ".

06.00 Новости. 06.10 Х/ф "Золото МакКенны". 08.20 "Армейский магазин". 08.50 М/ф. 09.20 "Умницы и умники". 10.00 Новости. 10.20 "Непутевые заметки". 10.40 "Пока все дома". 11.30 "Веселые картинки". 12.00 Новости. 12.10 М/ф. 12.30 Д/с "Живой мир". 13.40 "КВН-2005". Высшая лига. Финал. 16.00 Х/ф "Дети шпионов". 17.30 "Ералаш". 17.50 Х/ф "Один дома 2". 19.40 Праздничный концерт. 21.00 "Время". 21.20 Т/с "Девять неизвестных". 22.10 Х/ф "Шесть дней, семь ночей". 23.40 Профессиональный бокс: Э. Моралес — З. Рахим. 00.40 Суперчеловек: "Уникальные возможности мозга". 01.40 Х/ф "Признания опасного человека". 03.30 Т/с "Дефективный детектив". 04.15 Д/ф "Лица российской национальности".

## სამშაბათი (გაგრძელება)

ნასტია" (U) (გაგრძელება) 12.25 „იმედის" მელოდიები 12.40 „TV-მარკეტი" 13.00 „ქრონიკა" 13.15 „ნია ქავთარაძის შოუ" 14.00 „ქრონიკა" 14.05 „ნია ქავთარაძის შოუ" (გაგრძელება) 15.00 „ქრონიკა" 15.20 სერიალი „მოჯადოება" (U) 16.00 „ქრონიკა" 16.05 სერიალი „მოჯადოება" (U) (გაგრძელება) 16.25 „TV-მარკეტი" 16.40 დ/სერიალი „ველური ჩვილები" 17.00 „ქრონიკა" 17.10 „იმედის" მელოდიები 17.30 სერიალი „ჩემი შეყვარებული" (U) 18.00 „ქრონიკა" 18.05 სერიალი „ჩემი შეყვარებული" (U) (გაგრძელება) 18.30 სერიალი „მოჯადოება" (U) 19.00 „ქრონიკა" 19.10 სერიალი „მოჯადოება" (U) (გაგრძელება) 20.00 „ქრონიკა" 20.55 სერიალი „საბრალო ნასტია" (U) 21.55 ქართული სერიალი „ცხელი ძაღლი 1" (U) 23.00 „ქრონიკა" 23.35 მხ/ფ „შინ და გარეთ" (12) 01.05 „TV-მარკეტი" 01.40 „ქრონიკა" 01.50 „იმედის" მელოდიები.

8.30 მუსიკა 9.00 ანიმაციური ფილმი 9.30 სერიალი „ასა" 9.45 სერიალი „ჩენტო" 10.50 სერიალი „ასა" 10.55 მზერა 11.05 სერიალი „ტასი უფლებამოსილია განაცხადოს" 11.55 მზერა 12.05 სერიალი „ტასი უფლებამოსილია განაცხადოს" (გაგრძელება) 12.30 ქართული ფილმი „ცისკრის ზარები" (U) 12.55 მზერა 13.05 ქართული ფილმი 13.50 სერიალი „ასა" 13.55 მზერა 14.05 სერიალი „გვერდიგვერდ" 14.35 შემეცნებითი პროგრამა „სამყაროს უთვალავი ფერი" 14.55 მზერა 15.05 მხ/ფ „მტანჯველი სიყვარული" (U) 15.55 მზერა 16.05 მხ/ფ (გაგრძელება) 16.50 სერიალი „ასა" 16.55 მზერა 17.05 სერიალი „გვერდიგვერდ" 17.35 სერიალი „ტასი უფლებამოსილია განაცხადოს" 17.50 სერიალი „ასა" 17.55 მზერა 18.05 სერიალი „ტასი უფლებამოსილია განაცხადოს" (გაგრძელება) 18.55 სერიალი „ასა" 19.00 მზერა 19.05 სერიალი „ჩენტო" 19.30 მზერა 19.35 სერიალი „ჩენტო" (გაგრძელება) 20.00 მზერა 20.50 მხ/ფ „უთავო მხედარი" (U) 22.30 სერიალი „ასა" 23.00 გადაცემა „ტაბუ" 00.00 მხ/ფ „ოხ ბა" (18).

8.00 „შესანიშნავი შვიდეული" 8.30 „ახალი ამბები" 8.45 სერიალი „განბიერებული ლამაზმანი" 9.45 მუსიკა 10.00 „პროექტი მომავალი" 10.30 დოკ/ფ 11.30 „ვიცინოთ ერთად" 11.45 მხ/ფ „მეფე რუთ" 14.30 „ახალი ამბები" 14.45 მხ/ფ „კორნისლი" 16.15 მულტფილმი 17.30 ახალი ამბები" 17.50 „პროექტი" 18.05 მუსიკა 18.30 „ნოვოსტი" 19.00 „სპორტი" 19.15 „წკაპურტები" 19.30 „შესანიშნავი შვიდეული" 20.00 „გოლიათი" 20.30 ახალი ამბები" 21.00 მუსიკა 21.30 „გადარჩენილი სიტყვა" 22.00 სერიალი „განბიერებული ლამაზმანი" 23.00 დოკ/ფ 00.00 „ახალი ამბები" 00.15 „გოლიათი" 00.40 მხ/ფ „ჩემს მეუღლეს მორისი ჰქვია".

05.00 Новости. 05.05 "Первая программа". 06.00 "Доброе утро!" 09.00 Новости. 09.10 Т/с "Девять неизвестных". 10.20 Т/с "Агент национальной безопасности". 11.30 "Курбан-Байрам". 12.00 Новости. 12.20 Т/с "Черный ворон". 13.30 М/ф. 13.50 "Большие гонки". 15.00 Новости. 15.10 "Лолита. Без комплексов". 16.00 Т/с "Хозяйка судьбы". 17.00 "Федеральный судья". 18.00 Новости. 18.10 "Детективы". 18.40 Т/с "Адъютанты любви". 19.50 "Жди меня". 21.00 "Время". 21.30 Т/с "Девять неизвестных". 22.30 "Тайны века". 23.40 "Ночные новости". 00.00 "2030". 01.10 Х/ф "Аполло-13". 03.00 Новости. 03.05 Х/ф "Аполло-13" (продолжение). 03.20 Х/ф "Мой самый невероятный год".

## ოთხშაბათი (გაგრძელება)

ნასტია" (U) (გაგრძელება) 12.25 „იმედის" მელოდიები 12.40 „TV-მარკეტი" 13.00 „ქრონიკა" 13.15 მხ/ფ „მეძებრ ელემენტი" (U) 14.00 „ქრონიკა" 14.05 მხ/ფ „მეძებრ ელემენტი" (U) (გაგრძელება) 15.00 „ქრონიკა" 15.20 სერიალი „მოჯადოება" (U) 16.00 „ქრონიკა" 16.05 სერიალი „მოჯადოება" (U) (გაგრძელება) 16.25 „TV-მარკეტი" 16.40 დ/სერიალი „ველური ჩვილები" 17.00 „ქრონიკა" 17.10 „ჩვენი ქალი" 17.30 სერიალი „ჩემი შეყვარებული" (U) 18.00 „ქრონიკა" 18.05 სერიალი „ჩემი შეყვარებული" (გაგრძელება) 18.30 სერიალი „მოჯადოება" (U) 19.00 „ქრონიკა" 19.10 სერიალი „მოჯადოება" (U) (გაგრძელება) 20.00 „ქრონიკა" 20.55 სერიალი „საბრალო ნასტია" (U) 21.55 ქართული სერიალი „ცხელი ძაღლი 1" (U) 23.00 „ქრონიკა" 23.35 „გვაროვნული წყობილება" 0.35 მხ/ფ „ქართული ბიზნესი" (12) 02.00 „TV-მარკეტი" 02.35 „ქრონიკა" 02.45 „იმედის" მელოდიები.

8.30 მუსიკა 9.00 ანიმაციური ფილმი 9.30 სერიალი „ასა" 10.00 სერიალი „ჩენტო" 10.50 სერიალი „ასა" 10.55 მზერა 11.05 სერიალი „ტასი უფლებამოსილია განაცხადოს" 11.55 მზერა 12.05 სერიალი „ტასი უფლებამოსილია განაცხადოს" (გაგრძელება) 12.30 რუსული ფილმი „უთავო მხედარი" (U) 12.55 მზერა 13.05 მხ/ფ (გაგრძელება) 13.50 სერიალი „ასა" 13.55 მზერა 14.05 მხ/ფ „ლულუ სამუდამოდ" (U) 14.55 მზერა 15.05 მხ/ფ (გაგრძელება) 15.55 მზერა 16.05 შემეცნებითი პროგრამა „სამყაროს უთვალავი ფერი" 16.50 სერიალი „ასა" 16.55 მზერა 17.05 სერიალი „გვერდიგვერდ" 17.35 სერიალი „ტასი უფლებამოსილია განაცხადოს" 17.50 სერიალი „ასა" 17.55 მზერა 18.05 სერიალი „ტასი უფლებამოსილია განაცხადოს" (გაგრძელება) 18.55 სერიალი „ასა" 19.00 მზერა 19.05 სერიალი „ჩენტო" 19.30 მზერა 19.35 სერიალი „ჩენტო" (გაგრძელება) 20.00 მზერა 20.50 ქართული ფილმი „სიმღერა ჩვენს ფანჯრებთან" (U) 22.30 სერიალი „ასა" 23.00 „ტაბუ" 00.00 მხ/ფ „სისხლი და ღვინო" (15).

8.00 „შესანიშნავი შვიდეული" 8.30 „ახალი ამბები" 8.45 სერიალი „განბიერებული ლამაზმანი" 10.00 „სპორტი" 10.25 კომედია „მელოტი ძმა" 12.00 მხ/ფ „მეგობრები" 14.30 „ახალი ამბები" 14.45 მხ/ფ „ცრემლის ხიდებში" 16.40 მულტსერიალი 17.30 „ახალი ამბები" 17.45 დოკ/ფ 18.30 „ნოვოსტი" 19.00 „პროექტი" 19.30 შესანიშნავი შვიდეული" 20.00 „გოლიათი" 20.30 „ახალი ამბები" 21.00 მუსიკა 21.30 „მოგზაური" 22.00 სერიალი „განბიერებული ლამაზმანი" 23.00 დოკ/ფ 00.00 „ახალი ამბები" 00.15 „გოლიათი" 00.40 მხ/ფ „ჩემი პირველი მამაკაცი".

05.00 Новости. 05.05 "Первая программа". 06.00 "Доброе утро!" 09.00 Новости. 09.10 Т/с "Девять неизвестных". 10.20 Т/с "Агент национальной безопасности". 11.30 "Кривое зеркало". 12.00 Новости. 12.20 Т/с "Черный ворон". 13.30 М/ф. 13.50 "Большие гонки". 15.00 Новости. 15.10 "Лолита. Без комплексов". 16.00 Т/с "Хозяйка судьбы". 17.00 "Федеральный судья". 18.00 Новости. 18.10 "Детективы". 18.40 Т/с "Адъютанты любви". 19.50 "Пусть говорят". 21.00 "Время". 21.30 Т/с "Девять неизвестных". 22.30 Д/ф "Новогодний "чес". 23.40 "Ночные новости". 00.00 "Искатели". 00.50 "Ударная сила". 01.40 Т/с "24 часа". 02.40 Х/ф "Давно умерший". 03.00 Новости. 03.05 Х/ф "Давно умерший" (продолжение). 04.30 Д/ф "Лица российской национальности".

## ხუთშაბათი (გაგრძელება)

„იმედის" მელოდიები 13.40 „გვაროვნული წყობილება" 14.00 „ქრონიკა" 14.05 „გვაროვნული წყობილება" (გაგრძელება) 15.00 „ქრონიკა" 15.20 სერიალი „მოჯადოება" (U) 16.00 „ქრონიკა" 16.05 სერიალი „მოჯადოება" (U) (გაგრძელება) 16.25 „TV-მარკეტი" 16.40 დ/სერიალი „ველური ჩვილები" 17.00 „ქრონიკა" 17.10 „ანტი" 17.30 სერიალი „ჩემი შეყვარებული" (U) 18.00 „ქრონიკა" 18.05 სერიალი „ჩემი შეყვარებული" (U) (გაგრძელება) 18.30 სერიალი „მოჯადოება" (U) 19.00 „ქრონიკა" 19.10 სერიალი „მოჯადოება" (U) (გაგრძელება) 20.00 „ქრონიკა" 20.55 სერიალი „საბრალო ნასტია" (U) 21.55 ქართული სერიალი „ცხელი ძაღლი 1" (U) 23.00 „ქრონიკა" 23.35 თამაში „ათასიდან ერთი შანსი" 0.05 მხ/ფ „ჩაპლინი" (12) 02.45 „TV-მარკეტი" 03.20 „ქრონიკა" 03.30 „იმედის" მელოდიები.

8.30 მუსიკა 9.00 ანიმაციური ფილმი 9.30 სერიალი „ასა" 10.00 სერიალი „ჩენტო" 10.50 სერიალი „ასა" 10.55 მზერა 11.05 სერიალი „ტასი უფლებამოსილია განაცხადოს" 11.55 მზერა 12.05 სერიალი „ტასი უფლებამოსილია განაცხადოს" (გაგრძელება) 12.30 მხ/ფ „სიმღერა ჩვენს ფანჯრებთან" (U) 12.55 მზერა 13.05 მხ/ფ (გაგრძელება) 13.50 სერიალი „ასა" 13.55 მზერა 14.05 მხ/ფ „საჩუქარი ლაურასათვის" (U) 14.55 მზერა 15.05 მხ/ფ (გაგრძელება) 15.25 სერიალი „გვერდიგვერდ" 15.55 მზერა 16.05 შემეცნებითი პროგრამა „სამყაროს უთვალავი ფერი" 16.50 სერიალი „ასა" 16.55 მზერა 17.05 სერიალი „გვერდიგვერდ" 17.35 სერიალი „ტასი უფლებამოსილია განაცხადოს" 17.50 სერიალი „ასა" 17.55 მზერა 18.05 სერიალი „ტასი უფლებამოსილია განაცხადოს" (გაგრძელება) 18.55 სერიალი „ასა" 19.00 მზერა 19.05 სერიალი „ჩენტო" 19.30 მზერა 19.35 სერიალი „ჩენტო" (გაგრძელება) 20.00 მზერა 20.50 მხ/ფ [illegible] (U) 22.30 სერიალი „ასა" 23.00 მხ/ფ [illegible] (15).

8.00 „შესანიშნავი შვიდეული" 8.30 „ახალი ამბები" 8.45 სერიალი „განბიერებული ლამაზმანი" 9.45 დოკ/ფ 10.40 მხ/ფ „მახლე" 12.35 მხ/ფ „ქურდი-მხარეული" 14.30 „ახალი ამბები" 14.45 მხ/ფ „სიმართლე ჩარლის შესახებ" 16.40 მულტსერიალი 17.30 ახალი ამბები" 17.50 დოკ/ფ 18.30 „ნოვოსტი" 19.00 „ჰიტ-ჰიტა" 19.30 „შესანიშნავი შვიდეული" 20.00 „გოლიათი" 20.30 „ახალი ამბები" 21.00 კონცერტი 22.00 სერიალი „განბიერებული ლამაზმანი" 23.00 „ექსკლუზივი" 00.00 „ახალი ამბები" 00.15 „გოლიათი" 00.40 მხ/ფ „განუყრელნი".

05.00 Новости. 05.05 "Первая программа". 06.00 "Доброе утро!" 09.00 Новости. 09.10 Т/с "Девять неизвестных". 10.20 Т/с "Агент национальной безопасности". 11.30 "Кривое зеркало". 12.00 Новости. 12.20 Т/с "Черный ворон". 13.30 М/ф. 13.50 "Большие гонки". 15.00 Новости. 15.10 "Лолита. Без комплексов". 16.00 Т/с "Хозяйка судьбы". 17.00 "Федеральный судья". 18.00 Новости. 18.10 "Детективы". 18.40 Т/с "Адъютанты любви". [illegible] "Человек и закон". 21.00 "Время". 21.30 Т/с "Девять неизвестных". 22.00 Юбилей Р. Паулса. [illegible] пианиста". 23.40 "Ночные новости". 00.00 "Судите сами". 01.00 Х/ф "Умереть молодым". 03.00 Новости. 03.05 Х/ф "Умереть молодым". 03.10 Х/ф "Кот в мешке".

## პარასკევი (გაგრძელება)

12.00 „ქრონიკა" 12.10 სერიალი „საბრალო ნასტია" (U) (გაგრძელება) 12.25 „იმედის" მელოდიები 12.40 „TV-მარკეტი" 13.00 „ქრონიკა" 13.15 მხ/ფ „ქალიშვილი მარგალიტის საყურით" (U) 14.00 „ქრონიკა" 14.05 მხ/ფ „ქალიშვილი მარგალიტის საყურით" (U) (გაგრძელება) 15.00 „ქრონიკა" 15.20 სერიალი „მოჯადოება" (U) 16.00 „ქრონიკა" 16.05 სერიალი „მოჯადოება" (U) (გაგრძელება) 16.25 „TV-მარკეტი" 16.40 დ/სერიალი „ველური ჩვილები" 17.00 „ქრონიკა" 17.10 „იმედის" მელოდიები 17.30 სერიალი „ჩემი შეყვარებული (U) 18.00 „ქრონიკა" 18.05 სერიალი „ჩემი შეყვარებული" (U) (გაგრძელება) 18.30 სერიალი „მოჯადოება" (U) 19.00 „ქრონიკა" 19.10 სერიალი „მოჯადოება" (U) (გაგრძელება) 20.00 „ქრონიკა" 20.55 სერიალი „საბრალო ნასტია" (U) 21.55 „იუმორინა" 23.00 „ქრონიკა" 23.15 „იუმორინა" 0.30 მხ/ფ „ოჯახური სისასტიკე" (U) 02.10 „TV-მარკეტი" 02.45 „ქრონიკა" 02.55 „იმედის" მელოდიები.

8.30 მუსიკა 9.00 ანიმაციური ფილმი 9.30 სერიალი „ასა" 10.00 სერიალი „ჩენტო" 10.50 სერიალი „ასა" 10.55 მზერა 11.05 სერიალი „ტასი უფლებამოსილია განაცხადოს" 11.55 მზერა 12.05 სერიალი „ტასი უფლებამოსილია განაცხადოს" (გაგრძელება) 12.20 მხ/ფ „გაზაფხული" (U) 12.55 მზერა 13.05 მხ/ფ (U) (გაგრძელება) 13.50 სერიალი „ასა" 13.55 მზერა 14.05 მხ/ფ (U) (გაგრძელება) 14.35 მხ/ფ „გვირაბი" (U) 14.55 მზერა 15.05 მხ/ფ (U) (გაგრძელება) 15.55 მზერა 16.05 მხ/ფ (U) (გაგრძელება) 16.50 სერიალი „ასა" 16.55 მზერა 17.05 სერიალი „გვერდიგვერდ" 17.35 ანიმაციური ფილმი 17.50 სერიალი „ასა" 17.55 მზერა 18.00 „რუსთაველი" სოროკინა 18.30 „ტელემეტრი" 18.55 სერიალი „ასა" 19.00 მზერა 19.05 სერიალი „ჩენტო" 19.30 მზერა 19.35 სერიალი „ჩენტო" (გაგრძელება) 20.00 მზერა 20.50 ქართული ფილმი „არ დაიჯეროთ, რომ აღარა ვარ" (U) 22.30 სერიალი „ასა" 23.00 გადაცემა „ტაბუ" 00.00 სერიალი „ასა" 1.40 მხ/ფ „ავაზაკები" (U).

8.00 „შესანიშნავი შვიდეული" 8.30 „ახალი ამბები" 8.45 მხ/ფ „მარტო სახლში 3" 10.35 მხ/ფ „შობის გადატანა" 12.10 „კარგი კინო" 12.30 მხ/ფ „ქალი მუშკეტერი" 14.30 „ახალი ამბები" 14.45 მხ/ფ „საშობაო არდადეგები 2" 16.10 მულტფილმი 17.30 „ახალი ამბები" 17.50 ანსამბლი „ბათუმი" გილოცავთ 18.30 „ნოვოსტი" 18.45 „კარგი კინო" 19.10 „ხელხვავი" 19.30 შესანიშნავი შვიდეული" 20.15 „სტუმრად თეთრონთან" 20.30 „ახალი ამბები" 21.00 „ვიმღეროთ ერთად" 21.30 „საახალწლო კალეიდოსკოპი" 00.00 „ახალი ამბები" 00.15 „კუზიანი ბედნიერი ანუ ძაღლის ბედი დაგვებედოთ".

05.00 Новости. 05.05 "Первая программа". 06.00 "Доброе утро!" 09.00 Новости. 09.10 Т/с "Девять неизвестных". 10.20 Т/с "Агент национальной безопасности". 11.30 "Кривое зеркало". 12.00 Новости. 12.20 Т/с "Черный ворон". 13.30 М/ф. 13.50 "Большие гонки". 15.00 Новости. 15.10 "Лолита. Без комплексов". 16.00 Т/с "Хозяйка судьбы". 17.00 "Федеральный судья". 18.00 Новости. 18.10 "Детективы". 18.40 Т/с "Адъютанты любви". 19.50 Телеигра "Поле чудес". 21.00 "Время". 21.25 "Самый веселый концерт". 00.00 "Старый Новый год". 03.00 Х/ф "Спасти Хэррисона". 05.20 Д/ф "Лица российской национальности".

## შაბათი (გაგრძელება)

09.00 „ქრონიკა" 09.10 ანიმაციური ფილმი „სასწაული სათამაშოების სამყაროში" 10.05 მხ/ფ „მეფე-პოლარული დათვი" (U) 11.30 „რაო-რაო?" 11.35 „დილის ფოსტა" 12.20 „იმედითა შენითა" 12.40 „TV-მარკეტი" 13.00 „ქრონიკა" 13.15 მხ/ფ „ოჯახური სისასტიკე" (U) 15.00 „ქრონიკა" 15.15 სერიალი „მოჯადოება" (U) 16.15 „TV-მარკეტი" 16.30 „უცნობი საქართველო" 17.00 „ქრონიკა" 17.10 დ/სერიალი „ჰოლივუდის წყვილები" – ჯ. ტრავოლტა და კ. პრესტონი" 17.40 ლატარია „3X3" 18.00 „ეტალონი" 19.00 „ქრონიკა" 19.05 სერიალი „მოჯადოება" (U) 20.00 „ქრონიკა" 20.30 „ნაცნობი საქართველო" 21.00 ქართული სერიალი „საპონი" (U) 22.00 „იმედის ქვეყნის მელოდიები" 23.00 „ქრონიკა" 23.30 მხ/ფ „ყოვლისშემძლე ბრიუსი" (U) 01.10 „TV-მარკეტი" 01.45 „ქრონიკა" 01.55 „იმედის" მელოდიები.

9.00 მუსიკა 9.30 ანიმაცია 10.50 ტელემეტრი 11.20 სერიალი „კარაბინერები-3" 12.20 საქართველოს ისტორია 13.00 ქართული ფილმი „არ დაიჯეროთ, რომ აღარა ვარ" (U) 14.00 მზერა 10.00 14.15 სერიალი „ასა" 16.00 „ბასტი-ბუბუ" 16.45 ფეხბურთი. მანჩესტერ სიტი – მანჩესტერ იუნაიტედი 17.30 მზერა 19.00 ფეხბურთი. ბლექბერნი – ბოლტონი 19.50 მზერა 20.50 მხ/ფ 23.00 სერიალი „კარაბინერები-3" 00.00 მხ/ფ.

8.00 „შესანიშნავი შვიდეული" 8.45 მულტფილმი 10.20 „ჭიტა-ჭიტა" 12.20 „ვიცინოთ ერთად" 13.00 მხ/ფ „მოდი ჩემს სანახავად" 15.00 მიუზიკლი „ნოტრ-დამ დე პარი" 17.30 „ახალი ამბები" 17.50 „კუზიანი ბედნიერი ანუ ძაღლის ბედი დაგვებედოთ" 18.50 „წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა" 19.30 „შესანიშნავი შვიდეული" 20.00 „შავშეთურები" 20.30 ახალი ამბები" 21.00 „ფერისცვალება" 21.20 მხ/ფ „მილედი" 00.00 ახალი ამბები" 00.15 მხ/ფ „ღმერთო დიდია მე პატარა ვარ".

06.00 Новости. 06.10 "Шутка за шуткой". 06.30 Х/ф "Зимний роман". 08.10 "Играй, гармонь любимая!" 08.50 "Слово пастыря". 09.10 М/ф. 10.00 Новости. 10.10 "Смак". 10.30 Д/ф "Дневной дозор: Всем выйти из сумрака". 11.10 Д/ф "Трус, Балбес, Бывалый". 12.00 Новости. 12.10 "Здоровье". 13.00 "Новогодние подарки". 13.40 Х/ф "Все будет хорошо!" 15.40 Д/ф "Белая магия, черная магия". 16.10 Х/ф "Дети шпионов 2: Остров несбывшихся надежд". 18.00 Новости. 18.10 "Ералаш". 18.20 М/ф "В поисках Немо". 19.50 "Кто хочет стать миллионером?" 21.00 "Время". 21.20 Х/ф "Первый скорый". 23.00 Х/ф "Птичка на проводе". 01.10 Х/ф "Три беглеца". 03.00 Х/ф "Реликт". 05.00 Д/ф "Лица российской национальности".

## კვირა (გაგრძელება)

„წყალქვეშა ციხე".

09.00 „ქრონიკა" 09.10 „იმედის" მელოდიები 09.30 ანიმაციური ფილმი „საძაგელი იხვის ჭუკის საშობაო სურვილი" 10.45 „რაო რაო?" 10.55 მხ/ფ „წყნარი ოკეანის უფლისწული" (U) 12.40 „TV-მარკეტი" 13.00 „ქრონიკა" 13.20 „თქვენი ექიმი" 14.00 ქართული სერიალი „საპონი" (U) 15.00 „ქრონიკა" 15.15 „ეტალონი" 15.25 დ/სერიალი „ჰოლივუდის წყვილები" – ჯ. ტრავოლტა და კ. პრესტონი" 15.55 „იმედის" მელოდიები 16.15 „TV-მარკეტი" 16.30 სპ/პროგრამა „ასი" 17.00 „ქრონიკა" 17.20 „პოლიციის აკადემია" 17.50 „არტ-ბულვარი" 18.30 „ვაკაკი NEWS" 19.00 „ქრონიკა" 19.15 ქართული მხ/ფ „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" (U) 21.00 „დროება" 22.30 მხ/ფ „ტყუპების ეფექტი-2" (U) 0.20 „TV-მარკეტი" 0.55 „ქრონიკა" 01.05 „იმედის" მელოდიები.

9.00 მუსიკა 9.30 ანიმაცია 10.30 სერიალი „ასა" 11.00 „რუსთაველი" სოროკინა 11.30 სერიალი „კარაბინერები-3" 12.25 მხ/ფ „ავაზაკები" (U) 14.00 მზერა 14.15 მხ/ფ „ბურთი და მოედანი" 17.00 მზერა 17.15 საქართველოს ისტორია 17.40 მუსიკა მზეზე 18.10 ფეხბურთი. ბლექბერნი – ბოლტონი (განმეორებით) 20.00 „მზერა" 22.00 სერიალი „ასა" 23.00 სერიალი „კარაბინერები-3" 00.00 მხ/ფ „კრაზანების ბუდე"

8.00 „შესანიშნავი შვიდეული" 8.30 „ახალი ამბები" 8.45 მულტფილმი 10.15 „წკაპურტები" 10.30 „მოგზაური" 11.00 „ფეხბურთი 11 საათზე" 12.00 „დებატები" 13.00 დოკ/ფ 14.00 „გადარჩენილი სიტყვა" 14.45 „ფერისცვალება" 15.00 „პრევენცია" 16.00 „ექსკლუზივი" 17.30 „ახალი ამბები" 17.45 მხ/ფ „პატარა შავი წიგნაკი" 19.30 შესანიშნავი შვიდეული" 20.00 „ვიცინოთ ერთად" 20.30 ახალი ამბები" 21.00 კონცერტი 21.30 „გოლიათი" 22.00 შესანიშნავი შვიდეული" 22.30 „მხოლოდ კინო" 22.45 მხ/ფ „ერთხელ ამერიკაში" 00.00 ახალი ამბები" 00.15 მხ/ფ „ერთხელ ამერიკაში" (გაგრძელება).

06.00 Новости. 06.10 "Шутка за шуткой". 06.30 Х/ф "Крепыш". 08.20 "Служу Отчизне!" 08.50 М/ф. 09.20 "Умницы и умники". 10.00 Новости. 10.10 "Непутевые заметки". 10.30 "Пока все дома". 11.20 "Веселые картинки". 12.00 Новости. 12.10 Д/с "Живой мир". 13.20 "Новогодние подарки". 13.50 "Лица года". 15.20 Х/ф "Экипаж". 18.00 Новости. 18.10 Д/ф "Наталья Гундарева. Личная жизнь королевы". 19.10 Х/ф "Час пик". 21.00 "Время". 21.45 Х/ф "Красный дракон". 00.00 Профессиональный бокс: Л. Джонсон — Х. Чавес. 01.00 Суперчеловек: "Анатомия наших чувств".

## „ალ-ქაიდა“ თურქეთს ემუქრება

NEWSru.com

აშშ-ის ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ თურქეთის ხელისუფლება გააფრთხილა, რომ საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაცია „ალ-ქაიდა“ თურქეთში გეგმავს ტერაქტებს რადიოაქტიური ნივთიერებების გამოყენებით.

თურქეთის ხელისუფლებამ გაფრთხილების მიღებისთანავე ეს ამბავი გააცნო უშიშროების სამსახურისა და პოლიციის ყველა ტერიტორიულ ქვედანაყოფს. თურქეთის უშიშროების სამმართველოს მითითებით, მკაცრად კონტროლდება საერთაშორისო სატრანსპორტო ორგანიზაციების გზით მიღებული ყველა სახის ტვირთი. გაძლიერებულია უშიშროების ზომები სტამბოლის, ანკარის, ანტალიისა და იზმირის აეროპორტებში.

2003 წლის ნოემბერში „ალ-ქაიდამ“ სტამბოლში განახორციელა ტერაქტების სერია, რასაც 61 კაცის სიცოცხლე შეეწირა, დაშავდა 600-ზე მეტი.

საერთაშორისო ტერორიზმის ალკვეთის გზებზე ლაპარაკი იყო ანკარაში ცსს-ს დირექტორის პორტერ გოსის ვიზიტის დროს. თურქეთის ხელისუფლებამ ბოლო ხანს წარმატებით ჩაატარა ოპერაციები „ალ-ქაიდას“ წინააღმდეგ. 2005 წლის აგვისტოში დააპატიმრეს ორგანიზაციის თურქეთის განყოფილების თავკაცი, სირიელი ლუაი საკრა, რომელსაც ბრალად ედება სტამბოლის ტერაქტების მოწყობა. თანამოაზრეებთან ერთად საკრა გეგმავდა ანტალიაში დიდი საკრუიზო ლაინერის აფეთქებას, რომელზეც ისრაელელი ტურისტები იმყოფებოდნენ. ამ ტერორისტული აქტისთვის ერთ ტონამდე ასაფეთქებელი ნივთიერება იყო მომზადებული.

## ლატვიის ხელმძღვანელობაში ქალები მომრავლდა

REGNUM



ლატვიის სეიმმა ხმათა უმრავლესობით თავდაცვის მინისტრის პოსტზე დაამტკიცა 35 წლის ლინდა მურნიეცე. ლატვიაში ის მესამე ქალია, რომელსაც ამჟამად ხელმძღვანელი თანამდებობა უკავია. პრეზიდენტ ვაირა ვიკე-ფრაიბერგასა და სეიმის სპიკერის ინგრიდ უდრეს შემდეგ. „სამხედრო მოსამსახურეთა 17%-იც ქალია და ეს კარგი მაჩვენებელია, ძალიან ვამაყობ ამით“, — ამბობს ლინდა მურნიეცე.

თავდაცვის ახალი მინისტრი პროფესიით ჟურნალისტია. ბოლო დრომდე სეიმში ანტიკორუფციულ კომისიას ხელმძღვანელობდა. ჩვენ არ ვეთანხმებით ლინდა მურნიეცეს პოზიციას ერაყში ლატვიის ჯარის ყოფნასთან დაკავშირებით. ჩვენი ქვეყნის მინისტრი, უპირველესად, ლატვიის ინტერესებზე უნდა ზრუნავდეს და მერე აშშ-ის ინტერესებზე. ლატვიის მოსახლეობის უმრავლესობა ითხოვს ერაყიდან ჩვენი ჯარის გამოყვანას, — აცხადებს პარლამენტის ოპოზიციური ფრაქციის თავმჯდომარე ა. ურბანოვიჩი.

## ავღანეთი რუსეთს კომპენსაციას სთხოვს

Коммерсантъ

ავღანეთის პრეზიდენტის ჰამიდ ყარზაის პრესმდივანმა ქარიმ რაჰიმმ ჩინეთის სააგენტოსთვის მიცემულ ინტერვიუში სენსაციური განცხადება გააკეთა — მისი მთავრობა საბჭოთა ჯარის მიერ ავღანეთის ათწლიანი ოკუპაციის კომპენსაციას ითხოვს რუსეთისაგან. 26 წლის წინ სსრკ-ის „კა-გე-ბე“-ს სპეცჯგუფმა იერიშით აიღო ქაბულში პრემიერ ამინის სასახლე. ათწლიანი ოკუპაციის შედეგად მილიონზე მეტი ავღანელი დაიღუპა.

ომის დროს ადამიანთა და მატერიალური ზარალის ანაზღაურების საკითხი რუსეთის, როგორც საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრის წინაშე ადრეც არაერთხელ დაუყენებიათ ავღანელ ოპოზიციონერებს, მაგრამ ჩანს, ახლა ქაბული კომპენსაციაზე მოსკოვის წინადადების შემდეგ ალაპარაკდა — კრემლი ავღანეთს სთხოვს საბჭოთა კავშირის ათმილიარდიანი ვალის დაბრუნებას.

ავღანეთის დეპუტატთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ ქვეყანამ არ უნდა აღიაროს ვალი, რომელიც ანტიხალხური რეჟიმისათვის დახმარების შედეგად დაედო ქვეყანას.

## კონდოლიზა რაისი: რუსეთი „უპასუხისმგებლოდ“ მოიქცა

THE WALL STREET JOURNAL



აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა ჟურნალისტებთან შეხვედრაზე განაცხადა: — უკრაინისთვის გაზის მიწოდებასთან დაკავშირებულ კონფლიქტს, რა თქმა უნდა, პოლიტიკური სარჩული უდევს და ეს რუსეთის „უპასუხისმგებლობის“ მაჩვენებელიაო. ქალბატონი რაისის თქმით, როცა ესა თუ ის ქვეყანა აცხადებს, მსოფლიო ეკონომიკაში მსურს ინტეგრირებაო, პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს თავის იმიჯს, დაიცვას თამაშის წესები, რუსეთმა კი ეს ვერ გააკეთა.

„გაზპრომი“ მსოფლიო გაზის რეზერვების 16%-ს აკონტროლებს და უმაღლესი ენერგეტიკული ლიგის წევრობაზე ოცნებობს. 2005 წლის დეკემბერში რუსეთმა ამ მიმართულებით გადადგა ნაბიჯი — უცხოელებს მისი აქციების შესყიდვის ნება დართო, მაგრამ პუტინმა პოლიტიკური მიზნებისათვის გამოიყენა. ინვესტორები და მომხმარებლები შეშფოთებული არიან. მათ ვერავინ გაამტყუნებს.

„გაზპრომის“, როგორც გაზის საიმედო მიმწოდებლის, რეპუტაცია რამდენიმე საათში შეილახა. რუსეთმა ახალი წლის დადგომისთანავე გადაუკეტა გაზი უკრაინას. ევროპაში საკმაოდ ცივი ზამთარი დგას, პოლონეთი, უნგრეთი, ავსტრია, გერმანია და იტალია შეშფოთებით იტყობინებიან, რომ გაზი შეუმცირდათ. ცივი ომის ყველაზე პირქუშ დღეებშიც კი საბჭოთა კავშირს ენერგეტიკული შანტაჟისათვის არ მიუმართავს. პუტინი უპასუხისმგებლოდ მოიქცა და გააუქმა „გაზპრომის“ კონტრაქტი უკრაინასთან. ვერც გერმანია და საფრანგეთი იტყვიან დაბეჯითებით, რომ მათაც ასე არ მოექცევიან.

1990 წელს, როცა უკრაინამ გაზის საფასურის გადახდა დაუგვიანა, „გაზპრომი“ ყალყზე დადგა, მაგრამ საქმე მიწოდების შეწყვეტამდე არ მისულა. პუტინმა შეცდომა დაუშვა და „გაზპრომის“ წინსვლის პერსპექტივა ევროპაში უკვე სათუო გახდა. ვიდრე ამ კომპანიას პუტინის ორი მეგობარი მართავს, ვერც ერთი უცხოელი ინვესტორი ვერ ირწმუნებს, რომ „გაზპრომი“ იმოქმედებს აქციონერების და არა კრემლის ინტერესების გათვალისწინებით. რუსეთი ემზადება „დიდი რვიანის“ სათავეში ჩასადგომად, პუტინმა კი სწორედ ამ დროს დაანახვა ყველას, რომ მისი ქვეყანა არ იმსახურებს დასავლეთის კლუბის წევრობას.

რუსეთისაგან განსხვავებით, გამოუცდელმა უკრაინელმა დემოკრატებმა სერიოზულ გამოცდას გაუძლეს. რუსეთთან ახალმა გარიგებამ მათ ეკონომიკური რეფორმების გაფართოების საშუალება მისცა.

შარშან, „დიდ რვიანში“ თავმჯდომარეობის დროს, ვლადიმირ პუტინის მოხსენების მთავარი თემა იყო „ენერგეტიკული უსაფრთხოება“. ახლა ეს დაცინვად მოჩანს.

პუტინის ეკონომიკურმა მრჩეველმა ა. ილარიონოვმა ავტორიტარული პოლიტიკის მიმართ პროტესტის ნიშნად პოსტი დატოვა, მან აღნიშნა: — კონფლიქტმა გამოამზეურა რუსეთის ენერგეტიკული ვაჭრობის პოლიტიკური მოტივაცია, რუსეთი ყველას თვალში გახდა ენერგიის არასაიმედო მიმწოდებელი. საკითხავია, — შეიძლება კი მას სხვა საქმეში ენდო?

## ირანი „შეეკრა“ კასტროს, ჩავესსა და მორალესს



ევო მორალესი და ფიდელ კასტრო

CORRIERE DELLA SERA

ბოლივიის ახალი პრეზიდენტი ევო მორალესი აშშ-ის დაუძინებელი მტრების — კასტრო-ჩავესის გზას დაადგა. ამან ძალიან შეაშფოთა უცხოელი ინვესტორები და ენერგეტიკული კომპანიები, რომლებიც დაინტერესებული არიან ბოლივიის ბუნებრივი სიმდიდრეებით.

ევო მორალესის პრესმდივანმა გაამართლა პრეზიდენტის ნაბიჯი — აშშ-ს რომ მიეწვია, იქ წავიდოდა, მაგრამ კასტრომ და ჩავესმა მიიწვიეს; ამიტომ ჯერ ჰავანაში ჩავიდა, მერე კარაკასშიო. ჰავანაში ფიდელ კასტრომ მორალესს უთხრა, — ჩვენ ერთსა და იმავე მტერს ვეომებითო. ბოლივიის გულაჩუყებული პრეზიდენტი ლამის ცრემლად დაიღვარა — მასწავლებელო, ბრძენკაცო, ჩემო პაპავ, აღარც კი ვიცი, მადლიერების ნიშნად როგორ მოგმართოო.

კარაკასში, ჩავესთან შეხვედრისას, სამხრეთ ამერიკის პირველმა ინდიელმა პრეზიდენტმა განაცხადა, — ჩვენ აქ ვართ, რათა თქვენთან ერთად ვიბრძოლოთ ნეოლიბერალიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგო. ვენესუელის პრეზიდენტმა სიამოვნებით დაუქნია თავი — ბოროტების ღერძი — ვაშინგტონი და მისი მოკავშირეები ემუქრებიან და ხოცავენ ადამიანებს; ჩვენ კი ვქმნით სიკეთის, ახალი საუკუნის ღერძს, რომელიც ეკონომიკურ ალიანსზე გადის. ვენესუელა წელიწადში 130 მლნ ევროს დიზელის საწვავს მოგაწვდით. ერთი ცენტიც არ მინდა სანაცვლოდ, ვალი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით გადაგვიხადეო, — უთხრა გულაჩუყებულმა ჩავესმა მორალესს.

ბუნებრივი რესურსები და ანტიამერიკული განცხადებები საკმარისი გახდა თეირანის ყურადღების მისაქცევად — აჰმად ნეჯადიც ვაშინგტონის მტერია. რამდენიმე დღის წინ ირანის პრეზიდენტის კაბინეტიდან ლათინური ამერიკის სამი ქვეყნის ლიდერთან დაირეკა. ირანის პრეზიდენტის პრესმდივნის თქმით, ფიდელ კასტრომ აჰმად ნეჯადს უთხრა, — ირანს, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა ქვეყანას, უფლება აქვს, მშვიდობიანი მიზნით აწარმოოს ბირთვული ენერგიაო. ნეჯადმა აღმოსავლური თავაზიანობით გადაუხადა მადლობა — დიდად გაფასებთ, რომ ასე შეუდრეკლად ეწინააღმდეგებით თავხედ სახელმწიფოებსო.

ჩავესმა და მორალესმა თავიანთ ქვეყნებში მიიწვიეს ირანის პრეზიდენტი. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, მორალესი არ უნდა დაუპირისპირდეს აშშ-ს. ეს კარგს არაფერს მოუტანს ბოლივიას, პრეზიდენტს სხვების პროექტში მონაწილეობას, უჯობს, საკუთარი შექმნას, რომელიც ქვეყანას გამოადგებაო, — წერენ ისინი.

## ჯორჯ ბუში და აჰმედ ყურეი შარონისთვის ლოცულობენ

LA STAMPA

ისრაელის პრემიერ-მინისტრის ავადმყოფობამ მსოფლიოში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ამერიკელი, ევროპელი და არაბი ლიდერები არიელ შარონს უსწრაფეს გამოჯანმრთელებას უსურვებენ. პალესტინის ორგანიზაციების თავკაცები კი არ მალავენ, რომ ძალიან უხარიათ მისი ლოგინად ჩავარდნა.

აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა განაცხადა, რომ იზიარებს ისრაელელთა შეშფოთებას და შარონისათვის ლოცულობს. დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ჯეკ სტროს თქმით, შარონის ავადმყოფობის ცნობამ ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანი შეაშფოთა.

ისრაელის პრემიერ-მინისტრს უსწრაფეს გამოჯანმრთელებას უსურვებენ საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი და გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი.

იაპონიის პრემიერ-მინისტრი ძიუნიტირო კოიძუმი ისრაელს 10 იანვარს უნდა სწვეოდა, მაგრამ შარონის ავადმყოფობის გამო ვიზიტი მის გამოჯანმრთელებამდე გადაიდო.

პალესტინის პრემიერ-მინისტრმა აჰმედ ყურეიმ ისრაელის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელს, ეჰუდ ოლმერტს, მისწერა: — ჩვენ ვლოცულობთ შარონისთვის, მთელი ისრაელისათვის, გვჯერა, რომ ბატონი პრემიერი მალე დადგება ფეხზე.

პოლიტიკური თვალსაზრისით, ძალიან გვაღელვებს, თუ როგორ წარიმართება შემდგომი სამშვიდობო პროცესი, ახლა ძნელი სათქმელია, რა მოხდება ხვალ, — ამბობს პალესტინის ავტონომიის პრემიერის მოადგილე ნაბილ შაათი.

პალესტინის რადიკალური ორგანიზაციები სიხარულს არ მალავენ: ღმერთი დიდია და მოგვაშორა ეს ყასაბი, — ამბობს „პალესტინის გათავისუფლების სახალხო ფრონტის“ ლიდერი აჰმედ ჯიბრილი; „ისლამური ჯიჰადის“ მეთაური ლიბანში ანვარ აბუ ტაჰა აცხადებს, — სულაც არ გვაღელვებს შარონის ავადმყოფობა, თავში ქვა უხლია! ჩვენ მანამ გავაგრძელებთ წმინდა ომს, ვიდრე ჩვენს უფლებებს არ დავიბრუნებთ.

ჰამასის წარმომადგენლის, უსამა ჰამდანის აზრით, 25 იანვარს დანიშნული პალესტინის ავტონომიის არჩევნები არ უნდა გადაიდოს. ისრაელი პოლიტიკური ცვლილებების გამო ვერ შეძლებს არჩევნებზე ძლიერი ზეგავლენის მოხდენას და ჩვენ ამით უნდა ვისარგებლოთო, — ამბობს უსამა ჰამდანი.

ექიმების თქმით, ისრაელის ლიდერის ჯანმრთელობა გაუმჯობესდა.

### მოკლედ

**არაბთა** გაერთიანებული საამიროების მმართველის შეიხ ბინ რაშიდ ალ მაქთუმის გარდაცვალების გამო ქვეყანაში ორმოცდღიანი გლოვა გამოცხადდა. მისი მმართველობის ხანაში დუბაის საამირო მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს სავაჭრო და ტურისტულ ცენტრად იქცა.

**საფრანგეთის** საუკეთესო პრეზიდენტად, საერთო-ეროვნული გამოკითხვით, აღიარეს გენერალი შარლ დე გოლი. პოპულარობის რეიტინგში მან ხმების 39% მიიღო.

**ჩინეთში** 74 წლის ასაკში გარდაიცვალა იაო ვენიუანი — ცოცხლად დარჩენილი უკანასკნელი წევრი ოთხკაციანი „პარტიული ბანდისა“, რომელსაც მაო ძედუნის მეუღლე ძიან ცინი ხელმძღვანელობდა. ბანდის ხელი ურევია ჩინეთის კულტურული რევოლუციის დროს 772 ათასი კაცის სიკვდილში. 1991 წელს ძიან ცინმა ციხეში თავი ჩამოიხრჩო, მას შემდეგ, რაც სასიკვდილო განაჩენი სამუდამო პატიმრობით შეუცვალეს.

**იაპონიაში** უხვთოვლობამ 50-ზე მეტი კაცი იმსხვერპლა. ქვეყნის 20 პრეფექტურაში 600-მდე სახლი დაინგრა, დაზიანდა ელექტროსადენები, წყალმომარაგების სისტემა. ყინვამ დიდი ზარალი მიაყენა სოფლის მეურნეობას.




გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ


შპს „გეოკორი“ აწარმოებს ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად



მის: აკურის ქ. №8 (საორბის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 36-64-02

ვღებულობთ შეკვეთებს 6-20მ³ ბიოგაზის დანადგარებზე. პატენტირებული, 32 სოფლის 150 ოჯახში გამოცდილი დანადგარი ყოველდღე იძლევა 4-6 საათით გაზს. აშენების ვადა 2 კვირა. ფასი 398-455 ლარი/მ³.
„ბიოენერგია“
☎ 899-15-27-05; 893-97-71-08; 899-45-29-86

„ტრანსცენტიზს“ ფირმის მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 ბ. „დიღუბის“ გვერდით
☎ 26-30-50; 34-49-40; 61-32-37; 899-51-51-09; 899-902-091; ტ/ფაქსი: 966-779

# სოფლის მეურნეობის მინისტრი 2005 წლის შედეგებისა და 2006-ის პრიორიტეტების შესახებ

## ჩვენ რუსეთის მხარის ყველა შეკითხვაზე გვაქვს პასუხი

სოფლის მეურნეობა საქართველოსთვის ოდითგანვე ერთ-ერთი წამყვანი დარგი იყო, თუმცა ბოლო წლების ეკონომიკურმა კრიზისმა იგი თითქმის ბოლომდე გაანადგურა. რა გაკეთდა შარშან ამ სექტორის ასაღორძინებლად, რა გაკეთდება 2006 წელს, რა ფაზაშია ქართულ-რუსული მოლაპარაკებები ციტრუსის ექსპორტთან დაკავშირებით, გვემუქრება თუ არა წლეულს „ქათმის გრიპის" გავრცელების საფრთხე? ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე სოფლის მეურნეობის მინისტრს, **მიხო სვიმონიშვილს** ვესაუბრეთ.

**— როგორი იყო სოფლის მეურნეობის დარგისთვის 2005 წელი?**

— პირველ რიგში, თქვენ და თქვენს მკითხველს მოგილოცავთ შობა-ახალ წელს, გისურვებთ წინსვლას, ბედნიერებას, ქვეყნის გაძლიერებას და გამთლიანებას... რაც შეეხება გასულ წელს, შეიძლება ითქვას, რომ მოსავლიანობის თვალსაზრისით წარმატებული იყო. უხვ მოსავალთან ერთად, ხარისხიც მაღალი იყო. მაგალითად, მაღალი ხარისხის ხორბალი მივიღეთ, რთველმაც ასევე წარმატებით ჩაიარა. თუ 2004 წელს საზღვარგარეთ 26 მილიონი ბოთლი ქართული ღვინო გავიტანეთ, შარშან ეს რიცხვი 48 მილიონამდე გაიზარდა. ე.ი. ღვინის ექსპორტი თითქმის 100%-ით გავზარდეთ. შარშან ქინძმარაულის და ხვანჭკარის ზონაში სრული პასპორტიზაცია ჩატარდა, აღიწერა თითოეული ვენახი და მფლობელი. პასპორტიზაციის პროცესი წელსაც გრძელდება. ღვინის ქარხნების მშენებლობაში ინვესტიციები ჩაიდო. რამდენიმე საწარმო შევიდა ექსპლუატაციაში, ზოგის მშენებლობაც წელს დასრულდება. ციტრუსის არნახული მოსავალიც მოიწიეს. სამწუხაროდ, გურიაში ხალხს ციტრუსი გაუფუჭდა კიდეც, მაგრამ სტატისტიკური მონაცემებით რომ ვიმსჯელოთ, 2004 წელს ციტრუსის ექსპორტი 15 ათას ტონას შეადგენდა, შარშან 60 ათასი ტონა გავიტანეთ.

**— რა ფაზაშია რუსეთის საზღვარზე ციტრუსის შეფერხებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები?**

— მოლაპარაკებები გრძელდება. 12 იანვარს ბერლინში მივემგზავრები, სადაც რუსეთის სოფლის მეურნეობის მინისტრთანაც მექნება შეხვედრა. ერთ რამეს კი გეტყვით: ჩვენ რუსეთის მხარის ყველა შეკითხვაზე გვაქვს პასუხი. ვნახოთ, რა შედეგებით დასრულდება მოლაპარაკებები.

**— ციტრუსის გატანა ამჟამად ისევ ფერხდება?**

— რუსეთს საზღვრები ჯერჯერობით ისევ ჩაკეტილი აქვს. ერთადერთი გამშვები პუნქტი ლარსი იყო, მაგრამ დიდთოვლობის გამო ჩაიკეტა.

**— კიდევ რომელი პროდუქციის ექსპორტი გაიზარდა შარშან?**

— დაახლოებით 4 ათასი ტონა კარალიოკი გავიტანეთ რუსეთსა და უკრაინაში. საკმაოდ წარმატებული იყო მწვანილის ექსპორტიც.

**— თუმცა, რუსეთმა საქართველოდან მწვანილის შეტანაც აკრძალა...**

— მაინც დიდი რაოდენობით გავიდა. ქუთაისს რომ გასცდებით, აშკარად დაინახავთ, როგორ ვითარდება ეს სექტორი. სათბურების რიცხვი დღითი დღე მატულობს. შარშან დაახლოებით 5 ათასი ტონა ატამი გავიტანეთ საზღვრის გარეთ, რაც მისასალმებელია. გამოჩნდნენ კომპანიები, რომლებიც სერიოზულად მოეკიდნენ დამზადების ბიზნესს.

**— ამას წინათ ჯანდაცვის მინისტრმა „ქათმის გრიპთან" დაკავშირებით ლამის საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა და საგანგებო შტაბიც კი შექმნა. რატომ კეთდება შემაშფოთებელი პროგნოზები საშემოდგომოდ?**

— ჩვენ შესაბამისი ზომები ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინათ მივიღეთ და ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე ტექნიკა შევუკვეთეთ. ეს



არის სატრანსპორტო საშუალებათა სადეზინფექციო სპეცტექნიკა. გარდა ამისა, იმ ქვეყნების პროდუქციის შემოტანა, რომლებიც „ქათმის გრიპის" ვირუსის გავრცელების თვალსაზრისით ყველაზე სარისკოა, უკვე რამდენიმე თვეა აკრძალულია.

მნიშვნელოვანია, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიაში უკვე შეგვიძლია „ქათმის გრიპის" დიაგნოზის დადგენა. ამის საშუალება თანამეგობრობის ქვეყნებიდან მხოლოდ რუსეთს, უკრაინას და საქართველოს აქვს. ჯერჯერობით, საქართველოში „ქათმის გრიპის" გავრცელების თვალსაზრისით არანაირი საფრთხე არ არის. რომ იყოს, ეს უპირველესად მე მეცოდინებოდა.

**— თურქეთიდან ქათამი და კვერცხი აღარ შემოდის?**

— არა, ჯერ კიდევ ოქტომბერში შევაჩერეთ თურქეთიდან ქათმის პროდუქციის იმპორტი.

**— რაც შეეხება ბრაზილიურ და ამერიკულ პროდუქციას?**

— ის საშიში არ არის... და რაც ჩვენთვის ყველაზე მთავარია, როგორც სოფლის მეურნეობის მინისტრი, ვაცხადებ, რომ საქართველოში წარმოებული ქათმის პროდუქცია აბსოლუტურად უსაფრთხოა.

**— ამ დღეებში თურქეთში „ქათმის გრიპით" ერთი ოჯახის სამი წევრი დაიღუპა, აზერბაიჯანში კი ათეულობით ფრინველი იხოცება...**

— თუ ეს დაავადება გადამფრენმა ფრინველებმა გაავრცელეს, ასეთ შემთხვევებთან ბრძოლა რთულია. თუ დაავადება ჩვენს მეზობელ ქვეყნებში გავრცელდება, ბუნებრივია, საქართველოში მისი გავრცელების რისკიც მოიმატებს. ამიტომ შეუძლებელია რაიმე სახის პროგნოზის კეთება. ჩვენი მობილური ჯგუფები ყველგან მუშაობენ, გვაქვს კონკრეტული გეგმაც, რა შემთხვევაში როგორ უნდა ვიმოქმედოთ. დღეს ჩვენ აბსოლუტურად მზად ვართ „ქათმის გრიპის" კერების გავრცელების შემთხვევაში მათ გასანადგურებლად.

**— რა იქნება პრიორიტეტული 2006 წელს სოფლის მეურნეობის დარგში?**

— 2006 წელს სპეციალური ტექნიკის შემოტანას ვაპირებთ და გვინდა, 55-მდე რაიონში სერვის-ცენტრი შეიქმნას. დღესდღეობით სოფლის მეურნეობის ტექნიკა სავალალო მდგომარეობაშია. ტექნიკის შესაძენად ბიუჯეტში მილიონ რვაასი ათასი ლარი გვაქვს გათვალისწინებული. გავაგრძელებთ მეღვინეობაში პასპორტიზაციის პროცესს და ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლას. ციტრუსების დიდი რაოდენობით ექსპორტის განხორციელების მიუხედავად ძალიან განვიცდი, რომ მაინც შეიქმნა მისი რეალიზაციის პრობლემა. ბათუმსა და ქობულეთში ციტრუსის გადამამუშავებელი კომბინატები უნდა გაიხსნას, რომელიც გარკვეულწილად მოხსნის ამ პრობლემას. 2006 წლის პრიორიტეტი იქნება აგრეთვე მელიორაციის პრობლემის მოგვარება, გვაქვს სამწლიანი პროგრამა. დღესდღეობით თუ ირწყვება 75-80 ათასი ჰექტარი, 3 წელიწადში გვინდა, ეს რაოდენობა 300.000 ჰექტრამდე გაიზარდოს. ეს პროგრამა სარწყავ სისტემათა რეაბილიტაციას მოიცავს. ვიწყებთ მეთესლეობის განვითარების პროგრამას, რომელიც სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთი ფუნდამენტია. ამ პროგრამისთვის დაახლოებით 6 მილიონი ლარი იქნება გათვალისწინებული.

**— ბატონო მიხეილ, რაც შეეხება ბოსტნეულის წარმოებას — რატომ უნდა შემოდიოდეს კიტრი, პამიდორი და ხილი თურქეთიდან, როცა საქართველოში გაცილებით ხარისხიანი და გემრიელი ბოსტნეული მოდის?**

— სოფლის მეურნეობა საქართველოში ყველა გადასახადისგან გათავისუფლებულია. გლეხი არაფერს იხდის, ოღონდ კი მოიყვანოს და შემდეგ თავისი პროდუქცია გაყიდოს. არსებობს ახალი ტექნოლოგიები, რომლითაც მოსავლის გაზრდა შეიძლება. გლეხებს მაქსიმალურად მივაწვდით ამ ინფორმაციას. თითოეულ კულტურაზე საინფორმაციო ბუკლეტები დაიბეჭდება და მასობრივად გავრცელდება. იმედი მაქვს, ჩვენი გლეხებიც უფრო მეტი მონდომებითა და შრომით უკეთეს შედეგს მიაღწევენ.

*თამარ სუჯაშვილი*

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 7 იანვარს დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,7925 |
| ევრო | 2,1670 |
| გირვანქა სტერლინგი | 3,1397 |
| რუსული რუბლი | 0,0623 |
| თურქული ლირა (1*) | 1,3437 |

* 2005 წლის 1 იანვრიდან თურქეთის ცენტრალურმა ბანკმა მოახდინა თურქული ლირის დენომინაცია და 1.000.000 თურქული ლირა (TRL) გაუტოლდა 1 ახალ თურქულ ლირას (TRY)


განსხვავებული ჟურნალი

✓ ექსკლუზიური ინტერვიუ ქალაქის მერთან — რატომ არ აინტერესებს გიგი უგულავას საზოგადოების აზრი

✓ რამ გააკვირვა ანი კოშაძე ბაქოში — „ახალ წელს მამაკაცებს ესეც ეპატიებათ"

✓ გოჩა თანდარაშვილი ახალ წელს ფსიქიკური აშლილობის ზღვარზე იდგა

✓ რეალური და სრული ინფორმაცია ქათმის გრიპის შესახებ

✓ ქართველი ბიზნესმენის უკანონო შვილის დედა აქტიურ მოქმედებაზე გადადის




ორშაბათობით!




ჟურნალი თქვენთვის!

# მედიცინა

## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც ულრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**რატომ ურჩევენ მავნე სამუშაოებზე მომუშავე ადამიანებს რძის სმას?**

***კონსტანტინე კუპრავა***

არსებობს კვების პროდუქტები, რომელთაც მკვეთრად გამოხატული დამცავი თვისებები აქვს. უპირველესად ასეთია კალციუმის, მაგნიუმისა და თუთიის შემცველი პროდუქტები. დადგენილია, რომ ეს ქიმიური ელემენტები კონკურენციას უწევს მძიმე მეტალებს. მაგალითად, თუ იყენებთ ბევრ რძის პროდუქტს, რომელიც მდიდარია კალციუმით, ორგანიზმზე ტყვიის ტოქსიკური ზემოქმედება მკვეთრად ქვეითდება. ასე რომ, თუ ადამიანი ცხოვრობს არახელსაყრელ ზონაში და აქვს ისეთი სამუშაო, რომ მაღალია მის ორგანიზმში ტყვიის მოხვედრის რისკი, მან უნდა სვას რძე და მიიღოს დიდი რაოდენობით რძის პროდუქტი. რძის გარდა, ასეთ შემთხვევაში რეკომენდებულია მეტი რაოდენობით ბოსტნეულის, ხილისა და მარცვლეული პროდუქტების მიღება, რადგან მათში დიდი რაოდენობითაა უჯრედისი, რომელზეც მძიმე მეტალები „ილექება" და გამოიდევნება ორგანიზმიდან ისე, რომ ვერ ასწრებს შეწოვას.

**ბავშვობაში მაშინებდნენ, თუ შარდს დიდხანს შეიკავებ, შარდის ბუშტი გაგისკდებაო. მართლა შეიძლება მოხდეს ეს?**

***ია ჯ.***

შარდის ბუშტის გახეთქვა შეიძლება მხოლოდ ტრავმის შედეგად, როცა ხდება დარტყმა, დაცემა ან ჭრილობის მიყენება. შარდის იძულებითი შეკავებისას კი, რამდენიც არ უნდა ითმინოს ადამიანმა და შეაკავოს მოშარდვის სურვილი, ბუშტი არ სკდება. თუმცა შეიძლება არსებობდეს გარკვეული სუპერსტრესული სიტუაციები, როცა მსგავსი შემთხვევა თეორიულადაა მოსალოდნელი.

ცნობილია, რომ შარდის ბუშტის გადავსებისას ამუშავდება დამცავი მექანიზმი, რომელიც უნებლიე შარდვის პროვოცირებას იწვევს. ამის მიუხედავად, არავითარ შემთხვევაში არ არის რეკომენდებული უკიდურესად მოთმენა. ფიზიოლოგიური და სამედიცინო თვალსაზრისით, უმჯობესია, რომ შარდის ბუშტი ყოველთვის დაცლილი იყოს. ეცადეთ, მოშარდვის სურვილის გაჩენისთანავე დაცალოთ იგი და ამასვე მიაჩვიეთ ბავშვებიც.

**რა სიმპტომებით ხასიათდება თავის ტვინის შერყევა? ცოტა ხნის წინ საკმაოდ ძლიერად დავარტყი თავი, გონება დავკარგე თუ არა, არ მახსოვს, რადგან მთვრალი ვიყავი. ახლა მაქვს ტკივილები კეფის არეში. ვერ ვახერხებ გონების კონცენტრირებას სამსახურში. გავიკეთე ტვინის რენტგენოტომოგრაფია და მარჯვენა ნახევარსფეროში აღმოაჩნდა 0,2 სმ-ის ზომის კისტა. გთხოვთ ამიხსნათ, რას ნიშნავს ეს?**

***თქვენი ერთგული მკითხველი***

თავის ტვინის შერყევას გონების დაკარგვის გარდა, ახასიათებს სხვა სიმპტომებიც: თავის ტკივილი, რომელიც განსხვავდება ნაბახუსევის ტკივილისგან და საკმაოდ დიდხანს გრძელდება, გულისრევა, პირღებინება, თავბრუსხვევის შეგრძნება, სახის სიფერმკრთალე ან სიწითლე, ასთენია — საერთო სისუსტე, ყურადღების კონცენტრირების დაქვეითება. კისტა შეიძლება წარმოიქმნას თავის ტვინის ადრე გადატანილი ტრავმის (შესაძლებელია უფრო მძიმესიც, ვიდრე შერყევაა) შედეგად. ტვინის ქსოვილის დაზიანებული უბნის ზონაში ხდება უჯრედების დაშლა და შემდგომი გაწოვა, რის შედეგადაც წარმოიქმნება სხვადასხვა ფორმისა და დიამეტრის ღრუები. რადგანაც ბუნება ვერ იტანს სიცარიელეს, ღრუ ივსება ტვინის სითხით. არ არის გამორიცხული, რომ თქვენს შემთხვევაში კისტა თავის ტკივილის ერთ-ერთი მიზეზთაგანი იყოს.

**რომელი პროდუქტები უწყობს ხელს მხედველობის სიმახვილის შენარჩუნებას?**

***პატივისცემით, ამალია ბუშელაშვილი***

სასარგებლოა მოცვი, რადგან იგი შეიცავს ნივთიერებებს, რომლებიც ზრდის მხედველობის სიმახვილეს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნივთიერებები იშლება თერმული დამუშავებისას, ამიტომ მოცვის მურაბა არ გამოდგება. სასარგებლოა მოცვი ცოცხალი სახით ან დაჭყლეტილი და დაშაქრული, აგრეთვე გაყინული. მოცვის გაყინვა, ბუნებრივი გზით, თანდათან უნდა მოხდეს, არ უნდა დაასხათ, მაგალითად, ცხელი წყალი, რადგან იგი ამ შემთხვევაში დაკარგავს სასარგებლო თვისებებს. მხედველობის სიმახვილის შესანარჩუნებლად საკმარისია ერთი სუფრის კოვზი მოცვის მიღება ყოველდღიურად.

სტაფილო, რომელიც შეიცავს A ვიტამინს და ბეტა-კაროტინს, ასევე სასარგებლოა მხედველობისთვის, მაგრამ ეს ნივთიერებები არ აითვისება ცხიმის გარეშე. ამიტომ გახეხილ სტაფილოს აუცილებლად დაუმატეთ მცირე რაოდენობით არაჟანი, ნაღები, ზეთი. სტაფილო ძალზე წვრილად უნდა გახეხოთ — ეს აუმჯობესებს ვიტამინების შეწოვას — და მაშინვე მიირთვათ.

სასარგებლოა C ვიტამინის შემცველი პროდუქტებიც (ციტრუსები, ასკილი და ა.შ), რადგან ისინი ამაგრებს სისხლძარღვების კედლებს და თავიდან აგვაცილებს წვრილ სისხლჩაქცევებს, მათ შორის თვალის სისხლძარღვებშიც. სხვათა შორის, კატარაქტას „ეშინია" ვიტამინების და მათი უკმარისობისას სწრაფად აქტიურდება.

## კარაბადინი

**წლების განმავლობაში მაწუხებდა გასტრიტი, შემდეგ ექიმებმა წყლული დამიდგინეს. გამუდმებით დარღვეული მქონდა საჭმლის მონელება, მიგროვდებოდა გაზები. მეზობელმა მასწავლა რეცეპტი, რომელსაც კოთხუჯისაგან (ჯარკვატანასაც ეძახიან) მზადდება: 20 გ დაქუცმაცებული კოთხუჯის ფესვებს დაასხით 100 მლ სპირტი ან მაგარი არაყი. გააჩერეთ 14 დღე. მიიღეთ ნახევარ ჭიქა წყალში გახსნილი 15-20 წვეთი 2-3-ჯერ დღეში. საოცარი შედეგი მივიღე. კუჭნაწლავის მოქმედება ხომ მომიწესრიგდა, გამიუმჯობესდა მხედველობა, სმენა, თითქოს გამოვცოცხლდი, აღარც სახსრების ტკივილი მაწუხებს.**

***დიდი პატივისცემით, ნორა გვარამია***

**ექიმის კომენტარი:** კოთხუჯს ოდითგანვე იყენებდნენ სანელებლად და მეტოქეობასაც კი უწევდა დაფნის ფოთოლს.

კოთხუჯის ფესვები შეიცავს ეთეროვან ზეთებს, სახამებელს. მისგან დამზადებული პრეპარატები საუკეთესოა მადის მოსაყვანად, საჭმლის მონელების გასააქტიურებლად, არის ნაღველმდენი, უხვად შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებას, ანტისეპტიკურია და გამოიყენება ბაქტერიოციდულ საშუალებად. ექიმებს მიაჩნიათ, რომ მიზანშეწონილია კოთხუჯის ფესვების ღეჭვა ქოლერის, ტიფის და გრიპის ეპიდემიის დროს. გამხმარ, დაფქულ კოთხუჯის ფესვებს იყრიან ჩირქოვან წყლულებზე.

მკითხველი გვთავაზობს მცენარის სპირტიან ნაყენს. ცნობილია აგრეთვე წყლიანი ნაყენი, რომელიც ეფექტიანია საჭმლის არასწორი მონელების, ექსუდაციური დიათეზის, წყლულის, მეტეორიზმისა და არარეგულარული მენსტრუაციის დროს: 1ს/კ გამხმარი კოთხუჯის ფესვების ფხვნილს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი და 40 წუთი გააჩერეთ წყლის ორთქლზე. გააგრილეთ და მიიღეთ 1 ს/კ 3-ჯერ დღეში ჭამის წინ.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის" დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში" მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც ჰპოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.*

# კომში — სურნელოვანი ეგზოტიკა

უძველესი დროიდან კომში ცნობილია, როგორც საკვები და სამკურნალო მცენარე. მისი სურნელოვანი ნაყოფი შეიცავს ჯანმრთელობისთვის სასარგებლო ნივთიერებებს — გლუკოზას, ფრუქტოზას, საქაროზას, $B_1$, $B_2$, PP, C, E ვიტამინებს, კაროტინს, მინერალებს (კალციუმს, კალიუმს, ფოსფორს), ფიტონციდებს და ეთეროვან ზეთს. ჯერ კიდევ ავიცენა წერდა, რომ სამკურნალოდ გამოიყენება კომშის როგორც ნაყოფი, ისე ფოთლები, ქერქი, მისი ნაყოფის სურნელი დამამშვიდებლად მოქმედებს ფსიქიკაზე, აუმჯობესებს გუნება-განწყობილებას, ამაგრებს იმუნიტეტს, აჩერებს პირღებინებას, აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლას, ამებს თავის ტკივილს, ნაბახუსევის სინდრომს, რეკომენდებულია ანემიისა და დაბალი ჰემოგლობინის დროს. აძლიერებს მადას და აქრობს პირიდან უსიამოვნო სუნს. კომშის ფოთლები საუკეთესო საშუალებაა ასთმის დროს, აქვს სისხლძარღვების შევიწროების უნარი, დაბლა სწევს არტერიულ წნევას. თესლი კი საუკეთესო ამოსახველებელი საშუალებაა.



პექტინი, რომელსაც შეიცავს კომში, ხელს უწყობს ორგანიზმიდან შხამიანი ნივთიერებების, მათ შორის რადიონუკლეიდების გამოდევნას.

**რადიაციული დასხივების დროს**: ნახევარი კომში გაატარეთ ხორცსაკეპში, შეურიეთ 2 წილი შაქარი (ან თაფლი) გააჩერეთ ნელ ცეცხლზე მანამდე, სანამ შაქარი არ გადნება და მიიღეთ 1 ს/კ 3-ჯერ დღეში. ნარევი შეინახეთ მაცივარში.

**ასთმის დროს:** 1 ჩ/კ კომშის თესლს დაასხით 1 ჩ/ჭ ცხელი წყალი, 45 წუთი გააჩერეთ წყლის ორთქლზე, გაწურეთ, დაამატეთ იმდენი წყალი, რამდენიც თავიდან იყო, მიიღეთ 2 ს/კ ნაყენი 3-4-ჯერ ჭამის წინ.

**ხველების დროს:** 1 ს/კ კომშის თესლს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, 20 წუთი გააჩერეთ წყლის ორთქლზე. გააცივეთ, გაწურეთ და მიიღეთ 1/2 ჩ/ჭ ნაყენი 3-ჯერ დღეში ჭამის წინ.

**ჰიპერტონიის დროს:** ა) დაასხით 1 ჩ/ჭ წყალი 2 ს/კ დაქუცმაცებული კომშის ფოთლებსა და ღეროებს, 30 წუთი ადუღეთ ნელ ცეცხლზე, გააცივეთ, გაწურეთ და მიიღეთ 1 ს/კ ნაყენი 3-ჯერ დღეში.

ბ) 0,5 ჩ/ჭ დაქუცმაცებული კომშის ფოთოლი ჩაყარეთ მინის ჭურჭელში, დაასხით 0,5 ჩ/ჭ სპირტი. თავდახურული გააჩერეთ 10-12 დღე. გაწურეთ და მიიღეთ 20 წვეთი ნაყენი 2-ჯერ დღეში.

**ანგინის, ტრაქეიტის, ბრონქიტის, ტუბერკულოზის საწყის სტადიაზე** (როგორც ამოსახველებელი საშუალება) — ხარშეთ 100გ კომშის თესლი 2 ჩ/ჭ წყალში მანამ, სანამ არ განახევრდება, გაწურეთ და მიიღეთ 2 ს/კ ნახარში 3-4-ჯერ დღეში.

**ციებ-ცხელების დროს:** კომშის 2-3 თესლი ჩაიდეთ ენის ქვეშ და 1-2 საათი გააჩერეთ.

**დამწვრობის დროს:** კომშის თესლს დაასხით ცხელი წყალი პროპორციით 1:50 და 5 წუთის განმავლობაში აანჯღრიეთ, გაწურეთ და ყოველ 10-15 წუთში წაისვით დამწვარ ადგილზე.

**თმის გასამაგრებლად:** ერთ მუჭა კომშის ფოთოლს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, შეფუთეთ და გააჩერეთ 45 წუთი, შემდგომ გადაივლეთ თმაზე.

**ფერიმჭამელებისა და გამონაყარის დროს:** წმინდად გახეხილი მწიფე კომშის წვენით გაიწმინდეთ სახე.

**მოდუნებული სახის კანს აცოცხლებს:** 1 ჩ/ჭ კომშის წვენს შეურიეთ 1 ს/კ თაფლი, 1 კვერცხის გული და ნარევი წაისვით სახეზე. 15-20 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ თბილი წყლით.

*გახსოვდეთ:*

1. კომში არარეკომენდებულია ენტერიტის, ენტეროკოლიტის, გამწვავებული კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის დროს.
2. რადგან კომში შეიცავს ბევრ მთრიმლავ ნივთიერებას, არასასურველია დღეში 2 კომშზე მეტის ჭამა (ჯანმრთელი ადამიანებისთვისაც კი), რადგან შეიძლება გამოიწვიოს ნაწლავების ქვალი.

***ცელებნიკი***



# ცხელი შეგრძნებები



ცნობილია, რომ საუნა ყველასთვის არ არის სასარგებლო. საუნაში ნახევარ საათში ადამიანი გამოყოფს დაახლოებით ნახევარ ლიტრ ოფლს, ხოლო მისი კანი რამდენიმე წამში 40 გრადუსამდე ხურდება. ამიტომ გირჩევთ, სანამ საუნას ესტუმრებით, კონსულტაცია გაიაროთ ექიმთან. მათ, ვისაც აქვს მძიმე ჰიპერტონია და გულის მანკი, აკრძალული აქვთ საუნაც და ცხელი აბაზანის მიღებაც. მათ კი, ვისაც ექიმი ნებას დართავს, უნდა ახსოვდეთ: საუნაში შესვლამდე არ მიიღონ ალკოჰოლი და ნამცხვარი, რომლებიც ადვილად ოფლის გამოყოფას, არ გაჩერდნენ 20 წუთზე მეტ ხანს, უეცრად არ გაგრილდნენ, გამოსვლის შემდეგ დალიონ 2-4 ჭიქა წყალი.

*დობრიე სოვეტი*

# სასარგებლო ციტრუსი

ლიმონს მართლაც ჯადოსნური თვისებები გააჩნია. თუ ამ „ყვითელი სასწაულის" პატარა ნაჭერს პირის ღრუში ვატრიალებთ, შეიძლება თავი დავიცვათ ინფექციისგან ავადმყოფთან კონტაქტის დროს. ლიმონიანი წყალი — ეფექტიანი და უსაფრთხო სისხლის დამწმენდი საშუალებაა. ციტრუსი კურნავს ხველებას. ამისათვის მოხარშეთ ლიმონი დაბალ ცეცხლზე 10 წუთი, დარბილებული ნაყოფიდან გამოწურეთ წვენი, დაასხით წყალი, დაუმატეთ 2 ს/კ სუფთა გლიცერინი და კარგად აურიეთ. თუ ძლიერ არ გახველებთ, მიიღეთ დღეში 1 ჩ/კ, თუ ხველა ღამღამობით გაწუხებთ, ძილის წინ დალიეთ კიდევ 1 ჩ/კ. დღისით კი მიიღეთ: ერთი კოვზი დილით, შუადღე — სადილობამდე, მესამე — ძილის წინ. ნაშალი შეინახეთ არა მაცივარში, არამედ გრილ და ბნელ ადგილას.

ლიმონის წვენი მოგვიცილებს პიგმენტურ ლაქებს სახესა და ხელებზე. თუ კარგად შეიზელთ ქუსლებში, მუხლებსა და იდაყვებზე, უხეშ კანს ადვილად მოიცილებთ ჯაგრისით. მანიკიურის გაკეთების დროს ციტრუსის წვენი დაუმატეთ თბილ წყალს, ნუნების მალე დარბილდება და მათი მოცილება ადვილი იქნება.

*მირორი*

# თამბაქო სიბრმავეს იწვევს

ინგლისელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მცირე დროის მონაკვეთში 17 ათასი ბრიტანელი მწეველი დაბრმავდა.

აღმოჩნდა, რომ ურთიერთდამოკიდებულება მოწევასა და მხედველობის დაკარგვას შორის ისეთივე ძლიერია, როგორც მოწევასა და ფილტვების კიბოს განვითარებაში. სიგარეტის მოყვარულებს მიდრეკილება აქვთ სიბრმავის განსაკუთრებული ფორმისადმი, რომელსაც „ყვითელი ლაქის ასაკობრივი დისტროფია" ეწოდება. გარდა ამისა, თავდადებული მწეველები ვერ ითვისებენ იმ საკვებს, რომელიც აუცილებელია კარგი მხედველობის შესანარჩუნებლად. ამ ადამიანებს არამწეველებზე ოთხჯერ უფრო ხშირად ემართებათ დისტროფია და ფილტვების კიბო.



*ვერსია*


გაიზომეთ სისხლში შაქრის შემცველობა ბინიდან გაუსვლელად

85 კომპლექტი ლარად!!!

ფასდაკლება პენსიონერებს და ინვალიდებს!

შპს „კონტრასტი"
ბორჯომის ქ. 4
☎35-44-05; 34-74-03;
899-19-60-55


# მაგარი კბილები — კარგი მეხსიერება!

იცით თუ არა, რომ რაც უფრო ნაკლები ზედა კბილი აქვს ადამიანს, მით უარესია მისი მეხსიერება. თურმე ღეჭვის დროს კბილების ფესვები აწვება ყბის ძვალს და ამით ააქტიურებს სისხლის მიწოდებას ტვინის იმ განსაზღვრულ მონაკვეთში, რომელიც პასუხს აგებს მეხსიერებაზე.

*ლიზა*


პრეპარატი ფენსი გაძლევთ უნიკალურ შანსს

ფსორიაზი
ეგზემა
ნეიროდერმიტი
სებორეა
იმკურნალეთ

ენდეთ საუკუნოვან გამოცდილებას!

იკითხეთ აფთიაქებში

საუკუნოვანი გამოცდილების მქონე, ყველაზე ეფექტური, არაჰორმონალური მალამოს საშუალებით

სერთიფიცირებულია

ცხელი ხაზი: 39 66 03

მკურნალობამდე
7 კვირის შემდეგ
მკურნალობის შემდეგ



„ლიგა" სამკურნალო გაერთიანება

სექსოპათოლოგია

- ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
- სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
- უროლოგიური, გულსისხლძარღვთა, ნევროლოგიური, ნივთიერებათა ცვლის მოშლით და ნარკომანიით გამოწვეული სექსუალური დარღვევების მკურნალობა

ფსიქოთერაპია

ვაქცინაცია დასავლეთის წარმოების ვაქცინებით.

თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11 ტელ: 32 21 21; 31 73 24


# მთავარია, ვერაგმა ვირუსმა მუტაცია არ განიცადოს

## საქართველოში ქათმის გრიპთან საბრძოლველად ყველაფერი მზად არის

(დასაწყისი იხ. გვ.15)

ვფიქრობთ, სამუშაო ჯგუფში მივიღოთ მონაწილეობა. ვირუსის კლინიკიდან გამომდინარე, შეგვიძლია შევთავაზოთ ისეთი პრეპარატი, რომელიც პროფილაქტიკურადაც გამოიყენება და სამკურნალოდაც. ეს შეიძლება მოხდეს როგორც ჰომეოპათების, ისე ოჯახის ექიმებისა და ინფექციონისტების ზედამხედველობით.

არსებობს იმის საშუალება, რომ გრიპს სერიოზულად მომზადებული შევხვდეთ. ბრძოლის მეთოდებთან დაკავშირებით გვაქვს კონსულტაციები უცხოელ კოლეგებთან.

არ უნდა ვიხმაროთ ანტიბიოტიკები გაციების, ბრონქიტის და სხვა ამგვარი დაავადებების შემთხვევაში, არ უნდა დავასუსტოთ ორგანიზმი სიცხის დამწევი პრეპარატებით.

საქართველოში ხშირია ნაღვლის ბუშტის დაავადებები, რაც იწვევს ღვიძლის გადატვირთვას. ინტოქსიკაციის ყველაზე დიდი წყარო სწორედ ნაღვლის ბუშტია და იმუნიზაციის პრობლემებიც მისგან მოდის. ამიტომ ნაღვლის ბუშტის პროფილაქტიკური მკურნალობა უნდა მოხდეს მინერალური წყლებით, სწორად შერჩეული ფიტო და ჰომეოპათიური პრეპარატებით.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის **ლადო ჭიპაშვილის** განმარტებით, ტრადიციული მედიცინა ამ შემთხვევაში შეიძლება განვიხილოთ, როგორც ოფიციალური მედიცინის დამხმარე საშუალება.

— ამ დარგის ვირუსთან ბრძოლაში ძირითად საშუალებად მიჩნევა არ შეიძლება, მაგრამ ერთობლივი მოქმედება კარგი იქნება. მინდა „კვირის პალიტრის" საშუალებით ვუთხრა ხალხს, რომ პანიკის საფუძველი ჯერ არ არსებობს და თუ გაჩნდება, დავიწყებთ საგანგებო ღონისძიებათა გატარებას, რომელთაგან ზოგს რეკომენდაციული ხასიათი ექნება, ზოგსაც სავალდებულო. დაბეჯითებით თქმა, რომ იმუნური სისტემის გაძლიერებით თავს დავიცავთ, ცოტა ძნელია, რადგან ბოლო დროს ამ ვირუსიდან გამოიყო ისეთი შტამი, რომელიც ძლიერ იმუნურ სისტემასაც ერევა. ეს ვერაგი ვირუსი საიდან შემოგვიტევს, არ ვიცით. რაც შეეხება ანტიბიოტიკებს, გრიპის დროს ისინი საერთოდ არ არის რეკომენდებული. მათი გამოყენება მხოლოდ ზოგიერთი გართულების შემთხვევაში შეიძლება. საერთოდ, ბუნებაში გრიპის სამკურნალო საშუალება არ არსებობს. არც ტამიფლუ შეიძლება ჩაითვალოს სერიოზულ სამკურნალო საშუალებად, ის უბრალოდ ამსუბუქებს მდგომარეობას. მასზე იმედის დამყარება არ შეიძლება...

**ვირუსი შეტევას ადამიანის სუსტი წერტილიდან იწყებს. ამიტომაც არის სავალდებულო იმუნიტეტის გაძლიერება და სისხლის გაწმენდა, რითაც ღვიძლს დავიცავთ. ამ შემთხვევაში შესაძლოა ვირუსი შეეყაროს ადამიანს, მაგრამ ორგანიზმი მას გაუძლებს.**

პანიკის საფუძველს გამორიცხავენ ვეტერინარიის დეპარტამენტშიც. აცხადებენ, რომ თავდაცვის მიზნით საქართველოში, როგორც ეპიზოოტიის საერთაშორისო ბიუროს წევრ ქვეყანაში, კარგა ხანია აიკრძალა ყველა რისკ-ჯგუფის ქვეყნიდან ფრინველის ხორცისა და კვერცხის შემოტანა, ქვეყნის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე მოქმედებს დეზინფექციის სპეციალური სამსახური შესასხურებელი ხსნარებითა და დეზოხალიჩებით. ვეტერინარიის დეპარტამენტში შიშობენ, რომ მათი ძალისხმევა ვერაფერს გახდება ფრინველების გადაფრენის მასობრივად დაწყებისას. მობილური ჯგუფები აწარმოებენ გარეული ფრინველების გამოხშირვას. იღებენ მასალას და ჩამოაქვთ თბილისში ახლახან გახსნილ ლაბორატორიაში (რომელიც კავკასიაში ერთადერთია, სადაც შეიძლება დადგინდეს ქათმის გრიპის ვირუსი) შესამოწმებლად. განსაკუთრებით სასაზღვრო რეგიონებში იღებენ სინჯებს შინაური ფრინველებიდან და ფერმებიდან. ვეტერინარიის დეპარტამენტში ირწმუნებიან, რომ ჯერჯერობით საშიში არ არის საქართველოს მეფრინველეობის ფაბრიკებში წარმოებული პროდუქციის ჭამა. მას თერმულად კარგად დავამუშავებთ. ვეტერინარების თქმით, ნაკლები შანსია აქაურ ფერმებში გადამფრენი ფრინველების საშუალებით ქათმების დაავადებისა, რადგან ფერმები საიმედოდ არის დახურული. თუ მაინც დაფიქსირდება დაავადების შემთხვევა, სპეციალური სამსახურები სასწრაფოდ გაანადგურებენ ქათმებს.

თითქმის ყველა სამსახური აცხადებს, რომ საქართველოში ქათმის გრიპთან საბრძოლველად ყველაფერი მზად არის. ახლა ყველა იმაზე ლოცულობს, რომ ვირუსმა მუტაცია არ განიცადოს.

*ეკა ლომიძე*

# ჯანმრთელობა მთელი წელი!

რაზეა დამოკიდებული ადამიანის ჯანმრთელობა — გენებზე, ცხოვრების წესზე? მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ჩვენი ჯანმრთელობა დამოკიდებულია წლის დროზე, კერძოდ, იმ თვეზე, რომელშიც დავიბადეთ.

ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲨᲘ დაბადებულებმა განსაკუთრებით უნდა მიაქციონ ყურადღება გულს. ექიმების აზრით, ცივ ამინდში დაბადებულებს უყვართ ცხიმიანი საკვები, რასაც შეიძლება წლების მანძილზე მოჰყვეს ქოლესტერინის მატება სისხლში. საცივე ანელებს ნივთიერებათა ცვლას, რაც აისახება გულის მუშაობაზე.

თუ ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲨᲘ დაიბადეთ, უნდა უფრთხილდეთ დეპრესიას. როგორც ექიმები ვარაუდობენ, ეს ხდება მზის შუქის უკმარისობისა და ცუდი ამინდის გამო.

მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ მათ, ვინც ᲛᲐᲠᲢᲨᲘ დაიბადა, სისხლში სეროტონინის დაბალი დონე აქვთ და ამიტომ იშვიათად არიან ბედნიერი და ცხოვრებით კმაყოფილი.

ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲡ თვეში დაბადებულებს ემუქრებათ ალერგია.

ის, ვინც გაჩნდა ᲛᲐᲘᲡᲨᲘ, ავადმყოფურად განიცდის ამინდის ცვლილებას. ეს იმიტომ ხდება, რომ ფეხმძიმობის დიდმა ნაწილმა გაიარა ტემპერატურის ძლიერი ცვლის პერიოდში.

ᲘᲕᲜᲘᲡᲡᲐ და ᲘᲕᲚᲘᲡᲨᲘ დაბადებულებს აქვთ რისკი კუჭის დაავადებისა.

ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲨᲘ დაბადებულები უნდა უფრთხილდნენ დიაბეტს. საქმე ის არის, რომ ფეხმძიმობის დროს ქალი შეიძლება დაავადდეს სეზონური ინფექციებით, რომლებიც მოქმედებენ ჯერ კიდევ მუცლად მყოფი ბავშვის იმუნიტეტზე.

ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲨᲘ დაბადებულებს ემუქრებათ ართრიტი, რომელიც აქტიურდება შემოდგომაზე.

ყველაზე მეტად კანის დაავადებები აწუხებთ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲨᲘ დაბადებულებს. ერთ-ერთი მიზეზი არის ბუნებაში მიმდინარე ცვლილებები.

ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲨᲘ დაბადებულები ალერგიას განიცდიან კატებისა და ძაღლების მიმართ.

ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲨᲘ დაბადებულები დიდხანს ცოცხლობენ

*ოჯი*

# ჭარხალი სურდოს შველის

მცდარია აზრი, რომ არ არის საჭირო სურდოსთან შებრძოლება, თავად გაივლის. სამწუხაროდ, ამ „იოლ" სენს თუ დროულად არ მივხედავთ, ქრონიკულ ფორმაში გადავა და შესაძლოა გართულდეს კიდეც — ჰაიმორიტად იქცეს. ამიტომ, მნიშვნელოვანია დროულად მიიღოთ ზომები. შესანიშნავია ცხელი აბაზანები ფეხებისათვის, ტერფების დაზელა გასახურებელი კრემებით ან მშრალი მდოგვის ფხვნილით, რომელიც უნდა ჩაყაროთ შალის წინდაში და ძილის წინ ჩაიცვათ.



განუმეორებელია ცხვირში ჭარხლის ახალგამოწურული, თაფლში ან მცენარეულ ზეთში (1:2) გახსნილი წვენის ჩაწვეთება. ამ სახით ჭარხლის წვენი არ გაალიზიანებს ლორწოვან გარსს.

*სანი*

# იცით თუ არა, რომ...

ფსიქოლოგებს თუ დავუჯერებთ, თურმე ადამიანის ხასიათი შეიძლება გავიგოთ იმის მიხედვით, თუ რომელ საჭმელს ანიჭებს უპირატესობას. მაგალითად:

*ცვრიანი ბიფშტექსის* მოყვარულები იმპულსურები არიან;

*თევზის მოყვარულთ* მშვიდი და ურყევი ხასიათი აქვთ, ახასიათებთ ერთგულება;

*ჩაშუშული სტაფილოსა და ბოსტნეულის კერძების* მოყვარულები საკმაოდ ძუნწები და პატივმოყვარენი, თუმცა მშვიდები არიან და ისწრაფვიან ჰარმონიული პარტნიორობისკენ, უფრთხილდებიან ჯანმრთელობას;

*ხილ-კენკრის* მოყვარულები ადვილად იძენენ მეგობრებს, გარშემომყოფთა მიმართ გულისხმიერი და ყურადღებიანი არიან;

*ცხარე და მწარე* სანელებლების მოყვარულებს ულევი ენერგია და ტემპერამენტი აქვთ, მიზნის მისაღწევად რისკს არ ერიდებიან, ეძებენ თავგადასავლებს, შესაფერის სამსახურს...

*ცხიმიანი საკვების* მოყვარულები გამოირჩევიან დაუდეგარი ხასიათით, განსაკუთრებით დახელოვნებული არიან ფლირტში,...

*ჟენსკიე დელა*

# კარგი განწყობა აღარ მიგატოვებთ, თუ...

ამერიკელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს დეპრესიის (და, სხვათა შორის, სხვა ნერვული დაავადებებისაც) მკურნალობის რევოლუციური მეთოდი — დიეტა. ამერიკელი ფსიქიატრები და დიეტოლოგები მიჰყვებიან ახალ ლოზუნგს: — ადამიანი ისე გრძნობს თავს, როგორც იკვებება. შესაბამისად, არსებობს მჭიდრო კავშირი დიეტას, ტვინის მუშაობასა და ემოციურ მდგომარეობას შორის. ნერვული სისტემის გამაგრებაში დაგვეხმარება თევზი! გამოკვლევის პერიოდში გაირკვა, რომ ბალანსირებული რაციონის შედეგად, საიდანაც გამოირიცხა შაქარი, კოფეინი, ალკოჰოლი და ცხოველური ცხიმები პაციენტების 88%-ს აღარ ეცვლებოდათ ხასიათი, აღარც პანიკის შეგრძნება და დეპრესიული კრიზისი აწუხებდათ. სამაგიეროდ, მენიუში იყო ხილი, ბოსტნეული, მწვანილი და, რაც მთავარია, თევზის სხვადასხვა სახეობები.

*მირორი*

ცხოვრება ზოგისთვის თავბრუდამხვევი სისწრაფით მიჰქრის, ზოგისთვის კი ურემივით მიიზლაზნება. დროს ვერაფერი შეაჩერებს, მაგრამ ამ ორომტრიალშიც ხშირად დგება მომენტი, როდესაც გვახსენდება გოეთეს ფრაზა — „შეჩერდი, წამო...“ „გაიყინება“, გაირინდება ადამიანის არსებობის ერთი მცირე მონაკვეთი და ისევ თავანყვეტილი სრბოლით გაგრძელდება ნუთისოფლის ტრიალი... შეჩერებულმა წამმა კი იქნებ საუკუნეების ხანგრძლივობაც დაიტიოს თავისი ყოვლისმომცველი იდუმალებით...

„კვირის პალიტრის“ ამ ფოტოგალერეაში საინფორმაციო სააგენტო **„ინტერპრესნიუსის“** ფოტოკორესპონდენტების მიერ დანახული ქართული რეალობაა წარმოდგენილი, ჩვენი დღევანდელობა და სინამდვილე. „შეჩერებული წამი“ — როგორც ჩვენი ისტორია და... მარადიულობა(?!.).

## „ვიგალობოთ ალილო, ღმერთი ჩვენთან არისო!..“



„ვთქვათ მაცხოვრის დიდება,
ჩვენი კერა ბრწყინდება,
ყრმავ შობილო ბეთლემსაო,
დაგვამკვიდრე ედემსაო...“
(მარიამ წიკლაური)



„საქართველო კვლავაც აუცილებლად
გადარჩება და გაბრწყინდება, მაგრამ
ამას განახორციელებს ის თაობა,
რომელიც ღვთის მცნების დამცველი
და მისი ნების აღმსრულებელი
იქნება. მაშ, გავხდეთ უფლის
ნების თანაზიარნი და დიდი
საქართველოს თანაშემოქმედნი!“
(ილია II)



„დიდება მაღალთა შინა ღმერთსა,
ქვეყანასა ზედა მშვიდობა და
კაცთა შორის სათნოება“
(ანგელოზთა საგალობელი შობის ღამეს)
ლუკა 2, 14





„ვახ, ვახ, პირდაპირ
გვაკვირვებთ
თქვენის
დაკვირვებითა, აი...“

„საიდან შეგაქანათ?..“



„სხვისია ჩვენი ხელ-ფეხი,
სხვისია ჩვენი აზრები,
სულ სხვის დუდუკზე
ვბუქნაობთ,
მიტომ ვართ
ტაკიმასხრები...“
(შოთა ნიშნიანიძე)

„არ გათეთრდების ყორანი...“



ცხინვალის ხელისუფლების ლიდერმა ედუარდ კოკოითმა საკუთარ „ძალოვნებს“ ქართველთა 28-კაციანი „შავი სია“ გადასცა და მათი დაპატიმრება ბრძანა. საახალწლო „ფანტაზიამ“ სეპარატისტთა ხელმძღვანელს ისე აურია თავგზა, რომ დასაჭერთა სიაში რამდენიმე წლის წინ გარდაცვლილი ადამიანებიც შეიყვანა. სიის სათავეში კი საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილია, რომელსაც კოკოითის „საფუძვლიანი დაკვირვების“ მიხედვით, დახვრეტა ან სამუდამო პატიმრობა ემუქრება.

რუსეთის დუმის დეპუტატი, კონსტანტინე ზატულინი თავისას არ იშლის და ქართველთმოძულეობას ლამის ყოველ სხდომაზე „ახმოვანებს“. ამჯერად მან აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში სამხარი მოქმედებების განახლების მოსურნეებად გამოგვიყვანა და „აბორიგენი მოსახლეობის“ მოსალოდნელი გენოციდი დაგვდო ბრალად.



„ვერ გაიგეთ
ხურმის ფასი,
ვირის
სიგრძე-სიგანით,
წადი, თქვენი
მატრაბაზი,
ჯიშიცა და
ჯიგარიც“
(გოჩა ხარანაული)

„მაგ ჩხუბიანსა
და ავსა ენასა
ნაჩვევი ხარ და
არას მიზეზით
არ მოიშლი, შენ
ხომ შენი დღენი
მაგ საქმეში
დაგილამებია“.
(სულხან-საბა
ორბელიანი)



გასულ კვირას თურქეთის პროვინცია იგდირში „ქათმის გრიპმა“ რამდენიმე ადამიანი იმსხვერპლა. ამასთან დაკავშირებით, საქართველომ საზღვრებზე კონტროლი გაამკაცრა. თურქეთიდან და მსოფლიოს 23 ქვეყნიდან ქათმის იმპორტი აიკრძალა.



ინდონეზიის ერთ-ერთ პროვინციას გაუდაუდებელი წვიმების გამო თავს მეწყერი დაატყდა, რომელმაც 200-მდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ასეულობით ოჯახი კი უსახლკაროდ დარჩა.

# გთავაზობთ 2005 წლის გზავნილების ადრესატთა სიას

აბაზაძე გოდერძი ვახტანგის ძე
აბუთიძე თეა რევაზის ას
აბუთიძე ზაურ
აბულაძე ქეთევან
აბულაძე ნინიკო. ზუგდიდი, სოხუმის ქ. №57
აბულაძე მურთაზ. ზუგდიდი, სოხუმის ქ. №57
აბულაძე ესტატე (ტატო) თენგიზის ძე
აბულაძე ვალერიან გივის ძე
ავანაშვილი გიორგი
აზარაშვილი მარიკა. თბილისი, მუხიანის IV-ბ მ/რ. კორპ. 23, ბ. №18
ათაბეგაშვილი ვახო. თბილისი, ვარკეთილის მასივი, X კვ. კორპ. „ზ"
აივაზაშვილი ირმა ალბერტის ას. თელავის რ-ნი, სოფ. სანიორე
აკოლაშვილი კობა ჯემალის ძე
ალანია ნანა გიას ას
ალხაზოვა მარი
ალიხანოვი გიორგი მიხეილის ძე. თბილისი, ტიბაანის გას. 10-ა
ამირანაშვილი სოფიკო მევლუდის ას
ამირანაშვილი ანა მევლუდის ას
ანდღულაძე თეა მიხეილის ას
ანთაძე ავთანდილ კუკურის ძე. თბილისი, წყალსადენის ქ. №41
ანთაძე ვახტანგ. ფოთი, გურიის ქ. №79
ანთაძე თორნიკე დავითის ძე. გორი
ანთიძე ანა კობას ას
არაბული ლია დავითის ას
არდაზაშვილი დავით
არევაძე თემურ გიორგის ძე
არეშიძე ნათელა ილიას ას
არველაძე ლევან ვლადიმერის ძე
არშაკიანი მარიეტა. თბილისი, თემქა, III მ/რ, I კვ. X სად. ბ. №42
ასათიანი კახაბერ ანზორის ძე
ასანიძე ჟანა
აფციაური ლელა. თელავი, სიდამონიძის ქ. №6
აფციაური ვაჟა შალიკოს ძე
ახალაძე ზურაბ ტარიელის ძე. თბილისი
ახალმოსულიშვილი ტრისტან. თელავი, ალაზნის გამზ. №28
ახალკაცი შორენა. ხაშური, ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილება
ახვლედიანი გიორგი კაპიტონის ძე
ასათიანი მაია ომარის ას. თბილისი
აბაშიძე ნინო ავთანდილის ას
არჩვაძე თამარ თბილისი
აიწურაძე ოთარ ნიკოლოზის ძე
ადამია ანა თამაზის ას
ახვლედიანი ზაზა გიორგის ძე. ქუთაისი, ახალგაზრდობის ქ. №86
არეშიძე სოფიო თენგიზის ას
ამაღლობელი ნოდარ
აბესაძე მიხეილ დავითის ძე
არევაძე მიხეილ ივანეს ძე
ახობაძე ოთარ სამტრედია
ამბროლაძე ანა ალეკოს ას
აფციაური ლაშა ივრადის ძე
აბულაძე გიორგი (გოგი) გიას ძე
ახალკაცი გიორგი ალექსის ძე. ქარელის რ-ნი, სოფ. ბერძენაული
აზარიაშვილი სოფო და ანი
აბზიანიძე ქეთინო და იური
არდაზიშვილი ხატია. თბილისი, დ/დიღომი, III მ/რ, VI კორპ. IV სად. ბ. №78
ადამია თეა ომარის ას
ალთუნაშვილი სერგო მალხაზის ძე
აბულაძე ირაკლი მერაბის ძე
ანანიძე ნათია და ნიკა
ანთელავა გურამ. ზუგდიდი, გოჩა ჯიქიას ქ. №34
აბრამია თამარ (თაკო) ზაზას ას. თბილისი
აბაშიძე ხათუნა
აბშილავა მაია
აბესაძე გიორგი და ანანო. თბილისი, ანტონ კათალიკოსის ქ. №34
არსენიძე გოჩა არჩილის ძე
აბაზაშვილი ვენერა მარლენის ას
ასპანიძე ია
აბესაძე კონსტანტინე გულადის ძე
ახმეტელი გიორგი გიორგის ძე
აბდალაძე მაიკო და რეზიკო
ანთაძე გიორგი გიორგის ძე
არზიანი ანა
ახვერდაშვილი ვახტანგ თეიმურაზის ძე. საგარეჯოს რ-ნი, სოფ. ნინოწმინდა

ბარათაშვილი მამუკა. თბილისი, ვარკეთილის მასივი, აეროდრომის ქ. №8
ბეჟიტაშვილი ქეთევან
ბაქრაძე გიორგი შალვას ძე
ბალავაძე გიორგი. თბილისი, ვორონინის ქ. №6
ბარაბაძე ნინო თამაზის ას
ბარნოვი ნინო ვასილის ას. თბილისი, გლდანის V მ/რ. XX კორპ.
ბრეგვაძე თამილა
ბიბილაშვილი ნათია ივანეს ას
ბარბაქაძე ვლადიმერ ზურაბის ძე
ბენიძე ნიკა და სოფო. ქუთაისი, ალმაშენებლის პრ. №50/1
ბარაბაძე თამარ ზურაბის ას
ბახბავა მაკა. ფოთი, წმ. გიორგის ქ. №109
ბადრიძე ელგა და ბექა
ბაბაკიშვილი ანა. თბილისი, ბზიფის შეს. №6-ა
ბახტაძე გიორგი ზეიმის ძე
ბლიაძე გელა
ბათლიძე ნიკოლოზ
ბუაძეების ოჯახი. თბილისი, ვარკეთილი-3, III მ/რ, კორპ. 301, ბ. №76
ბარძიმაძე ნათია ემზარის ას
ბალაშვილი ელენე. თბილისი, წერეთლის პრ. 77-3 კორპ.
ბოჟაძე ანა
ბლიაძე თამილა. ბორჯომის რ-ნი, სოფ. ფვიხისი
ბანცაძე ნიკოლოზ. წყალტუბოს რ-ნი, სადგური ბროწეულა, ბ. №3
ბერუაშვილი გიორგი ალექსის ძე
ბარბაქაძე. ხაშური, გორკის ქ. №25
ბობოხიძე თემურ. ქუთაისი, მ. კოსტავას ქ. I შეს. №15
ბექაური ანი მალხაზის ას
ბასილაძე ფიქრია ვარლამის ას
ბაბუნაშვილი გიორგი და დაჩი
ბერიშვილი გიორგი
ბუგიანიშვილი ირაკლი
ბაგულიშვილი თამუნა. ნინოშვილის ქ. №8
ბახტურიძე ჯუნა და ლუიზა
ბოლქვაძე თეა გურამის ას. მეუღლეს თბილისი, რუსთავის გზატკეცილი
ბეცაიშვილი ანზორ და მადლენა
ბიჭაშვილი ნათია, ფიქრია და ხატია
ბიძულიაშვილი ალექსი ზაურის ძე
ბაშალეიშვილი სალომე
ბებიაშვილი კოტე. ქუთაისი
ბერია მ. დ. რუსთავი, XV მ/რ, ბ. №12-70
ბენიძე ირაკლი. წყალტუბოს რ-ნი, სოფ. ქვილიშორი
ბაბალაშვილი გაგა
ბახტაძე ნონა აკაკის ას
ბეროზაშვილი ციცინო. თბილისი, ჯავახეთის ჩიხი, №1
ბეჭვაია კონსტანტინე და ანა
ბადრიძე ბაკურ. გარდაბნის რ-ნი, სოფ. ნორიო
ბლუაშვილი დიმიტრი
ბახტურიძე ინდირა შაქროს ას
ბაქრაძე გრიგოლ მერაბის ძე
ბარამაშვილი ია შალვას ას
ბეჭვაია ელგუჯა მურმანის ძე
ბარბაქაძე იოსებ ალექსანდრეს ძე. ხაშური, ლომოურის ჩიხი, №9
ბერიძე ედიშერ
ბალიაშვილი ბაჩი. გორი, ეკ. ჯუღაშვილის ქ. №16
ბაცაცაშვილი ქეთი. თბილისი, ი. გოგებაშვილის ქ. №44
ბურჯალიანი ლაშა
ბარბაქაძე ზურა. ხაშური, იმერეთის ქ. №92
ბარბაქაძე ნოდარ. ხაშური, იმერეთის ქ. №94
ბარკაია მაია. თბილისი, ალმაშენებლის პრ. №138
ბექაური მიშიკო
ბალანჩივაძე ჟანა. ქუთაისი, ქანთარიას ქ. №35
ბალდოშვილი გიორგი
ბუთხუზი დიმიტრი გიორგის ძე
ბუზარიაშვილი ნელი. საგარეჯო, რუსთაველის ქ. №23
ბუზარიაშვილი ქეთევან (ბაია). საგარეჯო, რუსთაველის ქ. №43
ბეგიაშვილი ბესიკ. ქუთაისი, მშენებლის ქ. № 65/39
ბუჯიაშვილი იზა დავითის ას. ყვარელი, ჭავჭავაძის ქ. №44
ბოლქვაძე თამთა. ბათუმი, ქავთარაძის მე-2 შეს. ბ. №3
ბოლქვაძე თეა გურამის ას. მეუღლეს. თბილისი, რუსთავის გზატკ. 269. კორპ. 8, ბ. №25
ბჟალავა ნუნუ
ბოცვაძე ირინა ვახტანგის ას
ბაინდურაშვილი ცისია გიორგის ას. დედოფლისწყაროს რ-ნი, სოფ. ქვემო ქედი
ბურდულაძე ანა სარდიონის ას
ბაზიაშვილი ვლადიმერ სერგოს ძე. ბათუმი, მელიქიშვილის შეს. №6
ბალუშვილი მერი თენგიზის ას. სენაკი, ჭონქაძის ქ. №12
ბერაძე ლელა დავითის ას. ქობულეთი
ბენიძე ლიანა. ქუთაისი, სოლომონ I-ის II ჩიხი, №11
ბობოხიძე სოფიკო. ქუთაისი, მ. კოსტავას I შეს. №13
ბესელია მანანა. თბილისი, გორგასალის ქ. №24
ბარათაშვილი ნინო გივის ას
ბუცხრიკიძე როლანდი
ბესტავაშვილი ანზორ
ბარბაქაძე კახა ბენოს ძე
ბუკია კობა სოსოს ძე
ბეგლარაშვილი გიორგი გივის ძე. კასპი, მირიან მეფის ქ. №49
ბარძიმაშვილი ნინო
ბაქარაშვილი თამრიკო და სოფიკო
ბურჯალიანი მაკა
ბასილაშვილი ლიკა
ბებია ემიკო კობას ძე
ბერიაშვილი ნინო
ბასილაშვილი ვასიკო თელავი
ბაზაძე აკაკი ლარიკოს ძე
ბატიაშვილი ნინო ჯუმბერის ას
ბენაძე გიორგი გიულის ძე
ბარბაქაძე გრიგოლ (გია). ხაშური, ჭონქაძის ქ. №8
ბიტარიშვილი ბელა
ბათირაშვილი ნინო ელდარის ას
ბერძენიშვილი გიორგი შოთას ძე
ბერიკაშვილი მარინა ალექსანდრეს ას
ბერაია ლომინო. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №90
ბერაძე გიული. შავგულიძე იზა
ბარბაქაძეები. ხაშური, გორკის ქ. №25
ბლიაძე ილია ზაქროს ძე. ბორჯომი, გრ. ხანძთელის ქ. №21
ბერაია გუგა იაროსლავის ძე
ბერძენაძე გიორგი. თბილისი, ვარკეთილის II მ/რ, კორპ. 29, ბ. №12
ბათირაშვილი ნონა ელდარის ას
ბერაია რეზიკო. ზუგდიდი, კუბის ქ. №4
ბალიაშვილი გიორგი. გორი, ეკ. ჯუღაშვილის ქ. №16
ბასილაძე ამირან
ბასილაძე გიორგი
ბითაძე გიორგი არჩილის ძე
ბერიშვილი ვახტანგ შოთას ძე

გამსახურდია ანანო
გაგნაშვილი მურად ალექსანდრეს ძე. ახმეტა, ერისთავის ქ. №45
გოგმაჩაძე ია
გვიმრაძე ლამარა, წიქარაძე თამუნა
გაურგაშვილი თამარ ფრიდონის ას. ყვარელი, ჭავჭავაძის ქ. კორპ. 3
გულიაშვილი გვანცა გოჩას ას
გოგლიძე აჩიკო
გელაშვილი სოფიკო და ნათია
გარაყანიძე სოფიკო დავითის ას
გოგოძე მადონა ლევანის ას
გიგაური თათო დათოს ას. თბილისი, ატენის I შეს. №11
გოკიელი ერეკლე ირაკლის ძე
გონჯილაშვილი ნათია თემურის ას
გომარელი ქეთევან ედუარდის ას
გონაშვილი მარიკა
გეწაძე ავთო, შალვა და მარიამი. რუსთავი, XIX მ/რ, 13-28
გვიმრაძე თ. წყალტუბო, 9 აპრილის ქ. №9
გორგაძე ანა
გოგრიჭიანი თინიკო
გვაზავა თამთა
გლოველი გიორგი ვლადიმერის ძე
გელაშვილი ლელა. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №2
გუბელაძე ნანა კუკურის ას
გულბანი ოლღა ზურაბის ას
გაგუა ნათია. სამტრედია, კვანტალიანის ქ. №1
გაბინაშვილი ხატია მამუკას ას
გუდაძე გიორგი
გელენიძე დავით ვაჟას ძე
გახარია შაქრო რაჟდენის ძე. ჩხოროწყუს რ-ნი, სოფ. ხაბუმე
გრიგოლავა ირაკლი ვლადიმერის ძე. ქუთაისი, რუსთაველის პრ. №40
გაჩეჩილაძე თეონა. ბაღდათის რ-ნი, სოფ. მეორე ობჩა
გაგუა გულივერ შოთას ძე
გოგალაძე გიული
გონჯილაშვილი ეკა გივის ას. თიანეთი
გონაშვილი ავთანდილ
გრძელიშვილი ქეთინო
გამყრელიძე თემურ. ზესტაფონის რ-ნი, სოფ. პირველი სვირი
გოგალაძე დათო. სურამი, ბარათაშვილის ქ. №21
გოგოლაძე დავით გივის ძე
გოგოლაძე თიკა გიორგის ას. თბილისი, სანზონა, კორპ. 103, ბ. №20
გრატიაშვილი ნანა იოსების ას. საგარეჯო, მშვიდობის ქ. №3
გეგეშიძე ანა
გრიგალაშვილი გივი. ხაშური, სუმბათაშვილის ქ. №41
გოგავა მაია ოთარის ას
გალდავაძე გვანცა და გიორგი
გოჩიაშვილი გოჩას შვილები
გოგობერიშვილი გურანდა გივის ას.
გელაშვილი ნინო
გოცირიძე იოსებ ალექსანდრეს ძე. თბილისი, უჯარმის ქ. №4
გოგალაძე დავით ნაყიდას ძე. ხაშური, ოქტომბრის ქ. №54
გამდლიშვილი გიორგი ტრისტანის ძე
გუჯეჯიანი ეკა თენგიზის ას. თბილისი, ლაზის ქ. №3
გორგასლიძე გვანცა ემზარის ას
გორგიაშვილი ეთერ გიორგის ას
გუგუშვილი თენგო
გოჩიაშვილი კახი გოჩას ძე
გიოშვილი გიორგი ოთარის ძე
გველესიანი ბესო ალეკოს ძე
გოგოჭური მამუკა
გვიჩიანი მარინა
გორგაძე გიორგი
გორგიძე გიორგი. ტყიბული, კოსტავას 11/10
გველესიანი ნინო ზესტაფონი
გიორგაძე ნინო ავთოს ას
გოცაძე ბიძინა. ქუთაისი, სოლომონ I-ის ქ. №28
გიქოშვილი კაკო იოსების ძე. ადიგენის რ-ნი, სოფ. უდე
გუნთაიშვილი დალი
გოგოხია გიორგი
გველუკაშვილი ნინო
გელიაშვილი ლევანი და იმედი
გეგეშიძე თათია ნიკოლოზის ას
გელაშვილი ლელა გელას ას. ხაშური, იმერეთის ქ. №162
გოდერძიშვილი შალვა ზაზას ძე
გიუნაშვილი ნოდარ
გველესიანი ინგა მცხეთა
გრიგორიანი გაიანე. თბილისი, დიღმის მასივი, VI კვ. კორპ. 9. ბ. №31
გახოკია ნინო ნუგზარის ას
გოგოლაძე რევაზ ამირანის ძე
გაბრიჭიძე სალომე ლევანის ას
გაგნიძე არჩილ ნოდარის ძე
გიორგაძე გოჩა თენგიზის ძე
გულიაშვილი დარეჯან. საჩხერის რ-ნი, სოფ. კალვათა
გოგუა ცისია მერაბის ას
გოგოლაძე მარიამ გიორგის ას. ხაშური, პუშკინის ქ. №84
გიუნაშვილი მედეა და ნათია. საგარეჯო, ალაზნის ქ. №47
გაგლოშვილი ნინო თენგიზის ას
გონიაშვილი ლია გოდერძის ას
გოდოლაძე გიორგი დავითის ძე
გვენეტაძე თინათინ თენგიზის ას
გუბელაძე ბერიკა და ბაქარ
გურეშიძე მარინა ბორისის ას
გიორგიძე ზაურ ოთარის ძე
გოგიძე მ. ქუთაისი, ჭავჭავაძის პრ. №27/24
გუჯაბიძე ანი
გედენიძე ვალერი ოთარის ძე
გვიდიანი გიორგი დავითის ძე
გაგელიძე მარიამ მალხაზის ას. თბილისი, გლდანის I მ/რ, კორპ. 12, I სად. ბ. №1
გენგაშვილი გურამ ტარიელის ძე. გარდაბნის რ-ნი, სოფ. სართიჭალა
გოგილაშვილი გია. ქარელის რ-ნი, სოფ. სამწევრისი
გვრიტიშვილი ხათუნა
გონაშვილი ნოდარ გიორგის ძე. თბილისი, ქობულეთის ქ. №3/15, IV სად. ბ. №73
გულდავა ნათია ოთარის ას
გოცაძე როლერი. თბილისი, ბახტრიონის ქ. №12, II სად. ბ. №40
გელაშვილი ნათია
გულვერდაშვილი გულიკო
გაბუნია გოგიტა ბადრის ძე.
გაბუნია გურამ ალექსანდრეს ძე
გოგოლაური ნინო ტარიელის ას
გოდერძიშვილი მარინა ვაჟას ას
გელაშვილი ზურიკო სულიკოს ძე. ხაშური, თამარ მეფის ქ. №4
გოგნაძე ნონა. თბილისი, დიდი დიღომი, III მ/რ, III კორპ. IV სად. ბ. №77
გოგიშვილი მაია. თბილისი, გლდანის „ა" მ/რ, კორპ. 64, IV სად. ბ. №76
გაჩეჩილაძე დავითი და თამარ
გუგუნავა ზურაბ და კლარა. ოზურგეთის რ-ნი, სოფ. ძიმითი
გოგოლაძე ოთარ გიორგის ძე. რუსთავი
გიუნაშვილი თეა
განჯელაშვილი ზაქრო გორი
გრძელიშვილი ქეთინო
გასვიანი მათე ქუთაისი
გასვიანი ხათუნას ოჯახს. ქუთაისი, ჭავჭავაძის ქ. №52-ა
გვიშიანი მამუკა ემზარის ძე
გურასაშვილი გურანდა. თბილისი, ჯავის ქ. №13
გიორგაძე სალომე ოთარის ას
გოგინაშვილი ბექა
გოგნაძე მაყვალა, ნოზაძე მარლენ
გალაშვილი ონისე ზურაბის ძე. ხაშური, თამარ მეფის ქ. №4
გელაშვილი ელზა. ახალციხის რ-ნი, სოფ. ჭვინთა
გამცემლიძე მაკა. თბილისი, გურამიშვილის პრ. 12-ა, III კორპ. ბ. №25
გეგელია ნანა რევაზის ას
გამყრელიძე მანანა და მიშიკო
გვალია იგორ სერგოს ძე. თბილისი, კისისხევის ქ. №21
გორგილაძე თენგიზ აბდულის ძე. ქობულეთის რ-ნი, სოფ. ბუკნარი
გოგორელიანი ნინო ამირანის ას
გეგელაშვილი ნათია ელგუჯას ას
გიორგაძე დავითი იურის ძე. სამტრედია, ლესელიძის ქ. №2
გუმაშვილი ლაშა ზურაბის ძე. თბილისი, ვაჟა-ფშაველას პრ. IV კვ. VII კორპ. ბ. №15
გურგენიძე ირაკლი გორი, გორკის ქ. №179
გოგიაშვილი თეა დავითის ას. კასპის რ-ნი, სოფ. ზემო ხანდაკი
გოროდნიჩევა ქრისტინა ანდრეის ას. თბილისი, კოსტავას ქ. №71, I სად. ბ. №8
გრატიაშვილი დათო იოსების ძე
გიგუაშვილი ნინო
გილაშვილი ნათია. საგარეჯო, გ. ქურდიანის ქ. №6
გოდერძიშვილი ზანდა ნიკოლოზის ას. ვარკეთილი-3, I მ/რ, კორპ. 23, ბ. №14
გოჩიაშვილი ლალი
გაბელაია კახაბერ
გვასალია ნინო კარლოს ას. თბილისი, ნუცუბიძის პლატო, IV მ/რ, V კორპ. V სად. ბ. №80
გაგნიძე ანანო გიას ას

დიასამიძე დავით. თბილისი, სვანიძის შეს. №4
დევიძე ნანა რომანის ას. ქუთაისი, გამსახურდიას ქ. №10/60
დოლიძე ირაკლი. რუსთავი, ფალიაშვილის ქ. №12-64
დოლიძე გურიკა. რუსთავი, ფალიაშვილის ქ. №12-64
დანიელიძე ნინო
დოლიძე თათია
დანელია ეკა და სოფიკო
დარსალია დათო და კობა. რუსთავი
დევნოზაშვილი დავით ივანეს ძე
დათაშვილი ხათუნა თენგიზის ას
დალალიშვილი დათო
დგებუაძე ავთანდილ. ჩხოროწყუს რ-ნი, სოფ. ლესიჭინე
დიასამიძე დიმიტრი ლევანის ძე
დუნდუა გრიგოლ ვასილის ძე
დვალაძე ირაკლი ალექსანდრეს ძე
დალაქიშვილი გიორგი რატის ძე
დეკანოიძე ვასილ. ხაშური, სააკაძის ქ. №133
დობორჯგინიძე ირმა
დათუნაშვილი ნიკა
დარჩიაშვილი შოთა გიორგის ძე. თელავი, ალაზნის პრ. №30
დემეტრაშვილი კარლო. თბილისი, ვარციხის ქ. №16
დუდაური სანდრო
დანელია ვერიკო. რუსთავი, XXI მ/რ, კორპ. 12, ბ. №38
დარჩიაშვილი ლალი და ნოდარ
დარჩიაშვილი ნოდარ და ლალი
დაგარგულია კლარა
დარჩიაშვილი ანა. თბილისი, დიდი დიღომი, I მ/რ
დათაშვილი ანეტა. თბილისი, დიდი დიღომი, პეტრიწის ქ. №5-ა
დუნდუა დემურ. მცხეთა, კარიბჭის ქ. №3
დუნდუა ეკა ზაურის ას. მცხეთა, კარიბჭის ქ. №3
დიასამიძე ირაკლი. ბორჯომი, ფიროსმანის ქ. №17
დარჯანია გვანცა და დავით
დაბრუნდაშვილი ანა და გიორგი თბილისი
დიდებულიძე მაკა და კახა. თბილისი, მამრაძის ქ. №10
დარჩიაშვილი გიორგი
დანიელოვა მერი მიხეილის ას
დობორჯგინიძე დალი, ხათუნა და რუსუდან
დემეტრაშვილი ზურა
დოლონაძე ნინო. ქუთაისი, რუსთაველის პრ. ბ. №157
დემეტრაშვილი თამარ
დუმბაძე ქეთევან. თბილისი, ზ. ფალიაშვილის ქ. №18
დიაკვნიშვილი გიორგი ზურაბის ძე. თბილისი, გურამიშვილის პრ. 21, ბ. №31
დათიაშვილი დათო ვახტანგის ძე. ქუთაისი, გრიშაშვილის ქ. №25
დარახველიძე გიგა და ნიკა
დუჩიძე აკაკი ავთანდილის ძე. რუსთავი
დუჩიძე ნონა ავთანდილის ას
დავლაძე გიორგი ნოდარის ძე. ხელვაჩაურის რ-ნი, კახაბერის მერძევეობის მეურნეობა
დემეტრაშვილი ლაშა რომალდის ძე.
დგებუაძე ავთანდილ. ჩხოროწყუს რ-ნი, სოფ. ლესიჭინე
დუნდუა თედო
დადუნაშვილი ნინო
დონაძე დათუნა
დევიძე ბონდო და გუგული. ლანჩხუთი, თაბუკაშვილის ქ. №116
დალალიშვილი თინიკო

ერქომაიშვილი თეონა
ელიზბარაშვილი გიორგი გივის ძე
ელისაშვილი დავით გივის ძე
ევნატაშვილი ლაშა ილოს ძე
ენუქიძე დავით
ებრალიძე მათე და მარიამ. რუსთავი, კონსტიტუციის ქ. №42
ელიზბარაშვილი თაკო გივის ას
ესაიაშვილი ლაშა დავითის ძე
ერისთავი მაია
ებრალიძე ლევან
ეგუტია ხატია ელგუჯას ას
ერისთავი კობა და ელზა. ვანის რ-ნი, სოფ. სალომინაო
ექიზაშვილი ნათელა. თბილისი, თემქის III მ/რ, V კვ, კორპ. 10, ბ. №31
ენუქიძე ვალერი. თბილისი, იპოლიტე ივანოვის ქ. №3
ებანოიძე მაია იურის ას
ევგენიძე ნია და სოფო. ოზურგეთი, ალმაშენებლის ქ. №122
ენუქიძე თინათინ და გიორგი
ესებუა თამრიკო, ქართლოსი და რატი
ესებუა მათე. ქუთაისი, ცისფერყანწელთა ქ. №7

ვაჩნაძე ეკატერინე
ვადაჭკორია მარი, მიქაძე ლევან
ვაშაკიძე მარიამ და ნიკო
ვათიაშვილი ლევან როლანდის ძე
ვარდოსანიძე დავით ამბერგის ძე
ვარსიმაშვილი ზურა. თელავის რ-ნი, სოფ. შალაური
ვეშაგურიძე ირაკლი ილოს ძე
ვეშაგურიძე დიანა ილიას ას
ვარამაშვილი ნოდარ პეტრეს ძე
ვერძეული ეკა. დუშეთი, ზანდუკელის ქ.
ვეშაგური ნინო. თბილისი, ვაჟა-ფშაველას პრ. II კვ. III კორპ.
ვეშაგური ფიქრია
ვარშალომიძე ზვიად. ხელვაჩაურის რ-ნი, სოფ. ვარშალომიძეები
ვადაჭკორია პაპუნა და სანდრო. ლანჩხუთი, რუსთაველის I ჩ. №9
ვაშაკიძე ნინო. გორი, გრ. რობაქიძის ქ. №63 (2 წერილი)
ვეშაპიძე პავლე. ხაშური, სტალინის ქ. №114
ვართანიანი სარქის გიორგის ძე
ვარდიძე ნინო. რუსთავი, მეგობრობის პრ. №3, ბ. №68
ვაჩეიშვილი გიგი თეიმურაზის ძე
ვაწაძე თამაზ. ამბროლაური, ბრატისლავა-რაჭის ქ. №8
ვეფხვაძე ნანა. თბილისი, ზესტაფონის ქ. №18
ვაშაყმაძე ქეთინო ნოდარის ას
ვეშაგური ფიქრია
ვაჭარაძე ზურაბ. ზესტაფონი, ჩხეიძის ქ. №12
ვართანიანი გიორგი სარქისის ძე. თბილისი, ვ. გაბისკირიას ქ. №8
ველიჯანაშვილი მალხაზ და ლევან
ველიჯანაშვილი სიმონ

ზარანდია დათო თბილისი
ზანდარაშვილი ეკა
ზაზანაშვილი რუსიკო ნოდარის ას. თელავის რ-ნი, სოფ. ახატელი
ზამთარაძე ბონდო. სამტრედია, გამარჯვების ქ. №59 ბ. №27
ზედგინიძე ზურა. ხაშური, კოოპერაციის ქ. №15
ზეიკიძე ნინო გიორგის ას. თბილისი
ზოიძე ვიტალი ნუგზარის ძე. ხელვაჩაურის რ-ნი, სოფ. ახალსოფელი
ზურაბაშვილი თინათინ
ზეიკიძე რუსუდან გიორგის ას. თბილისი
ზარდიაშვილი ნადია დათოს ას. სენაკი, შავი ზღვის ქ. №15
ზანდუკელი ლევან
ზანდუკელი ლევან
ზაუტაშვილი თემო. გორი, სტალინის ქ. №25
ზაქარიაშვილი ბესიკი. ბორჯომის რ-[illegible]
[illegible]
ზედგინიძე გიორგი. ახალციხე. რუსთაველის ქ. №93

თოფურიძე ნატა. თბილისი, დიდი დიღომი, პეტრიწის ქ. №19, II მ/რ, I სად. ბ. №31
თოფჩიშვილი ლევან
თურქაძე მაგდა. ქუთაისი ბუხაიძის ქ. №25
თოდაძე ბესარიონ თამაზის ძე
თაყაიშვილი გიორგი
თაქთაქიშვილი ნინო
თანდაშვილი მარგალიტა
თურქია ნათელა. აბაშის რ-ნი, სოფ. მარანი
თალაკვაძე გიორგი პაატას ძე. თბილისი, ანჯაფარიძის ქ. №3
თალაკვაძე სალომე პაატას ას. თბილისი, ანჯაფარიძის ქ. №3
თარაშვილი სოფო თბილისი
თევზაძე დავით. თბილისი, ლოტკინის ქ. №6
თაბორიძე თამილა
თუმანიშვილი თათია (ნინო) ირაკლის ას
თაბუკაშვილი მარიამი და გვანცა
თამაზაშვილი ემზარ ბადურის ძე. თბილისი წალენჯიხის ქ. №37
თავდიშვილი კობა იურის ძე
თევდორაშვილი ნიკო
თეგეთაშვილი ელენე. თბილისი გურიელის ქ. №27
თედიაშვილი მამუკა. თბილისი, გოგი დოლიძის ქ. №6
თოხაძე ივერი ილიას ძე. თბილისი, ბარნოვის ქ. №33/28
თუშიშვილი დავით მერაბის ძე
თვალიაშვილი ხათუნა გივის ას. გორის რ-ნი სოფ. შინდისი
თანიაშვილი გერონტი ლავრენტის ძე
თებიძე მაია ბათუმი, სააკაძის ქ. №13
თავბერიძე მარინა არჩილის ას. თბილისი, დიღმის მასივი, I კვ. 3-ა კორპუსი, II სადარბაზო
თაქთაქიშვილი ნინო
თელეშვილი ლევან ნოდარის ძე
თიბილაშვილი კახა, სტეფნაშვილი ნატო. გორი, ყიფიანის ქ. №15
თავაძე ნიკო იურის ძე. ოზურგეთი, სამთო ქიმიის ქ. №10 ბინა
თავაძე ნინო იურის ას. ოზურგეთი სამთო ქიმიის ქ. №10
თურმანიძე ეკა, თეა და ნათია
თავბერიძე ციური
თოფურია ნონა გოდერძის ას
თოდაძე არჩილ მევლუდის ძე
თოდაძე თათია ილიას ას. თბილისი, გლდანის VII მ/რ კორპ. 9-ა, ბ. №27
თამაზაშვილი თამარ ვალერიანეს ას
თურმანიძე გიორგი
თელია რუსუდან
თათხაშვილი ეკა. თბილისი, ლიბანის ქ. №10. კორპ. I. ბ. №12
თხინვალელი თიკო
თადუმაძე შოთა დიმიტრის ძე. თბილისი, თაყაიშვილის ქ. №10
თაყაძე თემო. გორი, ელსადგურის ქ. №10
თათულაშვილი ნიკა. თბილისი გურამიშვილის პრ. №30, II კორპ. I სად. ბ. №35

ინარიძე ირინა გიორგის ას. ოზურგეთის რ-ნი, სოფ. ჭანიეთი
ივანიაშვილი გიორგი. თბილისი, ვარკეთილი-3 II მ/რ, კორპ. 23, ბ. №12
იაშალაშვილი ირაკლი
იმერლიშვილი ნონა
იაშვილი დავითი. თბილისი ნუცუბიძის 34 II კორპ. ბინა №15
ირემაძე დავით მერაბის ძე. ქუთაისი, ოცხელის ქ. №4/23
იაკობიძე დავით დავითის ძე
ივანიშვილი არჩილ დავითის ძე
იროშაშვილი ირმა
ივანიაშვილი გიორგი და ქეთინო. თბილისი. ვარკეთილი-3, II მ/რ, კორპ. 23, ბინა №12
იაშვილი დავით. თბილისი ნუცუბიძის 34, I კორპ. ბინა №15
იანტბელიძე გიორგი
იმერლიშვილი თენგიზ
იმნაიშვილი იოსებ. ლანჩხუთის რ-ნი, სოფ. შუხუთი
იმერლიშვილი გიორგი. ქარელი, ყაზბეგის ქ. №28
ივანიძე მეგი. ახალციხის რ-ნი, სოფ. ურაველი
იაშვილი ნოდარ ალექსანდრეს ძე
იაკობიძე ნინო დავითის ას.
იაკობაშვილი ნათია იოსების ას. ჭიათურის რ-ნი, სოფ. ითხვისი
იჩქითი გვანცა გურამის ას
იასაშვილი ია. გორი, კირიონ II-ის ქ. №11
ირემაძე ანი. გორი, მშვიდობის ქ. №15/32
ირემაძე დავით მერაბის ძე. ქუთაისი, ოცხელის ქ. №4/23
ირემაძე დავით მერაბის ძე. ქუთაისი, ოცხელის ქ. №4/23
იასაღაშვილი-დევნოზაშვილი მედეა [illegible]

**გზავნილების ადრესატთა სიის გაგრძელებას შემოგთავაზებთ „კვირის პალიტრის" შემდეგ ნომრებში**

**ადრესატებმა ბარათებს მოაკითხეთ „კვირის პალიტრის" რედაქციაში (განცხადებების მიმღებ პუნქტში) ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 12-დან 18 საათამდე. თან იქონიეთ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა**

# ცხოვრებისეული კურიოზები

## 1. საახალწლო აფერა



გასული წლის მიწურულს შავი „მერსედესი" რამდენიმე მგზავრით სანაპიროზე, ელიავას ბაზრობის მახლობლად ბენზინგასამართ სადგურს მიადგა. მძღოლმა ავზის გარდა ორიოდე კანისტრაც აავსო და ფულის გადასახდელად სალაროს მიაშურა. საკმაო ხანს უშედეგოდ აფათურა ხელი ჯიბეებში, შემდეგ ბენზინგამმართველს მიუბრუნდა:

— თუ ძმა ხარ, საფულე სახლში დამრჩენია!.. აქვე ვცხოვრობ, წერეთელზე... მანქანაში მოყვრები მისხედან, დაგიტოვებ და ორიოდე წუთში, ფულს რომ მოვიტან, „მძევლებსაც" გამოვიხსნი...

— რა გაეწყობა! — დათანხმდა ისიც.

— ჰო, მართლა, — შემობრუნდა „მერსედესის" მძღოლი, — ჩემს მეუღლეს დაბადების დღე აქვს. ეგ დათუნია, მაგიდაზე რომ გიზის და იარლიყზეც 45 ლარი აწერია, უნდა დამითმო, სამაგიეროდ 50 ლარს მოგართმევ... დავპირდი საჩუქარს და ხელცარიელს ნუ მიმიყვან!

ბენზინგამმართველს გაუხარდა კიდეც, რადგან მეუღლემ ტელეფონით უკვე დაუწუნა საჩუქარი — ძაღლის წელი მოდის და დათუნია რად მინდოდაო.

მძღოლმა სამი კუნთმაგარი ვაჟკაცი მანქანიდან გადმოსხა და საჩუქრით „დამძიმებული" ადგილს მოსწყდა..

გავიდა ათი წუთი... ერთი საათი... ორი... მძევლებს მოშივდათ და სიგარეტიც მოუნდათ. ჯიბეგაფხეკილებმა ბენზინგამმართველს მიაშურეს, ვიდრე ჩვენი „ხაზეინი" დაბრუნდება, ერთი სიგარეტი მაინც გვიყიდეო.

— ეგ კაცი „ხაზეინია" თქვენი თუ სიძე? — გაუკვირდა ბენზინგამმართველს.

— რა სიძე, რის სიძე!.. ჩვენ საჩხერელი დღიური მუშები ვართ, ელიავას ბაზრობასთან აგვკრიფა, კედელი მაქვს დასანგრევიო... ალბათ, უკვე დაიწყო ნგრევა და იმ კედელმა ჩაიყოლა კიდეც შენს ფულებთან ერთად...

**გერონტი მესხი, თბილისი**

## 2. საახალწლო სურვილები



☺ კაცობა ძვირად ფასობდეს, ინდაური იაფად.

☺ სიდედრის ენა დამტკბარიყოს და გოზინაყს სულაც არ შეჭამს კაცი.

☺ ამიერიდან სხვისი გავით კი არა, საკუთარი თავით სხდებოდნენ სკამებზე.

☺ გულები გავუწოდოთ ერთმანეთს, მარტო კანფეტი კი არა.

☺ თოვლის პაპა კი მივიღოთ სახლში, მაგრამ საკუთარ პაპას ნუ გავაგდებთ კარში.

☺ გაგვერჩიოს ყბედი ენამჭევრისგან და ინტრიგანი სიმართლის მთქმელისგან.

☺ ცხოვრებაში გაგვეტანოს ერთმანეთი, მანქანით კი არა.

☺ შეგვეგნოს, რომ ნაძვის ხის მოჭრა ზოგჯერ თავის მოჭრას უდრის.

**რომან ზუკაკიშვილი,**
**საგარეჯოს რაიონი, სოფელი პატარძეული**

## 3. შეუსაბამობა



ერთ ჩემს ქუთაისელ ნაცნობს არცთუ ისე მსუბუქი დანაშაულისთვის ასამართლებს. სახაზინო წესით დაქირავებულმა ადვოკატმა თავდაპირველად განსასჯელის მხარე დაიჭირა, შუა პროცესისას ორჭოფობა დაეტყო, შუალედურ პოზიციაზე გადავიდა, ხოლო სასამართლო პროცესის დამამთავრებელ ეტაპზე რომ დარწმუნდა, მსჯავრდებულს ვერაფერს უშველიდა, სულაც მართლმსაჯულების მხარეს გადაინაცვლა...

აღშფოთებულმა მსჯავრდებულმა რამდენჯერმე დააპირა პროტესტის გამოხატვა, მაგრამ სასამართლოს თავმჯდომარემ არ დააცადა და მხოლოდ განაჩენის გამოცხადების შემდეგ მისცა სიტყვის უფლება:

— ბევრს არაფერს ვიტყვი, — ნაღვლიანად მიუგო უკვე სასჯელმიღებულმა, ხელით ადვოკატზე მიანიშნა და დასძინა: — მარტო ეგ გამაგებინეთ, ეს კაცი რა ფუნქციას ასრულებს აქანა... რობერტო კარლოსის არ იყოს, დამცველია, ნახევარმცველი თუ თავდამსხმელი?!

**რევაზ ნიჟარაძე, თბილისი**

## 4. ამბავი ვეფხვისა და „ამბროსოვიჩისა"



ჩვენს ქალაქში ცხოვრობს ერთი საკმაოდ ცნობილი პერსონა, ადრე სამშენებლო სამმართველოს უფროსად მუშაობდა და იმდროისათვის მიღებული ჩვეულებისამებრ ყველა მამის სახელით, „ამბროსოვიჩით" მიმართავდა. ჩამოჰგავდა კიდეც მაშინდელი მთავრობის მეთაურს თეთრი თმით.

როცა სიმსუქნე მოეძალა, შაბათ-კვირას ველოსიპედით დაიწყო სტადიონზე სავარჯიშოდ სიარული. ერთხელაც დილით ადრე მისულმა დაინახა, რომ სტადიონზე ცირკის არენა მოეწყო უკრაინიდან საგასტროლოდ ჩამოსულ დასს.

ამბროსოვიჩმა ნელი ტემპით დაიწყო სირბილი ბილიკზე. როცა გაუსწორდა იმ ადგილს, სადაც ცხოველთა გალიები იდგა, ცოტა შეეშინდა, მაგრამ სირბილი არ შეუწყვეტია. უცბად დილის ბურუსში ნათლად დაინახა ბალახში ჩაწოლილი ვეფხვი.

თავზარდაცემული ელვისებურად გადაევლო სტადიონის საკმაოდ მაღალ გალავანს და უკანმოუხედავად გაიქცა.

როცა თავი სამშვიდობოს დაიგულა, ველოსიპედი გაახსენდა და უკან მობრუნდა, კარგად დაათვალიერა „საშიში" ადგილი და... იქ, სადაც წეღან ვეფხვი იწვა, ახლა ზებრა იცოხნებოდა.

გული იმით დაიმშვიდა, არავის დავუნახივარო!

სადილობისას ვილაცამ დაუძახა, გაიხედა ფანჯარაში და დაინახა მთელ ქალაქში ენაკვიმატობით ცნობილი, მისი ბავშვობის მეგობარი კიკილო. ამბროსოვიჩს გულმა რეჩხი უყო და მეუღლეს სთხოვა, გაეხედა სტუმრისთვის. ცოტა ხანში გაკვირვებული მეუღლე უკან დაბრუნდა, თან ცირკის ორი ბილეთი მოიტანა. კიკილომ მთხოვა, საღამოს ცირკში წაიყვანე ამბროსოვიჩი, იქნებ ზებრა და ვეფხვი ერთმანეთისგან გაარჩიოსო.

დღესაც ვერ მიმხვდარა ამბროსოვიჩი, საიდან გაიგო კიკილომ მისი „მარცხის" ამბავი.

**ბეჟან კაცაძე, სამტრედია**

## მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



**5. ნაზიკია ჭიჭიკიას:**

— იცოდე, ამ ზამთარსაც თუ არ მიყიდი შუბას, გავცივდები, ანთება დამემართება, მოვკვდები და ჩემი დამარხვა უფრო ძვირი დაგიჯდება!

— სამაგიეროდ, დევისვენებ!..

**ენგული იობაძე, ფოთი**

## გამოვლინდა კურიოზების კონკურსის დეკემბრის თვის სამი გამარჯვებული

**პირველი ადგილი და პრემია — 50 ლარი** წილად ხვდა თბილისელ **ანდრო ჩაჩანიძეს** კურიოზისთვის **„ყოჩაღ, შვილო!"**

**მეორე ადგილი და პრემია — 30 ლარი** დაიმსახურა კურიოზმა **„ჩექმა"**, რომლის ავტორი თბილისელი **ეკა ჩუბინიძეა**.

**მესამე პრემია — 20 ლარი** გადაეცემა თბილისელ **თეიმურაზ ვარდოსანიძეს ანეკდოტისთვის მაროზე**, რომელიც კროსვორდის შევსებისას „გაიჭედა" და მიხოსგან „სასარგებლო" რჩევა მიიღო..

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრემიების მისაღებად ველით რედაქციაში ხუთშაბათს, 12 იანვარს, 17 საათზე.

კურიოზების კონკურსი გრძელდება და მასში მონაწილეობის მიღება ყველა მსურველს შეუძლია.

## ყურადღება!
## კონკურსი

მიანიჭეთ პრემია საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ავტორს. თუ რომელიმე კურიოზმა ან ანეკდოტმა თქვენი მოწონება დაიმსახურა (ყველაზე მეტად), აღნიშნეთ მისი ნომერი ქვითარში და გამოგვიგზავნეთ. თქვენი ხმა არ დაიკარგება და თვის ბოლოს გადაწყვეტს გამარჯვებულის ვინაობას. ხმები დაითვლება და თვის განმავლობაში ყველაზე მეტი ხმის მფლობელი კურიოზის/ანეკდოტის ავტორი მიიღებს — 50 ლარს, მომდევნო — 30-ს, III ადგილზე გასული კი — 20 ლარს.

*ეს ქვითარი „კვირის პალიტრის" („სიტყვა და საქმის") საფოსტო ყუთში უნდა მოათავსოთ რაიონებში ოთხშაბათს, 11 იანვრის 11 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათს, 12 იანვარს 13 საათამდე.*

**კურიოზების კონკურსი**

საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ნომერი

____________________

____________________

____________________

თქვენი სახელი, გვარი

**კვირის პალიტრა №2**


## თავგადასავლების მოყვარულთათვის





## ·ფოტოპალიტრა·

გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.

რას დაარქმევდით?

____________________

____________________

____________________

____________________

თქვენი სახელი, გვარი __________

ქალაქი (რაიონი) __________



გოკა გაბაშვილი, გიგა ბოკერია

## მილოცვა



**ნინა მახარაძეს!**

დეიდა, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ტკბილ და ხანგრძლივ სიცოცხლეს თქვენი ოჯახის საიმედოდ.

*ცისმამი, რომანი, ოჯახით*

**მანანა ჯიქიას!**

ჩვენს საყვარელ მძახალს ქ-ნ მანანას ვულოცავთ დაბადების დღეს და შობა-ახალ წელს! იხარე და იბედნიერე, შენს ტკბილ ოჯახთან ერთად.

*ნონა და ტრისტან ჭაჭუები*



**თაკო თხილაიშვილს**

ოქროს დაბადების დღეს – 8 იანვარს ულოცავენ

*ბებია ამალია, მამიდა ლელა, მამიდაშვილები – მირანდა და დინა ჯაველიძეები*



**ხვიჩა ძაძამიას!**

კაშკაშა ვარსკვლავების, თეთრი ბილიკების, ლურჯი ყინულის თვეს დაბადებულო ხვიჩა ძაძამიავ, გილოცავთ გაჩენის დღეს! არ მოგშლოდეს იუმორის გრძნობა და ღიმილი. მუდამ მუხასავით ახოვანი, ძელქვასავით ძლიერი და საინტერესო ურთიერთობების განწყობილებაზე ყოფილიყავი!

*მეგობრები*

## მადლობა

ონკოლოგიური განყოფილება „ქირონის“ დირექტორს, მამოლოგ **მიშა ჯანჯალიას** მადლობას ვუხდი იმ გულისხმიერებისა და პროფესიონალიზმისთვის, რომელსაც პაციენტების მიმართ იჩენს. ვულოცავ შობა-ახალ წელს, ვუსურვებ წარმატებებს პირად ცხოვრებასა და საქმეში, რომელსაც ღირსეულად ემსახურება. ასევე, მადლობას ვუხდი „ქირონის“ მთელ კოლექტივს იმ თბილი დამოკიდებულებისთვის, რომელსაც პაციენტების მიმართ იჩენენ.

*პაციენტი ირმა კუჭუხიძე*

მადლობას ვუხდი დიდუბის რაიონის პოლიციის უფროსს – ბატონ **ზურა ფერაძეს**, უბნის ინსპექტორებს – ბატონ **ზურა მეფარიშვილს**, ბატონ **კახა ფავლენიშვილს**, მეზობლებთან ხანგრძლივი დავის მშვიდობიანად დარეგულირებაში დახმარებისთვის. ვულოცავ მათ ახალ წელს, ვუსურვებ წარმატებებს პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

*პატივისცემით, ქ-ნი იზა ცერცვაძე*

## ბინები

იყიდება 1-ოთახიანი, სუფთა ბინა, ბ/აირით, ტელეფონით, სველი წერტილებით, მე-8 სართულზე. მის: ელიავას ქ. №26, I კორპ. I სად. მე-8 სართ. ფასი – $20.000. ტელ: 34-03-67; 899 72-93-71. ნინო, ლია

იყიდება რუსთავში 4-ოთახიანი ბინა V სართულზე, ევრორემონტით და ავეჯით, აივნით, სარდაფით, რკინის კარით, მ/ცივი და ცხელი წყლით, წყლის საქაჩი ტუმბოთი, 800-ლიტრიანი უჟანგავი ლითონის ავზით სახურავზე, 100-ლიტრიანი „არისტონის“ ავზით და „კარმის“ გაზის გამათბობლით; აბაზანა-სამზარეულო კაფელ-მეტლახით, გერმანული სამზარეულო ჩაშენებული გერმანული მაცივრით, ბ/ა და ჭურჭლის სარეცხი მანქანით, გერმანული საძინებლით და სამეულით, რუმინული მისაღებით და მე-2 საძინებლით, კაბინეტით, ტელეფონით, საკაბელო ტელევიზიით, სიგნალიზაციით, სააგარაკე ნაკვეთით. ფასი $25.000. მის: რუსთავი, მე-20 მ/რ. ტელ: 899 19-57-61; 899 56-79-23

ქირავდება 3-ოთახიანი ახალგარემონტებული კუთხის მზიანი ბინა 8(8) ლოჯიით, ტელეფონით, ცხელი წყლით, გათბობით საბურთალოს ბაზრის ახლოს, კანდელაკის ქუჩის დასაწყისში. ლიფტი მუშაობს. ფასი $.300. ტელ: 899 51-00-43; 37-72-70; 38-69-98 (17 სთ-ის შემდეგ)

## გთავაზობთ სამუშაოს

18-დან 25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას გერმანიაში, ავსტრიასა და საფრანგეთში, ერთი წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

სამსახური ექიმებისათვის! მუდმივ სამუშაო ადგილზე გვესაჭიროება: 2 პედიატრი, 2 თერაპევტი, 1 გინეკოლოგი მაღალი ანაზღაურებით. შესაძლოა შეთავსებაც. ტელ: 96-62-58; 899 14-64-95

ფირმის ოფისში გვაქვს რეალური ვაკანსიები კვალიფიკაციის მიხედვით. მენეჯერები სტაჟირებას გაივლიან მსოფლიოს 51 ქვეყანაში, საკუთარი სურვილით, ფირმის ხარჯებით და პროფილით. ანაზღაურება გამომუშავებით – 400-600 ლარი ან სტაბილური $200-დან ზევით. ტელ: 899 76-68-50. ბ-ნი დიმიტრი. მის: დიდუბე, სამთო ქიმია, I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38

შპს „ჯორჯმაინინგ კომპანის“ (სამთო-მომპოვებელი კომპანია) ესაჭიროება გამოცდილი ბურღვის ოსტატები (საბურღი დაზგა УГБ-3 УК), ბურღვის ოსტატის თანაშემწეები და სინჯის მრეცხავები. მუშაობა წარმოებს მდ. ხრამისა და ცხენისწყლის ხეობებში. დაწვრილებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ: (822) 44-11-68; 44-11-72

მსხვილ კომპანიას ესაჭიროება პროფესიონალი პედაგოგები, თადარიგის ოფიცრები, მწვრთნელები, ყოფილი და მოქმედი სასწავლო ნაწილის გამგეები, სკოლის და უმაღლესი დაწესებულების დირექტორები, პირები, რომელთაც აქვთ ხელმძღვანელი მუშაკის გამოცდილება როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო მეწარმის თანამდებობებზე. შესაძლოა შეთავსებაც. ტელ: 7-28-44, მხოლოდ – 11-15 სთ. (ქუთაისი)

მუდმივ სამუშაო ადგილზე გვესაჭიროება ექიმები, არანაკლები 5 წლის მუშაობის გამოცდილებით. შესაძლოა შეთავსებაც. ტელ: 893 74-15-16

მსოფლიო სავაჭრო ცენტრს ესაჭიროება თანამშრომლები ადგილობრივი კადრებიდან. ასაკი შეზღუდული არ არის. გვაინტერესებს წარმომადგენლები რეგიონებიდანაც. შესაძლებელია სხვადასხვა პროფესიის ადამიანის დასაქმება. ანაზღაურება მაღალია. მის: ვაჟა-ფშაველას 16, მშენებლობის სამინისტროს შენობა, XIII სართ. ოთახი 17, 13-14 სთ, კვირის გარდა. ტელ: 51-73-08; 893 33-18-86. გოჩა

ყურადღება! გთავაზობთ საოფისე სამსახურს ორგანიზატორული ნიჭის მქონე პირებს. მუშაობა – თავისუფალი გრაფიკით, ანაზღაურება – გამომუშავებით. მოთხოვნები: უ/გ, ასაკი 25-55 წ, რუსული ენის ცოდნა. ტელ: 31-42-53; 898 14-12-72

## მომსახურება

აგიკრებთ ნებისმიერი სახის ტექსტს, სწრაფად, ხარისხიანად. დაგიმზადებთ ბლანკებს, დოკუმენტებს. 1 გვერდის ფასი – 50 თ. ტელ: 34-32-79; 893 96-00-42

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ინდივიდუალური ნემსით, მორჩენის გარანტიით. ფასი: 1 სთ – 12 ლარი. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, კორპ. 9. ბინა 109. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

კოსმეტოლოგი გთავაზობთ ეპილაციას ვოლფრამის ინდივიდუალური ნემსით, გალიზიანების გარეშე, მორჩენის გარანტიით. 1 სთ – 6 ლარი. აგრეთვე გთავაზობთ სახის კანის გაწმენდას და მალამოებს. მის: მ. „სამგორთან“, ხარაბაძის ქ. №43ა. ტელ: 77-61-64; 893 96-91-30. ნონა

## მკურნალობა

მთლიანი ორგანიზმის უმაღლესი და უზუსტესი ფუნქციონალური, კომპიუტერული დიაგნოსტიკა (30 ლ), კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლული, ცისტიტი, ქოლეცესტიტი, კოლიტი, ბუასილი (შედეგი პირველსავე დღეებიდან), ქალური და მამაკაცური პრობლემები, ნერვული და ენდოკრინული სისტემის მოწესრიგება. ეფექტი პირველსავე დღეებიდან. მიღება ჩაწერით. ტელ: 32-39-46; 899 43-97-34. ექიმი ნათია

წინაპართა მეთოდებით, სამკურნალო მცენარეებსა და თეთრ მუმიოზე ვამზადებ მალამოებს, ხსნარებს. ვმკურნალობ: ოსტეოქონდროზს (მარილებს), სახსრების ანთებას, რადიკულიტს, სამწვერა ნერვის ანთებას, ჰაიმორიტს (ასევე უმძიმეს დაავადებებს), დისკოზს, ართროზს. მის: თევდორე მღვდლის №48. მე-4 სად. მე-8 სართ. 56-37-37; 899 54-64-81

ალკოჰოლისა და თამბაქოსგან სწრაფი გათავისუფლება, კრემლის ლაბორატორიის მცენარეული პრეპარატებით, რომელიც ხსნის ნაბახუსევის სინდრომს, აგრესიას, დეპრესიას, აწესრიგებს ძილს, წმენდს ღვიძლს, თირკმელს, ნაღვლის ბუშტს და იცავს ორგანიზმს შემდგომი გართულებებისგან. მკურნალობა აბსოლუტურად უსაფრთხოა და შესაძლებელია პაციენტებისგან ფარულად. ტელ: 893 96-50-32 მაია; 93-44-25 (11-17); 96-34-51 (საღამოს)

ალკოჰოლიზმის მკურნალობა კრემლის ლაბორატორიის მაღალხარისხიანი, მცენარეული, ლიცენზირებული პრეპარატებით, შესაძლებელია პაციენტისგან ფარულადაც – ანტიალკოჰოლური წვეთებით; ასევე „პახმელიის“ მოხსნა, ნევროზი, აგრესია, დეპრესია, ფსორიაზი, ენურეზი (შარდის შეუკავებლობა), ღვიძლის და ნაღვლის ბუშტის პრობლემები, ბავშვების სიმაღლეში მომატება (აკად. ლიხარევის მეთოდით). სიახლე – გახდომა დიეტის გარეშე. ტელ: 893 35-45-35; 93-44-25. მაკა ექიმი

ალკოჰოლიზმი, „პახმელია“, აგრესიულობა, ნევროზი, გასტრიტი, წყლული, ქოლეცესტიტი, ვირუსული და ქრონიკული ჰეპატიტები, ნაწლავთა დისბაქტერიოზი, მეტეორიზმი, კოლიტი, შეკრულობა, ჰემაროი (ბუასილი). პრეპარატები არის მცენარეული, სერტიფიცირებული, მაღალეფექტური და აბსოლუტურად უსაფრთხო, არაჰორმონული. ტელ: 99-75-90; 899 22-63-90. ნინო ექიმი

ალკოჰოლიზმის თერაპიული მკურნალობა კრემლის ლაბორატორიის მაღალხარისხიანი, მცენარეული, ლიცენზირებული პრეპარატებით; ქრონიკული ალკოჰოლიზმი, ალკოჰოლური ფსიქოზები – თეთრი ცხელება („белая горячка“), „პახმელიის“ სინდრომის მოხსნა, ღვიძლის ალკოჰოლური დაავადებები და სხვა გართულებები. აგრეთვე ჰეპატიტები, ნევროზები, შიშები, უძილობა და სხვა დაავადებების მკურნალობა. მკურნალობა შესაძლებელია პაციენტისგან ფარულადაც. ტელ: 99-75-90; 899 36-65-34. ნანა ექიმი

ალკოჰოლიზმის მკურნალობა (პაციენტისგან ფარულადაც), „პახმელიის“ მოხსნა – ნევროზი, აკვიატება, შიში, დეპრესია, უძილობა, ბუასილი, (სისხლმდენი, ქავილი, ქავილი), კოლიტი, ფსორიაზი, სოკო, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლული, წითელი ქარი, ჰაიმორიტი. პრეპარატები დამზადებულია მოსკოვში. ექიმის მიერ აყვანილი პაციენტის განკურნება გარანტირებულია. ტელ: 899 21-13-66; 68-92-77. ლალი

სხვადასხვა მეთოდით: უძილობა, შიში, შფოთი, ნერვიული აღგზნებულობა, დეპრესია, სუნთქვის გაძნელება, ძლიერი პულსაცია, საყლაპავში ბურთის შეგრძნება, კლიმაქსი, კოშმარული სიზმრები, აგრესია, აკვიატებული აზრები და ქმედებები, ეჭვიანობა, თვითმკვლელობის სურვილი, პესიმიზმი, თავბრუსხვევა, თავის ტკივილები, მეხსიერების დაქვეითება, სამწვერა ნერვის ანთება. ტელ: 899 49-84-23. ნონა

რუსეთის ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებული მკურნალობს კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულს (სისხლდენით და ძლიერი ტკივილითაც), ფუტკრის პროდუქტებისაგან დამზადებული პრეპარატებით, 100%-იანი გარანტიით. მის: ქ. ახმეტა, ყაზბეგის ქ. №72. ტელ: 8 249 2-09-22; 899 48-91-05. მიხეილი

მამაკაცების საყურადღებოდ! გილოცავთ შობა-ახალ წელს და გისურვებთ პოტენციის გაძლიერებას: პროსტატიტი, ერექციის დაქვეითება, პენისის ანთება, სპერმის ნაადრევი და უნებლიე გამოყოფა, ხშირი შარდვა, წვა, შარდის შეკავება და შეუკავებლობა, სოკოვანი დაავადება, კონტაქტის შიში, ინფექციები, სხვადასხვა დაავადება. ტელ: 899 49-84-23. ნონა

მთლიანი ორგანიზმის ზუსტი კომპიუტერული გამოკვლევა ფუნქციონალურად. დაავადებათა გამოვლინება საწყის ეტაპებზე (ფასი 30 ლარი). კუჭ-ნაწლავის, გულ-სისხლძარღვთა (წნევების), ჩიყვის და დიაბეტის, ქალური, მამაკაცური, ნერვული სისტემის, სიმსუქნის, მოზარდებში სიმაღლეში ზრდის, ჩამორჩენის და ყველა შესაძლო პრობლემის დროული გამოვლინება და მკურნალობა. მის: ვაჟა-ფშაველას №47, II სართ. კაბ. №27. ტელ: 877 45-78-39; 96-66-49. ქ-ნი ბელა; 893 16-70-76; 92-39-44. ბ-ნი ზვიადი

საგვარეულო ხსნარებითა და მალამოებით თმის დაავადებების მკურნალობა (ბუდობრივი ცვენით), ამოდის თმა; თმის ძირების გამოკვლევა აპარატით, ტილებისა და წილების მოსპობა, კანისა და ფრჩხილების სოკო, ფსორიაზი, ეგზემა, ლაქების მოცილება, ოფლის მალამო; ღრძილების, ჭრილობების, გამონაყარის, ქუსლებზე ნახეთქების მკურნალობა; მასაჟი აპარატით, გარანტიით. მის: ვაჟა-ფშაველას 47, II სტომატოლოგიური პოლიკლინიკა, II სართ. ოთახი 28. ყოველდღე, 11-18 სთ. ტელ: 39-39-51; 893 91-89-17; 35-32-62. ბიოლოგი მჭედლიძე-ბეგაშვილი

გთავაზობთ: 1. კუჭ-ნაწლავის და ორგანიზმის გაწმენდას წიდების, ტოქსინებისა და მარილებისაგან; 2. ნივთიერებათა ცვლის აღდგენას, იმუნიტეტის ამაღლებას, 3. წონაში დაკლების და შენარჩუნების „კომპლექსურ პაკეტს“; 4. სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდას ქოლესტერინისაგან; 5. ბავშვებისთვის ნატურალურ ვიტამინებს, რომელიც ხელს უწყობს ორგანიზმის ზრდა-განვითარებას და აუმჯობესებს მეხსიერებას. ტელ: 893 10-81-17

მეჭეჭებისა და სხვა ხორცმეტების: პაპილომების, კონდილომების, მოლუსკების მოცილება სახეზე, თვალებთან, კისერზე, იღლიების ქვეშ, ტანზე – უმტკივნეულოდ, ნაკვალევის გარეშე. ეფექტი გარანტირებულია. მკურნალობს კვალიფიციური სპეციალისტი – რუსუდან საყვარელიძე. ტელ: 39-00-70; 899 56-96-61

## ვასწავლი

კომპიუტერული სტუდია – „დაჯი-კომპიუტერი“ გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის“ უკან). ტელ: 98-44-20; 899 14-03-31

ვასწავლი საოფისე პროგრამებს, ინდივიდუალურად. ტელ: 34-32-79; 893 96-00-42

ავტოსკოლა ამზადებს ყველა კატეგორიის მძღოლს. სკოლა უზრუნველყოფილია ყველანაირი მარკის მსუბუქი და სატვირთო მობილით. მის. ლ. ასათიანის ქ. №28. მუხიანის დასახლება, I მ/რ, II კორპ. ტელ: 99-53-24; 64-02-10; 899 14-14-84

ვამზადებ უნარ-ჩვევებსა და ფიზიკა-მათემატიკაში. ვარ პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი. ტელ: 37-38-10

ხარისხის მქონე ლექტორი ამზადებს აბიტურიენტებს ინგლისურში, ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში ჩასაბარებლად – ეროვნული გამოცდებისათვის. ტელ: 899 53-10-08

დამთავრებული მაქვს თსუ ასპირანტურა. მოვამზადებ აბიტურიენტებს და სკოლის მოსწავლეებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში. ფასი: $60. ტელ: 37-98-13; 899 97-01-49

## იყიდება

ა/მ „ბმვ 25“, პლიტა ძრავით, 1993 წლის, ახალი განბაჟებული, საქართველოში არ უვლია. ფასი $5000. ტელ: 899 40-39-80; 39-25-77

მხოლოდ ახალი (მეორადი არ არის!) ტანსაცმელი ქალის, მამაკაცის და ბავშვებისთვის – საზამთრო კოლექცია, დაბალ ფასებში. მის: წერეთლის გამზ. №118 (სამტრედიის ქუჩის კუთხეში, გაჩერებასთან). ტანსაცმლის მაღაზია, 10-19 სთ, კვირის გარდა. ტელ: 899 17-77-46

სმენის აპარატები შეღავათიან ფასად, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით; აგრეთვე ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები გარანტიით. ტელ: 95-95-22 (10-12 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ); 899 27-38-99

იონიკა. მოდელი: KORG T2, 16.1/2 ოქტავიანი, 16-არხიანი + ფლოპ-დისკოვოდი, თავისი კეისითა და სახელმძღვანელოთი, კარგ მდგომარეობაში. ტელ: 899 53-11-94

სასწრაფოდ! მაგიდები და სკამები სასადილო ოთახისათვის, იაფად! ტელ: 877 78-60-87; 35-11-13

ტყავის სამეულები. ტელ: 877 78-60-87

Щенки Кавказской овчарки, отличное родословие. Тел: 26-58-85

ახალი კორეული ციფრული სატელიტური ანტენა. აჩვენებს ყველგან: ქალაქში, სოფელში, აგარაკზე, მთაში, აგრეთვე საზღვარგარეთ. არხების რაოდენობა 100-600-მდე ევროპული, 1-დან 4-მდე ქართული, 5-20-მდე რუსული. ფასი $100-დან $120-მდე. მხოლოდ 30 რუსული არხი. კომპლექტის ფასი – $180. მონტაჟი – 50 ლარი. ტელ: 899 94-27-04

## შევიძენ

ნაფეტვრებში მიწის ნაკვეთს, სახლით, $2.000-4.000-ის ფარგლებში. ტელ: 899 53-11-94

ღია ბარათებს და ფოტოებს, გამოცემულს 1940-იან წლებამდე; წიგნებს თბილისზე და ზოგადად საქართველოზე, 1917 წლამდე გამოშვებულს. ტელ: 899 24-04-22. მირიანი; 98-21-37 (გვიან საღამოს)

## სხვადასხვა

სიახლე საქართველოში! „გაცნობის და დაოჯახების ცენტრი“ გთავაზობთ 700-ზე მეტი გაცნობის ან დაოჯახების მსურველთა ფოტოს და სრულ პირად მონაცემებს, 18-დან 70 წლამდე. დაგეხმარებით შეგირჩიოთ და გაგაცნოთ სასურველი პიროვნება, რათა თავი დააღწიოთ მარტოობას, შექმნათ ბედნიერი ოჯახი და ცხოვრება გაიხალისოთ. მოგვმართეთ, ანონიმურობა გარანტირებულია. მის: თბილისი, კოსტავას ქ. №14. II სართ. ოთახი 210 (შესასვლელი ჭოველიძის ქ. 2-დან). ტელ: 93-49-72; 899 56-32-59

საერთაშორისო კომპანია გთავაზობთ საინფორმაციო საქმიანობას უახლესი ტექნოლოგიებისა და ეფექტური მეთოდების ბაზაზე, რითაც ადგილობრივ კადრს (რეგიონებიდანაც) ეძლევა საშუალება, მოიძიოს ზრდადი თანხები მუდმივი ჰონორარის მიღწევით, რომლის მემკვიდრეობით გადაცემა შეუძლია. ინფორმაცია უფასოა. ტელ: 38-15-64; 899 38-10-01. ელ.ფ. teona74@caucasus. net.

ოჯახს ესაჭიროება დამხმარე, 40-45 წლის ქალბატონი. არ უნდა იყოთ ქმარშვილიანი, რადგან ბინა კვირაობით იქნება თქვენს მფარველობაში. ხელფასი 150 ლარი. ტელ: 899 24-04-22. მირიანი; 98-21-37 (გვიან საღამოს)


გაორმაგებული ძალით!
„სიტყვა და საქმე“ –
ერთ გაზეთში –
ორ რვეულად!




ორჯერ უფრო ეფექტური და
ორჯერ უფრო მოსახერხებელი!



### ირინა თევზაძის მონატრებას!

ირინა! 13 იანვარს 16 წლის გახდებოდი. 5 თვეა, ჩვენ გვერდით არ ხარ, ჩვენო ანგელოზო, ჩვენო ტკივილო და მოუშუშებელო იარავ. 5 თვეა, ჩვენს თვალებს ცრემლი არ შეშრობია. ირინა! მოვალთ შენს საფლავზე შენი მშობლები, ბებოები, ახლობლები, კლასელები, სანთლებს დაგინთებთ და ვილოცებთ შენი ლამაზი სულისთვის.

ძალიან, ძალიან გვენატრები.

*შენ ანგელოზის დაგატყდა ფრთები, ფერიასავით გამოგვეცხადე.*
*ჩემო ირინა, მაინც ვერ ვხვდებით, ასე ოილად რატომ დაგვტოვე.*
*შენს საფლავს ზევით ალევს ნათელი, ჩვენი ცრემლებით ვახარებთ ვარდებს,*
*დაილევიდეს ცრემლით სანთელი, გატანჯულები მუდამ რჩებით დარდებს.*
*შენ ანგელოზის დაგატყდა ფრთები!*

*მონატრებული მშობლები*

### ბელა გამგებელი-ლაფაჩის მონატრება



ჩვენო საყვარელო ბელა, 8 იანვარს ერთი წელი გავიდა, რაც თვალცრემლიანები დაგვტოვე. საშინელებაა იმის გააზრება, რომ ველარასოდეს გნახავთ. ვთომ ვეცდებით ბელას სიმწარეს, მაგრამ ეს მოჩვენებითია. ბელა, შვილო, გვიმძიმს უშენობა შენს დედებს და დეიდაშვილებს, ახლობლებს, შენს საბრალო მშობლებს, რომლებსაც აღარაფერი ახარებთ, თვალცრემლიანები დადიან. ფრთამოტეხილი დატოვე შენი ერთადერთი ძმა და რძალი. ქანტრები ძმისშვილებს, რომლებიც მოდიან შენს საფლავზე და სანთლებს გინთებენ. ფრთამოტეხილი დატოვე ერთგული მეუღლე და შვილები – მარი და ჯიძი, რომლებსაც ახლა სჭირდებოდა შენ და შენი მოფერება, შენი ცოლის გადაცემა.

ოცდამეთე ზამთარი ძალიან მკაცრი გამოდგა შენთვის – უეცარმა თავის ტკივილმა იმსხვერპლა შენი ლამაზი სიცოცხლე. უფალს ვთხოვთ, ნათელში გამყოფოს შენი ლამაზი სპეტაკი სული.

*შენი დეიდები, დეიდაშვილები*



### ვახტანგ (ხუშუტი) კაკაჩიას ხსოვნას!

ნანა შვილო, სიმწარე ვამიძრას – ამას ვთხოვდი მთელი ცხოვრება ღმერთს, გული თუ მგრძნობდა. რა მწარე ყოფილხარ, რა მოუშუშებელი ჭრილობა, რა მოურჩენელი ტკივილი, ჩემო სიკვდილის შვილო, ჩემო ოჯახის გაზრდილო, ჩემი წელებიისა და ჯაფის გამართლებელო, ჩემი შვილების, გვარისა და ნათესაობის, ამხანაგებისა და მეგობრების სიამაყე, ჩემო საამაყო და სასახელო შვილო. მე და შენ, მარტო მე და შენ ვართ და ვიცით ის დიდი სიყვარული, რაც ჩვენს დედაშვილობაშია, რა გადაგვიტანია, რისთვის გვებრძოლია, როგორ შევეჭიდეთ ცხოვრებას. შენც დაუზარელი და თავდაუზოგავი იყავი შრომასა და ჯაფაში, საკუთარ თავს არ ზოგავდი, საკუთარ ჯანმრთელობას. მე მხოლოდ ცოტა დასვენებას და თავის მოფრთხილებას გთხოვდი, მე სოფელში გამიძიში, შენ კი სამუდამოდ წახვედი ჩვენგან, წახვედი და წაილე ჩემი სული, ცეცხლი დამიტოვე გულში, ჩაუქრობელი და მოურჩენელი, შენს საფლავზე მოსვლის და იქ ტირილის ნატვრა. მემელე შობას შევხვდით უშენოდ, უშენოდ შენი ოთხი შვილიშვილი მოვლენია ქვეყანას, შენი სახელისა და გვარის კაცი გვეზრდება, ჩემი პირველი შვილიშვილის შვილსაც ვუნახავ, კიდევ ერთი შვილიშვილის შვილს ველოდები. ესენი ცდილობენ ჩემი დარჩენილი ცხოვრების გალამაზებას, თვალებში მიყურებენ და ტკივილის შემსუბუქებას ცდილობენ. ვერავინ შეავსებენს ადგილს ჩემს გულში, მათი ცხოვრება შენი გვარისა და სისხლის, შენი ცხოვრების გაგრძელება და სიცოცხლის უწყვეტობაა, მაგრამ ჩემი გული უშენოდ ცარიელია, ჩემი ცხოვრება უშენოდ უმიზნო და უხალისოა, კაცი სიცოცხლეს ვერ მოისწრაფებს, 90-ს გადავაბიჯებ მალე, ვიცი, ღმერთი არ გამწირავს, იმედი მაქვს, გნახავ და ერთად ვიქნებით სამუდამო უსასრულობაში. მანამდე კი ისევ დაგრჩენია, გენატრები და ვიტირებ ჩემთვის, ჩუმად, გულში, მაშინაც, როცა ვიცინი, როცა პატარა სიცოცხლეებს ვუთამაშებ. ღმერთმა შენი ნაგრამი დალოცოს და ადღეგრძელოს, შენი სული აცხონოს და გაანათლოს. მე კი სანამ პირში სული მიდგას, გენატრებ და შენზე ვილოცებ.

### გიო ჩიქვანაიას ხსოვნას!



ორმოცი დღეა, მარადიულმა სუფევამ მიიბარა შენი კეთილი სული. მოულოდნელ დაკრძალვის დღეს შზიანი და თბილი ამინდი იდგა. გულწრფელი ცრემლებით დაგიტირა ყველამ. პონების და ქრიზანთემების ზღვაში ჩაიძირა შენი სხეული. რა მუხანათი ყოფილხარ, სიკვდილო, – გწირა სახეზე 13 დღე ებრძოდი სიკვდილს, გაფართოებული და გაოგნებული თვალებით შესცქეროდი მახვილებს, უწყვეტ ნაკადად რომ მოდიოდნენ შენთან. მათ წუთებშიც ცდილობდი გალიმებას. მოსასალმებლად აღმართული ხელები მოწყვეტით ეშვებოდა საწოლზე როგორ გვეძრო, გვიქა თქვენც ერთი, უკანასკნელი სიტყვა უთქმელად დაგვტოვე. როგორ გვეგონა, რომ გიშველიდით. ვერ შევძელით. გარინდა წამი. ჩაქრა კიდევ ერთი კეთილშობილი სიცოცხლე. ვერავინ მოისმენს შენს საოცარ იუმორს, ვერავინ მიიღებს შენს კეთილ რჩევა-დარიგებებს და უანგარო დახმარებას, ასე უშურველად რომ ურიგებდი ყველას, თითქოს ვალდებული ყოფილიყო შენი. შენს ახალგაზრდობის სურათს ვაქცევენ – იმედიანი, როდესაც სიცოცხლით სავსე, ამაყი და ბედნიერი ბიჭი იყავი, რომ არა ის საბედისწერო კატასტროფა, რომელმაც ძირეულად შეცვალა შენი ცხოვრება და დიდი ხვედა და ნაღველი გატარებინა სიცოცხლის ბოლომდე. წახვედი და დატოვე საოცარი სიყვარული. ძალიან ძნელია უშენოდ ცხოვრება. როგორ გავუძლოთ?

ღმერთმა ნათელში გამყოფოს, ძმაო. მსუბუქი იყოს შენთვის ქართული მიწა.

*დავითი, ეთერი, ანა, თინათინი*



### მამუკა გუგავას მონატრება

ჩვენო საყვარელო მამუკა, ძალიან გვენატრები. როგორ გიყვარდა სიცოცხლე, სითბო, უცდილოვ ყველა. რა ძნელია უშენოდ, როგორ უნდა შევხვდეთ შენს დაბადების დღეს – 11 იანვარს, ჩვენო სიცოცხლით აღსავსე მამუკა, ქვით აუწერელო ტკივილო. წარმოუდგენელია უშენოდ ცხოვრების გაგრძელება, მხიარულო, ჭკვიანო, მოსიყვარულე ადამიანო! შემზარავი იყო შენი ამ ქვეყნიდან მოულოდნელი წასვლის მწუხარება. ყველა გიყვარდა, ყველას უყვარდი, უშენობას შევეგუებით და შენი სულისთვის ვილოცებთ. ნათელში ამყოფოს უფალმა შენი სული.

### ნათელა თორაძის ხსოვნას!



ძნელია, ქალიდის თვირ სიწყნეს მოეროო... ვიხსენებთ და გვეძნელება ფიქრი – ერთადერთი ფიქრი შენ ხარ! დღეს სხვანაირია ყველაფერი... არასოდეს გვეგონა ასეთი მარტოობა, არასოდეს დაგვწყვეტია დედიკო, ასე გული... გულმა გიმტყუნა და ძალიან ლამაზი წაგიყვანა სიკვდილმა... დღეს სიცივე და ტკივილი გვეუფლებს ძვლებს, ასე გვგონია, უშენოდ ვერც გავუძლებთ. სათქმელიც სიტყვის მაგივრად ცრემლად მოდის... ბევრის თქმა ვერ მოვასწარით, ბევრი მოფერება დაგაკლეთ. ახლაც თითქოს რაღაცას ვაკლებთ სათქმელს. ჩვენს ტკივილს და შენს მონატრებას არასოდეს ექნება დასასრული, დედა...

*შვილები*

### დალი სეფიაშვილის გახსენება

ერთი წელი შეუსრულდა გუშინ, 8 იანვარს, გარდაცვალებიდან. ვერ მოვედი, ვერ მოვფერე შენს საფლავს, მაგრამ ვიცი, გამიგებ. ეს დღე ხომ ჩემი ნოდარიკოს დაბადების დღეა, შენ კი ამირიე დარდი და სიხარული ერთმანეთში. შორიდან გეფერები, ძალიან, ძალიან მიყვარხარ და მაკლია შენი თბილი მოფერება, შენი ალერსი, რომელსაც უზომოდ აფრქვევდი. შენი ვანო დაგავაჟკაცდება და გამრავლდება შენი ოჯახი. შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია. იძინე მშვიდად, ჩემო ნაძლევარა დალი დედა.

*შენი მარინა*

### ფარვიზი სამუშიას მონატრება



ერთი წელი გავიდა – ცრემლისა და მონატრების ერთი წელი. 12 იანვარიც მოვიდა, შენი დაბადების დღე. ოცის უნდა გამხდარიყავი, მაგრამ ვაი, რომ ვერ მოუსწარი, ჩვენო მოუშუშებელო დარდო და ტკივილო. უშენოდ ვულოცავთ ერთმანეთს შენი დაბადების დღეს, უსაშველოდ გვენატრები, ჩვენო ლამაზო და ჭკვიანო ბიჭო.

*მამიდა იზო, მამიდაშვილები – ჯემისი, შორენა და გულთამზე*




### შოთა და ლილი მჭედლიძეების მონატრება

12 იანვარს თორმეტი წელი სრულდება შენი გარდაცვალებიდან, მამა. უკურნებელმა სენმა წაგვართვა შენი თავი. ჩვენო გამრჯე და მშრომელო, ძალიან გვაკლიხარ შვილებს, მაგრამ მამა, ყველაზე მეტად შენს მეუღლეს დააკლდი, რომელმაც ცხრა წელი მარტო იცხოვრა – კრას არ გვაცილებდა და არც ერთ შვილთან არ წამოვიდა საცხოვრებლად.

უკვე მესამე წელია, დედამაც დაგვტოვა და დაგვრჩა მხოლოდ მოგონებები. ალბათ თქვენი სულები უკვე ერთად არიან, თქვენ ხომ ძალიან გიყვარდათ ერთმანეთი.

თვალცრემლიანი ვიგონებ და მენატრება ის დრო, როცა ყველანი ჩემთან ვიკრიბებოდით ახალ წელს. თურმე რა ბედნიერები ვყოფილვართ მაშინ.

გილოცავთ და გილოცავთ ახალ 2006 წელს. ძალიან გვიყვარხართ და გვენატრებით. მსუბუქი იყოს თქვენთვის, ჩვენო ძვირფასებო, მშობლიური მიწა. უფალმა ნათელში გამყოფოთ.

*თქვენი შვილები – ფატიზო, მედული, მალხაზი*

### ლადიკო ხუცურაულს!



ჩვენო უსაყვარლესო, დაუვიწყარო, მოუშუშებელო ტკივილო, დღეს 9 ივნისია, შენი დაბადების დღე. 26 წლის უნდა გამხდარიყავი, მაგრამ ისე უცებ დაგვრა ხელი უკურნებელმა სენმა, რომ ვერაფრით შევძელით დახმარება და ამ პირველ შენს დაბადების დღეს პირველად შენი ბიძაშვილი ბადრი ანთელიშვილი მოგილოცავს (ბადრის ზეციურ საქართველოში გადასახლებიდან ხომ 15 წელია).

ლადიკო შვილო, 9 თვე გავიდა, რაც შენი უსაზღვრო სიყვარული დააკლდა შენს მშობლებს, შენს ცალად დარჩენილ დას – ეკას და შენს ახლობლებს. შენს სურათებს უყურებენ ტანჯული მშობლები, ცრემლში ანთებს და ალამებს შენი უბედური დედა.

დიდი ტკივილითა და მონატრებით გილოცავთ დაბადების დღეს, ავანთებთ სანთლებს და ღმერთს ვთხოვთ, თბილი და მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის და ბადრისთვის მშობლიური ქიზიყის, სოფ. ტიბაანის მიწა, რომელმაც ნაადრევად ჩაგიკრათ გულში მშობლების მაგივრად.

*ბიძა კოლია, ბიცოლა ლეილა, ბიძაშვილი თეა – ანთელიშვილები; სიძე ირაკლი; ანი, ბადრი მახარაძეები*



### შალვა (ბაჩანა) ლაზუაშვილის გაუსაძლისი მონატრება

ჩემო სიცოცხლევ, შენი დაბადების დღე მოგილოცო, ისე როგორც ადრე, როცა ყველანი ბედნიერები ვიყავით. ახლა კი უშენობამ დიდი ტკივილი დაგვიტოვა. უშენოდ ვხვდებით, მერედე 6 იანვარს 24 წლის ხდები, ჩემო სიცოცხლევ.

დედა მოგიკვდეს, ბაჩანა, ჩემო სიხარულო, უზომოდ გვენატრები. უსაზღვროა ჩვენი ტკივილი, ჩვენო ცხოვრებავ, სევდავ და დარდო. ლამაზი ღიმილი, ამოუცნობი შენი ტკივილი... როგორ გვინდა ხმა გავიგოთ შენი, გვინდა გითხრათ, რომ უშენოდ მორჩა ყველაფერი. დრომ დაგვამშრა, დრო სასტიკი და დაუნდობელია, დრო მონატრებას უფრო გვიმძაფრებს უბედურ დედ-მამას. ცხოვრებას ვაგრძელებთ უშენოდ, დროებით, შენი ძმა ბუბასთვის. ხომ დაგვიბარე, – დაავაჟკაცეო, ჰოდა გისრულებთ დანაბარებს. ვაი, ამ დროებით, უშენოდ დატოვებულ წლებს, თუ რამ დაგვრჩენია უბედურ დედ-მამას, ჩემო ვაჟკაცო შვილო.

მსუბუქი ყოფილიყოს მშობლიური კახეთის მიწა და ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი სპეტაკი და ალალი სული.

*შენი გამწარებული დედ-მამა*

### ბაჩანა ლაზუაშვილის მონატრება

ბაჩო, ჩემო მონატრებავ და მოლანდებავ, ლანდად მექცა შენი სახე. ძალიან მენატრები, უზომოდ. მეც ხომ შენი დედა ვარ, რიგით მესამე შემარჩა, პატარა, ყველაფრის გატანჯული ვიყავი შენი შემყურე. ხომ მეუბნებოდი, დედის მოვალეობა უნდა შეასრულოო. მეც ულამაზოდ ვაკეთებდი ყველაფერს. ერთი რამ ვერ შევასრულე, მხოლოდ: მომაკვდავს ტორტი მოგინდა და ველარ მოგასწარი. დილით ადრე ტელეფონზე ბუბას ხმამ ჩამჩურჩულა, ტორტი აღარ წამოიღოო, მაშინ ჩამიმქრა თავზე ყველაფერი, უაზროდ დავრბოდი ოთახიდან ოთახში. ვერ წარმომედგინა უშენობა, თურმე მართლა ქვა ყოფილა ადამიანი. ჩემო სიხარულო, ჩემს შვილებს ძალიან ენატრები, თეონა და მარი სულ შენს თავს ფიცულებ, – დედ ბაჩანას გეფიცებით. დიდად გიხსენებენ და იცი, რატომ? 6 იანვარს ხომ შენი დაბადების დღეა, 8 იანვარს კი პატარა ბაჩანა შეგვეძინა ოჯახში. გიორგიმ და ნინომ შენი სახელი დაარქვეს, უკვე 1 წლის ხდება. ილოცე იქიდან, სადაც შენ ხარ, დალოცე ჩვენი შვილები და მჯერა, რომ ასეც იქნება. შენ ხომ უზომოდ გიყვარდა პატარები.

ჩემო სიცოცხლევ, მიჭირს შენთან განშორება, ბევრი რამის თქმა მინდა, მაგრამ ამაოდ... პირობას გაძლევ, ყოველ დაბადების დღეზე ტორტით მოვალ შენს საფლავთან და ღმერთს შევთხოვ, გაგინათოს ის ბილიკი, რომელზეც შენ დაბიჯებ. ნათელში გამყოფოს უფალმა.

*მაიკო*

### ნათელა კოქლამაზიშვილის მონატრება



გაუნელებელი ტკივილით მიდის მტანჯველი მეოთხე წელი, ჩემო ნათელა. ძალიან მიმძიმს უშენოდ, რომ მიდის თორმეტი იანვარი, შენი დაბადების დღე. ორმოცდაათი წელი შეგისრულდებოდა.

შვილო, დიდი მწუხარება მეფობს ჩვენს ოჯახში, რომელიც შენი ამ ქვეყნიდან წასვლით გავუჩინე. არ აუწყდები დედასა და შენს სიცოცხლეს ძმას. როგორ გავუძლო ამ ტანჯულ დღეებს, ჩემო ლამაზო შვილო?! ძალიან გვენატრება შენი თბილი გამოხედვა, იმედის მომცემი საუბარი. როგორ მიჭირს უშენოდ სიცოცხლე, ნეტავ მაჩვენა შენი თავი, თუნდაც 10 წუთით, მოგეფერებოდი. შენი სადამრიგებლო კლასი წელს სკოლას დატოვებს. ცეცხლი მეკიდება, შენ რომ ვერ ფუსფუსებ მათ გარშემო. ავადმყოფობის დროს რამდენჯერ იტირე, ბავშვები დავაწიოკეო. ის კი არ იცოდი, რომ სამუდამოდ დატოვებდი, ჩემო სიხარულო.

მუხლმოდრეკით ვთხოვ უფალს, შეისმინოს ჩემი ლოცვა-ვედრება, რათა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული. ამინ.

*უბედური დედა და ძმა*

### ვერა ქანთურიას მონატრება



ცრემლსა და მწუხარებაში გავიდა ტკივილიანი 40 დღე, რაც ეს ქვეყანა დატოვე და მარადისობაში გადასახლდი, ჩვენო ტკბილო და თბილო დედავ, ბებიავ და მასწავლებელო. ყველაფერი შენ იყავი: სამსახური, სკოლა, ოჯახი, ეზო, ყანა...

უფალმა დაამკვიდროს შენი სული ნათელში, სამარადისო სასუფეველსა შინა.

*შენი დიდი ოჯახი*



### ბექო იამალაშვილს!

უსაზღვრო მწუხარებაში გავიდა 40 დღე. ქნატრები და აკლიხარ მშობლებს, დებს, შვილებს, სოფელს. მათ კიდევ ერთი ალალი, შრომისმოყვარე, ძლიერი პიროვნება გამოაცალეს არაადამიანებმა.

დაე, ღმერთმა სასუფეველი დაგიმკვიდროს.

*ტაბახმელის II კლასის დამრიგებელი, მოსწავლეები, მშობლები*

### ლამარა კილაძე-მშვიდობაძის მონატრება



დღეს, 10 იანვარი შენი დაბადების დღეა. ცრემლიანი და მოწყენილია იგი უშენოდ. რაც დრო გადის, მით უფრო გვენატრები. ძალიან გვაკლია შენი ზრუნვა, სითბო და სიყვარული. გული გვტკივა, რომ ველარ გხედავთ საყვარელ ოჯახში მოფუსფუსეს. უსაშველოდ ენატრები შენს მეუღლეს, გულდამწვარ დედას, დას, ძმებს, შვილიშვილებს, სიძეებს, დედამთილს და ყველა ახლობელს.

ისლა გვანუგეშებს, რომ ვლოცულობთ შენი ფაქიზი სულის ცხონებისთვის ვურწმუნობთ, რომ გელოცავ ზეციური სასუფევლიდან.

*შენი საყვარელი შვილები*



### ზურიკო ლაცაბიძეს!

ზღვა ტანჯვა, დარდი და ტკივილი დაგვიტოვე შენი დაღუპვით, შვილო. თვალცრემლიანი გილოცავთ დაბადების დღეს. უკვე მეხუთე წელია, მიწა ფარავს შენს ცისფერ თვალებს და აღარ ფეთქავს სიცოცხლის წყურვილით, სიკეთითა და სიყვარულით გამთბარი გული.

ავერ უშენოდ მოვიდა შენი დაბადების დღე – 12 იანვარი, რომელსაც 19 წლის გახდებოდი. უსაყვარლესი ადამიანი იყავი. ჩვენი ხალისიანო, ღიმილიანო ბიჭო, რომ იცოდე, როგორ გვენატრები, ველარ ვუძლებთ იმ ტკივილს, რომელიც შენ დაგვიტოვე. საფლავის ქვაზე დახატული სახის ცქერა და მასთან საუბარი გვარგუნა უფალმა... ყველას, ყველას ენატრები, შვილო – გამწარებულ მამას, შენს ერთადერთ ძმას, გამზრდელ დედებს, ნათესავებს, მეგობრებს... ყველა გილოცავს დაბადების დღეს, ზური!

ამქვეყნად შენი ხსოვნა ყველაზე ძვირფასია ჩემთვის. ავანთებ წმინდა სანთელს, თვალცრემლიანი ჩურჩულით გიამბობ ტკივილიანი მონატრების შესახებ, ვილოცებ შენი სულისთვის.

უფალს ვთხოვ, თბილი და მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის მიწა, რომელმაც ნაადრევად, დედის ნაცვლად გულში ჩაგიკრა.

*ტანჯული დედა ნინო*

### რუსლან ლეკავას ხსოვნას!



7 იანვარს 12 წელიწადი შესრულდა. უღმობელმა ბედისწერამ 27 წლის ასაკში ფრთები შეაკვეცა შენს ლამაზ ოცნებებს.

დაობლდნენ შენი ლანა და რომეო, დაჭრილდა შენი რჩეული მანანა. ბარაქალა მის ქალობას, შენს ტანჯულ დედასთან ერთად, სასახელოდ გაგიზარდა შვილები.

შენი ლანა დაოჯახდა, ისეთ კარგ ოჯახთან დამოყვრება შენ ძალიან გაგიხარდებოდა. ვგულობ, რომ შენებურად ამაყად ვერ შეხვდები მათთან. სიძე კი ისეთი ვაჟკაცია, როგორიც შენ შეეფერებოდა.

სევდანარევი სიხარულით მოგილოცავთ ქალიშვილის გაბედნიერებას, საყვარელო მამიდაშვილო. შენ დაიფარე ისინი ყოველგვარი განსაცდელისგან. იძინე ტკბილად, მამასთან ერთად.

*კიზო და ზაზა ქაცაძეები*

### ავთო ნადარეიშვილის ხსოვნას!



გაირბინა უშენოდ ორმა წელმა. 2004 წლის 10 იანვრიდან აღარ ხარ ჩვენთან. ბევრი ვიბრძოლეთ და ვიწვალეთ, მაგრამ ვერაფერს გავხდით უკურნებელი სენის წინაშე. მოვიდა სიკვდილი. ამბობენ, ღმერთსაც კარგები უყვარსო. ამიტომაც წაგიყვანა. უფალმა ინება ასე ყოფილიყო. ძალიან გვენატრები. ტკივილამდე გვენატრები. ძნელი ყოფილა უშენობა. აკლიათ მამობრივი ზრუნვა და მოფერება შენს მცირეწლოვან შვილებს – ალეკოს და გიორგის.

ყველაფერს გავუძლებდი. ვიცოცხლებ ჩვენი შვილების მამამდე და ნუგეშად კარგ ვაჟკაცებს დავიზრდი. გპირდები, რომ ისინი ღირსეული გამგრძელებლები იქნებიან შენი კაცურ-კაცობისა.

ჩემს გულში კი უშენობით გამოწვეულ სიცარიელეს ვერაფერი ამავსებს. ვივლით შენს საფლავზე, მოგიგონებთ დიდი სიყვარულით, მოგიტანთ ყვავილებს, დაგინთებთ წმინდა სანთლებს. მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის მშობლიური სოფლის, ირტოფის მიწა.

*შენი მეუღლე ნატო, შვილები – ალეკო და გიორგი*

### არჩილ ჯვარშეიშვილის გახსენება



შენ ჩვენი პირველი დისშვილი და სიყვარული იყავი. გვახსოვს, როგორი გოლიათი და ულამაზესი დაიზდე, „მლიმი"-ს ყურით გადამკიდე კლუბებიან ბიჭებს გამოგვეყლიდით. მოულოდნელად ასაკის სხვაობისა, „ბუთუტობის" რომ დაგვიცდელ, წელი არ გაუვიდოდა. ბავშვობიდან დაწყებული, უზომო სიყვარულისა და სითბოს გრძნობით და ასევე ვიცდიდით შენგან. ჩვენს სანათესაოში ბიჭი დაიბადებოდა თუ არა, მაშინვე მსგავსებას ვეძებდით თქვენ შორის.

ძალიან გვენატრები და გვიყვარხარ. უშენოდ ძალიან ძნელია შენზე ლაპარაკი და მოგონება. შენ ჩვენი საოცარი ვაჟკაცი იყავი, რომელსაც არასოდეს არაფერი ეშლებოდა. განსაკუთრებული გული და სითბო, ნაღვლიანი თვალები და ცხოვრებისგან ნატკენი გული გქონდა.

ჩვენო ბიჭო, შენი საყვარელი შენს დღეზე გადავიტანეთ და სულ ვლოცულობთ, რომ შენი შვილები ისეთივე კარგები გაზრდილიყვნენ, როგორიც შენ იყავი. ვლოცულობთ შენი უმანკო სულისთვის.

*შენი რუსიკო და ფატიმა*

### ჩემო არჩი!

საუკუნე გავიდა იმ დღიდან, რაც დედას შენი ღიმილიანი და თვალცრემლიანი სახე არ დაუნახავს. მოვალეობა, რომელიც შენ დამაკისრე, თანდათან ქრება და შიში მიპყრობს, შიში მიმძლავრია, შიში შენი საფლავისა, სადაც დაჭრილი დათვივით ისმის ჩემი ცრემლიანი ბღავილი; შიში წლებისა, რომლებიც უშენოდ უნდა გავიარო ამ ცოდვილ მიწაზე და მუდამ მახსოვდეს, რომ მე უბედური, ერთადერთი შვილი გავიმეტე და მივაბარე კუბის დალოცვილ მიწას.

შენს დედას ისღა დარჩენია, წლები ითვალოს, რომლებიც ძალას აცლის და ტკივილებს უძლიერებს.

12 იანვარს 35 წელი შეგისრულდებოდა, ჩემო ვაჟკაცო. 17 იანვარს 5 წელი შეგისრულდება, რაც ჩვენთან არა ხარ.

25 დეკემბერს შენს მეგობრებთან და შვილებთან ერთად მე და შენ უკანასკნელად ვიცეკვეთ. შენც უკანასკნელად იტირე თუ იმღერე, დღემდე ვერ გამიგია, ამიტომ შენს წასვლას უდროოდ შეწყვეტილ სიმღერას ვუწოდებ.

სამუდამოდ გაქრა ჩემი ცხოვრებიდან ეს სიხარული და ბედნიერება, რომელსაც ვერავინ და ვერაფერი შემივსებს.

შენი საყვარელი შვილებიდან ერთი სკოლაში შევიდა, მეორე კი სკოლას ამთავრებს. იმედი მაქვს, შენს შეწყვეტილ სიმღერას ასი წელი მაინც გააგრძელებენ ამქვეყნად შენი შვილები და შენს საფლავზე ყვავილებს მუდამ მოიტანენ, რაც ჩემს გამწარებულ და ტანჯულ სულს შვებას მოჰგვრის. მენატრები, ძალიან მენატრები და არც მინდა ვიფიქრო, რომ დარჩენილი სიცოცხლის მანძილზე ვერ გნახავ. მე ყოველდღე გელოდები, ყოველ საღამოს ვუსმენ კიბეზე ამომავალთა ფეხის ხმას, რათა მათ შორის გამოვარჩიო შენი დიდი და ხმაურიანი ნაბიჯები. ჩემო არჩი, ვერასოდეს შევეგუები იმ აზრს, რომ აღარ ხარ, იმ ტკივილს, მწუხარებას და სევდას, რომელსაც დასასრული არა აქვს.

მშვიდად იძინე, შვილო, სამოთხეს შეჰფერი ლამაზო, თბილო, კეთილო და მოსიყვარულე სულები სჭირდება. მუდამ სანთელი უნთიდეს შენს უმანკო სულს სამოთხეში, ჩემო სიცოცხლევ და სიყვარულო.

*დედა*

### ჩემს საყვარელ არჩის!

*მოურჩენელი დარდი ხარ... უშუშებელი იარა...*

*დე ჩემს ლოცვამ, ჩემმა ცრემლებმა,*
*გული გაგითბოს ცივად ქვეყანა*
*დღეს ათას სანთელს დაგინთებს ყველა,*
*ვინც შენ გიყვარდა, ვისაც უყვარდი*
*და დღეის ცრემლი... მაშინ გიდებს*
*სანთლებთან ერთად ჩიდებლებს*

მახსოვს, პატარა ბიჭი იყავი, ოქროსკულულა, ლამაზთვალება, რომლის დანახვაზე ყველა ვხარობდით და გულში გიკრავდით. გავიდა წლები და გაიზარდე ტანმაღლელი, ლამაზი ღიმილის ბიჭი.

მოსაგონარს რა დამილევს, ჩემო არჩი. შენმა ბავშვობამ ხომ ჩემ თვალწინ გაიარა. მახსოვს ყველა ბედნიერი, ტკბილი წამი, დღეს რომ მწარე მოგონებად გადაიქცა.

ის დღე სიზმარივით მახსოვს, ჩვენი ეზო და ხალხ-ხალხი ხალხით რომ იყო სავსე და უაზროდ გავკიოდი, – სად ხარ, შვილო ჩემო, არჩიკო. ნაადრევად დაბერებული ბიძაშენი თავს როგორ ურტყამდა რკინაბეტონს, შენი საყვარელი თამუნა როგორ იხოკავდა სახეს და შენს თინიკოს სიმწარისგან სახე როგორ ჰქონდა დამანჭული. ვიცი, შვილო, ბედმა ასე დაგაწყრა და ნაადრევად დაგაცალა გზაზე. მაპასუხე, შვილო, რა პასუხს სცემ, სხიროსმჭრელ, ჩამოვიფინილ შენს დედიკოს, ტანჯულ მამას, სახლიდან რომ შენს საფლავზე დადის; შენს საყვარელ თამოს და დღეს, ასე მოულოდნელად რომ მიატოვე; შენს თინა ბებოს, ასე რომ გაამწარე და უფერული სიცოცხლე დაუტოვე, ბებოს, რომელმაც შენც გაგზარდა და შენი დედაც.

მაპატიე, ჩემო არჩი, ამ მძიმე სტრიქონისთვის. ვიცი, შენს ლამაზ, ხატად ქცეულ, ღიმილიან სახეს, სანამ ვიცოცხლებ, არასოდეს ჩაქრება შენი სიყვარული, შენი ანთებული ღიმილითა და სიკეთით, სათნოებითა და სიყვარულით მოელვარე სახე და შენი ლამაზი თვალების შუქი ჩემს გულში.

*შენი ბიცო*





### გონაშვილების გახსენება

უსაზღვროდ ძნელია მონატრება იმ ადამიანების, რომლებთანაც ოცდაორი ლამაზი წელი გაქვს გატარებული. უკვდავნი არ არსებობენ ქვეყანაზე, მაგრამ სამართალი მაინც ხომ უნდა არსებობდეს. რატომ, რისი გულისთვის უნდა გამხდარიყავით ამ უბედურების მსხვერპლნი. ორ წელიწადში ოთხი ძვირფასი ადამიანი მივაბარეთ სამუდამო სასუფეველს. რომელ ერთს მოვფერო, მოვესიყვარულო, მაგრამ უფროსები ალბათ არ მიწყენენ, რომლებისთვისაც მოფერება არ მიჰკლია სიცოცხლეში. მე მონატრებული და მოსაფერებელი ჩემი ნოდარიკო მყავს, რომელსაც სიკვდილის დროსაც კი ვერაფრით დავეხმარე; კაცს რომელსაც სიცოცხლე უყვარდა და შვილების ბედნიერებაზე ოცნებობდა – ვერ მოესწრო. მისი ელენიკო მალე დედიკო გახდება და თავის შვილებს გაზრდის უკვდავ ბაბუის სიყვარულით. შენს სახლში სიცოცხლე გრძელდება, ჩემო საყვარელო. დაიზრდებიან შენი შვილიშვილები, დავაჟკაცდებიან და იტყვიან, – ეს ყველაფერი ბაბუამ დაგვიტოვაო.

ნოდარიკო, სიკვდილის ტოლფასია უშენოდ ჩემთვის ყველა სიხარული, მაგრამ უზომოდ დიდი ყოფილა ხვედრი იმ დიდი ტვირთისა, რომელსაც დედის და მამის, ბებიის და ბაბუის – ყველაფერს ერთად, მარტო მე ვატარებ. შენ გვერდით ვერ ვგრძნობდი ამხელა პასუხისმგებლობას. ერთად რამხელა შვილები გავზარდეთ, ბიჭო!! – რომლებიც კარგი საქციელით ცდილობენ ჩემთვის იარების მოშუშებას, დედახანს არ მტოვებენ მარტო, შენზე ფიქრებთან. ჩემო ნოდარიკო, შორიდან გილოცავთ თქვენი მიერ შექმნილ ოჯახს ახალ წელს, დაბადების დღეს. 8 იანვარს 45 წელი შეგისრულდებოდა, რომ არა ის ავბედითი ბედისწერა, რომელმაც ქვეყანა მოგისწრო. შენ ხომ საჩუქრები ძალიან გიყვარდა. აწი შენი საჩუქარი – ჩემი ცრემლები, ჩემი სანთლები და კეთილი საქციელი იქნება შენთვის, რომელიც არასოდეს მოგაკლდება, სანამ ჩვენ ვარსებებით ამ ქვეყანაზე.

ღმერთი მოწყალეა – მჯერა, რომ სასუფეველში განისვენებ. ვილოცებ შენთვის, უფალს შენი სულის უკვდავყოფას შევთხოვ, სანამ ჩემი დალევა ჟამი. დაე, ამქვეყნად დაითილმა სიკეთემ გაგინათოს გზა მარადიული სასუფევლისკენ.

*მარად შენზე მოლოცნებე შენი ოჯახი*

### ლევან გოგალაძეს!



*დედის მონატრება*

ჩემო ლამაზო შვილო! 10 იანვარს ორი წელი სრულდება, რაც ამ ქვეყნიდან წახვედი – მოურჩენელ იარად ქცეული ორი წელი. შენი დედისთვის ეს ორი წელი მონატრებისა, გაუსაძლისი სიცარიელის ორი წელი იყო. შენს სითბოს თითქოს ყველგან ვგრძნობ ისევ. ჩემი დილა შენზე მოგონებებით იწყება და შენზე ფიქრით მიიწევს. ყოველდღიურად უსიცოცხლო და უფერულია ჩემი ცხოვრება უშენოდ. ოჯახის შექმნა მაინც მოგესწრო და ასე უკვალოდ არ წასულიყავი ამქვეყნიური ცხოვრებიდან. შენ ხომ ახლა 25 წლის ვაჟკაცი იქნებოდი. შენ ძალიან კარგი იყავი, კეთილი, ხალისიანი, იმედით, სიყვარულით და სიცოცხლით სავსე. ირგვლივ ყველას მოაკლდა შენი ღიმილი და სიყვარული. უმძიმესი განაჩენი გვარგუნა ბედმა ძალამ, მერედ მოვიდა ახალი წელი – უხალისო, ულიმღამო, ცარიელი და ტკივილიანი, მერე კი შენი დაბადების დღე ირგვლივ მხოლოდ უშენობა. მიჭირს ამ დღის აღნიშვნა შენ გარეშე. ო, რა მძიმე განაჩენი დედისთვის შვილის დამკარგავი დედისთვის, რომელიც ცხოვრებას აგრძელებს და უძლებს ამ მტანჯველ მონატრებას. ყველგან თან დამყვება შენი ლამაზი თვალები, შენი ფეხის ხმა. ასე მგონია, აი ახლა შემოაბიჯებ სახლში. ვერც თვალი გადაჭრია შენს ლოდინს. ღმერთმა რატომ გაგწირა ასე, რატომ დაგვაშორა ერთმანეთს ვინ თქვა, დრო მკურნალიაო?! – პირიქით, ის უფრო და უფრო აღრმავებს იმ დიდ იარას, რასაც შენი გარდაცვალება ჰქვია. სიცოცხლე გრძელდება ვისთვის ტკბილად, ვისთვის – მწარედ. ამ სიმწარით იცოცხლებს დედაშენის გული, სანამ ცოცხალი იქნება.

ძალიან, ძალიან მენატრები. მძიმეა ჩემი ცხოვრება უშენოდ. ვლოცულობ შენი ლამაზი სულისთვის. უფალმა დაგიმკვიდროს სამუდამო სასუფეველი. უფალს ვთხოვ, სიმშვიდე მოუვლინოს შენს აფორიაქებულ სულს. მეც მალე მოვალ შენთან, სადაც სამუდამოდ ერთად ვიქნებით.

ნათელში იყავ, ამინ.

*შენი უბედური დედა, პაატა*



მეუღლე ლუიზა ბოლაშვილი; შვილები: ია, არჩიკო ტუხაშვილები; რძალი მარა ბოტკველი; შვილიშვილები: სოფიკო, თათია, პაპუნა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლუხუმი არჩილის ძე ტუხაშვილი**

მეუღლე მარინა ნებიერიძე; შვილები: არჩილი, თამარი; ძმა აკაკი დვალიშვილი ოჯახით; შვილიშვილები: გიორგი, გურამ დვალიშვილები; დავით, დანიელ ბენიძეები; რძალი ქეთი მესხი; სიძე გიორგი ბენიძე; ცოლისდა ელენე ნებიერიძე ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გურამ არჩილის ძე დვალიშვილი**

პანაშვიდი: 9 იანვარს, 16 საათზე;
დაკრძალვა: 10 იანვარს 14 საათზე.
მისამართი: ყიფშიძის ქ. №9, IV სართული.

„საქნავთობპროდუქტი" თანაუგრძნობს ბატონ აკაკი დვალიშვილს ძმის,

**გურამ დვალიშვილის**

გარდაცვალებას.
ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს განსვენებულის სულს.



მეუღლე ფაცია; შვილები: გულა, საბა, ლია; რძლები: ცაცო, დინა; შვილიშვილები: გია, ირაკლი, ეკა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გრიგოლ მიხეილის ძე ნადირაძე**

პანაშვიდი: 9 იანვარს;
გასვენება: 10 იანვარს.
მისამართი: თემქის დასახლება, ხალიფის ქ. №46

მეუღლე ლამარა წიკლაური; შვილები: ქეთი, სოსო, დათო მარლიშვილები; ძმა ვახტანგ; ბიძა სულიკო მარლიშვილი; შვილიშვილები: ლევანი, გიორგი სიმონიშვილები; ნინო, ირინა, ელენე მარლიშვილები; სიძეები: გოგი მუშკუდიანი, კოკა გოგიტაშვილი; რძლები: ხათუნა გახარია, ია ხიდაშელი, ვერიკო გოგიჩაშვილი; შვილთაშვილები: ილია, ქეთი; მამიდაშვილები, ბიძაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გიორგი კონსტანტინეს ძე მარლიშვილი**

პანაშვიდი: ორშაბათს, 16 საათზე;
დაკრძალვა: სამშაბათს, 14 საათზე.
მისამართი: გამსახურდიას 25, I სადარბაზო, IV სართული, ბინა №9



დედა ალა ბოცვაძე და ეკა გვანცელაძე; დისშვილი ნინო კაკაბაძე; დეიდა მარინა ბოცვაძე; ბიცოლა ლამარა; ბიძა ვაჟა გვანცელაძე; დეიდაშვილი გიორგი თევზაძე; ბიძაშვილები: ლალი და ნანა გვანცელაძეები; მამიდა ლამარა გვანცელაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**კახა გვანცელაძე**

პანაშვიდი: 9 იანვარს, 17 საათზე;
გამოსვენება: 10 იანვარს, 14 საათზე.
მისამართი: ბაგები, I კორპ. ბ. №68

შვილი ანინე ჯვარშეიშვილი; სიძე ვაჟა შენგელაძე; რძალი ნინო გეგეჭკორი; შვილიშვილები: სოფიკო, ნინო შენგელაძეები, გიორგი, ნინო ჯვარშეიშვილები; რძალი ნათია ლეჟავაშვილი; შვილთაშვილი თემურ ჯვარშეიშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნინო (ცუცა) ბახტაძე-ჯვარშეიშვილი**

პანაშვიდი: 9 იანვარს, 17 საათზე;
დაკრძალვა: 10 იანვარს, 14 საათზე.
მისამართი: ქ. გამსახურდიას გამზ. №2, I სადარბაზო.

# ჯადოქრებისა და მაგების მემკვიდრეობა



ამას წინათ, კალინინგრადში, დანგრეული სამეფო სასახლის სარდაფში არქეოლოგებმა აღმოაჩინეს უნიკალური ვერცხლის ძველებური ზარდახშა. მასში უვნებლად და დაუზიანებლად ეწყო საგნები, რომლებსაც აშკარად ოკულტური დანიშნულება ჰქონდა. ცნობილია, რომ შუა საუკუნეებში კენიგსბერგი (ამჟამად კალინინგრადი) ოკულტიზმის თავისებური ცენტრი იყო. სწორედ აქ იმალებოდნენ ინკვიზიციისაგან შეჩვენებული ჯადოქრები და მაგები.

ზარდახშაში 11 საგანი იდო. ყველა მათგანი ოქროსი და ვერცხლისაა, ძვირფასი ქვებით მოოჭვილი. თითქმის ყველა მათგანს აქვს წარწერა ლათინურ და ძველბერძნულ ენებზე. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ეს ნივთები ეკუთვნოდა ჰერცოგ ალბრეხტს, ცნობილ ოკულტისტს. შემთხვევითი არ არის, რომ აღმოჩენას უნიკალურად მიიჩნევენ — მსოფლიო პრაქტიკაში ხომ პირველად აღმოჩნდა ოკულტური საგნები.

**ტაისიია ვლასტ**

# ვინ და რატომ „მოხატა“ ჩვენი ხელისგულები?



ქირომანტია ანუ ხელზე მკითხაობის ხელოვნება ინდოეთში ჩაისახა. იგი ისეთივე ძველია, როგორიც ასტროლოგია. მოღწეულია ცნობები, რომ ქირომანტიას იყენებდნენ ქალდეველები, იუდეველები, ასირიელები. ძველბერძენი ფილოსოფოსი ანაქსიმენი (VI ს. ჩვ.წ.აღ-მდე) ადამიანის ხელს მოიხსენიებს, როგორც მის შესახებ ინფორმაციის წყაროს. ქირომანტიაზე მსჯელობდნენ ძველი ბერძენი ფილოსოფოსები — ანაქსაგორე, დემოკრიტე, არისტოტელე, სიზმრების ლეგენდარული ამომხსნელი არტემიდორი. არისტოტელე გვიამბობს, რომ ჰერმესის ერთ-ერთ საკურთხეველში მან მიაგნო ჩანაწერს ქირომანტიის შესახებ და ასკვნის, — ეს არის მაღალგონივრული მეცნიერებაო. არტემიდორს ღრმად სწამდა „მომავლის ჭვრეტის ხელოვნების ჭეშმარიტება“ და თავის „სიზმრების ახსნას“ ტრაქტატიც დაურთო ქირომანტიის შესახებ.

XIX ს-ის დასაწყისში ინგლისში ჩატარდა კონკურსი, რომელსაც უნდა გამოევლინა საუკეთესო ლიტერატურული ნაწარმოები ქირომანტიის შესახებ. პრემიაც მნიშვნელოვანი დაინიშნა. გაიმარჯვა ცნობილმა ექიმმა და მკვლევარმა ჩარლზ ბელმა, რომელმაც დაამტკიცა, რომ ხელი სწორედ ის ორგანოა, რომელზეც ასახულია ღვთის ნება. ჩარლზ ბელის წიგნი მრავალ ენაზეა თარგმნილი.

## გრაფი ლუის ქამონი

ლუის ქამონი (1886-1936) ორმოც წელზე მეტხანს მუშაობდა ქირომანტიაზე. მისი ფსევდონიმი იყო „კაირო“. კარიერის დასაწყისში კაირო ცხოვრობდა აღმოსავლეთის ქვეყნებში და კარგად შეისწავლა „ინდუსებისა და სხვა ხალხთა დავიწყებული მისტიკური სიბრძნე“. ლონდონში მან დააარსა ცნობილი სალონი, რომელშიც სიამოვნებით დადიოდნენ იმ დროისთვის ცნობილი დიდი ადამიანები, მათ შორის გვირგვინოსნები, პრეზიდენტები და გამოჩენილი ბიზნესმენები. მან იწინასწარმეტყველა დედოფალ ვიქტორიას გარდაცვალების ზუსტი თარიღი, მეფე ედვარდ VII-ის გარდაცვალების წელი და თვე, რუსეთის მეფე ნიკოლოზ II-ის ტრაგიკული ბედი, იტალიის მეფის ჰამბერტის მკვლელობა, პარიზში შაჰზე თავდასხმა. ცნობილმა ქირომანტმა მოინახულა აშშ, სადაც მისი კლიენტები იყვნენ მარკ ტვენი და ავსტრალიელი პრიმადონა ნელი მელბა.

კაიროსთან კონსულტაციაზე ყოფილან უდიდესი მსახიობი სარა ბერნარი, ესპანეთის ინფანტა იულალია, სერ არტურ სალივანი, სერ ოსტენ ჩემბერლენი და მრავალი სხვა გამოჩენილი პირი.

## გასაოცარი „მხატვარი“

ვინ და რა მიზნით მოხატა ჩვენი ხელისგული ათასგვარი ნახატით? მოდით, ერთად დავფიქრდეთ. ახალდაბადებულ ჩვილს ხელისგულზე აქვს ყველა მთავარი ხაზი: სიცოცხლის, თავის, გულის. დანარჩენები ცხოვრების მანძილზე ჩნდება. მაგრამ ადამიანი კვდება და დასაფლავების მომენტში უსიცოცხლო ხელისგულებიდან ძირითადი ხაზები ქრება. რას ნიშნავს ეს? ახალდაბადებული სიცოცხლესა და ბედისწერას ხაზებში კოდირებული გარკვეული „პროგრამით“ ხვდება. ცხადია, რომ ხაზები მუცლადყოფნისას, განვითარების პროცესში „გაუკეთდა“ ადამიანს. შეიძლება ეს მემკვიდრეობითობის თავისებურებების ასახვის ფაქტია ან იქნებ კოსმოპლანეტური გავლენის ზემოქმედებაა ბავშვის ჩასახვის მომენტში?

ასტროლოგებს შორის არსებობს მოსაზრება, რომ ჰოროსკოპი უნდა შედგეს არა დაბადების, არამედ ჩასახვის მომენტის გათვალისწინებით. მაგრამ როგორ უნდა განისაზღვროს ეს დრო? ან ვინ ხატავს ამ ხაზებს ხელისგულზე? როგორც არ უნდა იყოს, ეს „მხატვრები“ ყოვლისშემძლე არიან, მათ მოწყალებაზეა დამოკიდებული ადამიანის სიცოცხლე და ბედი, რაც შეეხება პასუხს დასმულ შეკითხვაზე, აი, ისიც: „ღმერთი ბეჭდავს ყოველი ადამიანის ხელს, რომ მთელმა ხალხმა იცოდეს მისი ნამოქმედარი“. ასე წერია იობის წიგნში (თ.37,7). მოსეს წიგნი კი განმარტავს: „ხელი არის ადამიანის სარკე, რომელშიც აღბეჭდილია მთელი მისი ცხოვრება“.

**ნლო №49**

# კედლის მიღმა..

ბატონი ვარლამი და მე შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს ბუნების წიაღში, მონამეთის მიდამოებში, მდინარე წყალწითელას ხეობაში — მე მეგობრებთან ერთად ვიყავი, მას კი შვილიშვილები წამოეყვანა სასეირნოდ.

როცა ჩემი პროფესია და ვინობა გაიგო, როგორც თავად აღნიშნა, „შემთხვევა ხელიდან არ გაუშვა...“

— დიდი ხანია მაწვალებს ამბავი, რომელიც ახალგაზრდობაში შემემთხვა. აგერ 40 წელიწადზე მეტია თავს ვირწმუნებ, რომ ყველაფერი მომეჩვენა და სინამდვილეში შეუძლებელი იყო მსგავსი რამ მომხდარიყო.

რუსის ჯარში მომიწია სამხედრო სამსახურმა. 18 წლის ბიჭი მართლაც ცხრა მთას იქით — სვერდლოვსკში გამამწესეს. ნაწილში მარტო მე ვიყავი ქართველი და დაჩაგვრა მომინდომეს. დიდხანს ვიკავე თავი შეურაცხყოფილმა, მაგრამ მოთმინებასაც ხომ აქვს საზღვარი და ისე ვცემე ორი რუსი, რეანიმაციაში მოხვდნენ. ბუნებრივია, ამ დროს მტყუანს და მართალს არავინ დაუწყებდა ძებნას და ულაპარაკოდ გადამცეს სამხედრო სასამართლოს. სასამართლომდე კი წინასწარი პატიმრობის საკანში გამომკეტეს, თან პირველი ორი დღე პურის ნატეხი კი არა, ყლუპი წყალიც არ დამალევინეს და ტუალეტშიც არ გამიშვეს...

ისე ცუდად გავხდი, გული წამივიდა და სწორედ ამ დროს ვიგრძენი ბეჭის თავზე ფრთხილი შეხება. შეშინებულმა გავახილე თვალი და უცნაურად ჩაცმული ორმოციოდე წლის კაცი დავინახე. ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება, მხოლოდ მენდეო, — მითხრა და წამომაყენა.

— უცნაურ ჩაცმულობაში რა იგულისხმეთ, ბატონო ვარლამ?

— თითქოს ასი წლის წინანდელი სამოსი ეცვა... მითხრა, ბეჭებზე ხელები დამაწყვე და თვალები მაგრად დახუჭე, სანამ ნებას არ მოგცემ, არ გაახილოო... ასეც მოვიქეცი. წამში ვიგრძენი აუტანელი სიცხე, მერე სიცივე და თითქოს ათას ნაწილად დავიშალე.

...როცა თვალის გახელის ნება მომცა, დერეფანში ვიდექი. ზურგს უკან იყო კარცერის დაბოქლომებული კარი...

— კედელში გაიარეთ?!

— ამაზე ფიქრისაც კი მეშინია, არადა, რაღაც მსგავსი მოხდა აშკარად... ისევ დავკარგე გონი, ამიტომ, არ ვიცი, სად წავიდა ის კაცი. გონს საავადმყოფოში მოვედი და როცა ვიკითხე, რა მომივიდა-მეთქი, თავად შემომაგებეს — ვინ გაბედა შენი კარცერიდან გამოყვანაო. პასუხი არ მქონდა... არა, იმ კაცზე კი ვცადე მოყოლა, რომელიც მოულოდნელად გამომეცხადა, მაგრამ არ დამიჯერეს, ბუნებრივია... მერე კი, ჩემი თავიდან მოშორება გადაწყვიტეს, ბრალდება მომიხსნეს და ბაქოს სამხედრო ნაწილში გადამიყვანეს, სადაც შედარებით იოლად მოვიხადე სამსახური.

— მას შემდეგ არაფერი მომხდარა უჩვეულო თქვენს ცხოვრებაში?!

— არა, ჩვეულებრივად ვიცხოვრე, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ღვთისმოშიში და მორწმუნე გავხდი — მწამს, ღმერთი არასოდეს მიმატოვებს...

**ინგა ჯაყელი**

## „საზალოო-სალაღო“ გვერდის პასუხები

I. აბა, გამოიცანი:
1. — გ); 2. — დ); 3. — დ); 4. — ა).
II. 1-ლი და მე-5; მე-2 და მე-6; მე-4 და მე-3.
III. გოზინაყი.
IV. ა) თოვლის პაპა; ბ) თოვლი.

# იაპონური სუდოკუ სენსაცია

*გთავაზობთ ციფრულ თავსატეხს სუდოკუს (იაპონურად „სუ“ ნიშნავს ციფრს, „დოკუ“ — ცალკე მდგომს). სუდოკუმ უკვე მოასწრო ევროპის კროსვორდომანების გულების დაპყრობა და ჩვენი გაზეთის ფურცლებზეც გაჩნდა. მის ამოსახსნელად ცარიელ უჯრებში უნდა ჩაწეროთ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ, არც ერთ სვეტსა და არც ერთ სტრიქონში ერთნაირი ციფრი არ განმეორდეს. სწორად ამოხსნილ სუდოკუში აგრეთვე, არ მეორდება ციფრები ბლოკებში 3X3. ჩვენ გთავაზობთ მარტივ, საშუალო და რთულ სუდოკუს. გისურვებთ წარმატებას!*

**წინა კროსვორდის პასუხები**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 7 | 8 | 3 | 9 | 5 | 6 | 2 | 4 |
| 4 | 6 | 3 | 7 | 2 | 1 | 8 | 9 | 5 |
| 9 | 5 | 2 | 4 | 8 | 6 | 3 | 1 | 7 |
| 5 | 8 | 6 | 2 | 1 | 3 | 7 | 4 | 9 |
| 7 | 1 | 4 | 9 | 6 | 8 | 2 | 5 | 3 |
| 3 | 2 | 9 | 5 | 4 | 7 | 1 | 6 | 8 |
| 6 | 9 | 1 | 8 | 7 | 4 | 5 | 3 | 2 |
| 8 | 4 | 5 | 1 | 3 | 2 | 9 | 7 | 6 |
| 2 | 3 | 7 | 6 | 5 | 9 | 4 | 8 | 1 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 1 | 2 | 5 | 7 | 4 | 6 | 8 | 3 |
| 4 | 7 | 3 | 6 | 8 | 9 | 5 | 2 | 1 |
| 5 | 8 | 6 | 1 | 3 | 2 | 9 | 7 | 4 |
| 7 | 6 | 4 | 3 | 2 | 8 | 1 | 5 | 9 |
| 1 | 3 | 8 | 9 | 5 | 7 | 4 | 6 | 2 |
| 2 | 9 | 5 | 4 | 6 | 1 | 7 | 3 | 8 |
| 8 | 2 | 9 | 7 | 4 | 6 | 3 | 1 | 5 |
| 3 | 4 | 7 | 2 | 1 | 5 | 8 | 9 | 6 |
| 6 | 5 | 1 | 8 | 9 | 3 | 2 | 4 | 7 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 8 | 4 | 1 | 3 | 7 | 5 | 6 | 9 |
| 7 | 9 | 3 | 5 | 2 | 6 | 1 | 8 | 4 |
| 6 | 1 | 5 | 9 | 4 | 8 | 7 | 2 | 3 |
| 4 | 2 | 6 | 3 | 8 | 1 | 9 | 5 | 7 |
| 8 | 5 | 1 | 7 | 9 | 4 | 6 | 3 | 2 |
| 3 | 7 | 9 | 2 | 6 | 5 | 8 | 4 | 1 |
| 9 | 6 | 8 | 4 | 7 | 3 | 2 | 1 | 5 |
| 1 | 3 | 7 | 6 | 5 | 2 | 4 | 9 | 8 |
| 5 | 4 | 2 | 8 | 1 | 9 | 3 | 7 | 6 |

*** მარტივი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | | 7 | 5 | 1 | 6 | | | |
| | 1 | 2 | 3 | 7 | | 4 | 6 | 5 |
| 6 | 3 | 5 | | | 4 | 7 | 1 | |
| 7 | 9 | | 8 | 2 | | | | |
| 2 | 4 | | 9 | | 5 | | 7 | |
| 5 | | 3 | | 4 | 7 | 8 | 9 | 2 |
| | 7 | 9 | | | 2 | 5 | 4 | 3 |
| | 5 | 4 | | 3 | 1 | 9 | | 6 |
| | 2 | | | | 9 | 1 | 8 | |

**** საშუალო**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 4 | | 9 | 2 | | 8 | 3 |
| | 3 | 1 | 5 | | 7 | | 9 | |
| 9 | 8 | 5 | 3 | 4 | | | | 7 |
| | 2 | 3 | 9 | 7 | 5 | 1 | | |
| 1 | | 9 | 6 | | | | 7 | 5 |
| 5 | 7 | | 4 | | | 9 | 2 | 8 |
| | | | 2 | | 3 | 7 | | 1 |
| 3 | 1 | | | 6 | 4 | | | 9 |
| 6 | | 7 | | 1 | 9 | 4 | 3 | 2 |

***** რთული**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 9 | | 2 | | | 8 | 1 |
| | 5 | | | 8 | | 7 | | |
| 3 | | | | | | 9 | 5 | 4 |
| | | | 4 | 9 | | 3 | 6 | |
| 4 | 8 | | 6 | | 5 | | | |
| | | | | 7 | 8 | | 4 | 2 |
| | 9 | 3 | 8 | | | 4 | | |
| 8 | | 4 | 3 | | 9 | | | |
| 1 | | 5 | | | 6 | | | |

## №2 (484) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

თემა №2(484) – ფული

**ერთი მილიონი დოლარი რომ გქონდეთ დასახარჯად, რაში გამოიყენებდით ყველაზე მეტ ფულს** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას 8 ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№2(484) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | მოგზაურობა | |
| 2 | ქველმოქმედება | |
| 3 | განათლება | |
| 4 | სახლი, აგარაკი | |
| 5 | ძვირფასი ნივთები, სამკაულები | |
| 6 | დროს ტარება | |
| 7 | ჩაცმულობა | |
| 8 | ავტომობილები | |

**დამატებითი კითხვა**

ხუთბალიანი შეფასების სისტემით რა ნიშნით შეაფასებთ ხელისუფლების მუშაობას 2005 წლის განმავლობაში?

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

(შესაბამისი უჯრა გადახაზეთ)

**მკითხველის პრემია**

გთხოვთ, აუცილებლად დაასახელოთ როგორც საუკეთესო, ისე სუსტი სტატიები. ეს თქვენს გაზეთს წაადგება

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი

✓ ____________________

დაასახელეთ ნომრის შედარებით სუსტი ჟურნალისტური ნამუშევარი

✓ ____________________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

**ყურადღება! თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, დამატებით კითხვასა და „მკითხველის პრემიაში" მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.**

„კვირის პალიტრა" თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

# 100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის" მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, უპასუხოთ დამატებით კითხვასა და «მკითხველის პრემიას»

№2(484) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი **რაიონებში** განთავსებულ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში მოათავსეთ **ოთხშაბათის, 11 იანვრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 12 იანვრის 13 საათამდე**.

©თბილისი

**ყურადღება! რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც". თქვენ შეგიძლიათ შეავსოთ ისინი და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან" ამოჭრილი ბარათებით.**

## №1 (483) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

წლის პირველ რეიტინგს 409 რესპონდენტი გამოეხმაურა. 5 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 174-მა ქალმა და 230-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„ყველაზე მეტად ვინ შეიძლება იყოს მომავალში მიხეილ სააკაშვილის პოტენციური კონკურენტი?"**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, მკითხველთა 46% აქ ჩამოთვლილთა შორის პრეზიდენტ სააკაშვილის კონკურენტს ყველაზე მეტად სალომე ზურაბიშვილში ხედავს. **6,73** საშუალო ქულით საგარეო საქმეთა ექსმინისტრი პირველ ადგილზეა.

შემდეგ ადგილზე ნინო ბურჯანაძეა, საშუალო ქულაა 5.93. რესპონდენტთა 26% თვლის მას სააკაშვილის ყველაზე ანგარიშგასაწევ კონკურენტად. სულ მცირე სხვაობით ჩამორჩება კობა დავითაშვილი, საშუალო ქულაა 5.48. მას და ქალბატონ სალომეს რეიტინგში ის აერთიანებთ, რომ მონაწილეთა ზუსტად ერთნაირმა რაოდენობამ (1.7%) შეაფასა მინიმალური — 1 ქულით.

ისე, სულაც არ არის გამორიცხული, რომ პრეზიდენტობის კანდიდატებად ჩვენი რეიტინგის „გმირები" მოგვევლინნენ. თუ გადავხედავთ საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნების ისტორიას, დავრწმუნდებით, რომ ადამიანთა სურვილები უსაზღვროა...




საპრიზოს ზუსტად ორი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან: 65 წლის **ნათელა ვაშაკიძე** და **თინა ჯიძია** (თბილისი).

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზების მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 11 იანვარს, 17 საათზე.

**ყურადღება! „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს!**

## სიახლე მკითხველის პრემიაში

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის" ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში, ნომრის რომელი ჟურნალისტური ნამუშევარი მოგეწონათ და არ მოგეწონათ ყველაზე მეტად. საუკეთესოდ დასახელებულ ნაშრომს თქვენგან ემატება ერთი ქულა, ხოლო იმ ნაშრომს, რომელიც ყველაზე მეტად არ მოგეწონათ, შესაბამისად აკლდება ერთი ქულა. იმ მასალის ავტორს, რომელიც საბოლოოდ ყველაზე მეტ ქულას დააგროვებს, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 30 ლარს გადასცემს, II ადგილზე გასულ ჟურნალისტს გადაეცემა 25 ლარი, III ადგილის მფლობელი კი მიიღებს პრემიას — 20 ლარს.

გამარჯვებულ ჟურნალისტთა ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ.

### წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1. **იზო რიკაძე** — „ჯადოქარია ჩვენი მთავრობა?" — 47 ხმა
2. **ვაჟა გავაშელი** — „კუკლების" ოსტატის უნებლიე „ნათლობა" — 40
3. **ლელა ჯიყაშვილი** — „ძველები თავისას არ იშლიდნენ..." — 19
4. ირაკლი ალადაშვილი — „სამხედრო თემაზე" — 11
5. დავით დევდარიანი — „ბევრი პარლამენტარი მინახავს ციხეში ქურდებთან მოქეიფე" — 10

*„მკითხველის პრემიის" მფლობელები 209 რესპონდენტმა გამოავლინა*

„კვირის პალიტრის" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში — მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, ავრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.

„კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.

**② უფასო განცხადების ქვითარი**

**სიტყვა და საქმე**

განცხადების ტექსტი ____________________

____________________

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)*

*გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№2 ქვითარი თბილისში „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 12 იანვრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

**მკითხველის რეიტინგის შედეგები**

## ცნობილი ქართველებიდან ყველაზე სასურველი მეკვლე

| | | |
|---|---|---|
| 1. | ბიძინა ივანიშვილი | 16.8% |
| 2. | მიხეილ სააკაშვილი | 12.8% |
| 3. | ბადრი პატარკაციშვილი | 9.9% |
| 4. | სალომე ზურაბიშვილი | 5.1% |
| 5-7. | ნინო ბურჯანაძე | 4.0% |
| 5-7. | დუტა სხირტლაძე | 4.0% |
| 5-7. | კობა დავითაშვილი | 4.0% |
| 8-9. | ოტია იოსელიანი | 3.6% |
| 8-9. | გივი ბერიკაშვილი | 3.6% |
| 10. | რამაზ ჩხიკვაძე | 1.5% |
| | სხვა ადამიანები | 32.9% |
| | მიჭირს პასუხის გაცემა | 0.7% |
| | არავინ | 1.1% |

საინტერესოა, რომ ქალების ზუსტად თანაბარ რაოდენობას — 14.4%-ს უნდა, რომ მეკვლედ საქართველოს პრეზიდენტი ესტუმროს და ასევე 14.4%-ს წარმატებული და ქველმოქმედი ბიზნესმენის მეკვლეობა სურს.

შარშანდელ გამოკითხვაში პირველი სამეული ასეთი იყო: მიხეილ სააკაშვილი, სანდრა რულოვსი, ნინო ბურჯანაძე. რაც შეეხება წლევანდელ ფავორიტს, შარშან ბიძინა ივანიშვილი ლელა წურწუმიასთან ერთად მეშვიდე-მერვე ადგილებს იყოფდა.

*მკითხველის რეიტინგში 389 რესპონდენტი მონაწილეობდა*

## ცნობილთა აზრით:



**ცისანა სეფიაშვილი**: — ვისურვებდი ალბათ ქვეყნის პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს და კახი კავსაძეს. პრეზიდენტს იმიტომ, რომ ჩემი აზრით, იგი ყველასთვის სასურველი სტუმარია და მით უფრო მეკვლე. რაც შეეხება კახი კავსაძეს, ასევე ძალიან გამიხარდებოდა მისი მეკვლეობა ჩემს ოჯახში. უზომოდ მიყვარს და დიდ პატივს ვცემ როგორც პიროვნებას და პროფესიონალს. ისე კი ჩემი ოჯახის მეკვლეები, უკვე რამდენი წელია ჩემი შვილები არიან. წელს კი უმცროსის ჯერიც დადგა.



**რომან გოცირიძე**: — ძალიან ბევრს ვისურვებდი მეკვლედ, თუმცა გამოვყოფდი ერთ ადამიანს, ქვეყნის პირველ ლედის — სანდრა რულოვსს. ჩემი აზრით, იგი სწორედ მეკვლის თვისებებით არის დაჯილდოებული — სიკეთისა და სათნოების განსახიერებაა.



**მარიკა ვერულაშვილი**: — ვინც ვისურვე ახალ წელს მეკვლედ, სწორედ ის მესტუმრა. რაიმე ამბიცია თუ იდეფიქსი ცნობილი ადამიანის მეკვლეობაზე ნამდვილად არ მაქვს. არც ისეთ ადამიანთა ჯგუფს მივეკუთვნები, ვინც პოლიტიკური ნიშნითა თუ სხვა სარგებლის მიღების მიზნით ირჩევს მეკვლეს. ჩემი მეკვლე ხათუნა ბერძენიშვილი, ტელეკომპანია „მზის" საინფორმაციო სამსახურის უფროსი გახლდათ. დიდი ხანია ვმეგობრობთ. ერთად ვმუშაობდით „მოამბეშიც". ალბათ არსებობს შინაგანი ხმა, რაც სიახლოვესა და მეგობრობას განაპირობებს. ნათლიას თუ მეჯვარეს სწორედ ამ შინაგანი ხმის კარნახით ვირჩევთ. ასეა მეკვლეობაც. ვერც ერთი ცნობილი ადამიანი, თუკი არ მეგობრობ მასთან, მეგობრის სითბოს ვერ შეგიცვლის.

# გურული „პრინცები"

## კოვბოებისთვის როდეო ქართველ მხედრებს უსწავლებიათ(!)

ზუსტად არავინ იცის, როდის ესტუმრნენ ქართველი ცხენოსნები პირველად ამერიკას. იუველირებმა მაშინვე მიმხვდარან, გურულების სტუმრობა ხუმრობა რომ არ ყოფილა. ამის შესახებ თავის დროზე არაერთი ამერიკული გაზეთი წერდა, მაგრამ ბედის ირონიით არც ერთ მათგანში გაკვრითაც კი არ არის ნახსენები სიტყვა „ქართველი" ან თუნდაც „გურული". ამერიკა და ევროპა გაიცნო ქართველ მოჯირითეებს ხილვამ და აღფრთოვანებულ გამყვირებულ" — „ვივ კოზაკ" — „გაუმარჯოს კაზაკებს" ასე იცნობდნენ გურულ ცხენოსნებს უცხოეთში. თურმე ეს ამბავი ძალიან სწყინდა გურულებს გულს. სავარაუდოდ თითქმის საბოლოოდ შემორჩენილი გაზეთის შემდეგი დაფიქსირება: „სიკვდილი რაა არ არის, ყველა კაზაკებს გვეძახიან და ის კი არ გაგვიგიათ, რომ საქართველოს შვილები ვართ".

იმ დროისთვის ევროპასა და ამერიკაში ლეგენდები დადიოდა რუსეთის ტრამალებში მოთარეშე კაზაკებზე და ამერიკული სანახაობრივი ბიზნესის ორგანიზატორებიც რუსეთის იმპერიიდან შემოსულ საქართველოს მოქალაქეებს ყველაზე მოსახერხებლად კაზაკებად აცნობდნენ მსოფლიოს. არადა მაყურებელიც ველოდებოდა სანახაობრივი გურული მხედრების ოსტატობა ახლოდა და არა კაზაკების სახელი.

გურულების ამერიკული ოდისეიდან საუკუნეზე მეტი ხნის გასვლის შემდეგ გაიგო მსოფლიომ სინამდვილე და როგორც მოჯირითეების ისტორიის მკვლევარი, კინორეჟისორი ირაკლი მახარაძე ამბობს, თუმცა დაგვიანებით, მაგრამ შეცდომა მაინც გამოსწორდა.

ახლა გაირკვა ისიც, რომ ჯგუფში ქალიც ყოფილა და ლამაზი დამამთავრებელი ანიან. გურულებს თავისუფლებას ხნარჩენებს სწორედ ქალაქ ქოფშვი (ის ამერიკელია მოგზაურებმა ბუფალო ბილმა დაარსა) განაცხადება. მოჯირითეების უპრავალეობს ლაბნშვული იყო. ირაკლი მახარაძე მადლიერებით იხსენებს ამირან ცამციშვილს, — სწორედ მისმა ფასდაუდებელმა შრომამ იხსნა გურული მოჯირითეების ისტორია დავიწყებისგან. მაშინ, როდესაც ბოლშევიკების შიშით სიტყვა „ამერიკის" მხსენებლებიც კი იხვებოდა, საქართველოში, დაბრუნებული მოჯირითეები ამერიკაში დარჩენილთა ნათესავები ყველანაირ „მამხილებელ" დოკუმენტს,



ფოტოებსა და წერილებს ანადგურებდნენ. ამირან ცამციშვილმა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იან წლებში დაიწყო ქართველი მოჯირითეების ისტორიის შესწავლა. შეხვდა მაშინ ჯერ კიდევ ცოცხალ მოჯირითეებს, რომელთაც წიგნიც მიუძღვნა სახელწოდებით „ქართველი ცხენოსნები უცხოეთში". მოგვიანებით ამ საქმეს ხელი მოჰკიდა ირაკლი მახარაძემ. მან უკვე გადაიღო ფილმი „უაილდ უესტის მხედრები". გამოსცა ამავე სახელწოდების წიგნი და ერთ-ერთი მოჯირითის (ვინაობა დაუდგენელია) დღიური — „ერთხელ ამერიკაში".

...ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში იტალიელი მისიონერი დიონიჯო კარლი აღფრთოვანებული მოგვითხრობს: „ქართველები მეომრობით არიან განთქმული. ეს ჭეშმარიტებაზე უფრო ჭეშმარიტია, ვინაიდან ქართველების ლაშქარი, ნადირობის გარდა, რაშიაც ისინი განუწყვეტლივ იწრთობიან, მე ვნახე განსაკუთრებულ თამაშებში, რომლებშიც ისინი ხელმარჯვე ტყორცნას სწავლობენ..." მისიონერი აღწერს ყველა იმ საცხენოსნო სახეობას, რომლებსაც ქართველები უძველესი დროიდან შეუდარებელი ოსტატობით ფლობდნენ. სულხან-საბას ლექსიკონის მიხედვით, ქართული საბრძოლო ხელოვნების საცხენოსნო სახეობებს ზოგადად „თქერება" ეწოდება. თქერების უძველესი სახეობა გახლავთ მარულა, „თარჩია". განსაცვიფრებელია მარულისმაგვარი სახეობა, მთიდან დაშვება. მხედარი ზის უბელო და ულაგმო ცხენზე, მხოლოდ მუცელზე ამოტარებული თოკის ამარა და ნიშანზე ცხენს ციცაბო დაღმართზე მიაჭენებს. სხვა სახეობები უფრო სამხედრო ხასიათისაა. მაგალითად, „ისინდში" მხედარმა ერთდროულად ზურგში ნასროლი შუბიც უნდა დაიჭიროს და მეტოქეს საპასუხოდაც უნდა შეუტიოს.

ქართველების ცხენოსნობას ქრისტეფორე კასტელიც გაუოგნებია. „უცქირეთ მათ მშვენიერ ცხენოსნობას, როგორ კარგად მართავენ ცხენებს. ესაა ხელოვნება ცხენოსნობაში"... საოცარი სანახაობა ყოფილა „მკერდაობაც". მოასპარეზე ცხენის დაძგერებით აძევებდა მოწინაალმდეგის ცხენს მოედნიდან. თურმე უიარაღოდ დარჩენილი ლუარსაბ მეფე გარისის ბრძოლაში ამ ხერხით იბრძოდა. „მოქნევა", „ჩეხა", „სხაპი" — ყველა საბრძოლო სახეობაა. „ტანასობის" დროს მხედარი გაჭენებულ ცხენზე სხვადასხვა სახის რთულ სატანვარჯიშო ელემენტს ასრულებდა. სავარაუდოდ, განსაკუთრებით „ტანასობით" ხიბლავდნენ გურულები ამერიკელებს, რომლებმაც მათგან გადაიღეს ურთულესი ილეთები. ამერიკის არენებზე გურული მოჯირითეების 30-წლიანი მოღვაწეობის შედეგად მოპოვებულმა საყოველთაო აღიარებამ დიდი გავლენა იქონია კოვბოებზე. ველური დასავლეთის მკვლევარისა და ისტორიკოსის, დი ბრაუნის განმარტებით, ჯირითი როდეოში „თავზეხელაღებულ კაზაკებს" შეუტანიათ. „მათი თავბრუდამხვევი ტრიუკებით დაინტერესებულმა კოვბოებმა ეს გაითავისეს და შემდგომ თავისებური ამერიკული ვარიანტი წარმოადგინეს ამერიკულ როდეოში", — წერს ბრაუნი.

ამერიკაში უკვირდათ შოუში მამაკაცებთან ერთად გურული მოჯირითე ქალების მონაწილეობაც. არადა წინათ „თქერებაში" ერთ-ერთი საინტერესო დეტალი იყო ე. წ. მოპატიჟება, — მხედარი ქალი ვაჟს გამოიწვევდა და თავისი ილეთების შესრულებას სთავაზობდა.

1894 წელს The Morning Journal-ში დაბეჭდილ ინტერვიუში გურული მოჯირითე ფრიდა მგალობლიშვილი, რომელსაც „ნამდვილ ლედის" უწოდებდნენ, ამბობს, — „შეიძლება ითქვას, რომ ჯირითი ჩვენთან ერთად დაიბადა. რაც თავი მახსოვს, ცხენის ზურგი იყო ჩემი სკამი... ცხენზე ჯდომა საგანგებოდ არ მისწავლია და არც არავის უსწავლებია. ყველა ტრიუკს გასართობად ვასრულებდი სხვადასხვა შეჯიბრებაში, რომელიც ჩემს სამშობლოში ტარდებოდა... ამ, ერთი შეხედვით, ველურად გაზრდილ, მაგრამ რამდენიმე უცხო ენის მცოდნე ახალგაზრდა ქალის არენაზე გამოსვლისას თურმე მაყურებელი აღფრთოვანებისგან ცახცახებდა. „ვინც კი ერთხელ მაინც ნახა მედისონ სქვერ გარდენში მისი მოხდენილი და საოცარი ჯირითი გაშმაგებულ ცხენზე, ის მაშინვე მიხვდება, რომ ფრიდა დაბადებულია იმისათვის, რომ მონუსხოს მთელი მსოფლიო განსაცვიფრებელი ცხენოსნობით", — წერდა ამერიკული პრესა. სამწუხაროდ, ერთ საგაზეთო სტატიაში შეუძლებელია ყველა მოჯირითის, თუნდაც მხოლოდ ქალების შესახებ მოგითხროთ. ბარბალე იმნაძე, ქრისტინე ცინცაძე, მარო ზაქარეიშვილი ერთმანეთზე უკეთესები ყოფილან. რამდენჯერმე ამერიკელებს ქრისტინეს მოტაცებაც კი უცდიათ.

ამერიკაში გურულების არა მარტო ჯირითი, უნაგირებიც კი განცვიფრებას იწვევდა. ერთ-ერთი ამერიკული გაზეთი დაწვრილებით აღწერს ქართულ უნაგირს, რომელიც 275 დოლარი ღირდა, მაშინ, როდესაც ამერიკული უნაგირი სულ 75 დოლარი ჯდებოდა. ამიტომ ქართველებს უნაგირებს თურმე ხშირად ჰპარავდნენ. აღსანიშნავია გურულების განსაკუთრებული დამოკიდებულება ცხენებისადმი, რომელიც ქართველების მოშურნე კონკურენტების განსჯის საკითხიც კი ყოფილა. კოვბოებისაგან განსხვავებით, გურულები არასოდეს ხმარობდნენ დეზებს, რადგან ის ძალიან მტკივნეული ყოფილა ცხენისთვის. ამიტომაც მხედრები რბილი მესტებით ჯირითობდნენ და მხოლოდ მათრახს ხმარობდნენ.

გურულმა მოჯირითეებმა, რომელთაც ამერიკაში პრინცებს ეძახდნენ, არა მარტო საცხენოსნო სახეობები, ქართული ცეკვა და პოლიფონიური სიმღერაც ერთ-ერთმა პირველებმა გაიტანეს ევროპასა და ამერიკაში. ჯირითის დაწყებამდე მხედრები საგანგებოდ გამართულ ფიცარნაგზე ჯერ ცეკვავდნენ და მღეროდნენ, შემდეგ კი თქერობას იწყებდნენ კენტავრებივით (ასე ეძახდნენ ამერიკაში ქართველ მოჯირითეებს). მათ ინგლისის დედოფალ ვიქტორიასთვისაც დაუხვევიათ თავბრუ. ქართველი ცხენოსნების ხელოვნებით აღფრთოვანებულ დედოფალს მათთვის გურულების ფოტოებით სავსე მოვარაყებული ალბომი გადაუცია (რომელიც ერთ-ერთი მოჯირითის, ივანე მახარაძის ოჯახში ინახებოდა, სანამ ხანძარი იმსხვერპლებდა) საჩუქრად. ინგლისელ საზოგადოებას კი 20000 კაცის მიერ ხელმოწერილი ქებისა და მადლობის ადრესი შეუდგენია ქართველთა პატივსაცემად. ამის შესახებ იმ ხანებში „მოსკოვსკიე ვედომოსტიც" იუწყებოდა. ქართველები სწორედ ინგლისში შეერთებიან ბუფალო ბილის „უაილდ უესტშოუს".



ამერიკაში გურულების საცხენოსნო ხელოვნებით პრეზიდენტები ვუდრო უილსონი და თეოდორ რუზველტიც მოხიბლულან. რუზველტი ისე აღფრთოვანებულა მოჯირითე გიორგი ჩხაიძის ოსტატობით, რომ მისთვის სამახსოვროდ ოქროს ბეჭედი და ლანგარი გადაუცია, რომელზეც ცხენზე ამხედრებული პრეზიდენტია გამოსახული. მოგვიანებით ლანჩხუთში დაბრუნებულ ჩხაიძეს მამასახლისი გადამტერებია და პატიმრობიდან რომ დაეხსნა თავი, სწორედ რუზველტის ნაჩუქარი ბეჭედი გაუყიდია. პრეზიდენტები ქართველ მხედრებს თეთრ სახლშიც ეპატიჟებოდნენ. მოჯირითეები დიდ პატივში ჰყოლია ამერიკულ ელიტასაც. განსაკუთრებით პოპულარული ყოფილა ლუკა ჩხარტიშვილი. თუმცა ერთხელ ისეთი მარცხი მოსვლია, რომ ძლივს გადარჩენია სიკვდილს. ამის შესახებ უცნობი მოჯირითეც წერს თავის დღიურებში: „ლუკაიე ჩხარტიშვილი, ჩვენი მეთაური, ნამეტარი მოსწონდა პუბლიკას. მისანა ცხენზე თამაში არაკაცს არ შეეძლო. მისი სურათები დახატეს გაზეთებში. წინა დღის ნაწუმარი იყო, ლუკა ცხენზე იუდა. მიაჭენებდა. ერთი გზობა ჩამოხტა და შამუახტა ცხენზე. მერ ცხენის ზურგზე იდგა. ცხენს ფეხი დაუცდა და წეიქცა. ლუკაი შორს მეისროლა. ბიჭეფი გამოუარდით და მივცვივდით. ლუკა უაზროდ იწვა. ცხენს კისერი მოტყდა და მოკტა. ღმერთმა თქვენს მტერს აჭამოს იმისანა შიში, რაც ჩვენ იქინე ვჭამეთ! ლუკაიე გადარჩა სიკვტილს. იქინე ჰოსპიტალში კაი ხანს იწვა, მარა მოშუშდა და მალე ისთევლე მობრუნდა შოუში". ლუკა ჩხარტიშვილი პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე ჯირითობდა ამერიკაში. ამერიკული გაზეთი „ნიუ-იორკ დეილი ტრიბუნი" ლუკას შესახებ წერდა: „პრინც ლუკას ბრწყინვალე ჯირითი მთავარი სანახაობაა ბუფალო ბილის შოუსი. მისი თავდაყირა დგომა გაჭენებულ ცხენზე განსაცვიფრებელი სანახაობაა. მას გაჭენებულ ცხენზე შეუძლია პირის გაპარსვა!" ამერიკული პრესა აღფრთოვანებას გამოხატავდა გურული „პრინცის" პიროვნული ღირსებების გამოც. „ისეთი თავაზიანია, როგორც თვით ჩესტერფილდი... ლუკა გიჟივით დაქროდა, შოუს დამთავრების შემდეგ კი მოგვევლინა როგორც თავაზიანი და უბადლო მანერების მქონე ჯენტლმენი, რომელიც ტკბილად საუბრობდა მამაზე, დედაზე, თავის პატარა დასა და საყვარელ სახლზე". ლუკა ჩხარტიშვილი ყოველთვის გამოსახული იყო შოუს სარეკლამო პლაკატებზე.

ნოსტალგია ჩვეული მოვლენა ყოფილა ფულის საშოვნელად შორს გადახვეწილი ახალგაზრდებისთვის, რომლებსაც ამერიკაში არც პატივი აკლდათ, არც ქალების თაყვანისცემა და არც ფული, მაგრამ მშობლიური კერა ენატრებოდათ. „წარმატებაც კაი გვქონდა. ფარაც ვიშონეთ. გაჭირვების გულიზა, თვარა ამ სიშორეზე გადახვეწა ადვილი ხომ არაა. ბიჭეფმა პაწა სახში გზავნიდნენ, ჯიბეშიც ჩაიდვენ. ნათესავებმაც ამეისუნთქეს. მარტუაი ყანის თოხნით ბევრ ვერაფერს იზამ. კლიმენტიმ თავის უმცროს ძმას სტავლის ფულიც კი გოუგზავნა. მარა ზოგიერთმა რაც იშონა, მაშინვე გადაყვა თამაშს და ლოთობას. არ იკლებდენ არაფერს. დარჩენ ცარიელნი. რაცხაით ხომ უნდა ეცხოვრა, მუშაობა დეიწყენ, მარა აქანე სამუშავოს მოძებნა ნამეტარი ძნელია. ბიჭეფმა ინგლისური არ იციან და ამიზა ეშლებათ ხელი. ზოგს ქე ვასტავლი, ზოგი კი ღამის სკოლაში დადის. თუ არ ისტავლი, ისთე ძნელია აქანე გაძლება, მარა ზოგიერთ ჭკუასუსტს აი არ ესმის და ანდრესდაკარგული გეჟივით დაიარება. ვერაფერი გავაგებიე. ვუჩივი, აი ამერიკაა, ბიძია, გურია კი არაა, ყური არ მათხუეს.

ჩვენს არენაზე ციცებთან ლაპარაკი აკრძალული იყო, მარა შემდეგ, რავარც ტკიპა, ისთე იყვენ მიწეპებულნი ბიჭეფიზა, ვერ მუაშორებდი. კაცის გული უბედური მაგარია თურმე. მეორე წელია ამერიკაში ვარ, მარა ჯერე ვერ მივეჩვიე. ქვეყანაა, უკეთეს ვერ ინატრი, მარა ჩემ მიდგას თვალწინ. ჩემი ოდას სული მენატრება. მაინც მივესწრობი ფულის შოვნას სახში დასაბრუნებლათ და იმით მაქ გული მაგრათ"... — წერს უცნობი მოჯირითე თავის დღიურებში.

სამწუხაროდ, დღემდე უცნობია ბევრი მოჯირითის ბედი, ისევე, როგორც სასწაულებრივად შემორჩენილი დღიურის ავტორის ასავალ-დასავალი. მისივე ჩანაწერებიდან მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ მან შოუდან წამოსვლის შემდეგ „ლევისის" მაღაზიაში დაიწყო მუშაობა და ცოლადაც ამერიკელი ქალი შეირთო.

გურული მოჯირითეების ამერიკაში მოღვაწეობა პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე შეწყვეტილა. საზღვრების დაკეტვის შემდეგ მოგზაურობა შეუძლებელი გამხდარა. ამიტომაც გურულების ერთი ნაწილი ამერიკაში დარჩენილა სამუშაოდ, მაგრამ უკვე ასაკოვანნი წინანდებური პოპულარობით ველარ სარგებლობდნენ მაყურებელში. მათი გამოსვლებისას თურმე გვარსახელებსაც კი აღარ აცხადებდნენ. სამშობლოში დაბრუნებულ მოჯირითეებსაც არ დასდგომიათ კარგი დღე. ბოლშევიკებისაგან გამუდმებით იდევნებოდნენ. მიუხედავად ამისა, მათი სახელებისა და სახეების უკვდავყოფა მაინც შეძლო კინორეჟისორმა ალექსანდრე წუწუნავამ ფილმში „ვინ არის დამნაშავე". როგორც ირაკლი მახარაძე ამბობს, ფილმზე მუშაობის დროს უამრავი მასალა შეგროვდა მხედრების ამერიკაში მოგზაურობის შესახებ, მაგრამ მოგვიანებით ყველაფერი უგზო-უკვლოდ გაქრა...

გურული მხედრები ცდილობდნენ, სულ ერთად ყოფილიყვნენ და ერთმანეთი დაეცვათ და საქციელითაც უცხოელთა გასაკილი არასოდეს გამხდარიყვნენ. სადაც კი გამოჩნდებოდნენ, ყველგან საოცარ ინტერესსა და მოწიწებას იწვევდნენ გარეგნობის, ქცევისა და ჩაცმულობის გამო. ამის შესახებ წერს კიდეც იმდროინდელი ამერიკული და ევროპული პრესა: „საკვირველ სურათს წარმოადგენენ ეს მეომარნი: სახე ერთსა და იმავე დროს მკაცრიც აქვთ და წყნარიც. შავი ჭკვიანი თვალები და შავი, გრძელი წვერი რაღაც უცნაურ ელფერს სდებს მათ სახეს...

მაშინდელ უცხოურ პრესაში გურულ მხედრებზე სიმართლის გარდა უამრავი შეთხზული ამბავიც იბეჭდებოდა, მაგრამ ეს ჩრდილს ვერ აყენებდა ქართველ ვაჟკაცებს, რომელთაც მტერ-მოყვრის ცნობაც იცოდნენ და მტრის დამოყვრებაც. დაუმარცხებელ ქართველებს განსაკუთრებით ინდიელები მტრობდნენ. კარგა ხანს ითმენდნენ მათ უზნეობას გურულები, მაგრამ მოთმინების ფიალა რომ ავსებიათ, ინდიელებისთვის ქართული მარჯვენის სიმწარე უწვნევიათ და ამის შემდეგ მეტოქეები მოყვრებად მოჰკიდებიან გურულ ბიჭებს...

ამჯერად გურული მხედრების გახსენებას დავასრულებ ერთი საინტერესო ამბით, რომელიც ირაკლი მახარაძის აზრით, პასუხს სცემს კითხვას, რატომ მხოლოდ და მხოლოდ გურული მხედრები მოხვდნენ ამერიკაში მაშინ, როდესაც საქართველოს ნებისმიერ კუთხეში არანაკლები მოჯირითეები ცხოვრობდნენ? ამბობენ, ეს გურულ ცხენოსანთა პირველი მეთაურის, ივანე მახარაძის დამსახურებააო. ოზურგეთის რაიონის სოფელ ბახვის მკვიდრ ივანეს სიყრმიდანვე თავდავიწყებით უყვარდა ცხენოსნობა და ცხენი, თუმცა 14 წლისას მარცხი მოსვლია და ამას გადაუწყვეტია მისი ბედიც და ალბათ, დანარჩენი გურულებისაც, რომლებიც მოგვიანებით ივანეს თაოსნობით გაემგზავრნენ ბედის საძიებლად. 14 წლის ბიჭი მამას საყვარელი ცხენით ბახმაროში გაუგზავნია. ჭენებისაგან დაოსებული და გაოფლილი ცხენი ბახმაროს გზაზე ცივ წყალს დასწაფებია და მომკვდარა. დაუდევრობის გამო მამას ივანესთვის სილა გაურტყამს. შეურაცხყოფილი ბიჭი სახლიდან გაქცეულა, ბათუმში ჩასულა, იქ რაჭველი მეზღვაურების წყალობით გემზე ცეცხლფარეშად მოწყობილა და ასე მოხვედრილა ნიუ-იორკში. ვილაც მეპურე რაჭველთან დაუწყია მუშაობა. ინგლისურის შესწავლის შემდეგ ცირკში წასულა დამლაგებლად. არაბ მოჯირითეს შეუნიშნავს მისთვის ცხენების სიყვარული და ივანე მათ მომვლელად აუყვანია. მალე ცხენიც უყიდია, არაბს ატრაქციონში მისთვის ერთი ნომერი დაუთმია და... 1885 წელს ივანე სამშობლოში დაბრუნდა. სულ მალე გურიას ცხენოსნების წასაყვანად თომას ოლივერი სტუმრებია. ამბობენ, ოლივერმა კარგად იცოდა, სად და ვისთან მიდიოდა, მას სმენოდა ივანეს ამერიკული თავგადასავალიო. ასეა თუ ისე, ივანე იყო პირველი, ვინც რჩეული ახალგაზრდებისგან ათკაციანი გუნდი შეკრიბა, გასაწვრთნელად ბათუმში წაიყვანა. ეს იყო პირველი „კაზაკთა ჯგუფი", რომელმაც მოგვიანებით მსოფლიო დაიპყრო და მიუხედავად იმისა, რომ ბედი ბევრ მათგანს უსამართლოდ მოექცა, ქართველ მოჯირითეთა ისტორია არ კვდება. ალბათ, მთავარი ეს არის და არა ის, რატომ მაინცდამაინც გურულებს ეპატიჟებოდნენ ამერიკაში.

*ეკა ლომიძე*

# კიროვის ბაღის სევდა

## „საჭმელი ჭამე, თორემ დათუნაშვილი მოვა, „მეშოკში“ ჩაგაგდებს და წაგიყვანს“

*გიჟივით მიჰქრის დრო...*

*ისე მიაქანებს, უკანაც არ იხედება, დალოცვილი. მირბის და ფიროსმანის ნატიფი ფუნჯივით უშცდარად ასურათხატებს ჩვენს ისტორიას. ამასობაში, თვალსა და ხელს შუა თეთრ თითებს გვიცურებს თმაში და... გვტოვებს ტკბილ-სევდიანი წარსულის ამარა. და ვიდრე „მეფეს და პაიკს ერთ ყუთში ჩაგვყრიან“, ვიგონებთ და ვეფერებით ჟამს გარდასულს, ჩვენი სულისა და გაფრენილი ოცნებების ანაბეჭდებს და რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო სიღრმისეული ოხვრით და დარდით ვიმეორებთ: „დრო იყო, ჰოი, რა დრო იყო!..“*

*და ვიდრე 2006 ახალ-ახალ ოცნებებსა და იმედებს მონატრებულ სიხარულად გადაგვიქცევდეს, ამ ძველ საახალწლოდ ის ტკბილ-მწარე მოგონებებიც გავიხსენოთ, დრო რომ გააჩერეს და მარადიულ მატიანედ შემოგვინახეს...*



დრო მახსოვს, ხალხი გაზეთების კითხვას მეოთხე გვერდიდან იწყებდა, სწორედ იქიდან, სადაც ლამის ყოველ ნომერში გვაუწყებდნენ ქართველი სპორტსმენების ტრიუმფალურ გამარჯვებებს მსოფლიო არენაზე. თუმცა, გაზეთი ამ ემოციებს როგორ დაიტევდა და გულშემატკივართა ვნებები კიროვისა და მუშთაიდის ბაღებში ცხრებოდა. ძველებისგანაც ბევრი გამიგონია და თავადაც ვარ მომსწრე თბილისის „დინამოს“ რიგითი კალენდარული მატჩის ისეთი სკრუპულოზური გარჩევისა, ფეოლას და მენოტის რომ არც დაესიზმრებოდათ. გახსოვთ, რა ხალხი იკრიბებოდა? ბუცის „შიპების“ ზომებიდან დაწყებული კოსმოსური ლაბორატორიების ნიუანსებში რომ ერკვეოდნენ. ბჭობდნენ, კამათობდნენ, აანალიზებდნენ ყველაფერს, რაც იმდროინდელ საქართველოში და მსოფლიოში ხდებოდა. სპორტსა და პოლიტიკას რომ „დაალაგებდნენ“, მერე რომელიღაც „სუპერზნატოკი“ „ვარიანტს ააგდებდა“ და ახლა რესტორანში გრძელდებოდა ჩავლილი თუ ჩასავლელი ბატალიების განხილვა, ჭიქა ღვინით თუ სირჩა არყით...



წამიერი გარინდება დიდი ქარიშხლის მოლოდინში

ჰო, ასეთი დრო იყო...

დღეს კიროვსა და მუშთაიდში, ქართული სპორტის დიდი გამარჯვებების უტყვ მოწმეებად ხავსმოდებული ხეებილა შრიალებენ, იმ ხეების ძირში კი სისხლშემხმარი „შპრიცები“ ყრია...

* * *

ერთი სომეხი მეზობელი მყავდა. ხანდახან დამიძახებდა, „იშტაზე მოვიდოდა“ და იხსენებდა წარსულს. „დინამოსა“ და „არარატის“ დაპირისპირებებს ისე ჰყვებოდა, როგორც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალს ბრაზილიასა და არგენტინას შორის. არა, ბოღმას და შურს კი არ გამოურევდა, ღიმილითა და ოხუნჯობით ამკობდა „საუკუნის შერკინებებს“. 60-იანელებს ალმერთებდა, ერთნაირად ეფერებოდა ორივე გუნდის ფეხბურთელებს: ქართველებსაც და სომხებსაც. თუ მაინც გამკრავდა კბილს: — „არარატი“ მაგარი იყოოო, დათუნაშვილის ხუთ გოლს გავახსენებდი ხოლმე ერევნელთა კარში. მეტყოდა: — ეს რა გვიყო, ცავატანემ, ისეთ შავ დღეში ჩაგვაგდო, ჩემი ცოლი ანუშა, ბიჭი რომ საჭმელს არა სჭამდა, ასე აშინებდა: — სარქის, ჭამე, თორემ დათუნაშვილი მოვა, „მეშოკში“ ჩაგაგდებს და წაგიყვანსო... ეგრეა, ტო, მაგარი დრო იყო, ჩემი ანუშაც ფეხბურთით ცხოვრობდაო...

* * *

დრო მიდის-მეთქი... დღეს კიროვი და მუშთაიდი ტოტალიზატორებმა შეცვალა. წინათ თუ ნაღდი გულშემატკივრები მსაჯს აგინებდნენ, დღევანდელი „ნაღდები“ „ჩემს დედას...“ „უბერავენ“. ისიც ჰგონიათ, რომ ევროპული ფეხბურთის ფანობასთან მოსატანიც არ არის „დინამო“ — „არარატის“ „სპექტაკლები“. იოლია, შვილოსა, ათ-ათი ტელევიზორი გედგას და „ონლაინ“ რეჟიმში უყურებდე ჩემპიონთა ლიგას თუ პრიმერადივიზიონს. წინათ, რა, ხალხი ჭურში იჯდა? ბრაზილია რომ ჩამოვიდა 1965 წელს მოსკოვში, საბჭოთა ნაკრებთან სათამაშოდ, ნახევარი საქართველო რუსეთის დედაქალაქში ჩავიდა პელესა და მესხის შერკინების სანახავად. მოსკოვი იქით იყოს, ევროპული გუნდების დაპირისპირებისას პანტიანში და კოჯორ-ტაბახმელაში ნემსი არ ჩავარდებოდა — ადიოდა სალამოს ჟამს თბილისიდან მანქანების ესკორტი, შემოდგამდნენ „კაპოტზე“ პატარა შავ-თეთრ მონიტორებს და თურქული არხებით წვალებით, მაგრამ მაინც უყურებდნენ „ლივერპულს“, „რეალს“ თუ „იუვენტუსს“. რამდენი ისეთი „სამოქალაქო“ პირი უნახავთ იქ ტელევიზორთან მიმჯდარი, რომელსაც წესით და რიგით იმ ტელევიზორების კონფისკაცია უნდა მოეხდინა, იმდენი სიკეთე ჩვენ...

რას იტყვით? ხომ მაგარი დრო იყო?..



*ასეთი დრო იყო მაშინ, ყველაფერი ნაღდი — ფეხბურთელებიც და გულშემატკივარიც!...*

* * *

ახლა რომ ლანძღვა-გინება და ბოთლების სეტყვაა სტადიონზე, აღარავის უკვირს. არც წინათ იყო ფეხბურთი ბალეტი და მაშინაც იყო ტრიბუნებზე მამაპაპური გინება და „სუდია, ნა მილო...“-ს ძახილი, მაგრამ მაშინ ფეხბურთი ფეხბურთი იყო, დღეს კორიდად გადაიქცა ყველაფერი. შარშან თურქებმა რომ 5:2 მოგვიგეს, „ლოკომოტივის“ არენიდან გამოსულ სტუმართა ავტობუსს ქვები დააყარეს, მერე ერთმანეთს მისდგნენ და დანები დაატრიალეს. რაო, წინათ, ნაკლები დამრტყმელები იყვნენ თუ ქვა და დანა არ იშოვებოდა თბილისში? 1977 წელს „ზარიასთან“ მატჩში, მსაჯის უსამართლობით აღშფოთებული გულშემატკივარი მინდორზე რომ გადავიდა, კგბ-მ ორი საათის მანძილზე ვერ დააშოშმინა ხალხი. მილიციელების ქუდებით რომ გაივსო სამხრეთ ტრიბუნის კარის ბადე, მერეღა მოხერხდა გულშემატკივრების გაყვანა არენიდან. ყიფიანი და პაიჭაძე მიუძღოდათ წინ 80 ათას კაცს. რა გგონიათ? ერთი ვიტრინა არ ჩამსხვრეულა, ერთი შეურაცხყოფა არავის მიუყენებია არც უკრაინელი ფეხბურთელებისთვის და არც ერთმანეთისთვის...

არადა, ის თამაში რომ მოგვეგო, პირველ ადგილზე გავიდოდით...

უბრალოდ, დრო იყო ასეთი: ფეხბურთი იყო და არა გაგიჟებული ხარების კორიდა...

* * *

დღეს ბოლო მოდელის „მერსედესებით“ დაჰყავთ ფეხბურთელები სტადიონზე. დრო იცვლება და „პაზიკებით“ სიარულს ვერ მოსთხოვ ვერავის. ითამაშონ, ჯიგარი ჩადონ მინდორზე და თუ გინდ „ბოინგებით“ გადააფრინონ დილმიდან წერეთლის გამზირამდე, მაგრამ... ისეთი დროც იყო, ხალხი დილმის ბაზის „სეტკებს“ იყო აკრული და „დინამოს“ ვარჯიშებს ცალით თვალით უყურებდა, რადგან გულშემატკივრების ზღვაში ესეც დიდი შეღავათი იყო. მერე ნანახი და განცდილი კიროვისა და მუშთაიდის „საფიხვნოზე“ ირჩეოდა: მესხის ფინტი თუ დათუნაშვილის კუთხური, ყიფოს 60-მეტრიანი „იუველირის პასი“ თუ მაჩაიძის თვალდახუჭული „კეწწვლა“... სასწაულების, ცალთვალმოკრული სასწაულებისა და „საცირკო“ სანახაობების კორიანტელი...

მოვიდოდა თამაშის დღეც. „დინამო“ თამაშობსო(?!), ბილეთებზე ნყვეტა, თავპირის მტვრევა და ცვკა-ტვკას შეწუხება; ტრანსპორტზე, უკეთეს შემთხვევაში, საფეხურზე ჩამოკონწიალება; სტადიონთან მისასვლელ გზებზე „მეორედ მოსვლა“ და კუჭკუჭივით „ერთადერთი სიდედრების სასიკვდილოდ გამეტება“ სამსახურიდან თავდასახსნელად...

სტადიონის ჭიშკართან მღელვარებისგან ამოვარდნილი გული, საოცნებო ადგილამდე მუჯლუგუნებით მიღწევა და „არის თუ არა ეს ბილეთი!“-ს ძახილი; გაძეძგილი კიბეები; მატჩის პროგრამების ხელიდან ხელში გადასვლა და წამიერი გარინდება დიდი ქარიშხლის მოლოდინში...

დღესაც ყურში მიდგას ის ენით აუწერელი გუგუნი, რომლის თანხლებით ფეხბურთელები გვირაბიდან გამოდიოდნენ. ღმერთო! ან კი როგორ უძლებდა „დინამოს“ სტადიონი გულშემატკივართა სტიქიონს...

დღეს მეტოქე გუნდის ჰიმნის შესრულებისას გამაყრუებელი სტვენა ზარავს მიდამოს, წინათ კი იყო დიდსულოვანი წამი მოწინაალმდეგის გამორჩეული ფეხბურთელების ოსტატობის შემდეგ, როგორც ფეხბურთის, ცოდნისა და სამართლიანობის განცდის ყველაზე უტყუარი საზომი!...

აპლოდისმენტებით გაცილებული „ჰამბურგიც“ მახსოვს, „ტოტენჰემიც“, „ვესტჰემიც“, „ნაპოლიც“ და „ინტერიც...“

ნაგების შემდეგ სიმწრის ცრემლებიც მახსოვს, დაწყვეტილი გულებიცა და ნერვებიც, მაგრამ მომკალით და ქვისა და დანის ტრიალი არ მახსენდება...

ასეთი დრო იყო მაშინ, ყველაფერი ნაღდი — ფეხბურთელებიც და გულშემატკივარიც!...

* * *

P.S. ერთხელ, კიროვის ბაღში „მესხისტები“ და „მეტრეველისტები“ დარეულან (ნეტა რა ჰქონდათ გასაყოფი?!) ბევრი არაფერი, ერთი-ერთზე ვაჟკაცურად დაურტყიათ, მერე ლამის მთელი ქალაქი ჩარეულა მათ შერიგებაში. „ზემელზე“ ჩამსხდარან რესტორანში და ძმობა შეუფიციათ ერთმანეთისთვის...

შარშან, იმავე კიროვის ბაღში, ტოტალიზატორიდან უწვერულვაშო ყმაწვილები ამოსულან, ნაგებული ფსონის სიმწარე ვერ მოუნელებიათ. ერთი ინგლისის რომელიღაც დივიზიონის რიგითი გუნდის ფანი ყოფილა და თავის თანატოლს დასტაკებია; — როგორ თუ შენმა ფავორიტმა რომელიღაც ზანგმა ჩემს გუნდს გოლი გაუტანა და 100 დოლარი „გამამაზინაო“, დატრიალებულა ხრახნიანი დანები. რა შერიგება, რის ძმობა, ორივე დაღუპულა, ერთი სასიკვდილო ჭრილობით, მეორე — მკვლელის საუკუნო ცოდვით...

გიჟივით მიჰქრის დრო...

დღეს კიროვსა თუ მუშტაიდში ქართული სპორტის დიდი გამარჯვებების უტყვ მოწმეებად ხავსმოკიდებული ხეებილა შრიალებენ გაფრენილი დროის შესაჩერებლად!...

***ზვიად სეხნიაშვილი***

# „მხიარული ჩემპიონები“

სპორტული ასპარეზობები სხვა არაფერია, თუ არა მწვავე, დრამატული მომენტები და პირველობისკენ სწრაფვა, მაგრამ ასეთი დაძაბულობის ფონზეც ხშირია ისეთი კურიოზული სიტუაციები, რომლებიც შესაძლოა ნებისმიერ სპორტსმენს (მათ შორის, საქვეყნოდ აღიარებულსაც) შეემთხვეს და წლების შემდეგაც კი ღიმილი მოჰგვაროს. ვფიქრობთ, „კვირის პალიტრის“ მიერ შემოთავაზებული „კურიოზული ფოტოგალერეა“ მხიარულ განწყობაზე დაგაყენებთ.












მეტალოპლასტმასის
კარ-ფანჯარა და ვიტრაჟი
საუკეთესო ხარისხის
სამ და ოთხკამერიანი
ყველაზე რეალური ფასები
38-37-47 899-17-70-80
იოსებიძის ქ. №49

# დისციპლინა ყოველთვის ქართული ფეხბურთის „აქილევსის ქუსლი" იყო

რამდენიმე დღეში ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი — თბილისის „დინამო" მოსკოვს გაემგზავრება. 14 იანვრიდან რუსეთის დედაქალაქი ტრადიციად ქცეულ ტურნირს — „თანამეგობრობის თასს" უმასპინძლებს და ჩვენი გუნდის მიზანიც ტრადიციული იქნება. ახალგაზრდა მოთამაშეები გამოცდილებას მიიღებენ, „დინამო" კი შეეცდება, რაც შეიძლება მეტი მეტოქე დაამარცხოს. როგორც იცით, ორი წლის წინ ტურნირი „დინამოს" ტრიუმფით დასრულდა, შარშანდელ გათამაშებაში კი საქართველოს „თბილისი" წარმოადგენდა და ჯგუფური ეტაპის გადალახვაც ვერ მოვახერხეთ. „დინამოელთა" თავკაცს, **კახა ცხადაძეს** მომავალ გათამაშებასთან ერთად, სხვა საინტერესო საკითხებზეც გავესაუბრეთ.



**— ბატონო კახა, სანამ თანამეგობრობის თასზე გამოსვლის სამზადისზე ვისაუბრებდეთ, რამდენიმე სიტყვით ის ვითარება გაიხსენეთ, „დინამოში" მისულს რომ დაგხვდათ...**

— როგორც გახსოვთ, მაშინ გუნდში სახარბიელო მდგომარეობა ნამდვილად არ ყოფილა. ნამყვანი მოთამაშეების უმრავლესობამ „დინამო" დატოვა და შემადგენლობა იმდენად ხშირად იცვლებოდა, ფეხბურთელები შეთამაშებასაც ვერ ასწრებდნენ და ბუნებრივია, ეს შედეგებზეც აისახა. საბედნიეროდ, კლუბის სამწვრთნელო შტაბში სწრაფად მოვახერხეთ ოპტიმალური შემადგენლობის და სწორი ტაქტიკა-სტრატეგიის მოძებნა, ამით კი სეზონის ბოლოს მთავარ მიზანსაც მივაღწიეთ — ქვეყნის ჩემპიონობა საკმაოდ დამაჯერებელი სხვაობით მოვიპოვეთ.

**— უკანასკნელ წლებში, „დინამოსაც" მუდმივად აწუხებს ქართული კლუბებისთვის დამახასიათებელი სენი — აწყობილი გუნდის შენარჩუნებას ვერაფრით ახერხებს და ლამის ყოველწლიურად უხდება ახალი გუნდის შენება. წელს მაინც თუ მოახერხებთ ძირითადი ბირთვის კლუბში დატოვებას?**

— იმ შემადგენლობიდან, სეზონის წინ ძირითად ბირთვად რომ მოიაზრებოდა, დღეს ბევრი ალარავინაა დარჩენილი. მოთამაშეთა ნახევარზე მეტი ტრავმირებულია, ამას დაემატა გუნდის ერთ-ერთი ლიდერის, ალადაშვილის წასვლაც. ამ ფეხბურთელს „დინამოში" ჩვენს მოსვლამდე ისეთი კონტრაქტი ჰქონდა გაფორმებული, რომლის მიხედვითაც გუნდის დატოვება ნებისმიერ მომენტში შეეძლო. ამ ყველაფრის გამო, იძულებული გავხდით, სეზონის მსვლელობისას შემადგენლობა კიდევ ერთხელ გადაგვეხალისებინა. ახლაც, იმ გუნდში, რომელიც მოსკოვში გაემგზავრება, ცხრა ფეხბურთელი „დინამო 2"-დან არის. ასე რომ, სამწუხაროდ, თქვენ მიერ ნახსენები პროცესი კვლავ გრძელდება...

**— „დინამოს" ბევრი მოთამაშე სხვადასხვა კლუბშია გადანაწილებული. მათი საქმე როგორ იქნება?**

— ხმალაძე და დვალი „თანამეგობრობის თასზე" „დინამოსთან" ერთად იქნებიან. რაც შეეხება კაკალაძეს და თოთლაძეს, ისინი თბილისში დარჩებიან და კლუბის ხელმძღვანელობასთან შეხვედრის შემდეგ გადაწყვეტენ, სად ითამაშებენ. იგივე შეიძლება ითქვას ქუცურუაზეც. „დინამო 2"-ში ძლიერი შემადგენლობა დაგვხვდა და სწორედ მათთან გაწეული სწორი მუშაობის შედეგია, ეს მოთამაშეები პირველ გუნდში რომ აღმოჩნდნენ. ზოგიერთი მათგანი, შესაძლოა „დინამოში" დარჩეს, კლუბთან ერთად ივარჯიშოს და თუ ძირითად შემადგენლობაში ვერ მოხვდება, პრაქტიკის მისაღებად მეორე გუნდში ითამაშოს...

**— „დინამოში" რამდენიმე ვარჯიში გია გურულის მიერ ჩამოყვანილმა ფრანგმა მოთამაშემ ჩაატარა. მასზე რისი თქმა შეგიძლიათ?**

— მშვენიერი მონაცემების მქონე ფეხბურთელია. კარგად ხედავს მოედანს, პასის კულტურაც მაღალ დონეზე აქვს და ჩინებული ტექნიკის პატრონიცაა. თუმცა, ამ ეტაპზე, ჩვენი ფეხბურთელებისგან ისეთი გამორჩეული ნამდვილად არ ყოფილა, დაუფიქრებლად დაგვეტოვებინა გუნდში. თუ იმხელა თანხას გადავიხდით, რამდენიც ეს ფრანგი ლეგიონერი ღირს, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ იგი ნამდვილად გააძლიერებს „დინამოს", მაგრამ დღესდღეობით, კლუბის გამოკვეთილი ლიდერი ნამდვილად ვერ იქნება...

**— ახლა რამდენიმე სიტყვით კარს მომდგარ დსთ-ის თასზეც ვთქვათ.**

— მსგავს ტურნირებში მონაწილეობით განებივრებული ნამდვილად არ ვართ. პირველ რიგში, „თანამეგობრობის თასზე" მონაწილეობა ახალგაზრდა მოთამაშეებს წაადგებათ. ეს ტურნირი „დინამოს" მოსამზადებელი ეტაპის მეორე ნახევარში „ჯდება" და შესაბამისად, სასურველი კონდიციის მისაღწევად გაგვიწევს დიდ სამსახურს. ბუნებრივია, გვსურს კარგი თამაში ვაჩვენოთ და რაც შეიძლება მეტი ეტაპი გადავლახოთ, მაგრამ დსთ-ის თასის ძირითადი ფუნქცია ჩვენთვის მომზადება და გამოცდილების მიღებაა.

**— ორი წლის წინ სწორედ თბილისის „დინამო" გახდა „თანამეგობრობის თასის" გამარჯვებული. ეს ფაქტი გარკვეულ პასუხისმგებლობასაც გაკისრებთ და მეტოქეებიც მეტი რიდით მოგექცევიან...**

— თბილისის „დინამო" ისეთი ტრადიციების მქონე კლუბია, რა შემადგენლობითაც არ უნდა ასპარეზობდეს, პატივისცემას ყოველთვის იმსახურებს. თუმცა, წელს მართლაც ძალზე ახალგაზრდული გუნდით მივემგზავრებით. ის „დინამო" კი, რომელმაც ორი წლის წინ თასი მოიპოვა, შემადგენლობით რადიკალურად განსხვავდებოდა. იმ ფეხბურთელთა უმრავლესობა, რომლებიც ივო შუშაკისეულ „დინამოში" თამაშობდა, დღეს ეროვნული ნაკრების წევრია. რომ არ იფიქრონ, მოსკოვში მხოლოდ ვალის მოსახდელად მივდივართო, ჩვენს ფეხბურთელებს ყოველთვის იმას ვუჩიჩინებ, ვარჯიშებზეც კი მხოლოდ მოსაგებად იბრძოლონ და დარწმუნებული ვარ, თავს არც დსთ-ის ტურნირზე დაზოგავენ. მთავარია, რომ პოტენციალი ნამდვილად აქვთ და მცირეოდენ გამოცდილებასაც რომ დააგროვებენ, გაცილებით უკეთ იასპარეზებენ.

**— „დინამო-2"-დან გამოძახებული ცხრა ფეხბურთელი ახსენეთ. ეს ყოველივე იმას ნიშნავს, რომ „დინამოს" მეორე გუნდი ნიჭიერი ჭაბუკების ნაკლებობას ამჯერადაც არ უჩივის...**

— მართლა ძალიან კარგი ბიჭები გვყავს. ეს მოთამაშეები ახლა 17-18 წლისანი არიან და თვალში საცემ წინსვლას იმდენად მოკლე ხანში მიაღწიეს, გაოცებას ვერ ვმალავ. დიდი იმედი მაქვს, რომ ახლო მომავალში ისეთ გუნდად იქცევიან, მსგავს ტურნირებში მხოლოდ გამარჯვებას რომ დაისახავენ მიზნად...

**— ბოლოს, ნაკრებს და მის ახალდანიშნულ თავკაცს — კლაუს ტოპმიოლერსაც შევეხოთ. გერმანელ სპეციალისტს თქვენ კარგად იცნობთ. როგორ გგონიათ, რისი გაკეთება შეუძლია ტოპმიოლერს ქართული ფეხბურთისთვის?**

— მას, როგორც სპეციალისტს, ჩემი დახასიათება ნამდვილად არ სჭირდება. ვფიქრობ, მოახერხებს საქართველოს ნაკრებს საკუთარი ხელწერა დაატყოს და ეროვნულ გუნდში დისციპლინა დაამყაროს — მოედანზეც და მის გარეთაც. დისციპლინა კი ყოველთვის იყო ქართული ფეხბურთის „აქილევსის ქუსლი". ამას გარდა, ტოპმიოლერს თანამედროვე ფეხბურთის ახლებური ხედვა აქვს და მის ელემენტებს ნაკრებში გადმოიტანს. მთავარია, ამ ყოველივესთვის გერმანელ მწვრთნელს დრო მისცენ: როგორც ვიცი, აძლევენ კიდეც მუშაობის საშუალებას და თუ გულშემატკივარიც მოთმინებით მოეკიდება ყოველივეს, შედეგს აუცილებლად მივიღებთ...

# თბილისს ილიადისი და სუძუკი ეწვევიან



ჯარჯი ზვიადაური



კეიძი სუძუკი

თებერვლის დასაწყისში, თბილისი ძიუდოს ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს კიდევ ერთხელ უმასპინძლებს. ასპარეზობა წელს 33-ჯერ იმართება და ბოლო ორი წელია, მას ახალი სახელი — მსოფლიო თასი უწოდეს. სპორტის სასახლეში მსოფლიოს უძლიერესი ფალავნები შეიკრიბებიან და ბუნებრივია, შეჯიბრს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს მასპინძელი — საქართველოს ნაკრებიც. ჯერჯერობით, შოთა ხაბარელს არ დაუსახელებია ის შემადგენლობა, მსოფლიო თასზე რომ იასპარეზებს. ჩვენები ჯერ იაპონიაში იჭიდავებენ იქაურ ტურნირზე, მერე კიდევ ერთ შეკრებას გაივლიან თბილისში და სპორტის სასახლის ტატამზე გამომსვლელთა ვინაობასაც მხოლოდ ამის შემდეგ შევიტყობთ.

სამაგიეროდ, უკვე ცნობილია რამდენიმე ისეთი ტიტულოვანი ფალავნის სახელი, თბილისის ტურნირზე აუცილებლად რომ იჭიდავებენ. ამათგან, ყველაზე აღსანიშნავი იაპონიის ნაკრების ლიდერი და მთავარი იმედი, ათენის ოლიმპიადისა და მსოფლიოს ჩემპიონი კეიძი სუძუკია. მის გარდა, ტურნირის ორგანიზატორებმა სუძუკის კიდევ ორი თანამემამულე — ჰიროში იზუმი და იაზაკი მუნეტა მოიწვიეს პერსონალურად, თუმცა, უკვე ცნობილია, რომ არც ერთი მათგანი თბილისს არ ეწვევა.

სასიხარულოა, რომ სპორტის სასახლეში შეკრებილ ქომაგს კიდევ ერთხელ მიეცემა საყვარელი ფალავნის (რომლის ჭიდაობის ხილვისას, სინანულის ცრემლიც ხშირად გვახრჩობს) — ილიას ილიადისის (ჯარჯი ზვიადაურის) ტატამზე დანახვა. სავარაუდოდ, ჩამოვლენ ძიუდოს კლუბ „საგარეჯოს" უზბეკი ლეგიონერი აბდულო ტანგრიევი, უკრაინელი რომან გონტიუკი და ორგზის მსოფლიო ჩემპიონი, ირანელი მოირემაი ლი. მათ გარდა თბილისს კიდევ უამრავი მსოფლიოს, ევროპისა თუ ოლიმპიური თამაშების პრიზიორი ეწვევა სხვადასხვა ნაკრების შემადგენლობაში და სპორტის სასახლის ტრიბუნებზე შეკრებილ ქომაგს მოსაწყენი დრო ნამდვილად არ დარჩება.

# ბექჰემის ბუცები მილიონად გაიყიდა



ნორვეგიელმა მილიონერმა საქველმოქმედო აუქციონზე დევიდ ბექჰემის ბუცები 1 მლნ კრონად (დაახლოებით 147 ათასი დოლარი) შეიძინა. აღნიშნული თანხა პაკისტანში მომხდარი დამანგრეველი მიწისძვრით დაზარალებულთა დასახმარებლად გადაირიცხება. ბუცების მფლობელი იდარ ვოლვიკი გახდა, რომელიც კომპანია Chess-ის დამფუძნებელია. ეს კომპანია სატელეფონო საუბრების ორგანიზებას ახდენს ინტერნეტის მეშვეობით. საინტერესოა, რომ აღნიშნული ბუცები ერთხელ უკვე გაიყიდა საქველმოქმედო მიზნით — ცოტა ხნის წინ ერთ-ერთმა ნორვეგიულმა ორგანიზაციამ შეიძინა და გადახდილი თანხა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მომხდარი ცუნამით დაზარალებულებს გადაუგზავნა.

# რონალდინიო კომიქსის გმირი გახდა



„ბარსელონას" ბრაზილიელმა ვარსკვლავმა — რონალდინიომ ისტორიული „უკვდავების" მოსაპოვებლად კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა: ცოტა ხნის წინ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად დასახელებული რონალდინიო თავის ქვეყანაში გამოსული კომიქსების წიგნის გმირი გახდა. თავის დროზე ასეთივე გზა ფეხბურთის მეფემ, პელემაც განვლო. „ბარსას" ვარსკვლავი მშობლიურ ქალაქ პორტუ-ალეგროს ესტუმრა, რათა მხატვარ მაურისიო დე სოუზას შეხვედროდა და თან ახალი ტელეკომიქსის — „გაუჩო რონალდინიოს" პრეზენტაციაში მიეღო მონაწილეობა.

პერსონაჟი, რონალდინიოსთვის დამახასიათებელი ნაცნობი ღიმილით, ისეთივე „მარჯვე" იქნება ბურთის ფლობისას, როგორც მისი პროტოტიპი. ფეხბურთელმა განაცხადა, რომ ასეთი ცნობილი მხატვრის მიერ შესრულებულ კომიქსში მონაწილეობა მისთვის დიდი პატივია. თავად დე სოუზმა კი აღნიშნა, რომ იდეა მაშინ გაუჩნდა, როდესაც გაუჩოს თამაშს ტელევიზიით ადევნებდა თვალს.

*მოამზადა რატი შელეგიამ*



## ფოტო კომენტარით



### იუბილარი

ავსტრალიის ქალაქ კუინსლენდის ზოოპარკში 2 იანვარს საზეიმოდ აღნიშნეს გიგანტური გალაპაგოსის კუს, ჰარიეტის, 176-ე დაბადების დღე. ზოოპარკის დირექცია ამბობს, რომ ამ კუს თავად ჩარლზ დარვინი შეისწავლიდა.

ჰარიეტის ასაკი მისი დნმ-ის საშუალებით დაადგინეს — ის 1830 წელს გამოიჩეკა. როცა დარვინი არქიპელაგს ეწვია, იუბილარი 5 წლისა იქნებოდა.

### წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

14/I
სავსე მთვარე

**თარაზულად:** 5. მედუზა; 6. როზეტი; 7. ტატამი; 10. ელეგია; 13. შინელი; 14. ეკლერი; 15. გრადაცია; 17. მაიოლიკა; 18. რეა; 19. ილი; 20. კორუფცია; 23. ამნისტია; 26. კოლოდი; 27. სტარტი; 32. ხენდრო; 33. რუპორი; 34. ხარაზი; 35. ემოცია.

**შვეულად:** 1. ძერა; 2. მანი; 3. არვე; 4. ეტლი; 8. ტონგა; 9. მალტა; 11. ლაკლო; 12. გრემი; 16. არტერია; 17. მალარია; 21. რული; 22. ფიდე; 24. იუტა; 25. ტირე; 28. თელა; 29. ჯოლი; 30. ბრგე; 31. არსი.



**თარაზულად:** 1. მარჯვე, ეფექტიანი ილეთი; 5. სიმებიანი მუსიკალური საკრავი; 9. დიდი ბრიტანეთის ნაწილი; 11. თავისუფალი სტილით ცურვის სახეობა; 12. დიდი სიზუსტით დასამიზნებელი მოწყობილობა შაშხანაზე; 13. ღვთაებრივი ხარი, რომელსაც თაყვანს სცემდნენ ეგვიპტეში; 14. ალპინისტის კაპიუშონიანი ქურთუკი; 17. ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის მდინარეებში გავრცელებული ნიანგის სახეობა; 18. იტალიელი ფიზიკოსი; 20. ფრანგი მსახიობი ქალი; 21. რბილი ფერადი ფანქრები ფერწერისთვის; 24. სისხლის აღრევა; 28. ქალაქი იტალიაში; 31. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში; 32. პატარა თეფში ჭიქის ან ფინჯნის დასადგმელად; 33. შექსპირის ტრაგედია; 34. უშფოთველი ცხოვრება; 35. საბუნებისმეტყველო მეცნიერება.

**შვეულად:** 1. ბრძოლის მომზადებისა და წარმოების თეორია და პრაქტიკა; 2. უკრაინის პრეზიდენტი; 3. ადვოკატთა გაერთიანება; 4. მუსლიმანთა ღმერთი; 6. საქონლის შემოტანა საზღვარგარეთიდან; 7. კათოლიკურ დედათა მონასტრის წინამძღვარი; 8. ისლანდიის პარლამენტი; 9. მავრიტანიის ფულის ერთეული; 10. ქიმიური ელემენტი; 15. ყველა იმ ნივთის ერთობლიობა, რაც რომელიმე ორგანიზაციის ქონებას შეადგენს; 16. პერსონალური შეცდომა კალათბურთში; 17. ძველებური კლავიშებიანი მუსიკალური საკრავი; 19. ნადირობის ქალღმერთი ქართულ მითოლოგიაში; 21. მუსიკალური ნაწარმოები სახარების ტექსტზე; 22. თევზსაჭერი გემი; 23. პირი, რომელიც არაოფიციალურად იგზავნება სხვა ქვეყანაში საიდუმლო პოლიტიკური დავალებით; 25. იგივეა, რაც პლანეტა; 26. წვრილ-წვრილი ტყვიები; 27. ამერიკის შტატი; 28. ცხენბურთი; 29. კოვბოების ოსტატობის ჩვენება; 30. იგივეა, რაც ინსტინქტი.

*შეადგინა ვანო კაჭახიძე*





# ყოველ სამშაბათს
## ყველაფერი ბომონდის შესახებ




# არ გამოგრჩეთ!

## „ქვირის პალიტრის" ტრადიციული კედლის მოსახევი კალენდარი

აგრეთვე: სამედიცინო, ქალთა, მართლმადიდებლური და მემამულის კედლის მოსახევი კალენდრები

ბითუმად შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით: ☎ 899 10 66 54


## ჩვენო მკითხველო!

„კვირის პალიტრას" და პრესის გავრცელების სააგენტო „ელვასერვისს" სურთ თქვენი დახმარებით აღადგინონ კარგი ტრადიცია – ყოველ ოჯახს შინ მიუვიდეს გამოწერილი გაზეთები. ამას კი ყველაზე კარგად სწორედ ადგილობრივი, უბნის მცხოვრები გააკეთებს.



ალბათ გახსოვთ ჩანთიანი ფოსტალიონები, რომლებიც იმ ოჯახების სიხარულისა თუ გაჭირვების გამზიარებლები იყვნენ, ვისთვისაც მიჰქონდათ გაზეთი. მათ, ვისაც გსურთ, ეს კარგი საქმე ითავოთ საკუთარ უბანსა თუ სოფელში – გამოგვეხმაურეთ. ფოსტალიონები ხელფასის გარდა პრემიებსაც მიიღებენ. ყველაზე წარმატებულებს კი საჩუქრად ველოსიპედი გადაეცემათ.

**დაგვიკავშირდით: 42-43-40; 33-26-73**

## ყველაზე, ყველაზე მდიდარი

მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ძაღლია გერმანული ნაგაზი გიუნთერ IV, რომელსაც ანგარიშზე 300 მლნ დოლარი აქვს. ქონება მას მამამ — გიუნთერ III-მ დაუტოვა. ამ უკანასკნელს კი მადლიერი პატრონის, გრაფინია კარლოტა ლიბენშტაინისგან ერგო მემკვიდრეობა. ჩვენმა გმირმა, გიუნთერ IV-მ მსოფლიოში სახელი მას შემდეგ გაითქვა, რაც მეურვეებმა (ვინც განკარგავს ნაგაზის მილიონებს) მას მადონას ყოფილი სასახლე უყიდეს 7,5 მილიონ დოლარად. სასახლის აურაცხელი ოთახებიდან 8 მხოლოდ საძინებელია...



გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთ. რედაქტორი გიორგი თევდორაშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, ლია იაკობაშვილი

სარედაქციო კოლეგია

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: რედაქცია: 33-39-54
რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44

news@kvirispalitra.com
www.kvirispalitra.ge

სარეგისტრაციო ნომერი © 1518

„კვირის პალიტრა" გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში".